პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ერთა ლიგა გადასახლებულ ლიტველების შესახებ.
— ლიტვის სატელეგრაფო სააგენტოს განცხადება ლიტვა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ.
— საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა გერმანიის გლეხთა დელეგაცია.
— მექსიკის კომპარტია, ანტიმილიტარისტული ლიგა და სხვა ორგანიზაციები ემზადებიან ოქტომბრის ზეიმისათვის.
— ესტონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება.
— საბჭოთა საელჩოს ახალი შენობის გახსნა მექსიკაში.

პარასკევი, 28 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 245 (1990)

ლენინის პარტიასა და ცეკასთან ერთად ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ

(თბილისის პარტკონფერენციის რეზოლიუცია ამხ. რუძუტაკის მოხსენების გამო*)

თბილისის მე-8 პარტკონფერენციამ მოისმინა რა მან საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას ანგარიში—ამხ. რუძუტაკის მოხსენება, მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს.

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ ოპოზიციის ცრუ წინასწარმეტყველებისა და „პოლიტიკური მწუხრი"-სა, დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირს, ლენინის პარტიისა და მისი ცეკას ნაცადი ხელმძღვანელობით აქვს უდიდესი მიღწევები სამეურნეო მშენებლობის დარგში და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების სფეროში: ჩვენმა მეურნეობამ, არა თუ დაღწია თავი ომით გამოწვეულ ნგრევის შედეგებს, არამედ გადააბიჯა საწარმოო ძალების ომამდე არსებულ დონეს; სოციალისტური ელემენტების ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კერძო-კაპიტალისტური; მტკიცდება მუშათა კლასი, იზრდება მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობის დონე, უფრო და უფრო მაგრდება კავშირი ქალაქისა სოფელთან.

სამეურნეო მშენებლობა, რომელიც თანდათან უფრო ფართოვდება ახალ ტეხნიკურ საფუძველზე, გვაძლევს საშუალებას შეუტიოთ ჩვენს მოწინააღმდეგეს ძალთა დიდი უპირატესობით ჩვენს მხარეზე.

ამის შემდეგ უსინდისო ცილისწამებას და უსირცხვილო დემაგოგიას წარმოადგენს ოპოზიციის თავდასხმა ლენინის პარტიისა და მის ცეკაზე, რომელსაც ქვეყანა მიჰყავს ოქტომბრის მეორე ათეული წლის დასაწყისში სოციალისტურ მშენებლობის გზით ახალ-ახალი გამარჯვებისა და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისაკენ.

განსაკუთრებით დანაშაულებრივია ოპოზიციის მხრივ დემაგოგიური ბრალდებები პარტიის ტერმიდორიანულ გადაგვარებისა, პარტ-აპარატის მხრივ პარტიულ მასების შევიწროებისა და პარტიის პოლიტიკის კულაკურ გადახრის შესახებ.

საბჭოთა კავშირის უაღრესად გამწვავებულ საერთაშორისო პირობებში, ომის ახალი საფრთხის წინაშე ერთადერთ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ტროცკის მიერ პირობითი „ობორონცების" თეორიის წამოყენება ხელს უწყობს შუბლმაგარ ლორდების საინტერვენციო გეგმის განხორციელებას.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ობიექტიური შედეგი ოპოზიციონური პოლიტიკისა, რომელიც ნასესხებია უსტრიალოვ-მენშევიკურ არსენალიდან, იქნებოდა აუცილებელი ჩაშლა სოციალიზმის მშენებლობისა საბჭოთა კავშირში, იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის გაკოტრება.

კონფერენცია აღშფოთებით ჰკიცხავს ოპოზიციის ანტიპარტიულ თეორიას და პრაქტიკას, რომლითაც იგი თანდათან შორდება ლენინიზმს, ანგრევს ლენინურ პარტიას, სცდილობს დემორალიზაცია შეიტანოს მუშათა კლასში და უკვე ადგება ახალი ტროცკისტული პარტიის შექმნის გზას. ერთი ხელით აწერდა რა ხელს ვალდებულებას პარტიაში გამთიშველი მუშაობის შეწყვეტის შესახებ, ხოლო მეორე ხელით აწყობდა რა არალეგალურ სტამბას, ითრევდა რა ამ მუშაობაში კლასიურად უცხო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, ოპოზიციამ ფრაქციული ბრძოლა პარტიისა და მისი მთლიანობის წინააღმდეგ მიიყვანა ჩვენი პარტიის ისტორიისათვის გაუგონარ დონემდე, აშკარად დაადგა მენშევიკურ გზას და შეუდგა ახალი ტროცკისტულ პარტიის შექმნას.

სთვლის რა ამოწურულად ყველა მეთოდებს ოპოზიციაზე ზეგავლენის მოსახდენად, კონფერენცია მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კომ. პ. (ბ) ცეკასი და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას 23 ოქტომბრის თარიღით ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას შემადგენლობიდან.

ლენინურ პარტიის შტაბში ადგილი არ უნდა ექნეთ ფრაქციონერ-გამთიშველებს.

ამასთანავე კონფერენცია გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ადგილობრივი ახალ უკლონისტური ოპოზიციის მოქმედების გამო, რომელიც არა ერთხელ ყოფილა გაკიცხული ნაციონალისტურ-სოციალ - დემოკრატიულ გადახრისათვის და რომელიც მიუხედავად მრავალი დაპირებისა, მაინც განაგრძობს ფრაქციულ-გამთიშველ მუშაობას.

კონფერენცია აღშფოთებით აღნიშნავს პარტდისციპლინისა და პარტ-დირექტივების გაუგონარ დარღვევას გაუსწორებელი ფრაქციონერების —ადგილობრივი უკლონისტური ოპოზიციის ხელმძღვანელების — ლადო დუმბაძის, ნ. ოკუჯავას, ნ. კიკნაძის, ბ. კალანდაძის და ნ. აკირტავას მხრივ, რომელთაც ხელმძღვანელ პარტორგანოების არა ერთი გადაწყვეტილებისა და წინადადების მიუხედავად კატეგორიული უარი განაცხადეს სამუშაოდ გამგზავრებაზე, და რომელნიც აშკარა გამთიშველ მუშაობას აწარმოებენ და სამარცხვინოდ ცილს სწამებენ საქ. კომპარტიასა (ბ) და მის ცეკას.

იწონებს რა მთლიანად საქ. კომ. პარ (ბ) ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებას ლ. დუმბაძის, ნ. კიკნაძის, ბ. კალანდაძის, ნ. ოკუჯავას და ნ. აკირტავას ლენინურ კომპარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ, კონფერენცია წინადადებას იძლევა შემდეგშიაც გაგრძელდეს გადამწყვეტი ბრძოლა ფრაქციონერ-გამთიშველების წინააღმდეგ პარტიის რიგებიდან მათ გამორიცხვამდე.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ საქართველოს პირობებში, ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციულ-გამთიშველი მუშაობა ორმაგად დანაშაულებრივია და ობიექტიურად წყალს უშვებს მებრძოლი მენშევიზმის წისქვილზე.

ყოველგვარ გადახრისა და რყევის წინააღმდეგ ბრძოლაში გაკაჟებული თბილისის ორგანიზაცია შემდეგშიაც ასევე მკაცრად იბრძოლებს ლენინიზმის რევიზიის ყოველგვარი ცდის და პარტიის ლენინური მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საკ. კომ. პარ. (ბ) ლენინის ცეკას!

გაუმარჯოს საკ. კომ. პარ. (ბ) და კომინტერნის მთლიანობას!

ძირს დემაგოგები და პარტიის დეზორგანიზატორები.

ბოლშევიკური ფოლადისებური რიგებით თბილისის ორგანიზაცია საქართ. კომპარტიასთან ერთად მივა საკ. კომ. პარ. (ბ) მე-15 ყრილობაზე.

(რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად)

---

*) მიღებული 27 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე.

ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკის მორიგი დამარცხება

(ლატვია-საბჭ. კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო)

უკანასკნელ ხანებში ჩვენ მოწმენი ვიყავით მთელი რიგი ფაქტებისა, რომელნიც გვიჩვენებენ ინგლისელ შუბლმაგართა ანტი-საბჭოთა კამპანიის დამარცხებას. დეტერდინგებმა, რომელნიც ცდილობდნენ საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლას, ამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მართალია ამ მიმართულებით მათ მიახერხეს პირველი ნაბიჯის გადადგმა, საფრანგეთის მთავრობის მიერ, რაც ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნაში გამოიხატა, მაგრამ ბრიანმა ვერ გაბედა ჩვენთან დამოუკიდებლობის უფრო გამწვავება და ის იძულებული შეიქნა დასთანხმებულიყო ახალი საბჭოთა ელჩის დანიშვნაზე საფრანგეთში. დადებულ იქნა მნიშვნელოვანი შეთანხმება კრედიტების შესახებ ვენის მუნიციპალიტეტთან. ხელმოწერილ იქნა შეთანხმება შვეციასთან, რომლის ძალით საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობას ენიჭება ექსტერიტორიალობის უფლება და მის სათავეში მდგომ პირთ—დიპლომატიური პრივილეგიები. იაპონიის მთავრობასთან დადებულით მეთევზეობის კონვენცია. ხელმოწერილ იქნა სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულებები და ეს ხელშეკრულებანი სპარსეთის მეჯლისმა დაამტკიცა.

ყველაფერი ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის დიპლომატია ყოველ ზომას ხმარობდა ჩამოთვლილ აქტების ჩაშლელად და საბჭოთა კავშირის გასარიყავად.

ინგლისის იმპერიალისტებმა კიდევ ახალი დამარცხება განიცადეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომლის შესახებ დღევანდელი დეპეშა გვაუწყებს.

ამ ფაქტს, დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მთავრობას ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულებას ნიშანში ჰქონდა ამოღებული და მთელ თავის გავლენას ხმარობდა, რომ ლატვიის სეიმს იგი გაეუქმებია. ინგლისელი კონსერვატიული პრესა აშკარა მუშაობას მიმართავდა. სხვათა შორის, „ფაინანშიელ ნიუს" სწერდა: „თუ ლატვიის მთავრობა დაამტკიცებს ხელშეკრულებას, ის ამით ახალ დაბრკოლებებს შექმნის ლატვიასა და ინგლისს შორის უფრო მჭიდრო ფინანსიურ და სავაჭრო დამოკიდებულების გზაზე"-. ამავე დროს ბრიტანეთის ელჩი ლატვიაში ოფიციალურად აფრთხილებს უკანასკნელის მთავრობას, რომ ინგლისის მთავრობა „გულგრილად" ვერ შეხვდება ლატვიის სეიმის მიერ ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცებას. ამნაირად, ლატვიის მთავრობა პირდაპირ ტერორ ქვეშ იქნა დაყენებული.

გარდა ამისა, ინგლისის დიპლომატია მოქმედებდა ესტონიის მთავრობის საშუალებით. უკანასკნელმა ამას წინად მემორანდუმით მიმართა ლატვიის მთავრობას, სადაც აღნიშნულია, რომ ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულება შეუთავსებელია ლატვია-ესტონიის საბაჟო უნიასთან და ამიტომ ამ უნიის განხორციელება შეუძლებელია, თუ აღნიშნული ხელშეკრულება უარყოფილი არ იქნება. ხსენებულ უნიას კი დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ლატვიის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

თვით ლატვიაში ინგლისის კაპიტალი გაძლიერებით მუშაობდა. აი რას სწერდა ლატვიის ერთი მემარცხენე გაზეთი ამის შესახებ: „ხელშეკრულების წინააღმდეგ ფარულად მოქმედებენ უცხოეთის მნიშვნელოვანი კაპიტალები, რომლებიც რუსეთის კონკურენტებს წარმოადგენენ ნავთის და სხვა პროდუქტების ვაჭრობაში... დაინტერესებული მოქიშპე კაპიტალი არ ზოგავს საშუალებებს, რათა ლატვიის პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს თავისთვის ხელსაყრელი მიმართულებით. ამის მიღწევას ის ლამობს პირველ ყოვლისა, პრესის მოსყიდვით". მაშასადამე, აქაც, ისე, როგორც საფრანგეთში, მოსჩანს დეტერდინგის და მისი კოლეგების ხელი.

ინგლისის იმპერიალიზმი დასაყრდენს ჰპოულობდა ლატვიის საზოგადოების ზოგიერთ წრეებში. ესენი არიან პირველ ყოვლისა, ფაშისტები, რომელთაც საბჭოთა კავშირის ხსენებაზე პირში ცოფი მოსდით. ესენი არიან სპეკულიანტური ჯგუფები, რომელთა ბნელ კომბინაციებს საგრძნობლად აცლის ნიადაგს ლატვია-საბჭოთა კავშირ შორის წარმოებულ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარება. არსებობენ აგრეთვე ისეთი სავაჭრო-სამრეწველო წრეები და მათი პარტიები, რომელთაც ესმით ხელშეკრულების მთელი მნიშვნელობა ლატვიისათვის და არსებითად მისი მომხრე არიან, მაგრამ პარტიული პოლიტიკის მოსაზრებით, ახლანდელ მთავრობის დამხობის მიზნით, ილაშქრებენ ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ყველა ამის გამო გაძნელდა ხელშეკრულების რატიფიკაციის საქმე. ჯერ გადაწყვეტილი იყო სეიმის საგანგებო სესიის მოწვევა — ხელშეკრულების დასამტკიცებლად, მაგრამ ეს არ მოხდა, როცა სესია გაიხსნა ჩვეულებრივი წესით, მემარჯვენე ელემენტები შეეცადენ მთავრობის კრიზისის გამოწვევას. ეგრედწოდებული დემოკრატიული ცენტრის პარტია, რომელიც ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგია, გავიდა მთავრობის კოალიციიდან, ამასთან დაკავშირებით, ამ პარტიის წარმომადგენელი მთავრობაში, იუსტიციის მინისტრი ბიტე გადადგა. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა: მთავრობამ მაინც შეაგროვა სეიმის უმრავლესობა და გაატარა ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ვიმეორებთ, ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოასწავებს ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკის სერიოზულ დამარცხებას და ამდენადვე იგი ხელს უწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას ერთ-ერთ მეტად საგულისხმო პუნქტში—ბალტიის მხარეში, სადაც ინგლისის იმპერიალიზმი განსაკუთრებით ანვითარებს თავის ანტი-საბჭოთა კამპანიას.

ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლატვიისა და საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარებისათვის. ის საწინდარია ლატვიის ეკონომიური და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების. ამ ქვეყანას ამიერიდან საშუალება ეძლევა თავისი მრეწველობის პროდუქცია მეტ ნაწილად გაასაღოს საბჭოთა ბაზარზე და ამ ბაზარზევე შეიძინოს თავისთვის საჭირო ნედლეული. ამავე დროს ლატვიის რკინის გზებს და ნავთსადგურებს, რომელნიც მხოლოდ სანახევროდ არიან დატვირთულნი, გამოაცოცხლებს ჩვენი საექსპორტო საქონლის მოძრაობა. თავის მხრივ საბჭოთა კავშირს გაუადვილებს ლატვიის რკინისგზების და ნავთსადგურების საშუალებით საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების წარმოებას, გარდა იმისა, რომ ხელშეკრულებით წესრიგდება საალებ-მიცემო დამოკიდებულება ლატვიასთან.

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულება ააშკარავებს საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკის შინაარს. ამ ხელშეკრულებაში ჰპოულობს გამარჯვებას ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა. სცნობს რა ყველა ხალხების სრულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ცდილობს მათთან დაამყაროს თანამშრომლობა, როგორც სწორმა სწორთან, ორივე მხარის ინტერესების და უფლებების ერთნაირად დაცვის ნიადაგზე. ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების მაგალითმაც, სხვა სათანადო ფაქტებთან ერთად, უნდა დააფიქროს ყველა იმ ქვეყნების ხელმძღვანელი პირები, რომელნიც ჯერ კიდევ უცხო ძალის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და თავის ხალხების საზიანოდ მტრულ პოლიტიკას ადგენან საბჭოთა კავშირის მიმართ. აქაც მათ მართებთ შესაფერი დასკვნის გამოყვანა. ხოლო თუ ეს წრეები „ჭკუაზე ვერ ისწავლიან", თვით მასები გადასდგამენ ჯეროვან ნაბიჯებს.

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაცია
უცხოეთის დელეგაციები ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულზე
ჩეხო-სლოვაკია ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაცია

რიგა, 26 ოქტომბ. 26 ოქტომბერს ღამის 12 საათზე ლატვიის სეიმმა 52 ხმის უმრავლესობით 45-ის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) დაამტკიცა ლატვია - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება (ადს).

რიგა, 26 ოქტომბერი. ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების განხილვის დროს სეიმში ილაპარაკა 25 ორატორმა, მათ შორის 10 იყო ოპოზიციის წარმომადგენელი. ხელშეკრულების განხილვის უკანასკნელ დღეს ოპოზიციის პრესა პირდაპირ იმუქრებოდა „ამბოხებით ჯარში", რომელიც თითქოს ხელშეკრულების წინააღმდეგ არის განწყობილი. უკანასკნელ სხდომაზე ილაპარაკა არქიეპისკოპოსმა იოანემ, რომლის პროვოკაციული სიტყვის დროს მოხდა სეიმის ისტორიაში გაუგონარი სკანდალი. იოანე სოციალ-დემოკრატებს ბრალს სდებდა იმაში, რომ ისინი „ემსახურებიან მოსკოვს".

„თუმცა ათეული წვრილი ჯაშუშები—განაცხადა იოანემ—ამჟამად დაპატიმრებული არიან, მაგრამ მსხვილი ჯაშუშები სხედან ზევით, სარგებლობენ რა ხელშეუხლებლობით".

უკანასკნელ სიტყვებით გამო სოც.-დემოკრატებმა ასტეხეს საშინელი ხმაურობა და ბრახუნი პარტებზე. იოანე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა სიტყვა. მას მიაძახეს: „მეფის ძმა, რასპუტინი, ჯალათი, საზიზღარი და სხვ.". თავმჯდომარემ ვერავითარი ზომებით ვერ მოახერხა წესრიგის აღდგენა და სხდომა შეწყდა. **სხდომის შეწყვეტის შემდეგ იოანემ ბოდიში მოიხადა პრეზიდიუმის წინაშე, ხოლო სხდომის განახლებისას —პლენუმის წინაშე. ამით ამოწურულ იქნა სკანდალი.**

ოპოზიციის მოთხოვნით მოხდა სახელობითი კენჭის ყრა (ადს).

საბჭოთა კავშირის ცნობის წინ

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის მიერ

ბენეშის განცხადება

პრაგა, 26 ოქტ. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა პარლამენტის და სენატის საგარეო საქმეთა კომისიებში წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც შეეხო საგარეო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებს.

შეეხო რა რუსეთთან ურთიერთობას, მინისტრმა განაცხადა, რომ **ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის ნორმალურად ვითარდება, არ არსებობს არავითარი უთანხმოება და დაბრკოლებები და ეკონომიური ურთიერთობა უმჯობესდება და მტკიცდება** (ადს).

დეპუტატთა პალატაში

პრაგა, 26 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ბენეშის, გამოსვლის შემდეგ დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში მთელ რიგ დეპუტატებმა გამოსთქვეს თავისი აზრი საბჭოთა რუსეთისადმი დამოკიდებულების შესახებ.

კომუნისტ დეპუტატმა **შტერნმა** აღნიშნა, რომ **საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ ლაპარაკობს წმინდა ეკონომიური ინტერესები.**

ნაციონალისტმა **ხრუშოვსკიმ** აღნიშნა, რომ პრინციპიალურად საბჭოთა კავშირის ცნობა უკვე გადაწყვეტილი იყო და რომ მთავრობას უკვე დაევალა ეცნო **საბჭოთა კავშირი სათანადო მომენტში. ხრუშოვსკი დაასკვნის, რომ საკითხი პრინციპიალურად გადაწყვეტილია და საჭიროა მხოლოდ სათანადო მომენტის შერჩევა** (ადს).

ამერიკა საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

ნიუ - იორკი, 26 ოქტომბ. ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო საზოგადოებამ გამოაქვეყნა ცნობები ამერიკა - საბჭოთა ვაჭრობის შესახებ 1926 წლ. 1 ოქტომბრიდან 1927 წლის 30 სექტემბრამდე. ვაჭრობის საერთო ბრუნვა შეადგენს—78.380.000 დოლარს, მაშინ, როცა წარსულ წელს ის უდრიდა მხოლოდ—65.328.000 დოლარს. საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გატანილია 14.856.000 დოლარის საქონელი, ე. ი. 14 პროცენტით მეტი, ვინემ წარსულ წელს (ადს).

ესტონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

სანაპირო კონფლიქტების მოგვარების წესის შესახებ

მოსკოვი, 27 ოქტ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო სახ კომისართა საბჭოს მიერ მიღებული შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის სანაპირო კონფლიქტების მოგვარების წესის შესახებ. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ტალინში 1927 წლის 8 აგვისტოს. (ადს).

ლიტვა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

კოვნო, 26 ოქტომბერი. ლიტვის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„გაზეთ „რიტას"-ის 21 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია წერილი იმ სავაჭრო ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც უკვე დადებულია ლიტვასა და უცხო სახელმწიფოთა შორის, აგრეთვე იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც ჯერ არაა დადებული, მაგრამ რომლების გარშემო ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება. ეს ცნობები უცხოეთის პრესამ ისე გაიგო, თითქოს ლიტვამ შეეწყვიტოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ლიტვის დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს გამოაცხადოს, რომ გაზეთში და უცხოეთის პრესაში მოყვანილი ცნობები, ლიტვის მიერ საზღვარგარეთიდან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ, თავიდან ბოლომდე მოგონილია. **რაც შეეხება მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან. ეს მოლაპარაკება არა თუ არ არის შეწყვეტილი, არამედ ამჟამად სწარმოებს გაძლიერებული სამზადისი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ**". (ადს).

უნგრეთის პოლიციის პროვოკაცია

ვენა, 26 ოქტომბერი. ბუდაპეშტის პოლიციის უფროსი **ხეტენი** შეეცადა პოლიციური ფონდის საშუალებით მოეწყო ახალ, ვითომდა კომუნისტურ შეთქმულების აღმოჩენის ინსცენიროვკა. მას მიზნად ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის ყურადღება შეენელებია უნგრეთის პოლიციის გამომჟღავნებულ საქმიანობიდან, ვინაიდან გამოირკვა, რომ სანტოს პროცესის დროს პოლიცია მიმართავდა ბრალდებულთა წამებას და ცემას. **პოლიციას განზრახული ჰქონდა ცნობილ პროვოკატორ ობერის საშუალებით „დაეჭირა" რამოდენიმე მუშა სოციალისტურ მუშათა პარტიის ბინაზე, დაეპატიმრებია ისინი** და მათი „ჩვენების" თანახმად აღენიშნა, რომ კომუნისტები ვითომ ფიქრობდენ ოქტომბრის მეათე წლის თავზე მოეწყოთ სისხლისმღვრელი დემონსტრაციები.

პოლიციის ფონდი დამარცხებით დამთავრდა, ვინაიდან ამ გეგმის თანახმად სოციალისტურ მუშათა პარტიის ბინაზე შეჭრილმა 50 პოლიციელმა ვერავინ ვერ იპოვა იქ.

ამ დამარცხების შემდეგ ხეტენიმ სცადა „შეთქმულების აღმოჩენა" სასამართლოს სხდომების დარბაზში. **ამ მიზნით ათამდე მაძიებელ პოლიციელს ჩააცვეს მუშების ტანთსაცმელი და გაგზავნეს სასამართლოს სხდომაზე.** გეგმის თანახმად ერთ მაძიებელ პოლიციელს სხდომის მსვლელობის დროს უნდა განეცხადებია, რომ სასამართლოს დარბაზში მყოფი მუშები აპირებდენ სისხლისმღვრელი დემონსტრაციის მოწყობას. მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა, ვინაიდან სხდომის დასაწყისში ერთ-ერთი ბრალდებული **ტისსა** წამოხტა, მიუთითა ერთ-ერთ პოლიციელზე, რომელიც იჯდა სასამართლოს დარბაზში და დაიძახა: „ეს კაცი მე ცუდად მეპყრობოდა და ახლა კი ბედავს აქ მოსვლას". სასამართლოს თავმჯდომარემ მოითხოვა პოლიციის დაუყოვნებლივ გაძევება დარბაზიდან. **ამავე დროს სხვა ბრალდებულებმა გამოამჟღავნეს დანარჩენი პოლიციელები და აღნიშნეს, რომ ისინი აწამებდენ ბრალდებულებს.** პოლიციელები იძულებული გახდენ დაეტოვებიათ სხდომების დარბაზი; ამრიგად ხეტენის ცდა დამარცხებით დამთავრდა (ადს).

გაფრთხილება გერმანიას

გილბერტის მემორანდუმი

ბერლინი, 26 ოქტომბ. მინისტრთა საბჭომ განიხილა რეპარაციების საქმეთა გენერალური მდივნის **გილბერტის** მემორანდუმი. მემორანდუმის შინაარსი ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

გაზეთების ცნობით, მემორანდუმი აცხადებს, რომ სესხის აღების ეხლანდელ პოლიტიკის გაგრძელებას და სახელმწიფო ბიუჯეტის დამძიმებას, გამოწვეულს ახალი კანონპროექტით, მოყვება ის, რომ გერმანია 1928 წელში ვეღარ შესძლებს თავისი სარეპარაციო ვალდებულებების შესრულებას. მემორანდუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიამ საზღვარგარეთ უკვე მიიღო 4 მილიარდ მარკის სესხი და აცხადებს, რომ სესხების პოლიტიკა უფრო ვიწრო ფარგლებში უნდა იქნეს ჩაყენებული (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის დასაცავად

პარიზი, 27 ოქტომბერი. საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის დაცვის საპროპაგანდო მიტინგს, რომელიც მოაწყო საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ, დაესწრო დიდძალი ხალხი. მომხსენებელმა ლეონ ბლიუმმა აღნიშნა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის დღევანდელი გამწვავებული მდგომარეობა გამოწვეულია საბჭოთა კავშირსა და ინგლის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტით, ნავთის ტრესტების იერიშებით და იმ შეტევით, რომელიც დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრმა სარრომ ივნისში. არ უნდა ვიფიქროთ, სთქვა ბლიუმმა, რომ რაკოვსკის გაწვევა დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მტრებს საფრანგეთში. რაკოვსკის გაწვევა ქმნის მხოლოდ პრეცედენტს, რომლითაც ისინი ისარგებლებენ, რომ მოითხოვონ საბჭოთა კავშირის ყოველი სხვა ელჩის გაწვევა, იმ საბაბით, რომ ამ ელჩს დაუწერია რაღაც წერილი, ან განცხადება. შემდეგ ბლიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აგრესიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ არის სწორი ბლიუმი შეეხო ომის საფრთხესაც, რომელიც საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში მეტად გაძლიერდებოდა.

ბლიუმის შემდეგ გამოვიდა ლონგე, რომელმაც აღნიშნა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების დღევანდელი შეტევა მიმართულია რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. ლონგემ მოიგონა საფრანგეთის მთავრობების მტრული განწყობილება რუსეთის რევოლიუციისადმი, ერიოს მთავრობის შედგენამდე, 1924 წ. ლონგემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაკოვსკი სრულებით არ ერეოდა საფრანგეთის შინაურ საქმეებში. ლონგეს შემდეგ ილაპარაკა ოშმინმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთის სოც. პარტია [illegible] ძალება მოღალატურ ინტრიგებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და „მიუხედავად იმ შეცდომებისა, რომელიც შეიძლება დაუშვან მოსკოვის მთავრობის წევრებმა", დაიცავს საბჭოთა კავშირთან არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობას. ამის შემდეგ გამოვიდა ჟირომსკი, რომელმაც კრიტიკა გაუკეთა „ბოლშევიკურ მეთოდებს". კამათის დასრულებისას ბრაკე მოუწოდებდა რუსეთის რევოლიუციის დაცვისაკენ, მიუხედავად მის შეცდომებისა, ვინაიდან „არ უნდა შეწყდეს კავშირი რევოლიუციის რომელიმე ნაწილთან" (ადს)

თათბირი ჰამბურგში

ბერლინი, 26 ოქტომბერი. გუშინ შესდგა სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების, სოციალ-დემოკრატიული პარტიის და კომპარტიის ჰამბურგის კომიტეტების თათბირი, რომელსაც უნდა განეხილა კომპარტიის წინადადება ჰამბურგის მუნიციპალიტეტის მუშათა უმრავლესობის გამოყენების შესახებ მუშათა კლასის ინტერესების მიხედვით. თათბირს დაესწრენ 11 რეფორმისტი და 3 კომუნისტი, ტელმანის მეთაურობით. რეფორმისტები თავიდანვე ცდილობდენ საბაბის შექმნას იმისათვის, რომ ჩაეშალათ მოლაპარაკება, ბოლოს შეწყვიტეს კიდეც თათბირი და უარი განაცხადეს კომპარტიის წარმომადგენელთა დეკლარაციის მოსმენაზე. სოციალ-დემოკრატების ასეთ საქციელზე ეგრმანიის კომპარტიის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც აღნიშნეს, მიუხედავათ იმისა, რომ კომპარტიის გულწრფელი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ პროლეტარიატის მინიმალურ, გადაუდებელ მოთხოვნილებათა ნიადაგზე დამყარებულიყო შეთანხმება,— დამარცხდა, კომუნისტები მაინც მზად არიან უზრუნველყონ სოციალ-დემოკრატიულ სენატის მუშაობის შესაძლებლობა, იმ პირობით, თუ შესრულებული იქნება პროლეტარიატის მინიმალური მოთხოვნილებანი. თუ კი, მიუხედავათ ამ წინადადებისა, ნათქვამია განცხადებაში, სოციალ-დემოკრატიული პარტია ამჯობინებს კოალიციას ბურჟუაზიულ პარტიებთან, მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაუგონარი გამცემლობა, ცხადი შეიქნება ჰამბურგის მთელ მუშათა კლასისათვის, კომპარტიის ხელმძღვანელობით ხელს შეუწყობს მშრომ. დარაზმვას. ბურჟ. ბლოკის წინააღმდეგ და მოამზადებს ჰამბურგის მუშათა კლასის გამარჯვებას პროლეტარულ დიქტატურისათვის ბრძოლაში. (ადს)

ცეკასთვის, ლენინიზმისთვის, პარტიისათვის, ტროცკიზმისა და გამთიშველების წინააღმდეგ

ჩვენი უდიდესი პარტიული ორგანიზაციების — მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციების აქტივი შეიკრიბენ ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებების განსახილველად. ორივე აქტივის ხმა გაისმა მძლავრად და მრისხანედ. ორივე აქტივმა განაცხადა, რომ ისინი დგანან ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის პოზიციაზე, ბოლშევიკურად იცავენ მას და მთელი სისასტიკით ჰკიცხავენ გაკოტრებულ ოპოზიციის მუშაობას.

მოსკოვის რამდენიმე ათასი მოწინავე პარტიული წევრი სამი ოპოზიციონერის წინააღმდეგ, ლენინგრადის რამდენიმე ათასი საუკეთესო აქტივისტი ოპოზიციონურ ერთეულების წინააღმდეგ,—ასეთია აქტივის ხმის მიცემის სამგლოვიარო შედეგები. ეს შედეგები მოწმობენ ჩვენი პარტიის ლენინურ სიმტკიცეს და შემჭიდროვებას, უდრეკ რკინისებურ ნებისყოფას მთლიანობისთვის. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მასების დაპყრობის ტროცკისტულ „ოცნების" უნიადაგობა.

ოპოზიციის ყოველი ცდა გამოსულიყო პარტიულ მასებში, აქტივის კრებებზე და უჯრედებში ყოველთვის თავდებოდა მისი სასტიკი დამარცხებით. ოპოზიციის „მასიურ გამარჯვებად" ხომ არ ჩაითვლება უმნიშვნელო ანტიპარტიული დემონსტრაცია იაროსლავის სადგურზე, როგორც ამას „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ი ამტკიცებდა?

სრულიადაც არაა გასაკვირი და შემთხვევითი ოპოზიციის სისტემატიური დამარცხება პარტიის მასიურ კრებებზე.

თუ რა არის ტროცკიზმი, პარტიამ ეს საკმაოდ ყოველმხრივად შეიგნო. თუ ნამდვილად საით მიემართება ოპოზიცია, პარტიამ ესეც გარკვევით დაინახა. პარტიამ ნათლად დაინახა, რომ ეს სოციალ-დემოკრატიული გადახრა ვითარდება და იღებს შჩერბაკოვშჩინის სახეს. რომ ტროცკი დაუბრუნდა მენშევიზმს, რომ ზინოვიევმა და კამენევმა დაჰკარგეს წინანდელი პრინციპები, და იმეორებენ 10 წლის წინად დაშვებულ შეცდომებს, — ესეც ყველასათვის აშკარაა. საკვირველი არაა, რომ გუშინ კამენევს, მოსკოვის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მოსკოვის პარტაქტივი შეხვდა ისე, როგორც წინად მოსკოვის საბჭო ხვდებოდა მენშევიკებს. საკვირველი არაა, რომ მიუხედავად ევდოკიმოვის და ბაკაევის ყოველგვარი ცდისა, ოპოზიციის ორი ხმის წინააღმდეგ აღიმართა ლენინგრადის კომუნარების ექვსი ათასი ხელი.

მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე ამხ. კამენევი ისროდა სასაცილო სიტყვებს ცეკას პოლიტიკისა და ოპოზიციის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის „უიდეურობის" შესახებ. მეტად გასაოცარი სურათი შეიქმნა, როდესაც ამხ. კამენევი ასწავლიდა „იდეურობას" მოსკოვის ყველაზე შეგნებულ ბოლშევიკებს. აბა წარმოიდგინეთ: „იდეური" ამხ. კამენევი, რომელიც იდეურად დაემორჩილა ამხ. ტროცკის იმის შემდეგ, რაც ის წლობით გულმოდგინედ არწმუნებდა პარტიას, რომ ტროცკი მენშევიკია; „იდეური" კამენევი, რომელიც აგრეთვე იდეურად დაუძმობილდა რუტ ფიშერს და მასლოვს, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ ლენინიზმთან, რასაც, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, თვით ამხ. კამენევი ამტკიცებდა. „იდეური" ამხ კამენევი, რომელიც თავისი იდეური მფარველობის ქვეშ იყვანს ასევე იდეურად დაფარული იდეური შჩერბაკოვის ისევ იდეური შჩერბაკოვის ანტისაბჭოთა არალეგალურ მუშაობას — ასეთი იდეურობა უცხოა, მიუღებელია მოსკოვის პარტაქტივისათვის და ყველა მუშა - ბოლშევიკისათვის.

დიახ, მოსკოვისა და ლენინგრადის აქტივები გახდენ გამაფრთხილებელი ოპოზიციისათვის. წითელ დედაქალაქის და ლენინის ქალაქის საუკეთესო ბოლშევიკების ნებისყოფა გარკვევითაა გამოხატული: ათასები ერთეულების წინააღმდეგ. ტროცკიზმი არ სარგებლობს და არც ისარგებლებს გავლენით პარტიულ მასებში. ცეკასთვის, ლენინიზმისათვის იბრძოდა და იბრძოლებს კიდეც ჩვენი პარტია. ტროცკისტული არალეგალური ხროვა მოსწყდა მას.

„პრავდა", 27 ოქტომბერი.

უკანასკნელი ცნობები

შუბლმაგართა კანონის შედეგი

ლონდონი, 2 ოქტ. ფოსტის მოსამსახურეთა კავშირმა ოფიციალურად აცნობა გენსაბჭოს, რომ ის პროფკავშირების შესახებ გამოცემულ ახალ კანონის თანახმად, იძულებულია გავიდეს ტრედიუნიონების კონგრესის შემადგენლობიდან, ვინაიდან აღნიშნული კანონი საშუალებას უსპობს სახელმწიფო მოსამსახურეებს ითვლებოდენ პროფკავშირთა გაერთიანებაში (ად).

რეფორმისტები თავიდან იშორებენ ოპოზიციას

პარიზი, 27 ოქტომბერი. სახელმწიფო მოსამსახურეთა ფედერაციამ, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის საბაბით, თავის რიგებიდან გამორიცხა ის კავშირები, რომლებიც ემხრობიან უმცირესობას. უმცირესობამ განაცხადა პროტესტი და აღნიშნა, რომ ფედერაციის საბჭომ გადასახადის გადაუხდელობა გამოიყენა როგორც საბაბი, რომ თავიდან მოეშორებია ოპოზიცია. (ადს).

ესპანეთის მემაღაროების გაფიცვის შეწყვეტა

პარიზი, 26 ოქტომბერი. მადრიდიდან იუწყებიან, რომ ესპანიაში ასტურიის სანახშირო მაღაროებში მემაღაროებმა განაახლეს მუშაობა სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით შემცირების გაუქმების გამო (ადს).

კებლეში გადავიდა გერმანიის საზღვარზე

პრაღა, 26 ოქტომბერი. 26 ოქტომბერს, კებლეში მშვიდობიანათ გადავიდა გერმანიის საზღვარზე (ადს).

საბჭოთა ხე-ტყე ამერიკაში

ვაშინგტონი, 26 ოქტომბერი. შეერთებულ შტატების ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა ბუენოს—აირესში არხანგელსკიდან [illegible] მილიონი ფუტი საბჭოთა ხე-ტყის მიღების შესახებ (ადს).

სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ახალი შენობა მექსიკაში

მექსიკო, 26 ოქტომბერი. 7 ნოემბერს ზეიმით გაიხსნება მექსიკაში სრულუფლებიან წარმომადგენლობის ახალი შენობა. ახალ შენობაში მოთავსებული იქნება წარმომადგენლობა, „სოვკინო",—რომელიც აწყობს სპეციალურ დარბაზს საბჭოთა ფილმების საჩვენებლად და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა (ადს).

ბირკის პროცესი

რეველი, 27 ოქტომბერი. დაიწყო ესტონეთის ყოფილი ელჩის საბჭოთა კავშირში ბირკის პროცესი.

პენსია იუჟინის ოჯახს

მოსკოვი, 27 ოქტ. განსვენებულ სახალხო მსახიობ ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის განსაკუთრებულ ღვაწლის გამო დრამატიულ ხელოვნების დარგში, საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭომ დაადგინა: 1927 წლის პირველი ოქტომბრიდან დაენიშნოს პენსია მთელი სიცოცხლის განმავლობაში განსვენებულის ქვრივს—მარიამ ნიკოლოზის ასულს სუმბათაშვილისას 200 მანეთის რაოდენობით თვეში და განსვენებულის დას ეკატერინე ივანეს ასულს ბოგუსლავსკისას 100 მანეთის რაოდენობით თვეში (ადს).

„როტე ფანე" ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ ცეკადან

ბერლინი, 26 ოქტომბ. ეხება რა საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას „როტე ფანე" სწერს:

„ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვა ცეკას შემადგენლობიდან მოწმობს, რომ საკავშირო კომპარტიამ მტკიცედ გადასწყვიტა დაიცვას ის პოლიტიკური კურსი, რომელიც შემოიღო ლენინმა და მოიწონა მთელმა პარტიამ, დაიცვას ეს კურსი ოდესლაც დამსახურებულ რევოლიუციონერების წინააღმდეგ ყოველგვარ დათმობის გარეშე, დაიცვას პარტიის ძლიერება და სიმტკიცე. ზინოვიევმა და ტროცკიმ თვითონვე ჩამოაშორეს თავისი თავი, როგორც საბჭოთა, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. სამაგიეროთ მათ ტაშს უკრავს საერთაშორისო ბურჟუაზია და საბჭოთა კავშირის ანტისაბჭოთა ელემენტები. რევოლიუციის საქმისათვის სამსახური შეიძლება მხოლოდ კომინტერნთან და ლენინის პარტიასთან ერთად" (ადს).

სანტოს პროცესი

ვენა, 26 ოქტ. სანტოს და მისი ამხანაგების პროცესის მეშვიდე დღე დაიწყო მოწმეთა დაკითხვით. პირველად დაკითხულ იქნა ბუდაპეშტის პოლიტიკური პოლიციის უფროსის მოადგილე შვეინიცერი, რომელიც ბრალდებულთა სიტყვით ინიციატორი იყო პატიმართა წამებისა პოლიციის შენობაში.

შვეინიცერმა განაცხადა, რომ იგი ფოტოგრაფიებითა და ნამდვილი დოკუმენტებით შეს[illegible] დამტკიცებას, რომ უნგრეთის კომუნისტები მოქმედებენ „საზღვარგარეთიდან მიღებული დირექტივებით" და რომ „დოკუმენტები, რომლებიც მას აქვს, ეკუთვნოდა საბჭოთა ერთ-ერთ საელჩოს საზღვარგარეთ". როცა დამცველებმა შეეკითხენ შვეინიცერს—როგორ პირობებში და საიდან მიიღო ეს დოკუმენტები, მან პასუხი არ გასცა. მაშინ დამცველებმა განაცხადეს, რომ „დოკუმენტები, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა შვეინიცერი, დამზადებულია ვენის ცნობილ ფაბრიკაში, სადაც ამზადებენ ხოლმე საბჭოთა ყალბ დოკუმენტებს".

შვეინიცერი ცინიკურად უარყოფდა იმ ფაქტს, რომ პოლიციამ აწამა ბრალდებულნი.

დამცველთა შეკითხვაზე: რა ბედი ეწვია რუბინს, რომელიც ბრალდებულებთან ერთად იქნა დაპატიმრებული, შვეინიცერმა განაცხადა, რომ რუბინი „უკვალოდ დაიმალა".

შემდეგ ბრალდებულებმა შვეინიცერს მისცეს მთელი რიგი შეკითხვები წამების შესახებ. შვეინიცერი ორჭოფულად უპასუხებდა ყველა შეკითხვებზე.

სასამართლოს თავმჯდომარემ ბრალდებულებს აუკრძალა შეკითხვების მიცემა შვეინიცერისათვის (ადს).

დელეგაციები ოქტომბრის დღესასწაულზე

[illegible]7 ოქტომბერი. ოქტომბრის დელეგაციის მომწყობმა კომიტეტმა განაცხადა, რომ გარდა არჩეულ დელეგაციისა, საბჭოთა კავშირში მიემგზავრება 36 კაცი იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც მოწვეულია კომიტეტის მიერ. მოწვეულთა რიცხვში შედიან: კუკი, საკლატვალა, ინგლისის კომპარტიის მდივანი ინკპინი, ნორრისი (მემაღაროეთა ნოტინგემშირის ფედერაცია), ბროუნი (ამსტერდამის ინტერნაციონალის ალმასკომის წევრი) და სხვ. ამას გარდა საბჭოთა კავშირში მიემგზავრებიან: ახალგაზრდობის დელეგაცია, მემარცხენე უმცირესობის მოძრაობის დელეგაცია და კომპარტიის დელეგაცია.

ვენა, 27 ოქტომბერი. ბულგარეთში შექმნილი მოქმედების კომიტეტის წარმომადგენლებმა მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით დელეგაციისათვის კოლექტიური პასპორტის მიცემის შესახებ. სამინისტრო პირდება შუამდგომლობს დაკმაყოფილებას, თუ შესრულებული იქნება საჭირო ფორმალობა. გლეხთა ახალგაზრდობის კავშირმა გამოსთქვა სურვილი დელეგაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ და თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მოქმედების კომიტეტში. (ადს)

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა დანიის კოოპერატიული დელეგაცია.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის დელეგაცია 16 კაცის შემადგენლობით, და გერმანიის მუშათა ახალგაზრდობის კავშირის დელეგაცია 6 კაცის შემადგენლობით, აქედან ოთხი სოციალ-დემოკრატი და უპარტიო.

მოსკოვი. 27 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანელ გლეხთა დელეგაცია 9 კაცის შემადგენლობით. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ჩრდილოეთის ფრონტზე

პეკინი, 26 ოქტომბ. გოვენის სააგენტო იუწყება: „ჩან-ცზუნ-ჩანის დეპეშა, რომელიც მიღებულ იქნა პეკინში, აცხადებს, რომ **შანდუნის ჯარებმა 25 ოქტომბერს დაიკავეს კაიფინი.** მუკდენის სამხედრო აეროპლანი გადაფრინდა ტაიუანფუზე (შანსის პროვინციის მთავარი ქალაქი), სადაც ოთხი ყუმბარა გადააგდო. ერთი ყუმბარა ჩავარდა არსენალში, დანარჩენი ყუმბარები — შანსის არმიის მთავარ შტაბში" (ადს).

სიკვდილით დასჯა

პეკინი, 26 ოქტომბ. პეკინში სიკვდილით დასაჯეს 5 მუშა, რომლებიც 17 ოქტომბერს დააპატიმრეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელებისათვის; სიკვდილით დასაჯეს აგრეთვე 5 სტუდენტი, რომლებიც დააპატიმრეს ტანძაიინში, სადაც აღმოაჩინეს საპროპაგანდო ლიტერატურის საწყობი (ადს).

მოლაპარაკება მუკდენელებსა და ტან შენ-ჩის შორის

პეკინი, 26 ოქტომბ. პეკინის ჩინური წრეები იუწყებიან, რომ მოლაპარაკება **მუკდენელებსა და ტან-შენ-ჩის შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, კვლავ გრძელდება.** მუკდენელები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ტან შენ-ჩი დასთანხმდეს ვუჩანდის დროშის შეცვლაზე ჩინეთის სახელმწიფო დროშით. ფიქრობენ, რომ შეთანხმება მუკდენელებსა და ტან შენ-ჩის შორის ახლო მომავალში იქნება მიღწეული (ადს).

პეკინის უნივერსიტეტში

პეკინი, 26 ოქტომბერი. პეკინის უნივერსიტეტის აღმზრდელობითი მმართველობის დირექტორმა სა-ზიუ-შიმ უნივერსიტეტის სტუდენტებს აუკრძალა თამბაქოს წევა (ადს).

მუშური სალამი

პრაგა, 26 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის სხდომაზე გამოვიდა **გაკენი**, რომელმაც კომფრაქციის სახელით მოითხოვა მთავრობის გადაყენება და ახალ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, ვინაიდან **სათემო არჩევნების შედეგები მოწმობენ მთავრობის სრულ დამარცხებას.** გაკენმა განაცხადა, რომ **ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატები მილიონ ამომრჩეველების სახელით პროლეტარულ სალამს უძღვნიან საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის გამო** (ადს).

გლეხების დელეგაცია

ბერლინი, 26 ოქტომბერი. საბჭოთა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მოწვევით, საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლათ **გაემგზავრა გერმანიის წვრილი და საშუალო გლეხების 10 წარმომადგენელი** (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირეს, 26 ოქტომბერი. ალიოხინ—კაპაბლანკას მატჩის მე-21-ე პარტია დამთავრდა ალიოხინის გამარჯვებით მე-32-ე სვლის შემდეგ (ადს).

ამხ. ჩიჩერინისა და ზ. ანსარის მისალმება აზერ. სავაჭრო პალატისადმი

ბაქო, 26 ოქტომბერი. იმ დეპეშის საპასუხოთ, რომელიც აზ. სავაჭრო-პალატის საზეიმო სხდომამ გაუგზავნა სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადების გამო ამხ. ჩიჩერინსა და ანსარის. პალატის სახელზე მიღებულია ალი-გული-ხანი-ანსარისა და ამხ. ჩიჩერინის მისასალმებელი დეპეშა.

ანსარის დეპეშაში ნათქვამია:

„დიდათ ვაფასებ თქვენს დახმარებას ხელშეკრულების განხორციელების საქმეში, რომლის წარმატებაც დამოკიდებულია არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედებაზე, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებშიაც. მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი და გადაეცით იგი საზეიმო სხდომის მონაწილეებს. სულით და გულით ვუსურვებ წარმატებას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთ შორის სავაჭრო ურთიერთობის განსამტკიცებლად წარმოებულ მუშაობას, რომელსაც მე ბედნიერი ვიქნები ყოველმხრივ ხელი შევუწყო".

ჩიჩერინის დეპეშაში ნათქვამია:

„გადაეცით ჩემი გულწრფელი მადლობა სპარსელ ვაჭრობას, აზ. საბაჟო პალატას, ბაქოს ბაზრობას და ბირჟის წარმომადგენლებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ სავაჭრო შეთანხმების ცხოვრებაში გატარება გახდება საწინდარი ეკონომიური ურთიერთობის და მეგობრობის განმტკიცებისა საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ხალხებს შორის (ადს).

საქართველოს ეროვნული

თბილისის მერვე პარტკონფერენცია

თბილისის კომიტეტის ანგარიში

ამხ. სვანიძის მოხსენება 26 ოქტომბრის დილის სხდომაზე

1. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები

მრეწველობა

ამხანაგებო, ნება მომეცით ჩემი საანგარიშო მოხსენება დავიწყო სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებიდან. თქვენ იცით, რომ 1925—26 წელს ჩვენი მრეწველობის აღდგენის პროცესი საერთოდ დამთავრდა და მისი ზოგიერთი დარგები გასცილდა კიდეც ომამდე არსებულ დონეს.

რადგან ჩვენი თბილისის წარმოებები წარმოადგენენ წვრილ ერთეულებს და მათ შორის ბევრი მნიშვნელოვნად გაცვეთილია,—25—30 პროცენტამდე და პოლიგრაფიულ წარმოებაში 50 პროცენტამდეც კი,—1926—27 სამეურნეო წელს ამას გავლენა უნდა მოეხდინა მრეწველობის მოძრაობის ტემპის შენელების მხრივ. და მართლაც წარსულ სამეურნეო წელს ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის სახელმწიფო კოოპერატიულ მრეწველობის პროდუქციის ზრდის მნიშვნელოვნათ შემცირებას 4 პროცენტამდე (რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს გარდა) არ შედის თბილისის ალმასკომის წარმოებებიც, რომელთა პროდუქცია 19 პროცენტით გაიზარდა. ნაწილობრივათ შედარებით დიდი პროცენტი აიხსნება მთელ რიგ ახალ წვრილ წარმოებების ალმასკომისათვის გადაცემით.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ძირითადი ამოცანა—ახალ წარმოებათა აღმშენებლობის ტემპის დაჩქარება, ვინაიდან არსებულ წარმოებებს აღარ შეუძლიათ მომავალში მნიშვნელოვანი ეფექტის მოცემა.

ეს სამრეწველო აღმშენებლობა თბილისში მიდის ორი ხაზით—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის ხაზით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით შენდება და ვერ იქნა ვერ აშენდა მაუდის ფაბრიკა. მიმდინარე წელს განზრახულია დიდი მექანიკური ქარხნის აგება. ამ ქარხანას, რომელიც დაჯდება 3 ნახ. მილიონი მანეთი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის ჩვენ საშუალებას მოგვცემს აბრეშუმის სახვევი გობები აღარ შემოვიტანოთ იტალიიდან. ეს გობები ეხლა მზადდება „26 კომუნარი"-ს სახელობის ქარხანაში. განზრახულია, აგრეთვე აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის აგება.

აი სამი ძირითადი წარმოება ს.მ.უ. საბჭოს ხაზით, რომელთა აგება განზრახულია ქ. თბილისში. რაც შეეხება ალმასკომს, ჩვენ შევადგინეთ და განვიხილეთ ჩვენი მრეწველობის აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. პირველ რიგში აგებულ იქნება ახალი ლუდის სახდელი ქარხანა (820.000 მან.), საუტილიზაციო ქარხანა (360.000 მან.), ავეჯეულობის ფაბრიკა (1.900.00, ქვის კუბიკების დასამზადებელი ქარხანა და სხვ. სულ 5 მილ. მანეთის ღირებულების. ამრიგად სათანადო ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ ახალ სამრეწველო აღმშენებლობას.

სამწუხაროდ, ხანდახან მოხდება, რომ საშუალებები არის, მაგრამ ტეხნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვაწარმოოთ აღმშენებლობა სასურველ ტემპით. აი რით აიხსნება ის გარემოება, რომ მაუდის ფაბრიკა აქამდის არ მუშაობს, ვინაიდან მუშაობის პროცესში საჭირო შეიქნა მისი გადაკეთება. საჭიროა ამ დეფექტების აღმოფხვრა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საალმშენებლო ინდექსი ჩვენში მეტად მაღალია. ამიტომ საჭიროა ცხოვრებაში გავატაროთ საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივა საალმშენებლო ინდექსის 15 პროც. დაკლების შესახებ. ახალ სამრეწველო მშენებლობასთან ერთად შესაფერი მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ უკვე არსებულ წარმოებებს, მოვახდინოთ როგორც წარმოების, ისე შრომის რაციონალიზაცია და შევეცადოთ პროდუქციის თვითღირებულების 8 პროც. დაკლებას.

1926—27 წ. განმავლობაში ჩვენ ვერ მივაღწიეთ თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებას, ხოლო ზოგიერთ წარმოებაში ადგილი აქვს თვითღირებულების ერთგვარ აწევასაც.

სამუშაო ხელფასი და შრომის ნაყოფიერება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ დავსდევით ახალი კოლხელშეკრულებები, რასაც შედეგად მოჰყვა საერთოდ სამუშაო ხელფასის ფონდის ერთგვარი გადიდება. ამასთან ერთად გაიზარდა მუშის პროდუქციაც; საშუალოდ სამუშაო ხელფასის ზრდა საანგარიშო პერიოდში გამოიხატება 10—11 პროც.

რა მდგომარეობაშია სამუშაო ხელფასი ომის წინადროის ხელფასის დონესთან შედარებით? სწორი ციფრები ჩვენ არ მოგვეპოება, მაგრამ ზოგიერთი ცნობები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია გვიჩვენებენ, რომ მეტ წილ წარმოებებში მან გაუსწრო ომის წინა დროის დონეს (თუ არ ჩავთვლით მეღითონეებს, რომლებიც ომამდეც კარგ სამუშაო ხელფასს ღებულობდენ). მაგალითად, თამბაქოს ტრესტში მუშა 1913 წელს ღებულობდა 20 მან. 75 კაპეიკს, ხოლო ეხლა ღებულობს 23 მან. 27 კაპ. (წმინდა სამუშაო ხელფასი); სტამბებში 1913 წ.—22 მ. 50 კაპ. ეხლა კი—28 მანეთს. თუ ავიღებთ სამუშაო ხელფასს სათანადო ანარიცხებით (სოც. დაზღვევა, კულტფონდი, ადგილკომი და სხვ.) დავინახავთ, რომ სამუშაო ხელფასი გაიზარდა არა ნაკლებ 30 პროცენტისა ომამდე არსებულთან შედარებით.

ომამდე არსებული დონეს გადააბიჯა აგრეთვე 30 შრომის ნაყოფიერებამ (თამბაქოს ტრესტში, ტყავტრესტში და სხვ.) და წლიდან წლამდე იზრდება. 1926—27 წელს, შრომის ნაყოფიერება რამოდენიმეთ შემცირდა ტიპოლიტოგრაფიაში და საპნის წარმოებაში, რაც აიხსნება დაღლილობით, ან ნედლეულის ნაკლებობით.

როგორია სამუშაო ხელფასის და შრომის ნაყოფიერების შეფარდება? წარმოების იმ დარგებში, რომლებშიაც კაპიტალურ სამუშაოებზე დაბანდებული იყო მნიშვნელოვანი თანხები—სამუშაო ხელფასი ცოტათი ჩამორჩა შრომის ნაყოფიერებას. მე ამას ნორმალურ მოვლენად ვსთვლი. მაგრამ წარმოების დანარჩენ დარგებში, როგორიცაა, მაგალითად, საპნის დამამზადებელი, ლითონის დამმუშავებელი და პოლიგრაფიული მრეწველობა და რკინის-გზის მთავარი სახელოსნო, შრომის ნაყოფიერება სამუშაო ხელფასზე დაბლა სდგას. პირველ რაიონის კონფერენციაზე ამხ. ფანცულაიამ გამოაქვეყნა ციფრები, რომლებიდანაც სჩანს, რომ მთავარ სახელოსნოში მუშათა ზოგიერთ ჯგუფების სამუშაო ხელფასი გაიზარდა 47 პროცენტით, ხოლო პროდუქცია მხოლოდ 15 პროცენტით. ასეთი მოვლენა არანორმალურია.

ამხ. ივანოვის ცნობით: წევის დარგში პროდუქცია გაიზარდა 23 პროცენტით, ხოლო სამუშაო ხელფასი 11 ნახ. პროცენტით, მოძრაობის დარგში პროდუქცია გაიზარდა 6 პროცენტით, ხოლო სამუშაო ხელფასი—11,4 პროცენტით. რომ ავიღოთ ისეთი საამქრო, როგორიც არის საყალიბო, აქ პროდუქცია გაიზარდა 5 პროცენტით, ხოლო ხელფასი 38 პროცენტით.

ეს დაახლოებითი ცნობებია: აქ შეიძლება შეტანილ იქნეს ზოგიერთი შესწორებები, მაგრამ ისინი ამ სახითვე გამოსახატავენ არსებულ მდგომარეობას.

ამგვარათ, სამუშაო ხელფასის და შრომის ნაყოფიერების შეფარდების სფეროში, კაპიტალურათ გადაკეთებულ წარმოებების გამოკლებით, სამუშაო ხელფასი უსწრებს შრომის ნაყოფიერებას. ზოგიერთ შემთხვევაში შეფარდების დარღვევა ძლიერ მნიშვნელოვანი და არანორმალურია.

მიმდინარე წელს ჩვენ უკვე ფეხი შევდგით კოლექტიურ ხელშეკრულებათა განახლების პერიოდში. ჩვენ ეხლა ვერ წავალთ სამუშაო ხელფასის საერთო გადიდებაზე. უნდა ვიფიქროთ მხოლოდ ჩამორჩენილ ჯგუფების დაწინაურებაზე. ამასთანავე საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდა 1927—28 წელში, დაახლოებით, 11—12 პროცენტით, ჩამორჩენილ ჯგუფების დაწინაურებით. პროდუქციის გადიდებამ უნდა უზრუნველყოს მუშათა სამუშაო ხელფასის გადიდება 5 პროცენტით, ხოლო დანარჩენი 5 პროცენტით გადიდება უნდა მოხდეს საცალო ფასების დაკლებით.

ეს ამოცანა მეტად მნიშვნელოვანია და არც ისე ადვილია, და თუ ჩვენ შევსძელით მისი დამაკმაყოფილებლათ გადაჭრა, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების და მრეწველობის ზრდას. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების კამპანიაში უნდა ჩავაბათ მუშათა ფართე მასები.

საბინაო მშენებლობა

მე აქ მოვიყვან საბუთებს, რომლებიც ახასიათებენ საბინაო კრიზისს თბილისში. ეს საბუთები თქვენთვის უკვე ცნობილია. მე მხოლოდ შევეხები იმას, თუ რა გაკეთდა მიმდინარე წელს და როგორია მდგომარეობა. საბინაო მშენებლობას აწარმოებენ თბილისის ალმასკომი, საბინაო საალმშენებლო კოოპერაცია და ცალკე სამეურნეო ორგანოები.

შარშან თბილისის ალმასკომმა საბინაო მშენებლობაზე დახარჯა 1.800 ათასი მანეთი. 1925—26 წ. დაიხარჯა 2 მილიონი მანეთი. ამნაირად ალმასკომმა წარსულ ორ წელს საბინაო მშენებლობაზე დახარჯა 3.800 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წელს კი განზრახული აქვს დახარჯოს 2 მილიონი მანეთი.

კოოპერაციის ხაზით უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ზრდა საანგარიშო პერიოდში. თუ 1924-25 წ. საბინაო-საალმშენებლო კოოპერაციამ დახარჯა 364.000 მანეთი, ხოლო 1925-26 წ.—217.000 მანეთი, საანგარიშო 1926-27 სამეურნეო წელს დახარჯა 1.135.000 მანეთი. ამას გარდა, წელს ცალკე სამეურნეო ორგანიზაციებმა, რკინის გზის გამოკლებით გამოიღეს 600—700 ათასი მანეთი, რაც ცხადია, მოხმარდება საბინაო მშენებლობას 1927-28 წელში.

რაც შეეხება რკინის გზებს, უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ რკინის გზების დიდი როლისა თბილისის სამეურნეო ცხოვრებაში (რკინის გზა ჩვენს უბანში აერთიანებს 15.000 მუშას), მას სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საბინაო მშენებლობაში. მხოლოდ საანგარიშო წელს შეუდგა რკინის გზა სამსართულიანი სახლის აგებას. საჭიროა გაძლიერდეს რკინის გზის მონაწილეობა საბინაო მშენებლობაში.

ელექტროფიკაცია

საანგარიშო წელს ჩვენ აამუშავეთ ზაჰესი, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდით. ამჟამად ზაჰესი მუშაობს არასრული დატვირთვით—სულ ორი ტურბინა მუშაობს. ზაჰესმა შემდეგში უნდა იმოქმედოს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების, ენერგიის გაიაფების და ამასთანავე პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების საქმეზე. მაგრამ ზაჰესის მნიშვნელობა უკვე ეხლავეა საგრძნობი—თუ წინად სახელმწიფო სამრეწველო წარმოებებს კილოუატ-საათი უჯდებოდათ 40 კაპ., ეხლა ის მხოლოდ 7 კაპ. უჯდებათ. წინად პროფკავშირის წევრები ბინის განათებაზე იხდიდენ 35 კაპ., ეხლა კი იხდიან მხოლოდ 15 კაპ. ამას კიდევ ის უნდა დაემატოს, რომ დღეს-დღეობით მოქმედი ტარიფი დროებითია და ის მაშინვე იქნება დაკლებული, როდესაც ზაჰესი სრული დატვირთვით ამუშავდება.

კოოპერატიული მშენებლობის საკითხები

კოოპერაციის წარმატებანი 1925-26 წელში უფრო სავაჭრო ხასიათისა იყო. კოოპერაცია, განსაკუთრებით ჩვენი მუშკოოპი, უფრო სახელმწიფო დუქანს მიაგავდა, ვიდრე კოოპერატიულ ორგანიზაციას და მხოლოდ საანგარიშო წელში გვაქვს სხვაგვარი სურათი. სამომხმარებლო კოოპერაციის გაჯანსაღებამ გავლენა იქონია იმ მხრივ, რომ გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა და გაძლიერდა კოოპერატივების საკუთარი თანხის მონაწილეობა ბრუნვაში. სასიხარულო მოვლენაა, რომ დაბოლოს, ჩვენი მუშკოოპის ბალანსს წელს პირველად აღმოაჩნდა საკუთარი საბრუნავი თანხები. აქამდე კი ჩვეულებრივ, ნასესხები თანხების ნაწილი უძრავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს, რასაკვირველია, ძალიან საზარალო იყო.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოოპერაციამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები გადასწყვიტა პარტიული დირექტივების შესრულების წესით. თქვენ იცით, რომ ძირითადი პარტდირექტივა, რომელიც კოოპერაციას ეხებოდა, გულისხმობდა სამმართველო-სამეურნეო ხარჯების შემცირებას 15 პროც. და საცალო ფასების დაკლებას 10 პროც. აი, ის ორი ძირითადი დირექტივა, რომელიც უნდა გაეტარებია კოოპერაციას. როგორია არის მიღწევები? მუშკოოპმა სამმართველო-სამეურნეო ხარჯები შეამცირა 14,87 პროც., „ზაკტპომ" —7,8 პრ., „ბოეცმა"—10,3 პროც., ეს იყო 1927 წლის 1 ივლისისათვის. თითქოს ყველაზე უკეთეს მდგომარეობა აქვს მუშკოოპს, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. თუ მუშკოოპმა დიდი პროცენტით შეამცირა ხარჯები და ფორმალურად თითქმის შეასრულა პარტიის დირექტივა, ეს აიხსნება იმით, რომ მუშკოოპის საერთო-სავაჭრო ზედნადები ხარჯები ძალიან დიდი იყო, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებში. მუშკოოპის ზედნართი ხარჯები ეხლა შეადგენენ 11,95 პროც., „ზაკტპოს" ხარჯები—11,28 პროც., „ბოეცის"—11,58 პროც. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მუშკოოპმა თავისი ხარჯები სხვა ორგანიზაციებზე უფრო მეტად შეამცირა, მისი საერთო სავაჭრო ხარჯები ეხლაც გაცილებით მეტია, ვიდრე „ბოეცის" და „ზაკტპოს" ხარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის კომიტეტის დირექტივა, რომელიც მიეცა მუშკოოპს, მოითხოვდა ზედნართი ხარჯების დაყვანას 10 პროცენტამდე. მაგრამ ჩვენმა მუშკოოპმა ეს ვერ შეასრულა. ჩვენ ვცნობთ, რომ ზედნართი ხარჯები შედარებით დიდია, თუმცა ეს ხარჯები დაახლოებით საშუალო არის მუშათა კოოპერაციაში, მაგრამ ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ არა საშუალო, არამედ უკეთეს კოოპერატივებზე.

რაც შეეხება საცალო ფასების დაკლებას, მუშკოოპში 1 ივნისისათვის ეს შეადგენდა 10,59 პროც., ცოტა ნაკლებად შეამცირეს ხარჯები „ზაკტპომ" და „ბოეცმა". ესეც იმით აიხსნება, რომ ამ ორგანიზაციების საერთო-სავაჭრო ხარჯები შედარებით უფრო ნაკლები იყო. სამრეწველო საქონელზე ფასების 10 პროც. შემცირება ჩაატარეს ყველა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საცალო ფასები 1 ივნისის შემდეგ შეირყა და ერთგვარ ზრდას აქვს ადგილი. ეს უმთავრესად აიხსნება სასოფლო-სამეურნეო ბაზრის მოუწესრიგებლობით. ჩვენ სწორედ ამ ბაზარზე ვართ ნაკლებ გაბატონებული, აქ ბატონობს კერძო ვაჭარი. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ძალიან სუსტია და ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ 1927 წლის 1 ივნისის შემდეგ ფასები სამრეწველო საქონელზე შემცირდა 1,10 პროც., საცალო ფასები მუშათა საბიუჯეტო ნაკრების მიხედვით იზრდება.

კოოპერატიული საზოგადოებრიობის დარგში ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები. ლენინი ამბობდა, რომ ხელი უნდა შეუწყოთ მხოლოდ ისეთ კოოპერატიულ ოპერაციას, რომელშიაც „ნამდვილად იღებენ მონაწილეობას მოსახლეობის ნამდვილი მასები", და როცა იგი ლაპარაკობდა ამის შესახებ, რომ კოოპერაციის ზრდა ნიშნავს სოციალიზმის ზრდას, მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ ასეთი კოოპერატიული ოპერაცია. ყველაზე მეტად, ჩვენის აზრით ამ დარგში მოიკოჭლებდა მუშკოოპი, მაგრამ მან საანგარიშო წლის განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. ეს მიღწევანი გამოიხატა იმაში, რომ გაცხოველდა რწმუნებულთა, კოოპერატიული კომისიების, სადუქნო კომისიების კრებები, მუშები და საერთოდ პროფკავშირთა მასები უფრო მეტად ჩაებენ ამ მუშაობაში. რწმუნებულთა კრებებზე არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 51 პროც., ხოლო 2—2 ნახ. წლის წინედ რწმუნებულთა არჩევნები სავსებით ჩაიშალა იმის გამო, რომ კრებებზე გამოცხადდა კოოპერატივის წევრთა მეტად უმნიშვნელო რიცხვი.

მოსახლეობის კოოპერატიული დარაზმვის დარგში ამგვარი მდგომარეობაა: მუშკოოპმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეაგროვა 5.900 ახალი წევრი და ხელმეორე რეგისტრაციაში გაატარა 3.134 წევრი. 1927 წლის 1 ივლისისათვის მუშკოოპს ჰყავდა 32.000 წევრი. მაგრამ ეს ციფრი რამდენადმე გადაჭარბებულია. ამ რიცხვში შეტანილია ხელმეორე რეგისტრაციაში გაუტარებელი წევრების ნაწილი და ხელმეორე რეგისტრაციის პროცესში მუშკოოპი დაჰკარგავს 4.000 წევრს, ვინაიდან ისინი სინამდვილეში მკვდარი სულები არიან და მრავალი მათგანი თბილისშიაც არ იმყოფება. 1926—27 წელში კოოპერაციაში ჩვენ შევაკავშირეთ პროფკავშირთა მასის 45 პროც.; (რკ. გზელებს გარდა), ხოლო წარსულ წელში შეკავშირებული იყო მხოლოდ 35 პროც.

„ზაკტპო" აერთიანებს პროფკავშირთა მასის 85 პროცენტს. კოოპერაციაში შეკავშირებულების საშუალო პროცენტი, „ბოეცის" გარდა, შეადგენს 55 პროცენტს.

როგორია დასკვნები? პირველი და ძირითადი ამოცანაა, ფასების დაკლების არსებულის არა მარტო განმტკიცება, არამედ კიდევ უფრო დაკლება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფასების დაკლება ტარდება მუშათა მასისა და პროფკავშირთა მასების მნიშვნელოვანი მონაწილეობით. უკანასკნელ ხანებში პროფკავშირთა ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს. საჭიროა მუშ. მასები კვლავ ჩაბმულ იქნან ფასების დაკლების კამპანიაში. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ საცალო ფასების დაკლებას 5—6 პროცენტით. დეტალურად ეს საკითხი უნდა განიხილონ შინავაჭრობის კომისარიატის ორგანოებმა. მიუხედავათ საცალო ფასების დაკლებისა, მუშკოოპმა მიმდინარე წელში მოიგო 250.000 მანეთი.

ჩვენი ზედნართი ხარჯები ჯერ კიდევ დიდია, ისინი აღწევენ 12 პროცენტს. კიდევ ახალი ზომების მიღებით, ვაჭრობის შემდგომი რაციონალიზაციის საშუალებით უნდა მივაღწიოთ ზედნართი ხარჯების 1 ნახ.—2 პროცენტით შემცირებას. აღნიშნული გარემოებანი საგრძნობლად უზრუნველყოფენ საცალო ფასების დაკლებას. ეს პირველი.

მეორე—კოოპერატიული საზოგადოების გაძლიერება. უამისოდ ჩვენ დავკარგავთ ჩვენს მიღწევებს, უამისოდ ზედმეტია ლაპარაკი ჩვენს შემდგომ წინსვლაზე.

მესამე—ამ მუშაობაში განსაზღვრული ფინანსიური დახმარება უნდა გაუწიოთ ჩვენს კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ყოველგვარი საზოგადოებრივი წამოწყება შენდება ამა თუ იმ კლასის განსაზღვრული ფინანსიური დახმარების საშუალებით. ეს დახმარება ჩვენს კოოპერატივებს საანგარიშო წელში ეძლეოდა. ახთივე დახმარება უნდა გაეწიოს მათ მომავალშიაც ბანკების მხრივ.

და მეოთხე—ყოველივე ამის შედეგათ ჩვენ გაერთიანებული შეკავშირებული ძალებით უნდა მივაღწიოთ შემდგომ წინსვლას კერძო კაპიტალთან ბრძოლაში.

თბილისის ალმასკომის ბიუჯეტი

ქალაქის მეურნეობის მდგომარეობის საუკეთესო მაჩვენებელია ბიუჯეტის მდგომარეობა და ზრდა. თუ გადავხედავთ შემოსავლის ზრდას, დავინახავთ, რომ ჩვენი შემოსავალი 1925—26 წლიდან (თუ ამ წლის შემოსავალს 100-ად მივიღებთ) გაიზარდა შემდეგ წელს 26 პროცენტით, ხოლო 1927—28 წელს—43,7 პროცენტით, წინა წელთან შედარებით—13,3 პროცენტით.

1927—28 წლის ბიუჯეტი, მისი დანაწილება საგადასახადო და არასაგადასახადო ნაწილებად—ნორმალურია იმ მხრივ, რომ შემოსავლის ძირითად მასას შეადგენს არასაგადასახადო ნაწილი (70 პროც.).

გადავდივარ საგასავლო ნაწილზე. თუ საგასავლო ნაწილს დავყოფთ ადმინისტრატიულ სასამართლო, სოციალურ-კულტურულ და საწარმოო-სამეურნეო ხარჯებათ, აღმოჩნდება, რომ სასამართლო-ადმინისტრატიული ხარჯები შეადგენენ 6,3 პროცენტს. ეს პროცენტი არაა დიდი, ამასთან ეს ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირებულია 10,5 პროცენტით. სოციალურ-კულტურული ხარჯები შეადგენენ 25,8 პროცენტს, გაიზარდნენ 16,2 პროცენტით; საწარმოო სამეურნეო ხარჯები შეადგენენ 56,4 პროც., წინა წელთან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით. თუ საგასავლო ნაწილიდან ცალკე გამოვყოფთ სოფელზე გაწეულ ხარჯებს, აღმოჩნდება, რომ თბილისის მაზრაზე ჩვენ ვხარჯავთ 2.200 ათას მანეთს. ეს მნიშვნელოვანი თანხაა. ასე, მაგალითად, ზუგდიდის მაზრის ბიუჯეტი უდრის 900.000 მანეთს, ხოლო თბილისის მაზრაზე კი ჩვენ ვხარჯავთ 2.200 ათას მანეთს.

ამ თანხის სათანადო ჯგუფებად დაყოფის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ სახალხო განათლებაზე იხარჯება 820.000 მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე—250.000 მანეთი, საგზაო მშენებლობაზე—220.000 მანეთი, სასოფლო მეურნეობაზე—265.000 მანეთი და საერთო-ადმინისტრატიულ დაწესებულებებსა და მილიციაზე—358 ათასი მანეთი. ადმინისტრატიული ხარჯები ძალიან დიდია და შეადგენენ სამაზრო ბიუჯეტის არა ნაკლებ 15 პროცენტს. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ საკითხს და მივაღწიოთ ხარჯების შემცირებას. იმ ეკონომიას, რომელსაც ჩვენ აქედან მივიღებთ, მოვახმართ სასოფლო მეურნეობის და სხვა სამეურნეო და საწარმოო საჭიროებებს.

რაც შეეხება კომუნალურ წარმოებებს, შეუჩერებლივ იზრდება მათი შემოსავალი. 1925—26 წ. კომუნალურ წარმოებათა შემოსავალი შეადგენს 7.200 ათას მანეთს, 1926—27 წელში—9 მილიონ მანეთს და 1927—28 წელში—9.890 ათას მანეთს. როგორც ხედავთ, აქ თვალსაჩინო ზრდაა. მიმდინარე წელს კომუნალურ წარმოებათა კაპიტალურ სამუშაოებზე იხარჯება 3.400 ათასი მანეთი. საანგარიშო წელს დაიხარჯა 3.300.000 მანეთი. როგორც ხედავთ, ჩვენს კომუნალურ წარმოებებში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ტეხნიკური მუშაობა, აქედან ყველაზე მთავარია ახალი (ნატახტარი) წყალსადენის აგები ხარჯები—8.000.000 მანეთი. მიმდინარე წელს ბიუჯეტში წინასწარ ხარჯებისათვის გამოყოფილია 350.000 მანეთი.

აი, მოკლე ცნობა ბიუჯეტის და ამითვე ჩვენი ქალაქის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, მიუხედავად დიდძალი შემოსავლისა, ჩვენი ბიუჯეტი ყოველ წელს მაინც დეფიციტით თავდება, მიმდინარე საბიუჯეტო წელს დეფიციტი შეადგენს 2.500.000 მანეთს.

კერძო კაპიტალი

ახლა, ამხანაგებო, მე შევეხები საკითხს სახელმწიფო და კერძო სამეურნეო სექტორების შესახებ. მრეწველობაში უცილოდ ბატონობს სახელმწიფო-კოოპერატიული სექტორი. აქ კერძო კაპიტალმა 1926—27 წელში დაიწია შარშანდელ 2,7 პროცენტიდან 1,8 პროცენტამდე.

როგორი მდგომარეობაა ვაჭრობის დარგში? ეს ცნობები 1926—27 წლისათვის თბილისის შესახებ ცალკე არ დაუმუშავებია ცენტ. სტატისტიკ. სამმართველოს, ამიტომ იმის დასასურათებლად, თუ დაახლოებით რა მდგომარეობაა თბილისში, მე დამჭირდება ცნობების მოყვანა საქართველოს შესახებ.

სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ დამუშავებული ცნობებით 1924—25 წელში საერთო სავაჭრო ბრუნვაში კერძო კაპიტალის მონაწილეობა შეადგენდა 26,4 პროც., 1925—26 წ.—24.8 პროც., 1926—27 წ.—20 პროც. ეს, ამხანაგებო, არის საერთო ბრუნვა, აქ შედის საბითუმო და საცალო ვაჭრობაც. ახლა თბილისის შესახებ. ცენტ. სტატ. სამმართველოში მოიპოება ძველი შინაური ცნობები, რომლებიც შეეხება 1924—25 წ. და 1926 წლის პირველი ნახევარს. ეს ცნობები შემდეგ სურათს იძლევა: 28,8 პროც. 1924—25 წ., 19,3 პროც. 1926 წლის პირველ ნახევარში და 17,8 პროც. მეორე ნახევარში. ეს არის საერთო ბრუნვა. იმავე ვადებში კერძო კაპიტალის მონაწილეობა თბილისის საცალო ვაჭრობაში შეადგენდა 52,39,9 და 37,9 პროცენტს.

როგორც ხედავთ, ყველა ცნობების მიხედვით კერძო კაპიტალის მონაწილეობა ყოველ წლობით კლებულობს. როგორია კერძო კაპიტალის მონაწილეობა თბილისში წარსულ წელში? ალბათ დაახლოებით 35 პროც.

მაგრამ თუ ავიღებთ სასოფლო-სამეურნეო ბაზარს, აქ კერძო კაპიტალის მონაწილეობა ბევრად უფრო დიდია. აი, ამიტომ არის, რომ საქართველოს პროფსაბჭოს ცნობების კერძო მოვაჭრის მონაწილეობა მუშის საბიუჯეტო ნაკრებში აღწევს 50 პროცენტამდე.

ამიტომ, ამასთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა დავისახოთ ამოცანად საცალო ვაჭრობაში კერძო კაპიტალის მონაწილეობის უფრო სწორი აღრიცხვა. კარგი იქნებოდა, რომ სათანადო ორგანიზაციები გამოჰყოფდენ საცალო ვაჭრობის დარგს. მაშინ ჩვენ სწორი წარმოდგენა გვექნება.. კერძო კაპიტალთან ბრძოლას და სახელმწიფო და კოოპერატიულ მონაწილეობის გაძლიერებას საცალო სავაჭრო ბრუნვაში მიმდინარე წელში ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

2. საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფების საკითხები

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

გადავდივარ ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და მომჭირნეობის საკითხებზე. ორივე ეს საკითხი ძლიერ მნიშვნელოვანია და ოპოზიცია ლამობს ამ საკითხებით ფონს გასვლას. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი თბილისის ორგანიზაციამ პრაქტიკულად დასვა დღის წესრიგში მე 7 კონფერენციის წინ და განსაკუთრებით ამ კონფერენციის შემდეგ. ლენინი ამბობდა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჩვენ გვაქვს ორი ელემენტი: „პირველი—მუშები, რომლებიც გატაცებული არიან სოციალიზმისათვის ბრძოლით. ეს ელემენტები საკმაოდ განათლებული ვერ არიან. მეორე—ცოდნა, განათლება, სწავლა, ელემენტები, რაც ჩვენ ძლიერ მცირე მოგვეპოება". გამოვდიოდით რა აქედან, ჩვენ მთავარ,და ძირითად ყურადღებას ვაქცევდით მასიურ ორგანიზაციების გამოცოცხლებას, ამ ორგანიზაციების გადაქცევას კომუნიზმის სკოლებად იმ მიზნით, რომ მათ მიმდინარე მუშაობის პროცესში აემაღლებიათ როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასის კულტუროსნობა, წერა კითხვის ცოდნა და აღეზარდათ საბჭოთა აპარატის მშენებელ მუშების ახალი კადრი.

როგორია ჩვენი მიღწევები?

ავიღოთ თბილისის ალმასკომი. იქ კომუნისტები შეადგენდენ 8.6 პროცენტს, ეხლა კი 10,4 პროც.

შვიდ ცენტრალურ დაწესებულებაში, როგორც მაგალითად, საქართველოს ცაკი, მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატი, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი და სხვ. კომუნისტები შეადგენდენ 12,2 პროც., ახლა კი—18,2 პროც., კომკავშირლები 2,5 პროც., ახლა კი—4,8 პროც. როგორც ხედავთ, აპარატში კომუნისტების რიცხვმა მნიშვნელოვნად იმატა.

ამას გარდა მეოთხე რაიონულმა კომიტეტმა დაამუშავა საბჭოთა დაწესებულებების მთელი ჯგუფი, რიცხვით 81,4.640 მოსამსახურით. აქ კომუნისტების რიცხვის ზრდა გამოიხატა 4,5 პროცენტით, კომკავშირელების—1,4 პროცენტით.

საანგარიშო წელში ჩვენ მივაღწიეთ გადამწყვეტ გარდატეხას მუშათა დაწინაურების საკითხში. თუ გახსოვთ, თბილისის მე-7 კონფერენციაზე დასახელებული იყო მუშათა დაწინაურების სრულიად უმნიშვნელო ციფრები, მიმდინარე წელში კი დაწინაურებულია 230 მუშა. ეს არის გარკვეული გარდატეხის მაჩვენებელი. თუ ჩვენ ავიღებთ იმ შვიდ ცენტრალურ დაწესებულებას, რომლებიც მე დავასახელე, აღმოჩნდება, რომ დაწინაურებული მუშები წარსულ წელში შეადგენდენ 0,5 პროცენტს, 1926—27 წელში კი—2,2 პროც. საერთოდ კი მუშათა ჯგუფი წინად შეადგენდა 6.3 პროცენტს, ახლა კი—7,7 პროც.

მე-4 რაიონულ კომიტეტის მიერ დამუშავებულ დაწესებულებათა ჯგუფშიაც ადგილი აქვს მუშათა ჯგუფის რამოდენიმედ ზრდას.

ამრიგად მუშათა დაწინაურების და ჩვენს აპარატში მუშების რაოდენობის ზრდის მხრივ ჩვენ გვაქვს გარკვეული წინსვლა.

სამწუხაროდ კომუნისტები ყოველთვის ვერ ებრძვიან სათანადოდ ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ჩვენი ხაზი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ვცდილობდით ახალი აქტივის შექმნას და მის დაწინაურებას საბჭოთა აპარატში. რა თქმა უნდა, ამ ხაზით ჩვენ გვაქვს წინსვლა, მაგრამ ჩვენი მიღწევები არც თუ იმდენად დიდია, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში მეტის მოთხოვნა არც შეიძლება.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლას ნაკლებ არ შეუწყო ხელი საბჭოთა უჯრედების მუშაობის გაძლიერებამ, დაწესებულების მუშაობის ხელმძღვანელობისა და კოლექტიურ პასუხისმგებლობის გაძლიერებამ. უწინ პარტორგანიზაციები სათანადოდ ვერ აფასებდენ საბჭოთა უჯრედების მუშაობას, ახლა ამას ადგილი არა აქვს. ჩვენი პარტიული უჯრედები ჩაებენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და რამოდენიმე მიღწევებიც აქვთ. მე-7 პარტკონფერენციის წინ და მას შემდეგ ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა ზოგიერთ მსხვილ საბჭოთა უჯრედებთან, რომლებიც აცხადებდენ, რომ მათთან ბიუროკრატიზმს ადგილი არა აქვს. ამ საკითხში ახლა თითქოს მიღწეულია გარდატეხა. ჩვენ აგრეთვე ვაწარმოებდით მუშაობას ეკონომთათბირების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, და რამოდენიმედ გასაუმჯობესებლად. მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს უეჭველად უფრო მცირე მიღწევები.

მომჭირნეობისათვის

ახლა შევეხოთ მომჭირნეობის რეჟიმს. ამ საკითხსაც ჩვენ მივაქციეთ გაძლიერებული ყურადღება. თუმცა ეს საკითხი არ არის ახალი, ის არაერთხელ დასმულა უწინაც, მას აყენებდა ლენინიც, როდესაც ის იძლეოდა წინადადებას, რომ „უდიდესი ეკონომიის საშუალებით უნდა განიდევნოს საზოგადოებრივ ურთიერთობიდან უყაირათობის ყოველივე კვალი" და „ჩვენი სახელმწიფო აპარატი უნდა დაყვანილ იქნას მაქსიმალურ მომჭირნეობამდე". თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ეს ამოცანა ჩვენ მთელი მისი სიგრძე-სიგანით წამოვაყენეთ როგორც ჩვენს წინაშე ,ისე პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე და თბილისის მე-7 პარტკონფერენციის შემდეგ კიდეც გვაქვს რამოდენიმე მიღწევა. საანგარიშო წლის მეორე ნახევარში ჩვენ შევუდექით თბილისის ალმასკომის სამმართველო-სამეურნეო ხარჯების შემცირებას და შევამცირეთ ეს ხარჯები 112.000 მანეთით, ე. ი. დაახლოებით 15 პროცენტით, მაგრამ ამ თანხის ნახევარს შეადგენს პირველ ნახევრის ნაშთები, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ შემცირებად.

მიმდინარე წელში თბილისის ალმასკომში ჩვენ გავატარეთ სამმართველო-სამეურნეოხარჯების 20 პროცენტიანი შემცირება, რითაც დაზოგილ იქნა 815.000 მანეთი (20,6 პროც.).

მიღწევებია სხვა ორგანიზაციებშიაც. აქ მე არ დავასახელებ ციფრებს. ვიტყვი მხოლოდ, რომ 9 გაუერთიანებელ რესპუბლიკანურ დაწესებულებაში 20 პროცენტიანმა შემცირებამ მოგვცა 270.000 მანეთის დაზოგვა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ყველაფერი გვქონდეს გაკეთებული. ეს მუშაობა ძლიერ რთულია. ის მომავალშიაც მოითხოვს ჩვენგან დიდ დროს, მაგრამ ზოგიერთი მიღწევები ჩვენ დღესაც გვაქვს. თუმცა ამ მუშაობაში ნაკლიც არის. იმ 31 დაწესებულებაში, რომელიც ჩვენ აღრიცხვაზე ავიყვანეთ, აღმოჩნდა, რომ მათი შტატი შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 3,4 პროცენტით. როგორც სჩანს, ჩვენმა უჯრედებმა სწორედ ამ დაწესებულებებში ვერ ადევნეს სათანადო თვალყური მუშაობას. ეს ნაკლია,, რომელიც გვეუბნება, რომ ჩვენმა პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო სიფხიზლე და ყურადღება და რომ პარტიის მიერ საბჭოთა დაწესებულებებისათვის მიცემული დირექტივები დამახინჯებულია. რასაკვირველია არის სხვა ნაკლიც, რომელიც დანაშაულს უდრის, რაც გვავალებს გავაძლიეროთ ბრძოლა ამ ნაკლულევანებებთან. თუ დასკვნებს გაუკეთებთ ბიუროკრატიზმთან და მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შედეგებს უნდა ვსთქვათ, რომ ოპოზიცია ვერ ამჩნევს მთელ ამ მუშაობას. აი, როგორ აყენებს ის საკითხს და როგორ სწყვეტს მას. „რა მხრივ ვითარდება უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, მარტივდება იგი, იაფდება? მუშებით ივსება? უახლოვდება ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასებს? მოკლდება თუ არა მანძილი აპარატსა და გამგებლობას ქვეშ მყოფ მასებს შორის? . ცხადია, რომ არც ერთ ამ კითხვაზე არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა".

ოპოზიციის აზრით, ჩვენი აპარატი სულ უფრო და უფრო შორდება ამ აპარატის გამგებლობის ქვეშ მყოფთ, ე. ი. მშრომელთა მასებს და უპირველესად ყოვლისა მუშათა კლასს. ოპოზიცია უეჭველად ამახინჯებს საქმის ნამდვილ ვითარებას, პირიქით ჩვენ გვაქვს გარკვეული მიღწევები. ჩვენ ჩავებით ბრძოლაში და მოვიპოვეთ მთელი რიგი მიღწევები, თუმცა რასაკვირველია მიღწევებთან ერთად ნაკლიც ბევრია, რომლებსაც მე ნაწილობრივად შევეხე კიდეც. იმისათვის, რომ უფრო მეტ შედეგებს მივაღწიოთ ამ დარგში, საჭიროა ეს ამოცანა დავაყენოთ პირველ ადგილზე, საჭიროა ყოველივე კომუნისტს ჩაუნერგოთ გულში სიძულვილი ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებისადმი. ასეთივე სიძულვილი უნდა ჩაუნერგოთ არა მარტო კომუნისტში, არამედ ყოველივე პატიოსან უპარტიო მშრომელში, განსაკუთრებით მუშებში და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ მნიშვნელოვან შედეგებს სახელმწიფო, საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციის, გაუმჯობესების და გაიაფების საქმეში.

3. მუშათა დემოკრატიის საკითხები

პროფკავშირების მასიური მუშაობის შესახებ

პროფკავშირების მუშაობის ხელმძღვანელობისა და გამოცოცხლების საკითხებს ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა. ჩვენ ამ დარგში ყურადღებას ვაქცევდით სამ მთავარ მომენტს: პირველი—შინა საკავშირო დემოკრატიის განვითარებასა და მასიური მუშაობის მეთოდებისა და ფორმების გაუმჯობესებას, მეორე—მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმას (საწარმოო თათბირები, მუშების დაწინაურება და სხ.); მესამე—პროფკავშირების მასების ყოველდღიური ინტერესების დაცვას (ახალი კოლხელშეკრულებების დადება). მასიური მუშაობის მდგომარეობას ყველაზე უკეთ ახასიათებს საანგარიშო კამპანია და ფაბქარხადგილკომების გადარჩევა. გაიზარდა მასების ფაბქარკომების გადარჩევაში მონაწილეთა პროცენტი: 51 პროც. ნაცვლად შარშან,—წელს გვაქვს 61 პროც. პირველად გადარჩევების პროცესში გამოყენებულ იქნა მუშათა მასების ჩაბმის მთელი რიგი ახალი ფორმები, როგორც მაგალითად, კრების ორჯერ მოწვევა, სპეციალური საარჩევნო კომისიის გამოყოფა; დამახასიათებელია, რომ წარსული წლის ზაფხულზე, საანგარიშო კამპანიის დროს ფაბქარკომების მუშაობა 9 ადგილას პირველად იქნა ცნობილი არა დამაკმაყოფილებლად და დაინიშნა ახალი არჩევნები. ეს მოწმობს მასების აქტივობას.ფაბქარხადგილკომებში ჩვენ მოვახდინეთ მნიშვნელოვანი გადახალისება და მათში გავადიდეთ მუშათა პროცენტი. პროფაქტივი საანგარიშო პერიოდში 7.650 კაციდან გაიზარდა 9.130 კაცამდე, რაც იძლევა 19 პროც. ზრდას და შეადგენს პროფკავშირების წევრების 12 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფკავშირების მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობაში ჩაბმულია არა ნაკლებ 12 პროცენტი.

საჭიროა აღინიშნოს პროფკავშირების მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა საწარმოო და ეკონომთათბირების გაცხოველების დარგში, ჩვენი ამხანაგები ხშირად არ იცნობენ იმ წვრილმან და რთულ მუშაობას, რომელიც ტარდება ამ ორგანიზაციებში, მაგრამ თუ ამ მუშაობას დაუკვირდებით და ფაქტებს უფრო ახლო გაეცნობით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ადგილი აქვს მუშაობის ერთგვარ წარმატებას, რასაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ხელმძღვანელობის გაძლიერებამ, როგორც პროფკავშირების, ისე, უწინარეს ყოვლისა, თბილისის კომიტეტის მხრით, რომელმაც ამ საკითხის შესახებ მოიწვია სპეციალური კონფერენცია სამეურნეო მუშაკების თანდასწრებით, ხოლო შემდეგ კი ტრესტებში ჩატარებულ იქნა თათბირების კონფერენციები.

პროფკავშირებმა გამოაშკარავეს საკუთარი ხაზი, რომელიც განსხვავდება სამეურნეო ორგანოების ხაზისაგან. ამან, რა თქმა უნდა, რამდენათმე ხელი შეუწყო თვით პროფკავშირების ავტორიტეტის ზრდას. პარტიის ხაზი სამუშაო ხელფასის საკითხში გაატარა პროფკავშირებმა ახალი კოლხელშეკრულებების დასადებად წარმოებულ კამპანიაში მასების ერთდროული ჩაბმით. მე მინდა შევჩერდე ორ გადამახინჯებაზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა წარსულში და რომლებიც უნდა აღმოიფხვრას მომავალში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დირექტივისა კოლხელშეკრულებების დადების დაჩქარების შესახებ, ეს მუშაობა მაინც რამდენიმე თვე გაგრძელდა, რაც უსათუოდ აღელვებდა მუშათა მასებს და უარყოფით გავლენას ახდენდა თვით წარმოებაზე. ამიტომ ახალი კოლხელშეკრულებების დადების მიმდინარე პერიოდში უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში დაიდოს ხელშეკრულებები, ამას მოითხოვს სამეურნეო მუშაკების, პროფკავშირებისა და თვით წარმოების ინტერესები.

მეორე ნაკლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახალი კოლხელშეკრულებების დადების დროს, მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად სამეურნეო მუშაკები, იმის გამო, რომ ან არ სურდათ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, ან და პროფკავშირები გადაჭარბებულ მოთხოვნილებებს აყენებდენ, არ ეთანხმებოდენ პროფკავშირებს და მეტწილად საკითხები სწყდებოდა არა მომრიგებელ კამერებში, არამედ უშუალოდ შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ სამედიატორო სასამართლოებში. ამრიგად გამოდიოდა, რომ სახელმწიფო აწესრიგებდა შრომისა და მეურნეობის ურთიერთ დამოკიდებულებას, რასაც უსათუოდ არ მოითხოვს ჩვენი ინტერესები. საქმის ამ მხარეს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და მომავალში სამედიატორო სასამართლოებში უნდ წავიდეთ არა ყოველგვარი მიზეზის გამო, არამედ ისეთ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს სერიოზულ უთანხმოებას. ამიტომ ახალი ხელშეკრულებების დადების დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ სამეურნეო მუშაკები შეუთანხმდენ პროფკავშირებს და მთავარი საკითხები გადასწყდეს მომრიგებელ კამერებში და არა შრომის სახალხო კომისარიატში.

ჩვენი მასიური მუშაობის მეორე დარგს წარმოადგენს საბჭოების გადარჩევა და თბილისის საბჭოს მუშაობის გამოცოცხლება. მე უნდა განვაცხადო, რომ მასიური მუშაობის დარგში ჩვენ ყველაზე მეტი მიღწევები სწორედ ამ ხაზით გვაქვს. უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა თბილისის მშრომელებისა და პირველ რიგში მუშათა მასის აქტიური მონაწილეობით; ამომრჩეველთა რიცხვი 108 ათასიდან გაიზარდა 140 ათასამდე. ეს ზრდა აიხსნება იმით, რომ დაურაზმავ ფენებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში და აგრეთვე იმით, რომ უკეთ იყო დაყენებული ამ მასის აღრიცხვის საქმე. უკანასკნელ არჩევნებში უშუალო მონაწილეობა მიიღო 86,000-მდე ამომრჩეველმა, რაც თბილისის 140 ათას ამომრჩევლის 62,2 პროც. შეადგენს.

თუ ავიღებთ ჩვენს დიდ წარმოებებს, აქ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ყველა მუშებმა თითქმის სრული ასი პროცენტით, რომ არ ჩავთვალოთ ავადმყოფი და შვებულებაში მყოფი მუშები. თუ ავიღებთ მუშათა საერთო რაოდენობას და განვსაზღვრავთ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს, აღმოჩნდება, რომ ყველა ფენებზე წინ სდგანან მუშები, რომელნიც არჩევნებში მონაწილეთა საერთო რიცხვის 71 პროც. შეადგენენ. რაც შეეხება მოსახლეობის დანარჩენ ფენებს, მათი მონაწილეობა არჩევნებში ნაკლებია. მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახის წევრებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს 45,5 პროც რაოდენობით. ეს დიდი მიღწევაა ქალთა საარჩევნო კამპანიაში ჩაბმის თვალსაზრისით.

რაც შეეხება შინა-მრეწველებსა და ხელოსნებს, მათი მონაწილეობა არჩევნებში უდრის 57 პროცენტს. როგორც ხედავთ, აქტიურობა და სიცხოველე ჩატარებულ არჩევნებში გამოიჩინეს უმთავრესად მუშათა მასებმა. ეს რასაკვირველია, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, მუშათა კლასის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მომენტია.

ამხანაგებო, აქ მე მოკლედ შევეხები ახლად არჩეული საბჭოს შემადგენლობას. და შემდეგ, ჩვენი საბჭოს შემადგენლობას შევადარებ მენშევიკების მიერ დამფუძნებელი კრებისათვის წარმოებულ არჩევნების შედეგებს. საბჭო 970 წევრისაგან შესდგება. აქედან მუშა—60,1 პროც. წარსულ საბჭოს შემადგენლობაში კი მუშებს ეჭირათ 59,5 პროც.

ეხლა შევადაროთ, თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგები დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგებს. მენშევიკები მუდამ ჟამს ყვირიან ტერორზე და იმაზე, თითქო ბოლშევიკები ახშობენ მასების თვითმოქმედებას. შევამართოთ ფაქტებს და გავსინჯოთ, ვის წინააღმდეგ ლაპარაკობენ ეს ფაქტები. როგორ ტარდებოდა არჩევნები საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის. ავიღოთ გაზეთი „ბორბა" 1917 წლის 20 თებერვლის თარიღით. აქ ნათქვამია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 37.176 კაცს, რაც ამრჩეველთა საერთო რაოდენობის 23 პროცენტს შეადგენს. 1917 წელს ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს ამრჩეველთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 156.000 კაცით. (იხ. „ბორბა" 1917 წლის 2 აგვისტოს თარიღით)—23 პროც.—ეს არის მენშევიკური დემოკრატიზმი. აბსოლიუტიურ ციფრებში მათ ჰყავდა 37,000 მონაწილე, ჩვენ კი 86.000 და ეს პროლეტარულ დიქტატურის დროს, რომელიც ზღუდავს ექსპლოატატორთა უფლებებს. მენშევიკების დროს კი ექსპლოატატორები მონაწილეობას ღებულობდენ არჩევნებში.

იმავე დღეს, როდესაც ჯამი გაუკეთდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, მენშევიკური პარტიის ბელადმა ნ. ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების გახსნის მოლოდინში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პარლამენტში:

„დღეს ორი წლის შემდეგ ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ მიაღწია იმ ნაპირებს, სადაც იწყება ხალხის ნორმალური განვითარება... ამჟამად ჩვენთან იქმნება ჭეშმარიტი დემოკრატია, ე. ი. ხდება ბატონ-პატრონი საკუთარ ცხოვრებისა, რომელიც იქმნება ახალ რევოლიუციის მიერ ბოძებულ ნიადაგზე და ეს ნიადაგი ჩვენთან ურყევია, არავითარ შინაურ ძალებს არ შეუძლია მისი შერყევა" („ბორბა", 20 თებერვალი, 1919 წ.)

აი, რა სიტყვას ამბობდა ნ. ჟორდანია, ვინაიდან მას სურდა მოსახლეობის მოტყუება დამფუძნებელ კრების არჩევნებში თავისი და მარცხების დაფარვა.

მას მიაჩნდა, რომ მათთან მყარდებოდა ჭეშმარიტი დემოკრატიზმი, მაგრამ ეს ხომ უკუდო, ფორმალური დემოკრატიზმი იყო. ისიც ამრჩეველთა 23 პროცენტის დროს. და აი, „არა ჭეშმარიტი" დემოკრატიზმი ბოლშევიკურ პროლეტარულ დიქტატურის დროს—ამრჩეველთა 63 პროცენტი—87.000 კაცი, რომლებმაც უშუალოდ მისცეს ხმა საბჭოებს და კომპარტიას. ამასთანავე 87.000-დან მენშევიკებმა მიიღეს სულ რაღაც 27.000 ხმა, ე. ი. ამრჩეველთა საერთო რიცხვის 17 პროც. და ეს მიუხედავად იმ ტერორისა, რომელიც ბატონობდა მაშინ, და მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები ჩარეკილი იყვნენ ჭერქვეშ.

მე ვფიქრობ, რომ თბილისის საბჭოს არჩევნები წარმოადგენს თბილისის მშრომელთა საუკეთესო დემონსტრაციას ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოდ და მენშევიკური დემოკრატიის წინააღმდეგ.

ახლა, როგორ მუშაობს თბილისის საბჭოს ახალი შემადგენლობა? შეიძლება ხელახალი არჩევნები კარგად ჩატარდა, მაგრამ საბჭო კი ცუდად მუშაობდა. ეს არ არის ასე. 6 თვეში საბჭოს ჰქონდა 10 სხდომა, წარსულ წელში კი 9 სხდომა. წევრების მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში გამოიხატება დაახლოებით 56 პროც., წარსულ შემადგენლობაში კი—30 პროც. სექციებს 6 თვეში ჰქონდა 38 სხდომა, მთელ წინა წელში კი მხოლოდ 42 სხდომა. სექციებში ჩაბმულია საბჭოს წევრების თითქმის 80 პროცენტი. დასწრება უდრის 60 პროცენტს.

ამრიგად, ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი გამოცოცხლება. ამას წინად ჩვენ გავარჩიეთ საკითხი მასიურ მუშაობის მდგომარეობის შესახებ და ვთქვით: „დიაღ, მუშაობამ წაიწია წინ თვით საბჭოს და მისი სექციების მუშაობის გამოცოცხლების მხრივ. მაგრამ ეს გამოცოცხლება უნდა გადავიტანოთ წარმოებებშიაც, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის სათანადო კავშირი საბჭოს წევრებსა და ამომრჩევლებს შორის". ამჟამად ჩვენ ვიწყებთ ამ მუშაობის გადატანას წარმოებებში. უკვე მოწყობილია რამდენიმე სადეპუტატო მაგიდა, რომლებსაც მუშები მიმართავენ სათანადო ცნობებისათვის თბილისის საბჭოს შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს ფაქტები ამტკიცებენ მშრომელ მასებისა და, უწინარეს ყოვლისა, მუშების აქტივობის ზრდას. ყველა ეს ფაქტები უარყოფენ იმ ჭორებს, რომლებსაც ავრცელებს ჩვენი ოპოზიცია; მისი წარმომადგენლები იმყოფებიან აქ. დეე გამოვიდენ ისინი და ამ ტრიბუნიდან სინჯონ იმ ცნობების გაბათილება, რომლებიც ჩვენ მოგვყავს.

მუშა-ქალების სადელეგატო კრებები

შემდეგ მე მინდა რამოდენიმე სიტყვით შევეხო მუშა-ქალების სადელეგატო კრებების მუშაობას. უნდა ითქვას, რომ, თუ მასიური მუშაობის გაცხოველებამ წინ წაიწია, თუ ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს საბჭოების, პროფკავშირების და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლების მხრივ, სამწუხაროდ ამის თქმა, ამდენადვე არ შეგვიძლია სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ, ვინაიდან სადელეგატო კრებებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გაცხრილვას. ეს აიხსნება მით, რომ წარსულ წელს რამოდენიმედ მათ მიიღეს პოლიტსკოლების ხასიათი. ეს აგრეთვე აიხსნება მათ ხელმძღვანელთა შემადგენლობის სისუსტით. ამან გამოიწვია მნიშვნელოვანი გაცხრილვა—41 პროცენტი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მუშაობის ნაკლია. მიუხედავად ამისა, გამოშვებულ იქნა 530 დელეგატი. ამასთანავე ჩვენ ჩავატარეთ დელეგატ-ქალების ხელახალი არჩევნები და უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კამპანია ჩავატარეთ როგორც პოლიტიკური კამპანია, რომელშიაც ჩავაბით მუშათა მასების მნიშვნელოვანი რაოდენობა. კამპანიაში მონაწილეობა მიიღო 11.000-ზე მეტმა კაცმა, აქედან 6.700 ქალმა და 4.800 მამაკაცმა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიღწევას. უნდა შევსძლოთ, რომ სადელეგატო კრებების ახალმა შემადგენლობამ მნიშვნელოვნად ასწიოს თავისი მუშაობა. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიული კომიტეტები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ მუშაობის ამ დარგს. უნდა ითქვას, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში პარტიული კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ ამ მუშაობას.საერთოდ ჩვენი მუშაობის იმ დარგებში, რომლებშიაც პარტიული ორგანიზაციები და პირველ ყოვლისა, რაიკომები არ იღებდენ საკმაო მონაწილეობას, ჩვენ გვაქვს დიდი დეფექტები.

ნებაყოფლობითი საზოგადოებები

მუშაობის ასეთ დარგებს უნდა მიეკუთვნოს ნებაყოფლობით საზოგადოებათა მუშაობაც. ამ ორგანიზაციებში ითვლება 80.000 წევრი. უნდა აღინიშნოს მასიურ მუშაობის სისუსტე უჯრედების შიგნით. წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი საარჩევნო კრებებსაც კი არ ესწრება და სჯერდება მხოლოდ იმას, რომ იხდის საწევრო გადასახადს.

ამავე დროს კი ნებაყოფლობით საზოგადოებებს, თუ სათანადოდ იქნა დაყენებული მათი მუშაობა, შეუძლიათ ითამაშონ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ახალ აქტივის აღსაზრდელად და მუშა-მოსამსახურეთა მასების ჩასაბმელად საზოგადოებრივ მასიურ მუშაობაში. რით აიხსნება ნებაყოფლობით საზოგადოებათა ასეთი მდგომარეობა? ეს აიხსნება ისევ მით, რომ ჩვენმა პარტიულმა კომიტეტებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ეს აიხსნება მით, რომ ნებაყოფლობითი ორგანიზაციები თითქოს უკანა რიგზე გვყავს დაყენებული. თუ ასეთი მდგომარეობა გვექნა შემდეგშიაც, ჩვენ ვერ მივაღწევთ საჭირო შედეგებს.

უჯრედების ხელმძღვანელი აქტივი ძლიერ სუსტია. ხშირად თავმჯდომარეს ირჩევენ არა ხელმძღვანელობისათვის, არამედ დასაწინაურებლად. ნებაყოფლობით საზოგადოებებში ძლიერ ხშირად ვხედავთ ისეთ ამხანაგებს, რომლებსაც არა აქვთ ხელმძღვანელობის უნარი. ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს საჰაერო საზოგადოება. ერთგვარი გამოცოცხლება ეტყობა უკანასკნელ ხანებში აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას. მაგრამ ეს არ წარმოადგენს ყველა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საერთო სურათს.

რამოდენიმე სიტყვა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების შესახებ. გამოცოცხლება, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ ხანებში, განმტკიცებული არ არის ორგანიზაციულად და ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს, ხშირად მიმდინარეობს ან ნებაყოფლობითი ორგანიზაციების გარეშე. სხვა ორგანიზაციები, მაგალითად პარტიული, სამხედრო და სხვა, აწარმოებენ ამ მუშაობას. უნდა შევსძლოთ, რომ ამ მიღწევებმა მოიპოვონ ორგანიზაციული ფაქტიური განმტკიცება. მე მაინც უნდა აღვნიშნო, რომ მცირეოდენი რამე ამ მხრივ კეთდება. მე დავასახელებ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ინსტრუქტორთა კურსებს; ამ კურსებმა უნდა მოგვცეს ინსტრუქტორები იმ შემთხვევისათვის, თუ თბილისზე მოხდა საჰაერო თავდასხმა. დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო ერთი მსროლელი პოლკის მოწყობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. აღნიაშვილი. დასაწყისისათვის საქმე თითქოს გვარიანად მიდის.

როგორია დასკვნები? პირველი—საჭიროა მეტი ყურადღება პარტორგანოების მხრივ; მეორე—საჭიროა გადაისინჯოს ხელმძღვანელთა შემადგენლობა როგორც უჯრედებში, ისე ადგილ-ადგილ რაიონებშიაც, უჯრედებში უნდა ჩავატაროთ ხელახალი არჩევნები და არჩევნების პროცესში დავაწინაუროთ უფრო აქტიური ამხანაგები. რა თქმა უნდა, უნდა დავაწინაუროთ როგორც პარტიულები, ისე უპარტიოები, მაგრამ ისეთები, რომლებიც სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით და აქვთ ხელმძღვანელობის უნარი. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის გასამხედროების საკითხებს.

ამრიგად საზოგადოებრივ ორგანიზაციების დარგში ჩვენ გვაქვს გარკვეული პლიუსები. გვაქვს მინუსებიც. მაგრამ პირველი ბევრად სჭარბობს უკანასკნელს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, სამუშაო ხელფასის ზრდა და საცალო ფასების რამოდენიმედ დაკლებასთან ერთად გავლენას ახდენს ჩვენი პოზიციების განმტკიცებაზე უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასში და საერთოდ მშრომელთა შორის.

მუშათა კლასის პოლიტიკური განწყობილების შესახებ

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ რამოდენიმე სიტყვებით შევეხო მენშევიკების დანაშაულებრივ მუშაობას. უკანასკნელ დროს, მათ თითქმის თავი რამოდენიმედ მომაგრებულად იგრძნეს 1924 წლის დამარცხების შემდეგ და აიღეს შეიარაღებულ აჯანყების მომზადების კურსი.

ეს ნათლად სჩანს ნოე ჟორდანიას და რამიშვილის წერილებიდან, რომლებიც თავის დროზე ამხ. კახიანმა დაწვრილებით გაარჩია. ეს წერილები პრესაშია გამოქვეყნებული. ცხადია, რომ მენშევიკებს სურთ სპეკულიაცია გასწიონ საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებით და, ნაწილობრივ, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებით.

თუ მე ვეხები მენშევიკური მუშაობის საკითხს, ეს, უმთავრესად, იმიტომ, რომ აუცილებელია მენშევიკურ განწყობილებათა ერთგვარი აღორძინება მენშევიკური ილიუზიების ერთგვარი შეჭრა და მენშევიკური მუშაობის გამოცოცხლება მუშების ცალკე, თუმცა უმნიშვნელო ჯგუფებში, აუცილებელია იმ პოლიტიკურ საერთაშორისო და საშინაო პირობების გამო, როგორიც დღეს არის. რამდენადაც მუშათა კლასი გარემოცულია წვრილი ბურჟუაზიათა და გლეხობით, რომლებიც ასე თუ ისე იჭრებიან მასში, რამდენადაც ეს ელემენტები ახლო ურთიერთობაში არიან მუშებთან, იმდენად აუცილებელია ზოგ მენშევიკურ განწყობილებათა რეციდივი მუშათა მასების ჩამორჩენილ ნაწილში. როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთ განწყობილებას ადგილი აქვს მუშების უმნიშვნელო ჯგუფში, მაგრამ რამდენადაც ამას ადგილი აქვს, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეს გარემოება, იმიტომ, რომ მხოლოდ სწორი გათვალისწინებით ყოველივე იმის რაც ჩვენში ხდება, მხოლოდ იმ პროცესების სწორი აღრიცხვით, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს შიგნით და ჩვენს გარეთ, მივაღწევთ უფრო დადებით შედეგებს. მენშევიკური მუშაობის გამოცოცხლებასთან ერთად, ჩვენ ვამჩნევთ საწინააღმდეგო პროცესს, ე. ი. ყოფილ მენშევიკების, მენშევიკური პარტიის საუკეთესო წევრების საკუთარ პარტიისაგან ჩამოშორებას და გადასვლას ჩვენს მხარეზე. ასე, მაგალითად 30-დე მუშა - მენშევიკმა, რომლებიც მუშაობენ მთავარ სახელოსნოებში, სულ უკანასკნელ დროს განაცხადეს, რომ ისინი გადიან მენშევიკურ პარტიიდან. ამნაირად, ხდება აშკარა ორმხრივი პროცესი, რომელშიც სჭარბობენ ჩვენი სასარგებლო მომენტები. მაგრამ თუ ავიღებთ მუშათა მასის უმეტეს ნაწილს, დავინახავთ, რომ ის მთლიანად დგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე და მხარს უჭერს პროლეტარული დიქტატურის პოლიტიკას. ჩვენთვის უდავო უნდა იყოს, რომ უკანასკნელ წლებში მუშების ახალი ფენები იზრდებიან, თანდათან უფრო აქტიური ხდებიან და ყავარჯნად უდგებიან საბჭოთა ხელისუფლებას.

გვაქვს თუ არა ამის დამამტკიცებელი საბუთები? საბუთები უამრავია: დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ის ფაქტები და მომენტები, რომლებიც მე მოვიყვანე საბჭოების მუშაობის შესახებ, ის ბრძოლის განწყობილება, რომელიც ჰქონდა მუშათა კლასს ინგლისთან ჩვენი დამოკიდებულების უაღრესად გამწვავების დღეებში, დამამტკიცებელ საბუთად შეგვიძლია მოვიყვანოთ თუნდაც ის, რომ მუშებმა შეითვისეს ჩვენი პარტიის პოლიტიკა სამუშაო ხელფასის დარგში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს პარტიაში მრავლად იყო ხალხი, რომლებიც მუშათა კლასს აქეზებდენ მაქსიმალურ მოთხოვნილებების წამოყენებაზე და სხ. დაბოლოს დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე ის, რომ უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები 90 პროცენტით უნდებოდენ შინაპარტიული მდგომარეობის საკითხებს. თქვენ იცით, რომ პირველმა რაიონმა უკვე შეიძინა 220.000 მან. ობლიგაცია და ფიქრობს ეს რიცხვი აიყვანოს 300,000 მანეთამდე. საერთოდ თბილისში პროფკავშირის წევრთა ხელის მოწერამ ინდუსტრიალიზაციის სესხზე უკვე მოგვცა 600.000 მანეთი. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხელის მოწერა უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს მუშებში, ხოლო შედარებით სუსტად—მოსამსახურეებში, ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ყველა ეს მომენტები და გარემოებები მოწმობენ, რომ მუშათა კლასი, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო საკითხებში, რომლებიც შეეხებიან მის ყოფა-ცხოვრებითი მხარეებს და საარსებო ინტერესებს,—თითქმის მთლიანად, უმნიშვნელო ჯგუფის გამოკლებით, მხარს უჭერს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას. ხელის მოწერამ ინდუსტრიალიზაციის სესხზე ნათლად დაგვანახვა, რომ მუშათა კლასი ყოველი მანეთის გაღებით ხმას აძლევს საბჭოთა ხელისუფლებას და ჩვენს პარტიას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დროს მუშათა კლასი უფრო ფხიზლად ეკიდება ჩვენი აპარატის ნაკლულევანებებს, ჩვენი საბჭოთა აპარატის დეფექტებს, რაც სავსებით გასაგებია, რადგან ის თანდათან უფრო აქტიური ხდება. ის აკრიტიკებს თავის სახელმწიფოს—პროლეტარულ სახელმწიფოს. მუშების ასეთი განწყობილების დროს, მათი მხრივ ასეთი კრიტიკის პირობებში ჩვენ გულისყურით, დაკვირვებით უნდა მოვეკიდოთ მათ და გავითვალისწინოთ ყველაფერი იმ მიზნით, რომ დროზე გამოვასწოროთ მათ მიერ საბჭოთა მშენებლობაში შემჩნეული ნაკლულევანებები.

4. კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხები

სასკოლო მშენებლობა

ამ პერიოდის განმავლობაში შვიდწლედი და ცხრაწლედი სკოლების მიმართ აღებულ იქნა მტკიცე კურსი მათ გაპროფესიონალიზაციოდ, მათ დასაკავშირებლად სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებებთან. ამასთან ერთად, რამდენადაც სკოლები ნაწილობრივ იყვნენ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამავრცელებელი, ჩვენ საანგარიშო წელში, ისე, როგორც წინედ, მოგვიხდა მისი პედაგოგიური შემადგენლობის განახლება და გაუმჯობესება. ეს განახლება და გაუმჯობესება სწარმოებდა იმ ხაზით, რომ სკოლები თავისუფლდებოდა გაუსწორებელი ნაციონალისტებისა და შოვინისტებისაგან იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არსებობდა მათი გარდაქმნის იმედი. მეორე მხრივ, ეს მუშაობა სწარმოებდა იმ ხაზით, რომ კომუნისტები და კომკავშირლები იგზავნებოდენ სკოლის გამგის, გამგის მოადგილის და საზოგადოებათ-მეცნიერების მასწავლებლის თანამდებობაზე. 1926 წელში სკოლებში ადმინისტრატიულ და პედაგოგიურ სამუშაოზე გაიგზავნა 96 კომუნისტი და კომკავშირელი, ხოლო საანგარიშო პერიოდში გაიგზავნა 193 კაცი.

რაც შეეხება დაბალი სკოლების მუშაობას სასკოლო ჰასაკის ბავშთა სკოლებში მიღების დარგში, ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია. თბილისის ალმასკომის ხარჯი კულტურული მიზნებისათვის მიმდინარე წელში გაიზარდა 16 პროცენტით. მოსახლეობის ყოველ სულზე 1925-26 წელში მოდიოდა 6 მან. 52 კაპ., 1926-27 წელში—7 მან. 75 კაპ. და მიმდინარე წელში დაიხარჯება 8 მან. 38 კაპ.. სხვათა შორის, ჩვენ ამ მხრივ ცოტა ჩამორჩენილი ვართ მოსკოვთან შედარებით, მაგრამ საერთოდ გაცილებით წინ ვართ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან და საერთოდ საქართველოსთან შედარებით.

მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი ხარჯებისა, რომელსაც ვიღებთ სახალხო განათლების საქმისათვის, მაინც არ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ სასკოლო ჰასაკის ყველა ბავშვები მივიღოთ სკოლებში. ოთხწლედებში სასკოლო ჰასაკის ბავშვები მიღებულია თითქმის 100 პროცენტით. შვიდწლედებში სათანადო ჰასაკის—50 პროც., ხოლო ცხრაწლედებში მხოლოდ—17 პროცენტი. ამგვარად, სასკოლო ჰასაკის ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლის გარეშე რჩება.

მაზრებში ოთხწლედებში მიღებულია სასკოლო ჰასაკის ბავშთა 69,7 პროც.. რიცხვობრივი მხრივ აქ საქმე კარგად არის, მაგრამ მუშაობის ხარისხის მხრივ ჩვენი სკოლები მოიკოჭლებენ.

საბავშო ბაღებში ქალაქში მიღებულია ბავშვების 12,8 პროც.. მიმდინარე წელში საბავშო ბაღებში 1.550 ბავშვიდან მიღებულ იქნა სულ 850 ბავში. საერთოდ 130 სკოლ[illegible] ირიცხება 42.000 მოსწავლე. მე მინდა აღვნიშნო ის ადგილი, რომელიც ამ რიცხვში უჭირავს მუშათა და მოსამსახურეთა ბავშვებს. 42.000 ბავშვიდან მუშათა ბავშვების რიცხვი შეადგენს მხოლოდ 14.000, მოსამსახურეთა—13,000, სულ 27,000, ე. ი. პროფკავშირის წევრთა ბავშვები სულ შეადგენენ მხოლოდ 64 პროცენტს. ეს პროცენტი მცირეა, ვინაიდან მოსკოვში სათანადო წლებში იყო 85 პროც. და მეტიც. ამ გარემოებას ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება. ალბად, მიღების საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. ეს ნათლად მტკიცდება შემდეგი ცნობებით: ვაჭრების შვილები შეადგენენ 2.700, თავისუფალი პროფესიის პირთა შვილები—1.200; დანარჩენები, შინამრეწველთა და გლეხთა გარდა, 4.200, უეჭველია, რომ ამ დანარჩენთა ჯგუფში მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ვაჭრების შვილებზე. თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ ვაჭრებისა და თავისუფალ პროფესიის პირთა შვილები სკოლებში არიან 6-7 ათასამდე. ეს მეტად დიდი რიცხვია და ამას მომავალში ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორია დასკვნები? ჩვენს სკოლებში პროფკავშირების წევრთა შვილების პროცენტი მცირეა და უახლოეს წლებში ეს პროცენტი უნდა გავადიდოთ. სამწუხაროდ, არ გვქონდა საშუალება შედეგები გამოგვერკვია, მაგრამ ცხადია, რომ ამ წელში ადგილი ჰქონდა ნაკლულოვანებებს. მომავალში ეს ნაკლულოვანებანი უნდა აღმოფხვრათ.

უმაღლესი სასწავლებლები და მუშფაკები

უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკებში მოსწავლეთა მიღების საქმე მიმდინარე წელში ცოტა უფრო უკეთესად იყო. თუ ჩვენ ავიღებთ სახელმწიფო უნივერსიტეტს, უნდა ითქვას, რომ წელს მიღების დროს მნიშვნელოვნად არის გადიდებული კომუნისტებისა და კომკავშირელების პროცენტი. რაც შეეხება ქართულ მუშფაკს, თუ იგი დღემდე რამდენადმე იყო გლეხური ფაკულტეტი, სამაგიეროდ წელს მიღების დროს მიექცა ყურადღება იმას, რომ მუშფაკში უმეტესობა მიგვეღო მუშები, რომ იგი მართლად მუშფაკი გამხდარიყო.

ამხ. კახიანმა შარშან თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებულია რეორგანიზაცია და ამის შემდეგ ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი თანდათან ხდება ნამდვილ საბჭოთა დაწესებულებათ, რომელიც ამზადებს სათანადო ახალ თაობას. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა უჯრედების მუშაობამ, განსაკუთრებით სახ. უნივერსიტეტის და ქართული მუშფაკის უჯრედების მუშაობამ. წარსულში ამ უჯრედების მუშაობას ხელმძღვანელობდენ ამხანაგები ნაციონალისტური გადახრით, რომლებიც ბრძოლას აწარმოებდენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან და რომლებსაც რასაკვირველია არ შეეძლო სწორი პოლიტიკური ხაზის გატარება, არ შეეძლო უპარტიო მასების სათანადო აღზრდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ შევქმენით უჯრედებში საიმედო პარტაქტივი, რომელიც მთლიანათ ხელმძღვანელობს ამჟამად უჯრედების მუშაობას და რომლის მუშაობის წყალობით რამოდენიმეთ გაუმჯობესდა კიდეც საქმის მდგომარეობა, როგორც სახ. უნივერსიტეტში, ისე ქართულ მუშფაკშიაც.

ოქტომბრის 10 წლის თავზე ჩვენ განზრახული გვაქვს მუშათა უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც ხელს შეუწყობს მუშა-აქტივისტების შემდგომ მომზადებას და მათ წამოყენებას საზოგადოებრივ ხასიათის სამუშაოებზე. მუშათა უნივერსიტეტში განზრახულია 150 კაცის მიღება.

პრესა და მუშკორები

პრესის, როგორც კოლექტიური ორგანიზატორის, პროპაგანდისტის და აგიტატორის მნიშვნელობა ძლიერ დიდია, ამიტომ პრესას ჩვენი თბილისის ორგანიზაცია თავის მუშაობაში სათანადო ადგილს უთმობს. ამჟამად პრესაში უკეთესად შუქდება საზოგადოებრივი ცხოვრება და განსაკუთრებით მუშათა მასების ცხოვრება. ძირითად კამპანიებს პრესაში მუდამ ეთმობა სათანადო ადგილი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაზეთები ყოველთვის სავსებით არ ააშკარავებენ საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯისცემას და ამ მხრივ ჩვენ საერთო ძალღონით უნდა აღვმოფხვრათ ის ნაკლულოვანებანი, რომელიც დღეს გვაქვს ამ დარგში.

ყოველდღიურად ქალაქში ვრცელდება თბილისის გაზეთების 40.000 ცალი.

იმ გაზეთების და კედლის გაზეთების გარშემო, [illegible] გამოდის თბილისში შეკავშირებულია მუშკორების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაახლოებით 2.500 კაცი. ეს პროლეტარული საზოგადოებრიობის ერთგვარი ლეგიონია, რომელიც თანდათანობით ვითარდება, იზრდება და რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენი ქვეყნის მტკივნეული ადგილების გამოაშკარავებასა და ნაკლულევანებათა აღმოფხვრაში.

მუშკორების აღზრდისა და სწავლების დარგში

მუშაობა ტარდებოდა გაზეთების განყოფილებათა და წრეების საშუალებით, რომლებშიაც გაერთიანებული არიან მუშკორები, ასე, რომ ამ მხრივ ჩვენ საკითხი ცოტათ თუ ბევრად მოგვარებული გვაქვს.

კულტურულ აღმშენებლობის სფეროში მე დავკმაყოფილდები ამ ძირითად საკითხებით, იმიტომ, რომ შემდეგში მე, უმთავრესად, მომიხდება შეჩერება შინაპარტიული მუშაობის და შინაპარტიული მდგომარეობის საკითხებზე.

ინტელიგენციის პოლიტიკურ განწყობილების შესახებ

ინტელიგენცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ჩვენი ქვეყნის კულტურულ აღმშენებლობის საქმეშიც და ამიტომ ჩვენ გვიხდებოდა და მომავალშიაც მოგვიხდება დიდი ყურადღების მიქცევა ინტელიგენციის საკითხისათვის.

როგორია ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკური განწყობილება? უკანასკნელ წლებში საქართველოს ინტელიგენ. დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ თანდათან იცვლება ჩვენ სასარგებლოდ და შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ინტელიგენციის უმრავლესობა საბჭოთა პლატფორმაზე სდგას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინტელიგენციის ეს ნაწილი სავსებით და მთლიანად ღებულობს ჩვენს პროგრამას, ჩვენს პლატფორმას. ინტელიგენციის პოზიცია ნათლად გამოიხატა მის დამოკიდებულებაში ნოე რამიშვილის და ნოე ჟორდანიის წერილებისადმი, რომლებშიაც განვითარებულ იყო საქართველოში შეიარაღებულ აჯანყების მოწყობის გეგმა. ჩვენ დავინახეთ როგორ გამოეხმაურა ინტელიგენცია ამ წერილებს. ჩვენი ინტელიგენციის დიდმა უმრავლესობამ სათანადო დეკლარაციებში დაჰგმო ეს წერილები. ჩვენმა ექიმებმა, მწერლებმა და სხვ. საქვეყნოდ დაჰგმეს ეს წერილები. ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ ინტელიგენცია დიდი ხანია გადავიდა საბჭოთა პლატფორმაზე და მისი უმრავლესობა თანდათან ებმება იმ დიად შემოქმედ—კულტურულ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში.

რაც შეეხება ანტისაბჭოთა გავლენას ინტელიგენციაზე, აშკარაა, რომ არსებულ საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაში ინტელიგენციას შორის ადგილი აქვს მენშევიკურ, ნაციონალურ და შოვინისტურ განწყობილების ერთგვარ გაძლიერებას, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ უმცირესობას. ჩვენ ამას კარგად ვხედავთ. ჩვენი პოლიტიკა უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ინტელიგენციის ანტისაბჭოთა ფრთის წინააღმდეგ ვაწარმოოთ ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის ყველა მეთოდებით, მოვცხოთ ინტელიგენციის გაუსწორებელ, შოვინისტურ და აშკარა კონტრრევოლიუციონურ ელემენტებს და ამასთანავე მეტი ენერგიით და სიმტკიცით ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში საქართველოს ინტელიგენციის უმრავლესობა, მისი ის ნაწილი, რომელიც თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას.

ამავე დროს უნდა ვაწარმოოთ მუშაობა საშუალო ხაზზე მდგომ იმ ელემენტების დასაპყრობად, რომლებიც ჩვენი უყურადღებობის გამო შეიძლება გახდნენ ანტისაბჭოთა ელემენტების რეზერვად.

5. საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის შესახებ

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდობის კომკავშირის ზრდა ნორმალურად მიმდინარეობდა. კომკავშირის ზრდის პროცესში გამოირკვა, რომ მუშათა კადრი 59,9 პროცენტიდან 51,4 პროცენტამდე შემცირდა. მუშათა კადრის შემცირება კომკავშირის თბილისის ორგანიზაციაში აიხსნება არა თვით ორგანიზაციის ზრდით, არამედ მოძრაობით. საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა დიდ მოძრაობას. თბილისში ჩამოსულებს შორის უმრავლესობა არის არა მუშები, არამედ გლეხები და მოსამსახურეები. ეს გავლენას ახდენს კომკავშირის სოციალურ შემადგენლობაზე. თუ ავიღებთ ამ ხნის განმავლობაში მიღებულ 947 კაცს, მათ შორის არის მუშა 63,2 პროც. ეს პროცენტი კომკავშირისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია და მას გავლენა უნდა მოეხდინა შემადგენლობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ მეორეს მხრივ თბილისის ორგანიზაციას მოემატა პროვინციიდან ჩამოსული კომკავშირელები.

რაც შეეხება პარტბირთვს, ის გაიზარდა. ქალაქში 11,6 პროცენტიდან 13,6 პროცენტამდე, ხოლო სულ მაზრაში და ქალაქში 10,1 პროცენტიდან 12,3 პროცენტამდე, ე. ი. 2,2 პროცენტით.

როგორც ხედავთ ამ მხრივ მდგომარეობა ნორმალურია. კომკავშირში ადგილი აქვს პარტბირთვის ჯანსაღ ზრდას, მაშასადამე პარტიის გავლენის გაძლიერებას.

მე მინდა აქ ცოტა ხნით შევჩერდე იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია მუშაობა კომკავშირის შიგნით. კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია გადავიდა მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე, რომლებიც მიმართულია იქეთკენ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მუშურ ახალგაზრდობის საკითხებს. ამ მხრივ თბილისის კომკავშირის ორგანიზაციამ გადმოიღო ლენინგრადის, მოსკოვის და სხვა მოწინავე ორგანიზაციების მიღწევები.

ამასთანავე ერთად, საანგარიშო წელს ადგილი ჰქონდა მდგომარეობის გამწვავებას კომკავშირის შიგნით, რაც გამოწვეული იყო ფრაქციული მუშაობის გაძლიერებით და ოპოზიციის მიერ შინაპარტიულ უთანხმოების საკითხთა კომკავშირის ორგანიზაციაში გადატანით. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ისინი ცდილობდენ მოეწამლათ კომკავშირი ფრაქციული შხამით. ეს ყველა ჩვენგანმა იცის. იყო შემთხვევა, როცა, ოპოზიციონერებმა ისარგებლეს მუშფაკის უჯრედის ერთ-ერთ კრებაზე უმრავლესობის დაუსწრებლობით და მოახერხეს ოპოზიციონური შინაარსის რეზოლიუციის გამოტანა. როცა დაიწყო სწავლა შეიკრიბა მთელი უჯრედი, ოპოზიციონერები უმცირესობაში აღმოჩნდენ.

დამახასიათებელია, რომ ფრაქციონერების ბრძოლამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ბევრმა თქვენთაგანმა ალბად იცის, რომ მათ სპეციალური წერილით, სპეციალური ცირკულიარით მიმართეს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედებს. ამ ცირკულიარს ქვეშ ეწერა „ამხ. ტროცკის სახელობის შინასაკავშირო დემოკრატიის დამცველი კავშირი“. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენი კომკავშირი ლენინურია, მაგრამ თურმე ეს არ აკმაყოფილებს კომკავშირის ოპოზიციას, მას სურს ქონდეს „ტროცკისტული“ კავშირი. ამ ფურცელში ისინი ჰკიცხავდნენ პარტიის ოფიციალურ ხაზს და აქვეყნებდნენ შემდეგ ლოზუნგს: „შორს კავშირიდან მლიქვნელები, რომელნიც მექანიკურად აძლევდნენ ხმას.

შემდეგ ისინი სწერენ: „პროტესტი განაცხადეთ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრთა, ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ბელადების და ორგანიზატორების—ტროცკისა და ზინოვიევის სახელის გატეხვის წინააღმდეგ. მოითხოვეთ პარტიისა და კომკავშირის წევრის უფლებებში აღდგენა იმ ამხანაგებისა, რომელნიც გამორიცხულ იქნენ ოპოზიციონერობის გამო“ და სხ. რასაკვირველია, ეს დოკუმენტი ეკუთვნის ოპოზიციის კალამს, თუმცა იგი ამას სავსებით უარჰყოფს. აი, სადამდე მივიდა ოპოზიცია. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია მტკიცე და ნაცადი აღმოჩნდა. კომკავშირის ორგანიზაციის უდიდესი უმრავლესობა, თითო-ოროლა პირთა გამონაკლისით, და ისიც უმაღლეს სასწავლებლებისა და საბჭოთა უჯრედებში, მტკიცედ დადგა ლენინის პოზიციის, ლენინური პარტიისა და კომკავშირის დასაცავად.

6. შინაპარტიული მუშაობისა და შინაპარტიული მდგომარეობის საკითხი

ორგანიზაციის ზრდისა და სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება

ზრდის ტემპი, უკანასკნელ წლებში, ლენინის გაწვევის პერიოდთან შედარებით, შენელდა. რასაკვირველია, ეს რამდენადმე კანონიერი იყო რამდენადაც პარტიის წინაშე იდგა იმ ფენების ბოლშევიზაციის ამოცანა, რომელნიც პარტიაში იქნენ მიღებული ლენინის გაწვევის დროს. ჩვენ მუშების დიდი რაოდენობა მივიღეთ და ისინი ჩვენ უნდა აღგვეზარდა, გაგვებოლშევიკებია. ცხადია, რომ ორგანიზაციის მუშაობა უმთავრესად აქეთკენ იყო მიმართული და ამიტომ ტემპის ერთგვარი შენელება ნორმალური იყო. ეხლა, როცა ბოლშევიზაციის ეს პროცესი, აღზრდის პროცესი უმთავრეს ნაწილში უკვე დამთავრდა, როცა გამოირკვა, რომ ლენინის გაწვევის უდიდესი უმრავლესობა დარჩა ჩვენს პარტიაში, და როცა გაცხრილვას მეტად უმნიშვნელო ადგილი ეჭირა, მაშინ ცხადია, ჩვენს წინაშე იჭრება ჩვენს ორგანიზაციაში მუშური აქტივის შემდგომი ზრდის ტემპის საკითხი, როგორია საქმის ვითარება ამ მხრივ? მუშური შემადგენლობის შემცირება საანგარიშო პერიოდში აიხსნება არა მიღების არასწორი მოწესრიგებით, არამედ სხვა მომენტებით. ახალი წევრების მიღების მხრივ ასეთი მდგომარეობაა: 9 თვის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ 770 კაცი. მათ შორის მუშები შეადგენენ 78,1 პროც., მაშინ როდესაც შარშან შეადგენდნენ მხოლოდ 64,4 პროცენტს.

ამგვარად, მუშათა პროცენტმა უმნიშვნელო რაოდენობით მოიმატა. თუ ჩვენ ავიღებთ უკანასკნელ კვარტალს, მუშების პროცენტი 83 პროცენტამდე აღწევს. მუშების ჩაბმის ტემპი საანგარიშო წელში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც წინა წელში. მუშათა პროცენტის შემცირება იქნებ გაცხრილვით არის გამოწვეული? არა. გაცრხილვა მეტად უმნიშვნელო იყო. 1927 წ. 1 ივნისისათვის პარტაღწერა არ გაუვლია 183 ამხანაგს, მაგრამ ამის შემდეგ პარტაღწერა ამხანაგებმა გაიარეს ცალ-ცალკე. პარტაღწერაში გაუვლელთა შემადგენლობაში არის მუშათა 77 პროც., მაგრამ ამას არ შეეძლო ორგანიზაციის მთელ შემადგენლობაზე მოეხდინა გავლენა 0,1 პროცენტითაც კი.

სოციალური შემადგენლობის გაუარესება მოხდა იმის გამო, რომ პარტიული აღწერის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით პარტიის ცეკას უფრო სწორი დირექტივებით და ამიტომ ზოგიერთი ამხანაგი, რომელიც წინედ მუშათა შემადგენლობაში იყო, ეხლა სხვა კატეგორიაში მოხვდა. თუ 1926 წ. ოქტომბრისათვის იყო მუშათა 65,8 პროც., სამაგიეროდ, მიმდინარე წლის 1 მარტისათვის, აღწერის შემდეგ იყო 61,5 პროც., ე. ი. შემცირება მოხდა 4,3 პროცენტით, 1927 წლის 1 სექტემბრისათვის ეს პროცენტი შეადგენდა 63,4 პროც. პარტაღწერის შემდეგ მუშათა შემადგენლობამ კვლავ მოიმატა 1,9 პროცენტით.

ორგანიზაციის საერთო შემადგენლობიდან პარტიის წევრთა რიცხვი, რომელნიც თბილისის წარმოებებში მუშაობენ, შეადგენს 50,4 პროცენტს. რაც შეეხება მაზრას, მაზრაში სულ არის 979 კაცი, მათ შორის 473 წევრია და 506 კანდიდატი. ორგანიზაცია გაიზარდა 55 კაცით, ე. ი. 6 პროცენტით. ჩვენ ამას ნორმალურად ვსცნობთ, ვინაიდან, მაზრაში არ შეიძლება გამოვუდევნოთ დიდ რიცხვს. იქ ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ავამაღლოთ პარტიის წევრთა როგორც პოლიტიკური, ისე უბრალო ცოდნა, აღვზარდოთ ისინი ლენინიზმის ნიადაგზე.

როგორი დასკვნები შეგვიძლია გამოვიყვანოთ ორგანიზაციის შემადგენლობის დარგში? პირველი: მუშათა ჩაბმის ის ტემპი, რომელიც გვქონდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, უკან რჩება უპარტიო მუშათა მასების აქტიობას. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა მასების კომუნისტურ ორგანიზაციებში შეკავშირების პროცენტი ზოგიერთ ადგილას აღწევს 25—30 და 40 პროცენტამდე, მიუხედავად ამისა, ჩვენ გვყავს უპარტიო მუშათა აქტივი, რომელნიც სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში განსაკუთრებით კომკავშირში იმყოფებიან. ამ კადრების ხარჯზე ჩვენ შეგვიძლია მიღების ტემპის მნიშვნელოვნად გაძლიერება. სათანადო ტემპი უნდა იყოს მუშათა არა მექანიკური ჩაბმის, არამედ მასიური მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერების შედეგი. ეს პირველი.

მეორე: მუშების მიღება უნდა ხდებოდეს არა სტიქიურად, თვითნებურად, არამედ უნდა ვაწარმოოთ მუშათა შემადგენლობის შესწავლა. როგორ ხდება მუშათა მიღება ჩვეულებრივ? მუშა მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებში, და შემდეგ შემოაქვს განცხადება პარტიაში შემოსვლის შესახებ მაგრამ არ არის აქტიური მონაწილეობა, არ არსებობს აქტიური მოქმედება პარტიის წევრთა მხრივ, განსაკუთრებით იმ ამხანაგების მხრივ, რომელნიც ამა თუ იმ საბჭოთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას მეთაურობენ. მუშათა მიღება პარტიაში ხდებოდა სტიქიურად. თუ ჩვენ აქ შევიტანთ აქტიობას მუშათა მიღების ტემპი გაძლიერდება და შეიძლება ორჯერ გაიზარდოს.

მესამე—უნდა მივაღწიოთ პარტიის იმ დირექტივის განხორციელებას, რომელიც შეეხება პარტიული რიგების მუშური ნაწილის მაქსიმალურად ზრდას. ჩვენ პარტიაში დაზგის მუშები არიან 50,4 პროც., საერთოდ მუშები კი—63,4 პროც. აქტიობის ზრდის საშუალებით, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა მუშებში, ჩვენ სავსებით შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ გაძლიერდეს როგორც დაზგის მუშების, ისე საერთოდ მუშების მიღება პარტიაში, და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო არა მუშათა მიღების დროს.

პარტიული მასის აქტივობის შესახებ. ბიუროების გადარჩევა და სარაიონო კონფერენციები

გადავიდეთ აქტივობის ზრდაზე და ბიუროების გადარჩევაზე. მაისში და ივნისში ჩვენ ჩავატარეთ უჯრედთა ბიუროების საანგარიშო კამპანია, სექტემბერში, სარაიონო კონფერენციების წინ, ჩავატარეთ გადარჩევის კამპანია. თუ ჩვენ სათანადო დასკვნებს გაუკეთებთ გადარჩევის კამპანიის შედეგებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კამპანიის დროს სავსებით გამოაშკარავდა ჩვენი პარტიის წევრთა აქტივობის და შეგნების დიდი განვითარება. რაში გამოიხატა ეს განვითარება? ეს გამოიხატა როგორც კამათში მონაწილე ამხანაგების რაოდენობის ზრდაში, აგრეთვე იმ გარემოებაში, რომ კრებებს დაესწრო ამხანაგების მეტი რიცხვი, ვიდრე წინედ. უჯრედები დაუახლოვდნენ თავის წარმოებებთან და დაწესებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს. გადარჩევის კამპანია იქცა თბილისის ორგანიზაციის გენერალურ შემოწმებათ, ვინაიდან ამ კამპანიამ გამოაშკარავა უჯრედის მუშაობის მდგომარეობა და უჯრედების მნიშვნელოვანი წინსვლა.

ეს წინსვლა გამოიხატა უჯრედთა ბიუროების შემადგენლობის გაუმჯობესებაში და აქტივობის გაძლიერებაში: თუ წინედ აქტივი შეადგენდა 69 პროცენტს, დღეს ის შეადგენს 70 პროცენტს. ბიუროების შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლდა. ბიუროების მუშათა ნაწილი 63,92 პროცენტიდან გაიზარდა 70 პროცენტამდე. მდივანთა შემადგენლობაში კი იგივე ნაწილი 68 პროცენტიდან გაიზარდა 70 პროცენტამდე. პარტმუშაობის ახალი საორგანიზაციო ფორმების და მეთოდების გაფართოებას და გაღრმავებას (მდივნების მოადგილეთა ინსტიტუტი, პარტორგანიზატორების კომისია და სხვ.) შედეგათ მოჰყვა უჯრედთა აქტივის მნიშვნელოვანი გაფართოვება. უჯრედების აქტივი 1900 კაციდან გაიზარდა 2.500 კაცამდე, რაც შეადგენს საერთო შემადგენლობის 25-26 პროცენტს. ამრიგად, 25-26 პროცენტი უშუალოთ ხელმძღვანელობს უჯრედების პარტიულ მუშაობას. თუ შევეხებით პარტიის წევრთა ჩაბმას სხვადასხვა პროფესიონალურ, კოოპერატიულ, მუშკორთა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, აღმოვაჩენთ, რომ ამ ორგანიზაციებში ჩაბმულთა რიცხვი შეადგენს 70 პროცენტს.

ასეთივე სურათს ვამჩნევთ რაიონულ პარტკონფერენციებზე.

ზედმეტია ამის აღნუსხვა თქვენს წინაშე. მე მსურს მხოლოდ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მუშები რაიონულ კონფერენციებზე შეადგენენ მნიშვნელოვან პროცენტს, მთელი შემადგენლობის 80-85 პროცენტს, დაზგის მუშები კი 35-40-45 პროცენტს. განა ეს მნიშვნელოვანი მიღწევა არ არის მუშების აქტიურად ჩაბმის საქმეში?

ამრიგათ, პარტიის მე-13 ყრილობის ერთ-ერთი დირექტივა, რომელზედაც მიგვითითებდა ამხ. მოლოტოვი და რომელიც ეხებოდა წარმოების მუშების მნიშვნელოვანი მასების ჩაბმას რაიონულ კომიტეტების მუშაობაში, შესრულებული იქნა რაიონულ კონფერენციების მუშაობის პროცესში.

პარტგანათლება

გადავდივარ პარტგანათლებაზე. ძირითადი ხელმძღვანელი პრინციპი პარტიული სწავლების საქმეში იყო: პირველი—ბრძოლა ლენინიზმის სიწმინდისათვის და პარტიის დაცვა სოციალ-დემოკრატიულ გადახრებისაგან, კერძოთ ადგილობრივი ოპოზიციის ნაციონალისტური გადახრისაგან; მეორე—სოციალისტური მშენებლობის შინაარსისა და მორიგი ამოცანების ახსნა-განმარტება, და, მესამე—ბრძოლა თბილისის ორგანიზაციის რიგების მთლიანობისათვის. აი ის სამი ძირითადი მომენტი, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით პარტსწავლების საქმეში.

მიმდინარე წელს ჩვენ პირველად შემოვიღეთ ნებაყოფლობის პრინციპი პარტიის წევრთა ძირითადი სკოლების შედგენის დროს, გარდა საკანდიდატო, ეგრედწოდებულ 1-ლ საფეხურის პოლიტსკოლებისა. რასაკვირველია, ამ მუშაობის პროცესში ჩვენ გვქონდა ცალკე დეფექტები, მაგრამ საერთოდ და მთლიანად უნდა ითქვას, რომ მთელ საანგარიშო წელში ჩვენი თბილისის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი საგრძნობლად დაწინაურდა და განმტკიცდა როგორც იდეურად, ისე პოლიტიკურად.

მე მაქვს საბუთები, რომლებიც მოწმობენ პარტგანათლების ქსელის ზრდას. წინა წელთან შედარებით ამ ქსელის ზრდა 61 პროცენტიდან ავიდა 65 პროცენტამდე.

რაც შეეხება პროპაგანდისტებს, მათი შერჩევა ხდებოდა ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტიდან, და ამასთან სოციალური შემადგენლობით მათ უმეტესობას მოსამსახურეები შეადგენდნენ. ბევრ მათგანმა არ იცის, როგორ შეუფარდოს თეორია პრაქტიკას, როგორ დაეხმაროს მსმენელს წარმოების პრაქტიკულ საკითხების გარკვევაში და აი ამიტომ წელს საჭირო გახდება ყურადღების მიქცევა პროპაგანდისტების მომზადებისათვის მუშათა წრიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წელს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკადან ჩვენ მივიღეთ პროპაგანდისტთა ჯგუფი, რომელიც დაგვეხმარება პარტსწავლების საქმის დაყენებაში მიმდინარე წელს.

შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ ჩვენს პარტიაში და ოპოზიციის შეხედულებები

ყველა ის საკითხები, რომლებსაც მე შევეხე ნაწილში შინაპარტიული მუშაობის შესახებ, განა აშკარად არ მოწმობენ, რომ ჩვენს თბილისის ორგანიზაციაში ვითარდებოდა შინაპარტიული დემოკრატიის მეთოდები, რომ ჩვენში იზრდებოდა თვითმოქმედება და ინიციატივა? მხოლოდ ოპოზიციონერები ვერ ამჩნევენ ამას, ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ყველა ამ მომენტებს, ისინი მხოლოდ სუსტ მხარეებს ხედავენ და ვერ ამჩნევენ იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ეს გასაკვირიც არაა, იმიტომ, რომ ჩვენი ოპოზიციონერები დიდი ხანია რაც დასცილდნენ შინაპარტიული დემოკრატიის ლენინურ გაგებას. რომ ეს ასეა, ამის დამტკიცება შემიძლია ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელების შესაფერის გამოსვლებზე მითითებით. თქვენ გახსოვთ, რომ 1923 წ. ცინცაძე გამოვიდა თავისი წერილით: „ფიქრები პარტიაზე“, ოპოზიციონერები მაშინ საკითხს აყენებდნენ ასე—თუმცა მეათე პარტყრილობამ მიიღო რეზოლიუცია შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, მაგრამ ეს რეზოლიუცია მივიწყებულ იქნა და მან ვერ ჰპოვა თავისი განხორციელება, ხოლო საკითხი დემოკრატიზმის შესახებ საქართველოში გაცილებით უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე სხვაგან სადმე. გავარჩიოთ—მართალია თუ არა, რომ საქართველოში საკითხი შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე კუთხეში? ცინცაძე თავის წერილში ამ საკითხის შესახებ შემდეგს ამბობდა: „შინაპარტიული დემოკრატიის საკითხები უფრო მწვავედ სდგას საქართველოში, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე კუთხეში“... „აქ საქართველოში „მეტის-მეტად“ შეეჩვიენ დემოკრატიზმს, ან უკეთ რომ ვსთქვათ უფრო მეტად არიან გამსჭვალული დემოკრატიზმით“... „პარტია გამოვიდა ამ პოლიტიკურად მომწიფებულ მშრომელთა წრიდან“ და სხ.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ერთ დროს იყო ისეთი ქვეყანა, სადაც ბატონობდა მენშევიკური დემოკრატიზმი. ბატონმა კაუცკიმაც, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში მენშევიკების დროს, საქართველო აღიარა დემოკრატიზმის ქვეყნად და თითქმის დემოკრატიზმის სამოთხედაც კი. განსაცვიფრებელი თანხმობაა. შეიძლება, ცინცაძის აზრით, საქართველოს კომუნისტებმა ამიტომ უნდა ისარგებლონ უფრო მეტი შინაპარტიული დემოკრატიზმით, ვიდრე მაგალითად, მოსკოვის ან ლენინგრადის მოწინავე კომუნისტურმა პროლეტარიატმა.

როგორც ხედავთ, აქ იოტის ოდენა ბოლშევიზმიც არაა. აღებულია აბდა-უბდა არა ლენინიზმიდან, არამედ მენშევიზმიდან, ჟორდანია-კაუცკიდან.

რა არის ეს, თუ არა წვრილ-ბურჟუაზიული, არსებითად სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების გადმოტანა ჩვენს პარტიაში?

მაგრამ ეს კიდევ არაფერია. უარესს შემდეგ დავინახავთ. თქვენ იცით, რომ ამჟამად ოპოზიცია და მასთან ერთად ტროცკიც ტაქტიკური ხასიათის სხვადსხვა მოსაზრებით ხდუმან. მათ მიერ 1923 წელში გაკეთებულ განცხადების შესახებ, რომელშიც ისინი ამბობდენ, რომ ბიუროკრატიული კურსი დაიწყო მეათე ყრილობიდან, მაგრამ მეათე ყრილობის შემდეგ კიდევ ცოცხალი იყო ლენინი, ის მუშაობდა, ხელმძღვანელობდა პარტიას. ეხლა ოპოზიცია და მასთან ერთად ცინცაძე ამბობს, რომ მაშინ კიდევ არა უშავდა, მაგრამ მე-12 ყრილობის [illegible] შინაპარტიული რეჟიმი სრულიად ბიუროკრატიული გახდა. საინტერესოა რას ლაპარაკობს ცინცაძე მეათე ყრილობისა და მისი შემდგომი პერიოდის შესახებ: „საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ ერთი—მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პარტია მეათე ყრილობამდე უფრო მძიმე პირობებში იმყოფებოდა, როცა გაცილებით მეტი საფუძველი იყო დემოკრატიზმის განდევნისათვის, მიუხედავად ამისა, მაშინ (ე. ი. სამხედრო კომუნიზმის დროს ნ. ს.) პარტიის წევრები ათასჯერ უფრო მეტი დემოკრატიზმით სარგებლობდნენ“. მე ვფიქრობ, რომ არც ერთი მენშევიკი უფრო უარესად არ დაახასიათებდა კომპარტიას და პროლეტარულ დიქტატურას. ეს განცხადება იმას უდრის, რომ სთქვა—ჩვენს პარტიაში არა არის არავითარი დემოკრატიზმი, პარტიაში გაბატონებულია სატრაპია, ბონაპარტიზმი და რაც გნებავთ, ოღონდ კი არა დემოკრატიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პარტია ათასჯერ უფრო ცუდათ ატარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, მაშასადამე მუშათა დიქტატურის ქვეყანაში კიდევ უფრო ცუდათ ტარდება პროლეტარული დემოკრატია. მე ვფიქრობ, ეს იმას მოწმობს, რომ ოპოზიციონერები სრულიად დაშორდნენ შინაპარტიულ დემოკრატიის არსების გაგებას. ამ ადამიანების პოლიტიკა იდეურად აიარაღებს ანტი-საბჭოთა და მენშევიკურ მუშაობას (მართალია, ტაში).

შეიძლება ის დახასიათება რომელიც მისცა ჩვენს პარტიას ცინცაძემ, შემთხვევითია. არა ამხანაგებო. გუშინ ამხ. რუძუტაკმა წაგვიკითხა ამონაწერი ლადო დუმბაძის განცხადებიდან, რომელშიაც ის თავის დანიშვნას სამუშაოზე საქართველოს გარედ ადარებს მეფის მიერ გადასახლებას და ძალადობას. ფრაქციულ ბრძოლას აქვს თავისი ლოღიკა. ხომ მიიყვანა მან წარსულში ბოლშევიკების ერთი ჯგუფი (ვპერიოდოვცები) მენშევიკებთან ბლოკამდე ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს შეიძლება მოხდეს ახლაც, და ამხანაგების განსაზღვრული ნაწილი ფრაქციული ბრძოლის მსვლელობით შეიძლება მოხვდეს პარტიის გარედ. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმს მიაჩნდა, რომ ამხანაგების განსაზღვრული ჯგუფი ოპოზიციონერებიდან უნდა შერჩენოდა პარტიას და იმ მიზნით, რომ დაგვეშორებია ისინი მათთვის მავნე აქაური ატმოსფერიდან, გადაწყდა მათი გაგზავნა სამუშაოდ სხვა ქალაქებში. მაგრამ ისინი არ დაემორჩილენ პარტიის გადაწყვეტილებას და თავი დააყენეს პარტიის რიგების გარედ. როგორც ხედავთ, ის შეფასება, რომელიც მისცა ჩვენს პარტიას ცინცაძემ, არ არის შემთხვევითი, არამედ გამომდინარეობს ოპოზიციის არსებიდან, ობიექტიურად გამომდინარეობს იმ შეხედულებებიდან, რომლებსაც ოპოზიციონერები იცავენ. აი, სიტყვა-სიტყვით მათი მოთხოვნილება: „ჩვენ მოვითხოვთ უჯრედების ბიუროებისა და სარაიონო და სამაზრო პარტკონფერენციებზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნების გაუქმებას, ვინაიდან ეს არჩევნები ჩატარდა უაღრესად არანორმალურ და ანტილენინურ პირობებში, შემდეგი ფრაქციული დირექტივის მიხედვით: „არც ერთი ოპოზიციონერი ბიუროში და კონფერენციებზე“. ჩვენ მოვითხოვთ ახალ არჩევნების დანიშვნას. ახალ არჩევნებისათვის ჩვენ მოვითხოვთ სათანადო ნორმალური პირობების შექმნას პარტიაში, რათა მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს მიეცეს შესაფერი ავტორიტეტი“.

მაგრამ სად არის ისეთი დირექტივა, რომ ბიუროში არ იქნეს არჩეული არც ერთი ოპოზიციონერი? ასეთი დირექტივა თბილისის კომიტეტს არ გაუცია. დირექტივაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ბიუროებში უნდა არჩეულ იქნან პარტიული მტკიცე კადრები და თუ ქურდს ქუდი ეწვის და თუ ოპოზიციონერებს თავი არ მიაჩნიათ პარტიულად მტკიცედ, თბილისის კომიტეტი ამაზე პასუხს ვერ აგებს (სიცილი, ტაში)

მეორე ის, რომ სად არის ნათქვამი, თითქოს პარტია ვალდებული იყოს გაატაროს ბიუროებში სწორედ ოპოზიციონერები, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას მასთან, არღვევენ პარტიის გადაწყვეტილებებს და რომლების არჩევა ამასთანავე არ სურს პარტიულ მასას. რა იქნება ეს—შინაპარტიული დემოკრატია, თუ საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომა?

აქედან სჩანს, რომ ოპოზიცია ფიქრობს წინასწარ სახელი გაუტეხოს მე-15 ყრილობას, რათა განაცხადოს, რომ ჩვენ „ფრაქციული“ დირექტივის მიხედვით მოვიწვიეთ ეს ყრილობა, რომ ის წარმოადგენს სტალინის ფრაქციის ყრილობას, და თუ კი ეს ასეა, მისი გადაწყვეტილებები მათთვის სავალდებულო არაა. როგორც სჩანს, ეს ყრილობა მხოლოდ მაშინ იქნება ყრილობა, როდესაც მასზე წარმოდგენილი იქნებიან ჩვენი ერთეული ოპოზიციონერები, რომლებსაც მხარს არ უჭერენ პარტიული მასები. თუ ეს ასე არ იქნა, მათი თვალსაზრისით ეს ყრილობა არ იქნება ჩვენი პარტიის ნებისყოფის გამომხატველი.

ვუკეთებ რა ჯამს საკითხს შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ, მე ვფიქრობ, რომ თბილისის ორგანიზაცია აწარმოებდა მუშაობას შინაპარტიული დემოკრატიის მეთოდების და ფორმების გასაფართოებლად და გასაღრმავებლად და არა შესაკვეცად, რაც არ ეწინააღმდეგება ბრძოლას ოპოზიციისა და მისი ჯგუფების წინააღმდეგ. ჩვენ მომხრე ვართ ყველა საკითხების აქტიურად განხილვის. მე-10 ყრილობის გადაწყვეტილება ამბობს, რომ შინაპარტიული დემოკრატია არის ისეთი ორგანიზაციული ფორმა კომუნისტური პოლიტიკის გატარების დროს, რომელიც უზრუნველჰყოფს პარტიის წევრთა მაქსიმალურ ჩაბმას როგორც საკითხების განხილვასა და გადაჭრაში, ისე პარტიულ აშენებლობაში. მე ვფიქრობ, რომ თბილისის ორგანიზაცია ატარებდა სწორედ ამ ხაზს. ამასთან ერთად პარტიის მე-10 ყრილობამ სთქვა, რომ ეს განხილვა არ უნდა სწარმოებდეს ჯგუფებისა და პლატფორმების მიხედვით. სწორედ ასეთ განხილვას, ასეთ შინაპარტიულ დემოკრატიას მე-10 ყრილობის გაგებით, ლენინის გაგებით, ატარებდა თბილისის ორგანიზაცია, და როდესაც ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ჩვენ არ ვატარებდით შინაპარტიულ დემოკრატიას, მე მგონია, რომ ისინი ცილსა სწამებენ თბილისის ორგანიზაციას.

შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

როგორია ძალთა განწყობილება თბილისის ორგანიზაციაში და როგორია ოპოზიციის პერსპექტივები? საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, თბილისის ორგანიზაციამ თავისი ძალების და ენერგიის ნაწილი მოახმარა ოპოზიციონერების გამოსვლების და მათ ფრაქციულობის წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიციამ გააფთრებული ლეგალური და არალეგალური ბრძოლა გააჩაღა, მან თბ. ორგანიზაციებში თავი ვერ მოუყარა მნიშვნელოვან უმცირესობასაც, ვერ მოიპოვა 100 ხმაც კი. განა ოპოზიციონერებს შეუძლია ამის უარყოფა? განა ოპოზიციამ არ დაკარგა ამ ბრძოლის დროს საუკეთესო მუშები? განა უკანასკნელ წლის განმავლობაში ოპოზიციონერებს არ ჩამოშორდნენ ისეთი მუშები, როგორიც რთველაძე, ჯაქრაძე, ფირცხალავა ერმ., ჯიჯელავა და სხვები? მარტო პირველ რაიონში ოპოზიციონერებმა დაკარგეს 14 მუშა. რით აინაზღაურებენ ისინი ასეთ დანაკლისს, ე. ი. რთველაძის და სხვა ასეთი მუშების დაკარგვას? განა ოპოზიციას ყავს ისეთი პირები, რომლებიც შეავსებენ ამ დანაკლისს? არა არ ყავს. ვირაპით ვერ შეავსებს ოპოზიცია ამ დანაკლისს. ვირაპით ოპოზიცია ვერ შესცვლის ვერც ერთ აღნიშნულ მუშას.

რაც დრო გადის მით უფრო მარცხდება ოპოზიცია. ამ ოპოზიციის უმთავრეს ნაწილს შეადგენენ ქართველი უკლონისტები, განსაკუთრებით მათი ყველაზე უფრო მემარჯვენე, ოპორტიუნისტული ნაწილი, რომელსაც ამხ. სტალინი უწოდებდა ნახევრად უკლონისტებს, ნახევრად ნაციონალისტებს. სწორედ ეს ჯგუფი და რამოდენიმე ამხანაგი, რომლებიც უკმაყოფილოა ამა თუ იმ მოსაზრებით, შეადგენენ ადგილობრივ ოპოზიციის ძირითად ნაწილს. ამ ოპოზიციამ იერიში მიიტანა პარტიაზე 1923 წელს. მან სათანადოთ ვერ დააფასა თბილისის ორგანიზაციის კომუნისტური პროლეტარიატის რევოლიუციონერობა და იერიში მიიტანა მასზე მარჯვნიდან. მაგრამ ოპოზიცია სასტიკად დამარცხდა. ოპოზიციას ახლა სურს იმ შეცდომის გასწორება, რომელიც მან დაუშვა 1923 წელს. მან მოისურვა ორგანიზაციის დაპყრობა უაღრესად მემარცხენე სიტყვებით, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა.

ჯერ კიდევ 1923 წელს მათ მოიპოვეს თავისი ადგილი ტროცკიზმის ხელმძღვანელობისა და დროშის ქვეშ იმიტომ, რომ ტროცკიზმი აჭრელებულია ყველა ფერებით და ყველა ანტიპარტიული ჯგუფები პოულობენ თავის ადგილს ამ ანტილენინურ მიმდინარეობაში. ეს მშვენივრად ესმოდათ ზინოვიევს და კამენევს, მაგრამ ეხლა აღარ უნდათ მისი გაგება. ჩვენს ოპოზიციონერებს 1923 წლიდან ვპოულობთ ტროცკისტების ჯგუფში, ხოლო ეხლა კი მათ არხიმემარცხენე ფრაზებით ინტერნაციონალიზმისა, ზე ინდუსტრიალიზაციის და სხ. შესახებ იერიში მოაქვთ პარტიაზე. მათ თავისი გამოცდილება უნდა დაემტკიცებათ მაშინ, როდესაც ხელმძღვანელობდენ ორგანიზაციას საქართველოში. ჩვენს კომუნისტებს კარგად ახსოვთ ის პოლიტიკა, რომელსაც ისინი ატარებდენ 1923 წ. შეიძლება ეს დაავიწყდათ ამხანაგ ოპოზიციონერებს, ხოლო თუ მართლა დაავიწყდათ, მაშინ ნება მომეცით მოკლედ მოვაგონო მათ რამდენიმე ეპიზოდი მათი პლატფორმიდან. პირველ ყოვლისა მიწის საკითხში. როდესაც ოპოზიცია გამოდის და პარტიას ბრალად სდებს კულაკურ გადახრას, კულაკის თანდათანი დაწინაურებისა და ღარიბი გლეხის დაჩაგვრის სურვილს, განა სასაცილო არ არის ამის მოსმენა ადგილობრივ ოპოზიციისაგან? განა მათ დაავიწყდათ, რომ ისინი გამოდიოდენ მიწის რეფორმის, გლეხური მოძრაობის გაფართოვების და თავად-აზნაურების განდევნის წინააღმდეგ მათი მამულებიდან? ისინი ილაშქრებდენ მიწის აგრარული რეფორმის წინააღმდეგ. თუ ამაზე ისინი უარს იტყვიან, მაშინ მათ სამხილებლად შეიძლება გავიმეოროთ ბუდუ მდივნის მიერ პარტიის ყრილობაზე თქმული სიტყვები: „ჩვენ გამოგვეპარა მიწის საკითხი, მაგრამ გამოტყდით, რომ თქვენც გამოგეპარათ ეროვნული საკითხიო“. დაბოლოს მათი მხილება შეიძლება ნიკო კიკნაძის სიტყვებიდანაც, რომელმაც ქალაქის რაიონის კონფერენციაზე 1924 წლის 22—23 ოქტომბერს ამხ. კახიანის მოხსენების გამო ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ, რომელიც ჯამს უკეთებდა აგვისტოს აჯანყებას, განაცხადა, რომ „კახეთში ადგილი არა აქვს გლეხობის ისეთ სტიქიურ მოძრაობას აზნაურობის წინააღმდეგ, როგორც ამას ამხ. კახიანი ფიქრობდა. აქ გამოაშკარავდა არა კლასობრივი, არამედ წოდებრივი სიძულვილი, ვინაიდან, როდესაც არსებობს კლასობრივი სიძულვილი, მაშინ გლეხობა ანადგურებს და სწვავს მემამულეთა ქონებას, აქ კი ისინი მხოლოდ სძარცვავენ“.

აი „მარქსისტულ“, „ლენინურ“ მსჯელობის ნიმუშები. და შემდეგ: „არა კლასობრივი მტრობა, არამედ ძარცვა, რომლისთვისაც გლეხი უნდა ისჯებოდეს, და არა ისეთი შეხედულება, რომ რა გვენაღვლება, დეე სძარცონო“, განა ცხადი არაა, რომ ოპოზიცია ვეღარსად გაექცევა ამ ბრალდებებს? განა რად ღირს კიკნაძეს წმინდა მენშევიკური მსჯელობა? ამნაირად თავადებისა და მემამულეების სახით, რომლების დამცველებადაც ასე გულმოდგინედ გამოდიოდა ჩვენი ოპოზიცია, რომლებსაც ის უპირობდა მიწის საუკეთესო ნაჭრების დატოვებას, ის აღზრდიდა ნამდვილ კულაკურ ელემენტებს და პოლიტიკურ საძირკველს ჩაუყრიდა მენშევიზმს და ქართულ კადეტიზმს. ყველა ამის შემდეგ, რა უფლება აქვთ მათ გამოვიდენ პარტიის წინააღმდეგ და დააბრალონ მას კულაკური გადახრა.

ერთ-ერთ თავის განცხადებაში ცინცაძემ სთქვა, რომ „მენშევიკი ის არის, ვინც ოპორტიუნისტულ, შეთანხმებლურ და სიყვარულის გზას ადგია ურთიერთობაში ბურჟუაზიასთან... ეწინააღმდეგება აგრარული მოძრაობის განვითარებასო და სხ.“.

მე ვფიქრობ ეს სიტყვები სამართლიანად მთლიანად და სავსებით შეიძლება მივაკუთვნოთ ცინცაძეს და მის მოძმეთ.

ეხლა ისინი ისვრიან არხიმემარცხენე ფრაზებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, იმის შესახებ, რომ თითქოს საკ. კომპარტ. ცეკას სურდეს თანდათან დააქანოს ძირს პროლეტარული დიქტატურა, გააუქმოს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, წავიდეს დათმობაზე კულაკის წინაშე და სხ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ დღევანდელი ოპოზიცია მოითხოვდა არსებითად საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ სწორედ ოპოზიცია მოითხოვდა 1923 წელში დაბალ საბაჟო გადასახადების დატოვებას ბათომში და იცავდა კავშირის შენარჩუნებას სტამბოლის ბაზართან. ისინი ამბობდენ: „ჩვენ კი არ ვიღებთ ორიენტაციას სტამბოლის ბაზარზე, არამედ მანეთი იღებსო; ხოლო მანეთი მისწრაფვის იქით, სადაც შედარებითი სიიაფეა. სიიაფე კი საზღვარგარეთაა“. მათი რიგებიდან მოისმოდა ასეთნაირი მსჯელობა: „მაღალი საბაჟო გადასახადი საბოლოოდ ახშობს ეკონომიურ ცხოვრებას, ხოლო ამას კი ვერავინ ვერ გაუძლებსო“. ამასთანავე ერთად ისინი მოითხოვდნენ ოტომანის, არსებითად კი ინგლის-საფრანგეთის ბანკს თბილისში. იაფფასიანი საქონლისათვის მათ სურდათ საქართველო დასავლეთ ევროპის კაპიტალის დამატებათ გაეხადათ.

ხოლო როცა ისინი ქართულ მანეთს იცავდენ, რას ნიშნავდა ეს, თუ არა რუსულ ჩერვონეციადმი რწმენის უქონლობას. იმ მომენტში, როცა ჩერვონეცი მტკიცდებოდა, მაშინ ოპოზიცია მოსკოვში პიატაკოვსა და პრეობრაჟენსკის, ხოლო თბილისში მდივანის, ქავთარაძისა და სხვების სახით, გამოდიოდა ჩერვონეცის წინააღმდეგ. დეე სცადოს ოპოზიციამ ამ ბრალდების უარყოფა. იყო თუ არა ეს პოლიტიკა „მეგობრულ შეთანხმებლური პოლიტიკა უცხოეთის კაპიტალთან“? უსათუოდ იყო. ამხ. ქავთარაძე ასეთი მშვენიერებით არ დაკმაყოფილდა და ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის საკითხის შესახებ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-2 ყრილობაზე გამოვიდა და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, მოსკოვის მაქსიმალური ფინანსიური დახმარებით, მიმართული იყო მსუბუქი ინდუსტრიისა და ტეხნიკური კულტურების განვითარებისაკენ, დაახასიათა როგორც კოლონიზატორული და შოვინიზმის პოლიტიკა.

ლენინი ლაპარაკობდა, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარება უნდა დავიწყოთ მსუბუქი ინდუსტრიიდან და უკვე შემდეგ გადავიდეთ მძიმე ინდუსტრიაზე. ეს ერთად ერთი სწორი ხაზია და ეს ხაზი ტარდებოდა აქ ამიერ-კავკასიაში. ამხ. ქავთარაძე კი იმ მიზეზის გამო, რომ თავიდანვე არ შეუდექით მძიმე ინდუსტრიას ამბობდა, რომ ეს კოლონიზატორული პოლიტიკაა. თუ ოპოზიცია შეეცდება ამ ბრალდების უარყოფას, მაშინ მე შემიძლია დავიმოწმო თვით ვირაპი, რომელიც ამიერ-კავკასიის ყრილობაზე ამტყუნებდა ქავთარაძეს. არ ვიცი, რას იტყვის ეხლა ის.

შემდეგ, ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის შესახებ. ყველამ იცის, რომ ოპოზიცია ფედერაციის წინააღმდეგი იყო. მაშინ მათმა თვალსაზრისმა ვერ გაიმარჯვა და ისინი გადადგენ. ამხ. მდივანი, დასცინოდა რა ამიერ-კავკასიის ფედერაციას, ამბობდა—რა აქვთ საერთო საქართველოსა და აზერბეიჯანს გარდა მტკვარისა და ზურნისაო.

სხვათა შორის, გაერთიანებული ოპოზიცია არ სცნობს ნაციონალურ კულტურას. ნაციონალისტების, კერძოდ საქართველოს ნაციონალისტების გულის მოსაგებად ისინი დაპირებას იძლევიან გადასინჯონ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი, „შეამოწმონ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გამოცდილება ამიერ-კავკასიის ერების სამეურნეო და კულტურულ განვითარების ინტერესების თვალსაზრისით“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენი ოპოზიცია აქ ვერ გაბედავს ამ საკითხის აღძვრას, იმიტომ, რომ მას დასცინებს პარტიის ყოველი წევრი, როგორც საქართველოს, ისე აზერბეიჯანის და სომხეთის ორგანიზაციის წევრი.

მე ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის კიდევ ვილაპარაკოთ იმ აბდა-უბდას შესახებ, რომელსაც შეიცავდა ჩვენი ოპოზიციის პლატფორმა 1923 წელში.

აი, ამიტომ გვეჩვენება, უცნაურად, როცა ისინი გამოდიან უკიდურეს მემარცხენე და არქიმემარცხენე ფრაზებით; თბილისის ორგანიზაციამ მაშინვე სისწორით შეაფასა მათი ფიზიონომია, აი, რატომ ხდება, რომ ისინი კარგავენ საუკეთესო მუშებს და რჩებიან ყოველგვარი დახმარების გარეშე, სრულ პოლიტიკურ იზოლიაციაში.

როგორი უნდა იყოს დასკვნა აქედან? ვინაიდან ყოველივე ეს ასეა, მათ უნდა აღიარებიათ თავისი შეცდომა და დამორჩილებოდენ პარტიას, მაგრამ სამწუხაროდ ამ ხაზით არ მიდის ჩვენი ოპოზიციის განვითარება. იგი სულ სხვა მხარისაკენ მიიმართება. სასტიკმა დამარცხებამ ოპოზიცია გააცოფა, გააჯიუტა. მან ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯა, ფრაქციული მუშაობა უკვე ხდება დანაშაულად პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის წინაშე.

აი, რას ამბობდა ასეთი შემთხვევის გამო ამხ. ლენინი თავის წერილში „პარტიის კრიზისი“:

„პატარა უთანხმოებიდან წარმოიშვა დიდი უთანხმოება, როგორც ყოველთვის ხდება შედარებით მცირე შეცდომათა დროს, თუ ამ პატარა შეცდომებს დაჟინებით იცავენ და მთელი ძალღონით უწევენ წინააღმდეგობას მათ გამოსწორებას, ან თუ ერთი ან რამოდენიმე პირის პატარა შეცდომას ხელს ჩასჭიდებს ის ხალხი, რომელიც დიდ შეცდომას სჩადის“.

და ამ შემთხვევაში შეცდომებს ხელი ჩასჭიდა იმ ხალხმა, რომელნიც დიდ შეცდომებს სჩადის, განსხვავება მხოლოდ იმაში, რომ ეს ხალხი ჩასჭიდებია და ეჭიდება არა პატარა შეცდომებს, არამედ დიდ შეცდომებს და ამიტომ ფრაქციული ბრძოლა სულ უფრო და უფრო ღრმავდება. ოპოზიცია შესდგა მეორე პარტიის შექმნის გზაზე. რამდენადაც ეს ასეა, იგი ხდება ბურჟუაზიული დემოკრატიის დასაყრდენად. აი, ამიტომ ოპოზიციამ მიიღო და იღებს ყოველგვარ ქებას მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისაგან, „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-დან, „ბრძოლა“-დან და სხ. აი, ამიტომ „ბრძოლა“ იგონებს მდივანისა და ქავთარაძის წარსულ დამსახურებას. როცა ისინი იყვნენ ნამდვილი ბოლშევიკები, მაშინ მენშევიკები არაფერს ამბობდენ მათ დამსახურებათა შესახებ მაგრამ როცა მათ გადაუხვიეს ბოლშევიკურ გზას, ბოლშევიკურ პარტიას, მხოლოდ მაშინ მოინდომეს მენშევიკებმა მათი დახმარება და აქებენ ანტიპარტიულ მუშაობაში, იგონებენ მათ დამსახურებას და ამასთან ერთად ვენ ამხ. ორახელაშვილს, მახარაძეს, და სხ. ფრაქციონერობა ძალიან შორს ამას იქით გზა აღარ არსებობს. ესმის თ ეს ოპოზიციას? ეხლანდელ პირობებში, ჩვენ სულ უფრო და უფრო ძლიერად გვ საერთაშორისო კაპიტალი, როცა დასავლე როპის კაპიტალის დახმარებით თავი წამოჰ ანტისაბჭოთა ჯგუფებმა, ჩვენთვის აუცილ ლია 100 პროც. მთლიანობა ჩვენი ქვეყნის ნით. ამიტომ პარტია ამ მთლიანობას მიაღ ოპოზიციასთან ერთად, თუ ოპოზიცია მოისურვებს ამას, ე. ი. თუ იგი ლოიალურად დაემორჩილება პარტიის გადაწყვეტილებებს, უარს იტყვის თავის სოციალ-დემოკრატიულ უიმედობაზე და შემცდარ შეხედულებებზე, და თუ არა, პარტია ოპოზიციის გარეშე მიაღწევს ამ მთლიანობას ჩვენი პარტიის ლენინური დროშის ქვეშ. ჩვენი პარტია ლენინიზმის დროშის ქვეშ წევს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. (ტაში).

რეზოლიუცია
თბილისის კომიტეტის მუშაობის შე

კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. სვანიძის მოხსენება თბილისის კომიტ
შაობის შესახებ მერვე პარტკონფერენცია სცნობს თბილი
მიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სწორად დ
ლილ მუშაობას დამაკმაყოფილებლად.

კამათი ამხ. რუძუტაკისა და სვანიძის მოხსენებათა გარშემო

27 ოქტომბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ლადო სუხიშვილი. გრძელდება კამათი ამხ. რუძუტაკის, სვანიძის და თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. იაროსლავსკი

ამხანაგებო, ოპოზიცია გარდა იმისა, რომ ხელს გვიშლის მუშაობაში, არავითარ პრაქტიკულ შედეგს არ იძლევა. რაიონულ კონფერენციაზე ის უფრო მოურიდებლად აგინებდა პარტიას. თბილისის კონფერენციაზე კი მან კუდი შეარბილა. გუშინ ამხ. თუმანოვი ამბობდა, რომ პარტიაში გამოხმაურებას პოულობს ჩვენი ცხოვრების პროცესებიო. საკითხავია—სთქვა მან—ვისი ზურგი და ვისი ყურები განიცდის ამ ცხოვრების პროცესის გავლენას ჩვენს რიგებში? ასეთი ნომერი ოპოზიციას არ გაუვა. წარმოდგენა მუშებზე, თითქოს მათ თითქო მარტო ზურგი და ყურები ჰქონდეთ და არა თავიც, არის ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წარმოდგენა. მუშები ასეთ შეურაცყოფას შესაფერ პასუხს გასცემენ.

ამხ. თუმანოვმა თითქოს ახალი ამერიკა აღმოაჩინა: მან სთქვა, რუძუტაკის მოხსენება არ იყო დამაკმაყოფილებელი, ის არაფრით განირჩეოდა კახიანისა და ორახელაშვილის მოხსენებებიდანო. მოდი და ელაპარაკე ასეთ კრიტიკოსს! ჩვენ სწორედ ის გვიხარია, რომ რუძუტაკი, ორახელაშვილი და კახიანი ატარებენ ერთ და იმავე პარტიის ხაზს და ამიტომაც მათი მოხსენებები ერთი სულითაა გაჟღენთილი. ოპოზიცია კი სწორედ ამ ერთსულოვნებას გვიწუნებს.

საუკეთესო ელემენტები უკვე ჩამოშორდა ოპოზიციას. ამბობენ ახალი აქტივი არ იზრდება პარტიაშიო. გამეფებულია სასტიკი რეჟიმი, რომელიც კლავს თვითმოქმედებასო. თუ ეს ასეა, რას მოწმობს ახლად დასრულებული კონფერენციები? იქ სულ ახალი აქტივი გამოდიოდა, ძველ აქტივს კი საშუალებაც არ ჰქონდა ისეთივე მონაწილეობა მიეღო მუშაობაში, როგორსაც ღებულობდა ახალი აქტივი. ჩვენს ქარხანაში—26 კომუნარების ქარხანაში—მოვიდა მოხსენებით გასტროლიორი ბენო კალანდაძე, მაგრამ მან სწორედ ახალი აქტივისაგან იგემა აქ შესაფერისი სუსხი. რას მოწმობს ეს? ეს იმის მაჩვენებელია, რომ პარტია უდავოთ იზრდება, რომ ფართოვდება პარტიული კომუნისტური საზოგადოებრიობა მუშების ხარჯზე.

გაიძახიან, პარტია ავად არისო. თუ პარტიაში ზის ფსიქოპატების უმნიშვნელო ჯგუფი და ქმნის შეუსაბამო ფანტაზიებს, ეს ხომ არ შეიძლება პარტიის ავადმყოფობად ჩაითვალოს? მუშები არ გაჰყვება ისეთ ლიდერებს რომელნიც ცხვირსახოცივით იცვლიან თავიანთ შეხედულებებს. მუშები, როგორც პარტიული, ისე უპარტიონიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი საერთო საქმით, ჩვენი პარტიის მთლიანობით. პარტია ყოველთვის შესძლებს ღირსეული პასუხი გასცეს დეზორგანიზატორებს. (ტაში).

ამხ. ხოდკოვი

ამხანაგებო, მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო წარმოების პრაქტიკულ საკითხებს. თბილისის კომიტეტის მოხსენებაში ლაპარაკი იყო პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებაზე ეს მართალია, მაგრამ რა იწვევს თვით ღირებულების ზრდას? პირველყოვლისა, დირექტორების ხშირი ცვლა. ვერ მოასწრობს ახალი დირექტორი საქმის დაწყებას, მუშაობის შესწავლას და შეჩვევას, რომ მას უკვე ცვლიან და სხვაგან გადაჰყავთ. ინიშნება ახალი, ის ისევ უშვებს შეცდომებს და ასე გრძელდება ზოგჯერ დაუსრულებლივ. გარდა ამისა, მეორე მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მუშის დანაწილება წარმოებაში არაა სწორი. ოსტატები ამ შემთხვევაში არ ღებულობენ სათანადო მონაწილეობას. ისინი უნდა განაგებდენ ამ საქმეს. ოსტატს არა აქვს მოვალეობა, ამიტომ არა აქვს პასუხსმგებლობაც. ოსტატები არ გამოდიან საწარმოო თათბირებზე თავიანთი წინადადებებით. მესამე მიზეზად, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას, უნდა ჩაითვალოს შრომის დისციპლინის არა სათანადო სიმტკიცით დაცვა. არის კიდევ მეოთხე გარემოება, რომელიც თავის დაღს აჩენს პროდუქციის თვითღირებულებაზე. მე ვლაპარაკობ ფაბრიკა-ქარხნების საანგარიშო საქმის მოუწესრიგებლობაზე. ალიხანოვის დროს ჩვენს ქარხანაში მაგალითად, მოანგარიშე, ბუღალტერი და კანცელარისტი იყო სულ 20 კაცი. ეხლა კი არის 120. წინათ ქარხანაში მუშაობდა 400 კაცი, ეხლა მუშაობს 500. კანცელიარიის ეს დიდი შტატი უმთავრესად უნდება სხვადასხვა ცნობების და სტატისტიკურ ციფრების შედგენას. მეხუთე მიზეზად პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებისა უნდა ჩაითვალოს ნედლეულობის მოწოდების მოუწესრიგებლობა. აი, ამხანაგებო, ის დეფექტები, რომელთა წინააღმდეგ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა, თუ ჩვენ გვსურს პროდუქციის თვითღირებულების ნორმალურ დონემდე დაყვანა.

ოპოზიციასთან კამათს ჩვენ ზომაზე მეტი დრო მოვანდომეთ. მე ვფიქრობ, რომ ესეც დიდათ გვიშლის ხელს სამეურნეო აღმშენებლობაში. მუშები ამბობენ, დრო იკარგება, რომ ეს დრო ფულზე გადავიყვანოთ ბევრ საცხოვრებელ სახლებს ავაშენებდითო. მუშები მოითხოვენ, ვისაც ლაპარაკი სურს და არა მუშაობა, მან დასტოვოს ჩვენი პარტია. (ტაში).

ამხ. რუბენი

ამხანაგებო, ამხ. თედორე კალანდაძე გუშინ გულმოდგინეთ გვეფიცებოდა ლენინიზმისადმი ერთგულებაში. ერთ რამეში ის მართლაც სდგას ლენინიზმთან. ეს მაშინ, როცა კალანდაძე აცხადებს, რომ ოპოზიციას ცოტა ორატორები ჰყავს (სიცილი). დანარჩენი კი მთელი ის აბდა-უბდა, რომელიც აქ მან გადმოალაგა, სრული დამახინჯება იყო ლენინიზმის და მეტი არაფერი.

როგორ შეაფასა ამხ. კალანდაძემ ამხ. რუძუტაკის მოხსენება? პირველი ნაწილით—სთქვა მან—რუძუტაკის მოხსენებისა, კიდეც მომეწონა, მეორე კი, როდესაც ის გადავიდა დასკვნებზე, როდესაც მან ილაპარაკა საერთო შედეგებზე, მიუღებელი იყოო. ამხ. კალანდაძეს დავიწყნია მარქსიზმის და ლენინიზმის ელემენტარული დებულება, რომ პოლიტიკა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება არის ეკონომიკის ზედნაშენი. რუძუტაკის მოხსენების პირველი ნაწილი, რომელიც მოეწონა თედორე კალანდაძეს, იყო სწორედ ანალიზი ეკონომიურ მდგომარეობის და ვერ წარმოგვიდგენია როგორ მოხდა, რომ ანალიზიდან გამომდინარე სწორი დასკვნები არ მოეწონა იმავე კალანდაძეს? ნუ თუ შესაძლებელია ასეთი სიბრიყვე? თუ თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება ეკონომიკის პოლიტიკისაგან დაშორება და ეს ლენინიზმად გინდათ გასაღოთ, ნება მოგვეცით მადლობა შემოგწიროთ ასეთი ლენინიზმისათვის. ეს არის უფრო ვირაპის შთამომავლობის ლენინიზმი (სიცილი).

ოპოზიციას საერთოდ უყვარს თეორიებზე ლაპარაკი. ისინი გვარწმუნებენ, რომ არ გვინდა მეორე პარტიაო, მაგრამ მე გეკითხებით. თქვენ: რა არის არალეგალური ანტიპარტიული სტამბა? რა არის მონაწილეობა საზღვარ-გარეთულ ანტი-ბოლშევიკურ პრესაში? რა არის საკუთარი ორგანიზაციული ცენტრი დაწყებული მოსკოვიდან სამტრედიამდე? ნუ თუ ეს არ არის მეორე პარტიის ჩანასახი? თუ თქვენ გულწრფელი ხართ, როდესაც ამბობთ არ გვინდა განხეთქილებაო, ეხლავე გადით ამ მეორე პარტიის შექმნის გზაზე შემდგარ ჯგუფიდან.

ამხ. კალანდაძემ აქ გუშინ საზიზღარი ცილი დასწამა ძველ, ცნობილ რევოლიუციონერ მუშას ამხ. გიორგი რთველაძეს. მან განაცხადა, რომ ამხ. რთველაძემ ანგარების მიზნით და იმიტომ, რომ ის თურმე მოიქანცა მიატოვა ოპოზიცია და გადავიდა პარტიის უმრავლესობის მხარეზე. ასეთივე არგუმენტაციები მოჰყავდა მენშევიკებს თავიანთ წევრების მიმართ, როდესაც ისინი გარბოდენ მენშევიკურ ბოლალატეების ჭაობიდან. მე ვკითხები თედორე კალანდაძეს, რით განსხვავდება მისი შედარება მენშევიკური შედარებისაგან? ამხ. კალანდაძე ლაპარაკობს აქ მენშევიკური ენით. (ტაში).

ეხლა მეორე, არა ნაკლებ სახელოვან ოპოზიციონერის შესახებ. ამხ. თუმანოვმა აქ გუშინ გვითხრა, რომ თქვენ ურტყამთ მარცხნივო. თურმე თუმანოვს წარმოდგენით, რა კი მას გონია, რომ ის და მისი მსგავსნი ჭეშმარიტი ლენინელებია, ამიტომ პარტია მათ ნებას მისცემს შექმნას ფრაქცია და არალეგალური ორგანიზაციები.

შემდეგ ამხ. რუბენს მოჰყავს ციტატები ზინოვიევის 1925 წ. ნაწერებიდან. ზინოვიევი სხვათა შორის სწერს: „ვინც აშენებს პარტიას ტროცკისთან ერთად, ის გამოდის ლენინიზმის საფუძვლების წინააღმდეგ“-ო. შემდეგ კი იგივე ზინოვიევი, როდესაც ის ოპოზიციაში მოექცა, მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ორი წმინდა პროლეტარული მიმდინარეობათა გამოხატულება პარტიაში (ე. ი. ტროცკიზმი და ზინოვიევ-კამენევის ჯგუფი) იმის მაგიერად, რომ იერიში მიეტანათ ოპორტიუნიზმისაკენ გადახრილ ცეკას წინააღმდეგ ერთმანეთს ურტყამენ თავში.

რა არის ეს, კითხულობს ამხ. რუბენი. ნუ თუ კომინტერნის ყოფილ ლიდერს შეჰფერის ასეთი ქანაობა? დღეს ის ტროცკის წინააღმდეგ არის, ხვალ კი ტროცკის უვარდება კალთაში. სრულიადაც შემთხვევითი არ ყოფილა, ამხანაგებო, ზინოვიევ-კამენევის შეცდომებანი ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში. თვით ლენინი ამბობს, რომ მათი შეცდომა შემთხვევითი არ იყო.

„მე სამარცხვინოთ ჩავთვლიდი ჩემთვის—სწერს ლენინი, რომ ჩემი წინანდელი ახლო დამოკიდებულების გამო ყოფილ ამხანაგებთან (ზინოვიევი, კამენევი) დამეწყო მერყეობა მათი დაგმობის საკითხში. მე პირდაპირ ვამბობ, რომ მათ ორივეს ამხანაგებათ აღარ ვსთვლი და მთელი ძალ-ღონით ვიბრძოლებ, როგორც ცენტრალური კომიტეტის, ისე ყრილობის წინაშე მათი გამორიცხვისათვის პარტიიდან“.

როცა ზინოვიევმა და კამენევმა ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღეებში „ნოვაია ჟიზნ“-ში გამოაქვეყნეს დოკუმენტი, რომელშიაც ისინი ილაშქრებდენ პარტიის გადაწყვეტილებას წინააღმდეგ, ლენინმა თავის წერილში—„ბოლშევიკების პარტიის წევრთა მიმართ“ განაცხადა, რომ ეს საქციელი

„ათასჯერ უფრო არამზადულია და მილიონჯერ უფრო მავნებელია, ვიდრე ყველა ის გამოსვლები, თუნდაც პლეხანოვის გამოსვლები, არა პარტიულ პრესაში 1906 და 1907 წელს, რომელსაც ასე გმობდა მაშინ პარტია....“

აი, ამხანაგებო, ამხ. ლენინის აზრი ზინოვიევ-კამენევის შესახებ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გუშინდელი მტრები ტროცკიზმისა, დღეს ტროცკის მონა-მორჩილი ყმები გახდენ.

დღეს ქართული ოპოზიცია ცდილობს მიიღოს მემარცხენე პოზა. წინათ კი ის გამოდიოდა კრიტიკით მარჯვნიდან. დღეს ქართული უკლონისტები აღარაფერს ლაპარაკობენ, ან უკეთ, ვერ ბედავენ ლაპარაკს, ამიერ-კავკ. ფედერაციის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ იციან თუ რა „თანაგრძნობას“ მოიპოვებენ თბილისის მუშებში.

პარტიამ ყოველივე ზომები იხმარა გადაგვარების გზაზე შემდგარ ოპოზიციის გადასარჩენად. ერთად-ერთი საყვედური, რომელიც ეთქმის პარტიას, ეს არის ის, რომ პარტია მეტის მეტად ლმობიერად ეკიდებოდა ოპოზიციას.

კერძოთ, საქართველოს ცეკა განსაკუთრებულ სულგრძელობას იჩენდა და 6 წლის განმავლობაში თავზე ხელს უსვამდა ოპოზიციას. თუ ეხლა პარტიამ აიღო კურსი, სასტიკი ბრძოლისაკენ ჩვენი რიგების გამთიშველების წინააღმდეგ—ეს არის უთუოდ სწორი კურსი. თქვენ იმდენად დაეშვით სოციალ-დემოკრატიისაკენ, რომ ხუთი წუთი ღა დაგრჩენიათ წმინდა წყლის სოციალ-დემოკრატებათ გადაქცევამდე. თუ ოპოზიცია გონს მოვა, თუ ის შეუწყობს ხელს პარტიის მთლიანობას, მით უკეთესი ოპოზიციისათვის, თუ ეს არ მოხდება, ოპოზიცია უნდა გასცილდეს ჩვენს რიგებს სამუდამოთ (მხურვალე ტაში).

ამხ. ლელაშვილი

ამხ. რუძუტაკმა თავის მოხსენებაში სთქვა, რომ ოპოზიცია მოკავშირეების ძებნის დროს იმდენად შორს წავიდა, რომ ბლოკი შეკრა თეთრგვარდიელ ინტელიგენციასთან. ასეა თუ არა ეს? მე დაგისახელებთ თქვენ რამდენიმე ფაქტებს, რომლიდანაც შეგიძლიან დასკვნა თქვენვე გამოიტანოთ, და სთქვათ, რამდენად ძირს დაეშვა ოპოზიცია პარტიასთან ბრძოლაში. იყო დრო, როცა ამხ. კოტე ცინცაძემ დამიბარა მე და წინადადება მომცა შემექმნა რკ. გზის დეპოში ოპოზიციონური წრე. რა არის ეს, თუ არა გათიშვა პარტიის და მის წინააღმდეგ არალეგალური ბრძოლა? მეორე შემთხვევაში კრებაზე, სადაც იყო აგრეთვე ლადო დუმბაძე, მე გადმომცეს ანტიპარტიული ფრაქციული ხასიათის ლიტერატურა მუშებში გასავრცელებლად. ჩვენ პირველად ვერ ვერკვევოდით შინაპარტიულ უთანხმოების საკითხებში. ამიტომ იყო შემთხვევა, როცა მოვაწყვეთ ოთხი კაცისაგან კრება, სადაც მოვიდა ამხ. სერიოჟა ქავთარაძეც.

დიდხანს არ გაუვლია, რომ ოპოზიციის დამღუპველი მუშაობა ყველა პატიოსან კომუნისტისათვის აშკარა შეიქნა. ამიტომ ჩვენ ერთხმად ვუარვყავით ეს გამთიშველი მუშაობა. კმარა, ამხანაგებო პარტიის რიგების რყევა. ეცადეთ, უფრო ფრთხილად იყოთ, მუშები არ მოითმენენ ამგვარ დეზორგანიზატორულ საქმიანობას.

გაუმარჯოს ცეკას, გაუმარჯოს ლენინურ ხაზს. (ტაში).

ამხ. ხინჩიანი

კონფერენციას დაავიწყდა პრაქტიკული სამეურნეო საკითხები და ის მთავარ ყურადღებას ანდომებს ოპოზიციასთან დავას. მე ვიტყოდი, რომ ეს არის მავნე გადახრა.

კერძოთ მე მინდოდა კონფერენციის ყურადღება შემეჩერებია დამზღვევი სალაროს მუშაობის შესახებ. იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი თამბაქოს ქარხნებიდან გავგზავნეთ მოხუცი ავათმყოფი მუშები დამზღვევ სალაროში. მუშებს შეეშინდათ, რომ საექიმო კომისია ავად მყოფად შეამოწმებდა მათ და გადაიყვანდა ოცმანეთიან თვიურ ჯილდოზე. ამიტომ ისინი შეეცადნენ კომისია დაერწმუნებიათ თავის ჯანმრთელობაში და ეს ასეც მოხდა. მე ვფიქრობ, რომ ეს არანორმალურია და თბილისის კომიტეტმა ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ამხ. საშა გეგეჭკორი

კონფერენცია ტაშით ეგებება ამხ. ს. გეგეჭკორის გამოჩენას ტრიბუნაზე.

თუ ამხანაგებო, დაიწყო ორატორმა, ოპოზიციის დაავადებულ ლიდერებს ცენტრში ჰგონიათ, რომ მათ ესმის ისტორიის ნაბიჯები და ნამდვილად კი არაფერი არ ესმით, ადგილობრივი ოპოზიციის „ლიდერუკებს“ მით უფრო არაფერი გაეგებათ. ამხ. ს. თუმანოვი, რომელიც გუშინ აქ გამოვიდა ჩვენი პარტიის კრიტიკით პირველად არ ილაშქრებს კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. იყო, დრო, როცა თუმანოვი რედაქტორობდა გაზ. „იზვესტიას“, საიდანაც თავს ესხმოდა კომუნისტურ პარტიას. დღეს ეს თუმანოვი გამოდის აქ და გვასწავლის ჩვენ ლენინიზმს. ის თურმე მეტს მოელოდა ამხ. რუძუტაკიდან და ეს მოლოდინი არ გაუმართლდა. არც გასაკვირია, რადგან თუმანოვს არ სურდა ამხ. რუძუტაკის მოსმენა. მას ჰქონდა „შპარგალკა“ ცენტრიდან და მოელოდა ამ შპარგალკით გამოსვლას.

ამხ. თუმანოვის სიტყვით გამოდის, რომ პარტია არ ასრულებს მე-13 ყრილობის დადგენილებას ორგანიზაციების მუშური შემადგენლობით გაძლიერების შესახებ. თავი რომ დავანებოთ ამ აშკარა შეუსაბამო ბრალდებას, საჭიროა დავსვათ საკითხი: ნუ თუ ოპოზიციის მთელი ისტორია სავსე არაა პარტიის დისციპლინის და პარტიულობის ფეხქვეშ გათელვის მაგალითებით? როცა ამის შემდეგ გამოდიან აქ და გვსაყვედურებენ პარტყრილობის დადგენილების შეუსრულებლობას, ეს მხოლოდ სიცილს იწვევს კონფერენციაზე და სრულიად სამართლიან სიცილს.

თუმანოვმა სთქვა, რომ ჩვენს პარტიაში იზრდება წვრილ-ბურჟუაზიული მასა: გლეხური და ინტელიგენტური ელემენტები. აქედან მას გამოჰყავს ისეთი დასკვნა, რომ ჩვენ ვიმყოფებით ამ მასების გავლენის ქვეშ და ვამახინჯებთ პარტიის ხაზს. ჯერ ერთი, საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმანოვმა განზრახ გვერდი აუხვია საკითხს დაზგის მუშების და მუშების შესახებ საერთოდ ჩვენს პარტიაში. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ნუ თუ დანაშაულად ჩაეთვლება პარტიას, ის რომ მან ღარიბი გლეხობა ჩააბა თავის რიგებში, გამოზრდიდა ისინი ბოლშევიკურად და თავისი ხაზის ახალი გამტარებელნი მოიპოვა სოფლად? სწორედ ოპოზიცია განიცდის წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენას და ის სწრაფად მიექანება ბარიკადების იქით.

ჩვენ ვიცნობთ ადგილობრივ განაწყენებულ პარტიულ ელემენტებს. ისინი მეორედ მოინათლენ, მათი ძველი სახელია უკლონისტები, ნაციონალ-კომუნისტები, დღეს კი ისინი გვევლინებიან ახალი ოპოზიციის სახით.

ეხლა რამდენიმე სიტყვა ამხ. თედორე კალანდაძეზე. ის მე ერთ სულდგმულს მომაგონებს, რომელიც, როცა ვერ პოულობს საკვებს, საკუთარ ძვალს უწყებს ღრღნას. ამხ. კალანდაძესაც მუდამ ასე მოსდის (სიცილი). მან სთქვა, როცა პარტია კრიზისს განიცდის, როცა პარტია საფრთხეშია, მაშინ უნდა ამოვიღოთ ხმაო. ეს არის მტრის სტრატეგია. მხოლოდ მტრები ამბობენ ამას: როცა ბოლშევიკურ პარტიას გაუჭირდება, მაშინ ეცით მას ყელშიო. წაიკითხე „ორი ნოეს“ წერილი ემიგრაციიდან. ისინი თავიანთ იმედებს ამყარებენ ჩვენს საერთაშორისო და შინაურ გართულებაზე. ისინი მოუწოდებენ თავიანთ პარტიის ნამსხვრევებს, სწორედ ასეთ მომენტში იხელთონ დრო და მიიტანონ იერიში კომუნისტების წინააღმდეგ. მე ვეკითხები ამხ. კალანდაძეს, ვისი ენით ლაპარაკობს ის? (ამხ. კალანდაძე ადგილიდან: „პარტიის კრიზისის დროს თავი უფრო მუშაობს“ (სიცილი). შენი თავი, განაგრძობს ამხ. გეგეჭკორი, არასოდეს არ მუშაობს (სიცილი). ამხ. კალანდაძე აქ გვასწავლის, რომ გათიშვას ყოველთვის უმრავლესობა იწვევდაო ეს სისულელე შეიძლება მართალია, რადგან ცეკა მეტად ეფერებოდა ოპოზიციას და ამით ათამამებდა მას. ჰკითხეთ კალანდაძეს, სად არის ის მთელი ამ სამი წლის განმავლობაში? ის მხოლოდ პარტიის პენსიონერია. როდესაც კალანდაძე ლაპარაკობს, ძველი მუშების შესახებ, რომელთაც დასტოვეს ოპოზიცია, რომ ეს მუშები კუჭის საკითხით ხელმძღვანელობდნენ, ის იმეორებს თავის მასწავლებელ ცინცაძეს სიტყვებს. მე კი შემიძლია დავასახელო ასეთი მაგალითი 1916 წლის შემთხვევიდან. ამხ. კალანდაძე მაშინ ამეცადინებდა ერთ ჯგუფს და ის არ წავიდა სამეცადინოთ ამ ჯგუფში მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიამ მას პალტო არ უყიდა. (ხმები: სირცხვილი). მგონი საკმარისია თედორე კალანდაძეზე.

ეხლა გაკვრით მეორე ოპოზიციონერის, ამხ. ვირაპის შესახებ. (სიცილი) ის ძველი კომუნისტია, 1848 წლიდან არის პარტიაში (სიცილი). მაგრამ ეს სრულიად ხელს არ უშლიდა, რომ 1915 წელს დაშნაკცუტუნის პარტიის წევრი ყოფილიყო. 1922 წელში ვირაპი თავს ესხმოდა უკლონისტურ ოპოზიციას. ეხლა ის ამავე ოპოზიციას მხარში უდგას. რა მოხდა? მოხდა ის, რომ ვირაპმა ჯერ ჩაიდინა რამდენიმე სისაძაგლე მუშების წინაშე და შემდეგ დადგა ოპოზიციის სათავეში. კმარა. მოთმინებასაც საზღვარი აქვს. მე თვით მოვიკვეთე განგრენა ჩემს სხეულზე (უჩვენებს თავის მტკივან ფეხს). პარტიამაც უნდა მოიკვეთოს ყველა ხორცმეტები. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მიხაილოვა

თბილისის კომიტეტის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ მას დიდი მუშაობა ჩაუტარებია. კერძოთ, ჩვენ გავიგეთ, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში დაწინაურებულია 214 მუშა. საჭიროა აქვე ითქვას დაწინაურების საქმეში ზოგიერთ დეფექტების შესახებ. ადმინისტრაცია არ უწყობს ხელს მუშების დაწინაურებას. ის ცდილობს დაბრკოლება შეუქმნას მუშებს დაწინაურების დროს.

გარდა ამისა, დაწინაურებულთა შორის მხოლოდ სამი ქალია. თბილისის კომიტეტმა ამ არანორმალურ მდგომარეობას უნდა მიაქციოს ყურადღება. შემდეგ, ბავშვთა სახლებისა და სკოლების შესახებ. აქ პარტიამ გაგზავნა კომუნისტები, გააძლიერა პედაგოგიური პერსონალი, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვაჭრების შვილებს ჩვენი ბავშვთა სახლების და სკოლების გამგეები ზოგჯერ უფრო მეტი სიმპატიით ეკიდებიან, ვიდრე მუშებისას. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები მუშების შვილების რიცხვის გასაძლიერებლად ბავშვთა სახლებში და სკოლებში. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე თბილისის კომიტეტის მიერ გასამხედროების საქმეში მშრომელი ქალთა მასების ჩაბმას. მომავალ თავის მუშაობაში თბილისის კომიტეტმა უნდა მოაგვაროს ეს დეფექტები.

ამხ. არეშინი

მე მინდა შევჩერდე ერთ საკითხზე, რომელზედაც აქ არაფერი უთქვამთ. ეს არის პარტგადასახადის თავის დროზე შეუტანლობა. არის შემთხვევები, როდესაც უჯრედები ადგენენ გარიცხონ ეს თუ ის ამხანაგი პარტიიდან საწევრო გადასახადის არშეტანისათვის. რაიკომი ამტკიცებს ამ დადგენილებას და როდესაც საქმე გადადის საკონტროლო კომისიაში იქ აუქმებენ ქვედა ორგანიზაციების დადგენილებას. ამხანაგები გვწერენ, რომ დამნაშავემ მოგვცა პატიოსანი სიტყვა, რომ ის მომავალში თავის დროზე შეიტანს საწევრო გადასახადსო. ასეთი მუშაობა არღვევს დისციპლინას.

შემდეგ ამხანაგი ეხება ოპოზიციის გამთ ველ მუშაობას და ამბობს, რომ „მე-15 ყრილ ბამ ბოლო უნდა მოუღოს პარტიაში ასეთ არ ნორმალურ მდგომარეობას“-ო.

ამხ. კირილე კაკაბაძე

ჩვენი ოპოზიციონერები არ არის ამაყი აზიზი ხალხი. ისინი მზად არიან მხარი დაუჭ რონ ყველა ჯგუფებს და მიმდინარეობათ, რო ბოლშევიკური პარტია შელანძღონ. ისინი მზა არიან აგრეთვე კავშირი იქონიონ ტროცკისტა ზინოვიევთან, კამენევთან, საპრონოვთან, შლიაპ კოვის, ჯგუფთან და ასე დაუსრულებლივ. აქ ს ტყვით ლენინიზმის მჭეს ფიცულობენ, საქმით კი განხეთქილებისაკენ მიმართავენ მთელ თავი ენერგიას. საკმაოა ოპოზიციამ შენიშნოს რაიმე სიძნელე, რომ ის მაშინვე თავს დაესხას ცეკა და მისი ხაზი შემცდარად გამოაცხადოს.

ჩვენი პარტიის ისტორია სავსეა დამარცხება-გამარჯვების მაგალითებით. ზოგჯერ დამარცხება ხდება იმიტომ, რომ პოლიტიკა არ არის სწორი. ამას რასაკვირველია, ჩვენი ოპოზიციონერები ანგარიშს არ უწევენ.

რამოდენიმე სიტყვა ამხ. თედორე კალანდაძეზე. მან წამოაყენა ორი დებულება. ერთი ის, რომ უმრავლესობა იწვევს პარტიის გათიშვას, და მეორეც ის, რომ საჭიროა კრიტიკის გაძლიერება პარტიის წინააღმდეგ, როცა ის კრიზისს განიცდის. ასეთი სისულელეების ლაპარაკი შეუძლებელია მივარდნილ, მიყრუებულ კუთხეების აუდიტორიის წინაშე. მით უფრო დაუშვებელია ის აქ, თბილისის კონფერენციაზე — სადაც ზის ხალხი, რომელსაც ესმის და წაუკითხავს მარქსისა და ლენინის ნაწერები. (ამხ. კალანდაძე ისვრის რეპლიკებს, რომელიც საერთო ხმაურობაში არ ისმის). როცა თქვენ ამხ. კალანდაძე — განაგრძობს ორატორი — ლაპარაკობდით სისულელეებს, მე არ გიშლიდით, ნუ მიშლით ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტია ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა განხეთქილება და გადაერჩინა ფრაქციული უმცირესობა მაინც მიდის განხეთქილებისაკენ. და თუ ვინმე შესაფერის სასჯელს მიიღებს, დაე მან ბრალი საკუთარ თავს დასდოს.

რაც შეეხება ამხ. კალანდაძის მეორე დებულებას, უნდა ითქვას,—რომ პარტიის მთელი ისტორია ჩვენ მას გვეუბნება, რომ სწორედ კრიზისების დროს არის საჭირო გაკაჟება და [illegible] სიძნელეების დასაძლევად. საიდან მოიტანა თედორე კალანდაძემ, რომ კრიზისის დროს უნდა დაესხა პარტიას თავს.

მთელი ბურჟუაზიული პრესა ერთხმა ტბას ასხამს დღეს ოპოზიციას. ეს უკვე ფერს ლაპარაკობს. ამხ. კალანდაძემ გუ ძველ კომუნისტს, ამხ. გიორგი რთველაძ ტად ცუდი თვისების ბრალდება წაუყენა. ტიაში არაა ისეთი ელემენტები, რომელნიც ზიციას ებრძვიან და კუჭის საკითხით ხელმ ნელობენ. მე ასე უხეშად არ ვიტყვი ოპოზიციო შესახებ, ოღონდ ერთი რამ აშკარაა, რომ იგით ოპოზიცია ხელმძღ ელობს „[illegible]“ მოსაზრებებით. (სიცილი, ხმები: „მართალია“!)

ტროცკიზმი პერმანენტული ომია ლენინიზმთან. თქვენ ირაზმებით ტროცკიზმის დროშის ქვეშ. აბა ვინ დაგიჯერებთ, რომ თქვენ ლენინელები ხართ? (ხმები: „ვირაპი დაუჯერებს“. სიცილი).

ჩვენ არავის დავანებებთ ლენინიზმის სისხლში გამოწრთობილ დროშას. ჩვენი და არა თქვენი მიზანია სოციალიზმი. თქვენ ამბობთ, რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენება სტალინის ბოდვაა, ჩვენ კი ვაშენებთ უკვე სოციალიზმს, ჩვენ მტკიცე საძირკველს უყრით მას. (თედორე კალანდაძე ადგილიდან: „დიახ ვაშენებთ“) თქვენ ამხ. კალანდაძე — განაგრძობს ორატორი, აშენებთ სოციალიზმს კურორტებზე (სიცილი).

ოპოზიციამ ხმა მისცა საკავშირო ცაკის მანიფესტის წინააღმდეგ. ამავე დროს იგივე ოპოზიცია მოითხოვს ხელფასის გადიდებას. მე გეკითხებით თქვენ, რა არის 7 საათის სამუშაო დღე ძველი ხელფასის დატოვებით თუ არა გადიდება მუშის ქირისა? რატომ მიდის მაშინ ოპოზიცია ამის წინააღმდეგ. ეს იმას მოწმობს, რომ ოპოზიცია ყოველივე ხავსს ეკიდება პარტიის ხელის გასატეხად. ჩვენ კი მათ უპასუხებთ ამაზე: ხელები შორს ლენინის სახელოვან პარტიისაგან. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ე. ფირცხალავა

ამ კონფერენციაზე ერთხელ კიდევ გამოირკვა, რომ ოპოზიციის ლაშქარი ორნახევარი კაცისაგან შესდგება. ოპოზიციას სხვა არაფერი დარჩენია და ის მუშებს უსაყვედურებს, რომ თქვენ ლუკმა პურისთვის მისდევთ პარტიასო. ლუკმა პურისთვის მუშები არ სჩადიან იდეების შეცვლას. ეს სჩვევია ოპოზიციურად განწყობილ ინტელიგენტებს. (ტაში). ნურ დაუშლ ხელს პარტიას იმ ოდ მუშაობაში, რომელ ის აწარმოებს, თორემ ყველა აგებს შესაფერ პასუხს. (ტაში).

ამხ. ვასილიევი

მე ახალი კაცი ვარ თბილისის ორგანიზაციაში. ამიტომ განსაკუთრებით მეინტერესებოდა თბილისის ოპოზიციის ლიდერების გამოსვლა. სინიდისის წინაშე და გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ ასეთი საცოდავი გამოსვლა, როგორსაც აქ ქონდა ადგილი, მე არ მინახავს. ამხ. კალანდაძეს ლენინიზმის არაფერი შერჩენია. მაგრამ თუ გავყვებით მის დებულებას, როცა ის ამბობს, რომ უმრავლესობა სთიშავს პარტიას, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ მას ტროცკიც გამოაგდებს თავის ფრაქციიდან. (სიცილი, ტაში). ტროცკი თითონ არ არის ამის მომხრე.

ამხ. ვასილიევს მოჰყავს ციტატა ტროცკის ნაწერებიდან, სადაც ის ამხ. კალანდაძის მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა გამაბათილებელ შეხედულებებს გამოსთქვამს. ამრიგად, ამხ. კალანდაძე, ლენინისგან წალით, ტროცკიმაც გაგრიყა! სად ხართ, რაზე ჰკიდიხართ? (სიცილი).

მე ამ დღეებში ვიყავი ერთ კრებაზე, სადაც მოხსენების შემდეგ შემეკითხა ერთი დამსწრეთაგანი: „სწორია თუ არა, რომ სტალინის წინააღმდეგ გამოსვლას, პარტიის წინააღმდეგ გამოსვლად სთვლიანო“? ეს არის ახალი ოპოზიციონური ფანდი. ეს ჩვენ ამხანაგებო, ვერ შეგვაცდენს. დიახ სტალინის წინააღმდეგ გამოსვლა, არის პარტიის წინააღმდეგ გამოსვლაც. ტყუილია. სტალინს ჩვენ არავის დავანებებთ. სტალინი ხდება როგორც ფოლადი (Сталь) როცა მას პარტია უბრძანებს ამა თუ იმ დადგენილების გატარებას. სტალინი ლენინურ პარტიის განუყოფელი ნაწილაკია.

ოპოზიცია ცილს სწამებს წითელ არმიას, რომ მისი მეთაურთა შემადგენლობა ძველი ოფიცრებისაგან შესდგება. საქმის ნამდვილი ვითარება კი ასეთია: მეთაურთა შემადგენლობაში ახალ წითელ მეთაურების რიცხვი უდრის 89 პროც., ხოლო ძველი ოფიცრობის 11 პროც. და ისიც ეს ოფიცრობა დანაწილებულია შტაბებში, ისინი არ ქმნიან პოლიტიკას მაშ რაღა საჭიროა ამის შემდეგ რაღაც ბონაპარტისტულ ავანტიურაზე ლაპარაკი, რომლის პირობებიც თითქოს იქმნება წითელ არმიაში? ეს სჭირდება ზოგიერთებს, რომელთაც თვით უტრიალებს თავში ბონაპარტისტული იდეები. მაგრამ მათ არ ეღირსებათ ამ იდეების განხორციელება. ჯარი პარტიასთან იყო და პარტიასთანვე დარჩა. (ტაში).

ამხ. ოტიაშვილი

ბურჟუაზია ჩვენ მრავალ დიპლომატიურ პროვოკაციებს გვიწყობს, რომ ომში ჩაგვითრიოს. ზოგჯერ კიდეც იფიქრებ: „რატომ უნდა

(კამათის გაგრძელება იხ. მეოთხე გვერდზე)

ეროვნული

თმინოთ ამდენი შეურაცყოფა?“ მაგრამ უფრო სხვა და გონიერ ხაზს ატარებს. ავმოყვარეობისათვის არ გასწირავს რევო- ციის ინტერესებს და ათეულ ათას მშრომე- ა სიცოცხლეს.

მინდა შევეხო რამდენიმე პრაქტიკულ ში- არტიულ საკითხებს, სახელდობრ, ჩვენ განვი- ით ლიტერატურის ნაკლებობას. თბილისის მიტეტის აგიტპროპი ზოგჯერ ვერ მიგვითი- ბს ამ ლიტერატურაზე, რომელიც საჭიროა შებისათვის. გარდა ამისა, არაა ლაპარაკი თბი- ისის საანგარიშო მოხსენებაში იმის შესახებ რა მუშაობა იქნება ჩატარებული ანტი რე- იგიური პროპაგანდის დარგში, მომავალში თბი- ისის კომიტეტმა უნდა გადადგას ნაბიჯები ამ ეფექტების მოსაგვარებლად. (ტაში).

ამხ. იმნაიშვილი

თბილისის მაზრის პარტორგანიზაცია იზრდება რიცხვობრივად და თვისობრივადაც. მაგრამ ორგანიზაციის მუშაობაში არის ერთი ნაკლი. ეს ის, რომ არ არის სათანადოდ ცოცხალი კავშირი თბილისის კომიტეტსა და სოფლის ორგანიზაციებს შორის. ეს კავშირი მომავალში უფრო მჭიდრო და მტკიცე უნდა იქნეს. იყო ცდები ოპოზიციონური იდეების გადმონერგვისა მაზრის ორგანიზაციებში. მაგრამ სოფლის კომუნისტებმა ღირსეული პასუხი გასცა ოპოზიციას და არ გაჰყვა მას. ოქტომბრის რევოლუციამ— ულიცხა ეროვნული ალორძინება მიანიჭა ჩაგრულ ხალხებს. ჩვენ მთლიანი ფრონტით სომეხ და ათარ მშრომელებთან ერთად უნდა დავი- ცვათ ოქტომბრის მონაპოვარი. ოპოზიცია ილა- შქრებს მანიფესტის წინააღმდეგ. ჩვენ აქ დაგვრჩია უთხრათ მას: კმარა ლაპარაკი, დროა საქ მივყოთ ხელი. (ტაში).

ამხ. ანდრო ფირცხალავა

ანაგებო, ამ 30 წლის განმავლობაში მე სა- კარგად გავცნობილი ვარ რევოლუციო მოძრაობას ჩვენში. მე კარგად მახ- თუ როგორ დაიწყო განხეთქილება სოციალ-დემოკრატიის რიგებში. მაშინ მაშინებდა ეს შინაპარტიული ლა. მაგრამ როდესაც უმრავლესობა, ე. ი. კური პარტია, დარწმუნდა თავის სის- ის მტკიცედ წავიდა წინ თავისი გზით ხედავთ დღეს, რა გამარჯვება მოგვცა ის მუშაობამ.

ოზიციონერები ამბობენ: ძველი კომუ- მოხუცდნენ, ინვალიდები გახდნენ და მიატოვეს ოპოზიციაო. ნუ თუ შესახ- ავხდი? საიდანაც არ უნდა მომიარონ, რაც არ უნდა შეეცადონ, თქვენ ჩემი წარ- ვიცით, რომ ანდრია ფირცხალავას ვერ მოისყიდის. იყო დრო, როცა ჟანდარმეულსაც გვაძლევდნენ და რევოლვერსაც რებდნენ, რომ შეგვეცვალა ჩვენი იდეები. მ არაფერი გაუვიდათ (კალანდაძე ადგილიდან: „კაცო, შენზე არ მითქვამს“, ხმები: „უკან იბეჯს!“) ხალხური ანდაზა ამბობს— გრძობს ამხ. ფირცხალავა, „რძალს ეუბნეოდენ, მული შენ გაიგონეო!“, მაინც და მაინც საჭირო [illegible] ჩემი ფასხუდებლობა?

დროა შევიგნოთ, რომ პარტიის უმრავლესობის დადგენილება ჩვენი დადგენილებაა, და ის ურყევი ნებით უნდა გავატაროთ. არ შეიძლება ყოყმანობა. სხვაზე ნაკლებ ოპოზიციონერობა არც მე შემიძლია, მაგრამ ვიცი სად და როგორ უნდა გავატარო პარტიის ხაზი. ის რაც უნდა მუშათა კლასს და მათ ინტერესებს—უკვე კეთდება. არ შეიძლება ცეცხლთან თამაში. ბოლო უნდა მოეღოს ამ კანკლობას. ოპოზიციამ შეაწირა ეს კონფერენცია, მის შესახებ დაობას უნდება ყველა. პარტია უჩვენებს დეზორგანიზატორებს და ფრაქციონერებს თავის გზას. (მხურვალე ტაში).

ამხ. ალახვერდ ჰუსეინოვი

27 წელიწადია რაც წარმოებაში ვარ. მე ვადევნებ თვალს ბოლშევიკურ პარტიის მუშაობას და ვრწმუნდები, რომ ტროცკი მუდამ და განუწყვეტლივ იბრძოდა ლენინის წინააღმდეგ. ის იძულებული იყო დროგამოშვებით დამორჩილებოდა ჩვენს პარტიას. მაგრამ საბოლოოდ არასოდეს მოსულა ლენინიზმთან. ეხლა ოპოზიცია, რომელიც ირაზმება ტროცკიზმის დროშის ქვეშ, აწყობს არალეგალურ სტამბას, ბეჭდავს პროკლამაციებს პარტიის წინააღმდეგ. ამხ. თედორე კალანდაძე, მე მახსოვს, როცა მე და შენ ვიჯექით საგანგებო რაზმის საკანში, მე მაშინ პატივს გცემდით თქვენ, ეხლა კი ნურას უკაცრავად, ჩვენ შორის ის ძველი ამხანაური დამოკიდებულება აღარ იქნება, რადგან ნ გათიშვა გინდა პარტიის. არც ერთი მუშა ენ არ წამოგყვება.

ამხ. იობიძე

მე მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ამხანაგი ვერ ერკვევა საკითხებში და ჰქმნის ერთგვარ გაუგებრობას. ამხ. თუმანოვი აქ ამტკიცებდა, რომ მუშები კლებულობს პარტიაში და ამიტომ წვრილ-ბურჟუაზიული გარემოცვა მეტ გავლენას ახდენს მასზე. ვთქვათ ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ წვრილ-ბურჟუაზიული ზეგავლენა გამოხატულებას პოულობს სწორედ ოპოზიციაში.

შემცდარია ვინც ფიქრობს, რომ ოპოზიცია შესდგება ერთ სოციალურ წრისაგან. მათი ბლოკი არის უფრო ბლოკი ტაქტიკური. არსებითად, ოპოზიცია სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფების წარმომადგენელია. ამიტომაც ძლიერია მასში არა პროლეტარული ტენდენციები.

მე მინდა, ამხანაგებო, მიუხედავად ამისა, შევაჩერო თქვენი ყურადღება ერთ გარემოებაზე. ჩვენ უფრო ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ პარტიის რიგებიდან გარიცხვის საკითხს. ჩვენ უნდა შევეცადოთ დავიცვათ ის კაპიტალი, რომელიც მოგვეპოვება ამა თუ იმ დროებით გადახრილ ამხანაგის სახით. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები მათ შესანარჩუნებლად პარტიისათვის. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა ლენინიზმის საფუძვლების წინააღმდეგ.

ამხ. ბელიაევსკაია

საზოგადოდ ჩვენ გვჩვევია პარტიულ კონფერენციებზე პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტა და ახალ ამოცანების დასახვა. ამას ჩვენს კონფერენციაზე ადგილი არ ჰქონია. მთელი ყურადღება უნდება ოპოზიციასთან ბრძოლას. დიდი ნაკლი, რომელიც ახასიათებს პარტიას—ჩემი აზრით, ესაა გაზვიადება ოპოზიციასთან ბრძოლის. ის არ ღირს ამათ. ამხანაგები აქ უნდებიან ოპოზიციაზე ლაპარაკს, მაგრამ იშვიათად ეხებიან პრაქტიკულ საკითხებს. შინაპარტიულ მდგომარეობის გამწვავების გამო, მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში მოდუნებულია. ოპოზიცია დარწმუნებულია თავის სიმართლეში, მაგრამ ის ინერციით და ფრაქციული დისციპლინის ძალით განაგრძობს ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ. (ხმები მართალია).

რატომ არ შეიძლებოდა მაგალითად, რომ კონფერენციას შეეჩერებია ყურადღება ქალთა შორის მუშაობაზე? ამ საქმეს ნაკლები ყურადღება აქვს დღის დღეობით. თუ არის საერთო დირექტივები და მითითებები, თორემ კონკრეტული მასალა ქალთა შორის მუშაობის დარგში ჩვენ ცოტა გვქონდა. ოპოზიციონერი მედრეკიანი პოპულიარს გამოძახილს ქალთა შორისაც. ამხ. კოლონტაი ცნობილი ბელადი იყო ოპოზიციის, მაგრამ საბჭოს წევრ მუშა და გლეხ დეპუტატ ქალების საკავშირო ყრილობაზე ის გამოვიდა სასტიკი კრიტიკით და დაგმო დღევანდელი ოპოზიციის მუშაობა. ქალთა ეს ყრილობა საუკეთესო პასუხია მერყევებისათვის—სთქვა მან, რომლებიც ვერ ამჩნევენ თუ როგორ იზრდება ჩვენში საბჭოთა საზოგადოებრიობა და კოლექტიური ინიციატივა. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ოპოზიციას გასავალი არ ექნეს ქალთა შორის და მას საერთოთ არ ექნეს გასაქანი ჩვენს პარტიაში. (ტაში).

ამხ. ვანო სტურუა

ამხ. სვანიძის მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ იყო ამომწურავი და ობიექტიური. მან აღნიშნა როგორც მიღწევები, ისე ნაკლი. ოპოზიცია, რომ ხელს უშლის საერთო საბჭოთა და პარტიულ მუშაობას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ კონფერენციაზე ამდენი ყურადღება ექცევა შინაპარტიულ საკითხებს და ოპოზიციის წარმომადგენლები არაფერს ლაპარაკობენ ჩვენს პრაქტიკულ საკითხებზე. თითქოს ოპოზიციამ მიგვითითა ნაკლზე, მაგრამ არც ერთი ნაკლი მისაღები არაა. ბოლოს და ბოლოს საქმე ნაკლის აღნუსხვაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ოპოზიციას სურს დაიპყროს პარტიის ხელმძღვანელობა.

16 ოქტომბრის 1926 წლ. განცხადებაში ოპოზიციამ მისცა პარტიას პირობა, რომ ის არ აწარმოებს ფრაქციულ მუშაობას. მეორე უფრო კიბულ-მოკიბული ასეთივე ხასიათის განცხადებაში 8 აგვისტოს მან ეს პირობა გაიმეორა, მაგრამ ანტიპარტიულ მუშაობამ ამ განცხადებათა შემდეგ უფრო იმატა. და ეს მუშაობა იმდენად შორს წავიდა, რომ ოპოზიციამ მიაღწია ვრანგელის მიმდევარ ინტელიგენციის კავშირამდე.

ამბობენ, რომ ოპოზიციაში პარტიის ძველი წევრები შედიანო. ნათქვამია: ძველისთვის მადლობა, ახალ მუშაობაზე კი პასუხი აგეო. კაუცკი ერთ დროს მარქსის პირველი მოწაფე იყო. დღეს ის ყველაზე ბებერია, მაგრამ ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერია მუშათა კლასის.

ოპოზიცია ეძებს მოკავშირეებს და ის უხვად პოებს მათ მეორე ინტერნაციონალის ბანაკში. მე ვიყავი 1922 წელს ოპოზიციონერთა ერთ-ერთ კრებაზე, და მაშინვე დავრწმუნდი, საით მიდიოდა ოპოზიცია. ამ კრებაზე ამხ. თუმანოვმა სთქვა: თუ არ დავამარცხეთ ადგილობრივ კომუნისტების ის ჯგუფი, რომელიც ფაქტიურად განაგებს ჩვენს მხარეს, მაშინ იძულებული ვიქნებით გამოვიდეთ რუსეთის კომუნისტურ პარტიიდან და ცალკე პარტია დავაარსოთო. ამ გზით შევიდეთ კომუნისტურ ინტერნაციონალშიო. (ხმები: „სირცხვილი, სირცხვილი“).

მძიმე მომენტში ოპოზიცია ხმას იმაღლებს. ჩვენ გვქონდა უდიდესი მძიმე მომენტი, ეს იყო ამხ. ლენინის გარდაცვალება. როგორ უპასუხა ამას მუშათა კლასმა. ის ასეული ათასობით შემოვიდა ჩვენს პარტიაში.

საუკეთესონი დღის გადიან ოპოზიციიდან. ვინც დარჩა, ის მუშებს ცილს წამებს, თითქოს ისინი მოისყიდნენ. საკითხავია: ნუ თუ ამხ. კალანდაძე არ მოიქანცა სამი წლის დასვენებით? ოპოზიცია ტყუილა ცდილობს წყლის ამღვრევას, მას ნახტომი არ გაუმართლდება. (ტაში)..

დასასრულ პრეზიდიუმი აცხადებს, რომ კონფერენციის სახელზე მიღებულია მისალმების დეპეშა ლეჩხუმის პარტორგანიზაციიდან.

27 ოქტომბრის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

გრძელდება კამათი ამხ. რუძუტაკის, სვანიძის, და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. სილაძე

მე მინდა შევეხო კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მდგომარეობას. დღეს თბილისის კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს 15.000 კაცს. ჩვენი რიგები დღითი დღე იზრდება რიცხობრივად და თვისობრივად. ამასთან ერთად იზრდება კომკავშირის საზოგადოებრივი თვით მოქმედება.

კომკავშირი სოფლად და ქალაქად დიდ მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში. აგრეთვე თანდათან მნიშვნელოვანი ხდება კომკავშირის მონაწილეობა პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებაში. კომკავშირი აწარმოებს ბრძოლას მუშაობაზე დაგვიანებით გამოცხადების წინააღმდეგ და მშრომელთა მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში.

ჩვენ ჩავატარეთ აგრეთვე დიდი მუშაობა ანტისაბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზაციულად გახრწნისა და იდეოლოგიურად დაპყრობის მხრივ. ჩვენ გადმოვიბირეთ ახალგაზრდა მარქსისტებიდან 500 კაცი ამ ორგანიზაციის საუკეთესო ელემენტი.

ყველაფერი რიგზე არ არის ფიზკულტურის დარგში. ამ საქმეს ისეთი ხალხი ხელმძღვანელობს, რომელიც ჩვენ არას შემთხვევაში არ გამოგვადგება კომუნისტურ ახალ თაობის აღმზრდელათ. საჭიროა ფიზკულტურის ხელმძღვანელ ორგანოების კომუნისტური ძალებით გაძლიერება, რომ ეს ორგანიზაცია გადაიქცეს კომკავშირის ფიზიკურად გაწვრთნის ნამდვილ საშუალებათ.

მე უნდა აღვნიშნო კიდევ, რომ მუშათა დაწინაურების საქმეში ადგილი აქვს ზოგიერთ არანორმალობას. ჩვენი ამხანაგები ხშირად უარს ამბობენ, უფრო მაღალ თანამდებობების დაჭერაზე, ვინაიდან არის შემთხვევები, როცა დაწინაურებული ახალგაზრდა მუშა უფრო ნაკლებ ხელფასს ღებულობს, ვიდრე ის ღებულობდა დაწინაურებამდე მუშაობის დროს.

როგორ გამოხმაურებას პოულობს კომკავშირში შინაპარტიული უთანხმოება? საქართველოში კომკავშირულ ოპოზ. მეთაურობს ცეკას ყოფილი წევრები, რომელნიც ეხლა შურს იძიებენ და ყოველნაირად ცდილობენ ნორმალურ მუშაობისათვის ხელის შეშლას. კომკავშირისა და პარტიის ოპოზიციის შორის დიდი მსგავსებაა. მაგალითად: ოპოზიციონერები უდგენენ პარტიას თავის პლატფორმას. ჩვენმა ოპოზიციამაც შემოიტანა ცეკაში საკუთარი პლატფორმა 18 ფურცელზე დაბეჭდილი; ოპოზიცია ლაპარაკობს—პარტია გადაგვარდაო, კომკავშირის ოპოზიცია კი ამბობს—კომკავშირი გადაგვარდაო; თუ ოპოზიცია ამბობს, რომ ერთი მხრივ არსებობს სტალინის ფრაქცია და მეორე მხრივ ოპოზიცია, ჩვენი ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ერთი მხრივ არსებობს გობეჩიას ფრაქცია და მეორე მხრივ ისინი (სიცილი). ერთი სიტყვით, სათანადო ადგილას შეცვლილია სათანადო სიტყვები.

მე შემიძლია გითხრათ, რომ კომკავშირის მასამ სულ იზოლაციაში მოაქცია ეს დეზორგანიზატორები და, როგორც ერთი კაცი, ისე დგას ლენინურ კომკავშირის ცეკას დროშის ქვეშ. ლენინური ახალგაზრდობა მუდამ ერთგული მიმდევარი იყო თავის ხელმძღვანელ კომუნისტური პარტიის და ის ახლაც ერთგულად გაჰყვება მას მომავალშიც ყოველ დაბრკოლებათა და წინააღმდეგობების დასაძლევად.

ამხ. ნოე ლეჟავა

ამხანაგებო, წარსული კონფერენცია უმთავრესად პრაქტიკულ და საქმიან საკითხებს ეხებოდა. წლევანდელი კონფერენცია კი თავის ყურადღებას ანდომებს შინა-პარტიულ ბრძოლას. ეს ბუნებრივია, რადგან თბილისის ორგანიზაცია მოწოდებულია პირველ რიგში იდგეს პარტიის მონოლითობის სადარაჯოზე. მე მაინც ვეცდები შევეხო ზოგიერთ საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხებს.

ამხ. სვანიძემ აქ აღნიშნა,—რომ საბინაო აღმშენებლობის დარგში, ჩვენ გვაქვს მიღწევები. მაგრამ არაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ რა არის გაკეთებული იმისათვის, რომ გავაიაფოთ საბინაო აღმშენებლობა? ამავე დროს ცხადია,— რომ ჩვენ ამ დარგში მოვიკოჭლებთ. წარსულ კონფერენციამ მისცა თბილისის ორგანიზაციას დირექტივა, რომ საბინაო აღმშენებლობისათვის დიდი ყურადღება მიექცია. ჩვენ უნდა შევამოწმოთ, რამდენად გატარებულია ეს დირექტივა და ხელახალი მითითებანი მივსცეთ თბილისის კომიტეტს საბინაო აღმშენებლობის შემდგომი გაფართოებისათვის.

გარდა ამისა, მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ჩვენი შრომის სკოლების მდგომარეობაზე. აქ ჯერ კიდევ ვერაა დაყენებული ისე საქმე, რომ შრომის პროცესში ჩაბმული იყვეს ბავშვთა უმრავლესობა. საჭირო კი არის, რომ საბჭოთა შრომის სკოლა მთლიანად ამართლებდეს თავის სახელწოდებას და დანიშნულებას.

რამდენიმე სიტყვა უმუშევარ კომუნისტებზე და კომკავშირელებზე. ხაზი, რომელიც აღებული აქვს თბილისის ორგანიზაციას ამ საკითხში, სწორია. ის მიზნად ისახავს უმუშევარ კომუნისტების და კომკავშირელების კვალიფიკაციურად მომზადებას. ეს აუცილებელია, რადგან თუ ჩვენ ვატარებთ ინდუსტრიალიზაციას, უნდა ვეცადოთ, რომ ამ ინდუსტრიალიზაციის უშუალო გამტარებელნი პირველ ყოვლისა იყვნენ თვით კომუნისტები.

რომ ოპოზიცია უარყოფილია პარტიის მიერ, ეს დაგვანახვა რაიონულ კონფერენციებმა და თბილისის კონფერენციამაც. რაც შეეხება აუტანელ პარტიულ რეჟიმს, რაზედაც ასე ხშირად გაიძახის ოპოზიცია, მე აქ შემიძლია განვაცხადო, რომ სწორედ ოპოზიციას ყველაზე ნაკლებ უფლება აქვს ილაპარაკოს შინა-პარტიულ დემოკრატიაზე. ამიერ-კავკასიის პარტიულ საოლქო კომიტეტის მიერ მე ვიყავი სხვათა შორის გამოყოფილი იმ კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქუთაისის მაზრაში პარტორგანიზაციების გამოკვლევა. ამ გამოკვლევის დროს მე დავრწმუნდი, რომ იქ, სადაც ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა ოპოზიციურად განწყობილი ელემენტები, შინაპარტიულ დემოკრატიის ნიშანწყალიც კი არ სჩანდა. და თუ დღეს სადმე ცუდად ტარდება შინაპარტიული დემოკრატია, ამაში ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვის თვითონ ოპოზიციას. (ტაში).

ამხ. მგალობლიშვილი

ჩვენ ხშირად ვიწყებთ დიდ აღმშენებლობას და ის სათანადო დროში ვერ მიგვყავს ბოლომდე. ორი წელია ვაწარმოებთ ტრამვაის მუშებისათვის საბინაო მშენებლობას. დავდგით უკვე ორი დიდი კორპუსი, რომელნიც მზადაა ყველაფრით, და აკლია მხოლოდ მუშები და პარკეტი იატაკისათვის. ამიტომ გაჩერებულია ახალი სახლების დასრულება. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები მათ დასასრულებლად.

შემდეგ, ორატორი გადადის შინაპარტიულ ბრძოლის საკითხზე და ციტატებით ამტკიცებს ოპოზიციის დღევანდელ ლიდერების ტროცკი—ზინოვიევ-კამენევის უპრინციპობას.

ამხ. ივანოვ-კავკასკი

ამხანაგებო, მე მეგონა, რომ ოპოზიცია [illegible] ანგარიშს და კრიტიკულად მიუდგებოდა ამ [illegible] საკითხებს. მაგრამ ეს ასე არ ა. მათ უხეთუოდ [illegible] მაღალ მატერიებზე ლაპარაკი და ამიტომ თავიანთი კრიტიკა იმართავს პოლიტბიუროს წინააღმდეგ. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რომ ჩვენი ყურადღება აამორონ პრაქტიკულ საკითხებს. მე ამ პროვოკაციას არ გავყვები. მე უმთავრესად ამ საკითხებზე მინდა რამდენიმე სიტყვის თქმა.

უნდა ითქვას, რომ პარტიულ ორგანიზაციას არ აქვს ყოველთვის კარგად დაყენებული წევრთა აღრიცხვის საქმე. პარტია ხშირად გზავნის მუშაკს ამა თუ იმ თანამდებობაზე და ეს მაშინ, როცა ეს მუშაკი არაა სათანადოთ შემოწმებული და შესწავლილი ამიტომ არის, რომ ზოგჯერ პარტიის მიერ წამოყენებული ესა თუ ის ამხანაგი, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ისე, როგორც ეს საჭიროა.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სკოლების ხელმძღვანელ აპარატის კომუნიზაციის საკითხს. დღემდი ჩვენი სკოლები ბევრ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტების ხელშია.

სუსტია აგრეთვე ხშირად ხელმძღვანელობა კომკავშირზე და ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობაზე. პიონერ-ორგანიზაციები მოკლებულნი არიან სათანადო მატერიალურ ბაზის და ამიტომ მათი მუშაობა დიდად მოიკოჭლებს. ამას მომავალში უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

კაპიტალურ მშენებლობის დარგში ჩვენ თან გვდევს ერთი ნაკლი, ეს არის ის, რომ აქ გვაკლია გეგმიანობა. საბინაო და სამრეწველო მშენებლობა საჭიროებს გაფართოებას, მაგრამ ეს გაფართოება უნდა დაყენებულ იქნას მტკიცე, გეგმიან საფუძველზე.

ჩვენ ხშირად ვიცით რომელიმე საქმის დიდი ენერგიით და ენთუზიაზმით დაწყება, მაგრამ ზოგჯერ ასე დაწყებული საქმე ვერ მიგვყავს ბოლომდე. განათლების დარგში, სადაც ჩვენ პირველ ხანებში დიდი მუშაობა გავაჩაღეთ, უკანასკნელ დროს თითქოს კლებულობს ჩვენი საქმიანობა. საჭიროა მოსახლეობის განათლების საქმეს დიდი ყურადღება მივაქციოთ და ხელი შეუწყოთ მოსახლეობის აღზრდას და მომზადებას ყოველგვარ საომარ საფრთხის ღირსეულად შესახვედრად.

დასასრულ ისევ რამდენიმე სიტყვა ჩვენს ოპოზიციაზე. ამხ. ხანდრო თუმანოვი შეუდგა ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობის ანალიზს. მან სთქვა, რომ მუშათა ელემენტი პარტიაში კლებულობს. საინტერესოა ვკითხოთ, როგორიღაა არის მუშათა ელემენტი თითო ოპოზიციის რიგებში? (ამხ. რუძუტაკი ადგილიდან: „12 პროცენტი“.)

ამხ. თედორე კალანდაძე ამბობს, არ გვინდა პარტიის გათიშვაო, სთქვი ამხ. კალანდაძე, გულწრფელად აცხადებ თუ არა შენ ამას? მე კი გიპასუხებდი ამ შემთხვევაში ერთი ანდაზით. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

ოპოზიცია ვერ ამჩნევს ჩვენი პარტიის კულტურულ და პოლიტიკურ ზრდას. პარტია ვეღარ ცნობს ოპოზიციას და ვერც ოპოზიცია ცნობს დღეს პარტიას. პარტიას დიდად ემჩნევა თავის რიგებიდან ძველი ამხანაგების განდევნა. მაგრამ მას კიდევ უფრო ეძნელება ამ ამხანაგების დატოვება თავის რიგებში და ამნაირად პარტიის რღვევის გაგრძელება. თუ რამეს კარგი დარჩენილა ოპოზიციაში ის უნდა მოვიდეს ჩვენთან. ვინც არ მოვა, რკინის ცოცხით გაიგდება პარტიის რიგებიდან. (ტაში)

ამხ. მიშა ოკუჯავა

ნება მომეცით დავიწყო ჩემი სიტყვა ციტატებით ამხ. ლენინის ნაწერებიდან. ორატორი კითხულობს ცალკე ადგილებს ლენინის ნაწერებიდან, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საჭიროა პარტიის წევრებს ერკვეოდეს ყველა შინპარტიულ საკითხებში.

ამას სწერდა ლენინი, ამბობს ამხ. ოკუჯავა,—1903 წელში. შეიძლება თქვენ მითხრათ, რომ მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ჩვენ აღარ ვართ ხელისუფლების მაძიებელი პარტია, არამედ თვითონ ვართ ხელისუფალნი. ჩვენ ვართ დღეს პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელი პარტია და სხვა. მაგრამ ლენინმა ჩემ მიერ მოყვანილი აზრები დასწერა პარტიისათვის.—და ის მაშასადამე დღესაც ძალაში რჩება.

17 წლის შემდეგ ამხ. ლენინი უბრუნდება იმავე საკითხს, საკითხს, პარტიისათვის გათიშვის ლექციების შესახებ და სწერს:

ორატორი ცდილობს წაიკითხოს შემდეგი ციტატა. დარბაზში იწყება ხმაურობა, (ხმები „აქ პოლიტსკოლა არაა“, „ილაპარაკეთ კონკრეტიულად და საჭირბოროტო საკითხებზე“). მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდიუმი ყოველ ღონეს ხმარობს დააწყნაროს კრება, ხმაურობა მაინც არ წყდება.

ამხ. ოკუჯავა განაგრძობს, შეიძლება თქვენ, ,რომ ჩვენ ლენინის ამ აღქმას ყოველთვის სწორით ვატარებთ? (დარბაზში კვლავ ხმაურობა, „სტამბას ხომ აწყობთ?“, „პროკლამაციებს ხომ ბეჭდავთ“?, „ესეც ლენინის აღთქმაა!“, „შენ ამ.-კავკასიის ფედერაციაზე ილაპარაკე!“ ხმაურობა უფრო და უფრო ძლიერდება. თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას: სურს თუ არა კონფერენციას ამხ. ოკუჯავას სიტყვის მოსმენა? დიდი უმრავლესობა ხმას აძლევს წინადადებას ამხ. ოკუჯავასათვის სიტყვის წართმევის შესახებ. ოკუჯავა სტოვებს ტრიბუნას.

ამხ. რუძუტაკის საბოლოო სიტყვა

ამხ. რუძუტაკის ტრიბუნაზე გამოჩენას კრება ხარი ტაშით ეგებება.

ამხანაგებო, დაიწყო ორატორმა, ავადმყოფობის გამო მე საშუალება არ მქონდა პირადად დავესწრებოდი კამათს მოხსენებათა გარშემო. ჩემს საპასუხო სიტყვაში მე ვსარგებლობ სტენოგრაფიული ანგარიშით ამ კამათის შესახებ

ოპოზიციის „ანალიზი“ პარტიის სოც. შემადგენლობის შესახებ

ამხ. თუმანოვი, როგორც ეტყობა, უკმაყოფილოა ჩემი მოხსენებით. ის ამბობს, რომ მე ვე არაფერი ვსთქვი და ვერ გაუკეთე სათანადო ანალიზი თანამედროვე მდგომარეობას. ამ მოხსენების შემდეგ მე მოველოდი, რომ ამხ. თუმანოვი თვითონ მოგვცემდა ამ ანალიზს. მაგრამ, როცა ბოლომდე წავიკითხე მისი სიტყვა, მე შევნიშნე, რომ ერთად ერთი „ანალიზი“, რომელიც მოგვცა ამხ. თუმანოვმა—ეს არის „ანალიზი“ ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობის შესახებ. მე ჩემ მოხსენებაში ვამბობ, რომ თავის ფრაქციულ ბრძოლის დროს ოპოზიციამ ეძებს მოკავშირეს და ამ ძიებაში მას გვერდს უმშვენებს თეთრგვარდიელების ინტელიგენცია, როგორც ეს გამოირკვა არალეგალურ სტამბის აღმოჩენის ფაქტიდან. მე მოვიყვანე აგრეთვე ციტატები ოპოზიციის პლატფორმიდან, სადაც ნათქვამია, რომ ცეკას სურს საგარეო ვაჭრობის მონოპოლის მოსპობა. ნუ თუ ეს ფაქტები არ მოწმობს კავშირს ანტისაბჭოთა ელემენტებთან?

ამხ. თუმანოვს ეწყინა ჩემი სიტყვები, იმის შესახებ, რომ ოპოზიცია მიმართავს პოლიტიკურ შანტაჟს. მაგრამ თუმანოვმა თავისი გამოსვლით დაამტკიცა, რომ ეს სწორედ ასეა. ის ამბობს, ცეკას პოლიტიკის წყალობით შემცირდა მუშების რიცხვი ჩვენს პარტიაშიო. მოჰყავს ოფიციალური წყაროები თავისი ბრალდების დასამტკიცებლად, მე უნდა უთხრა ამხ. თუმანოვს: თქვენ იცქირებით წიგნში, მაგრამ იქ ვერაფერს ამჩნევთ.

აი, რას გვეუბნება ოფიციალურად შემოწმებული სტატისტიკა მუშათა პროცენტის შესახებ ჩვენს პარტიაში, მოჰყავს ცნობები 1925 წლის მეორე ნახევრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცნობებში არ შედის სოფლის მოჯამაგირეები—რომელიც შეიძლებოდა მიგვეწერა მუშების კატეგორიაზე. 1925 წლის მეორე ნახევარში მუშების პროცენტი ჩვენს პარტიაში უდრიდა 40,1; 1926 წლის პირველ ნახევარში 41,4, 1926 წლის მეორე ნახევარში 48,7; 1917 წლის პირველ ნახევარში 51,6;

სად არის ამხ. თუმანოვის „ანალიზი“ ობიექტიური მიდგომა პარტიულ სტატისტიკისადმი? ესაა შულერობა, ესაა ნამდვილი პოლიტიკური შანტაჟი. ამხ. თუმანოვს იმედი ქონდა, რომ თბილისის ორგანიზაციის უმრავლესობა არ კითხულობს ჩვენი ყრილობებისა და კონფერენციების სტენოგრაფიულ ანგარიშსა და ოფიციალურ გამოცემებს, ის ფიქრობდა სპეკულიაცია გაუწია ამაზე.

გადავიდეთ ეხლა საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა პარტიაში ახალ წევრთა მიღება. აქ ჩვენ შემდეგი სურათი გვაქვს. 1925 წლის მეორე ნახევარში მუშების პროცენტი უდრის 48,8; 26 წლის პირველ ნახევარში 47,3; 26 წლის მეორე ნახევარში 49,8; 27 წლის პირველ ნახევარში—58,6; თუ თქვენ გსურთ სწორად გაშუქოთ პარტიის სოციალური შემადგენლობის საკითხი, მოიყვანეთ სწორი ცნობები და ნუ ამახინჯებთ მოშინაურულად საქმის ნამდვილ ვითარებას.

შემდეგ ამხ. თუმანოვი შეეხო აგრეთვე ჩვენი პარტიულ ინსტანციებსაც. მან სთქვა, რომ პარტიულ ინსტანციებში უარესი მდგომარეობა. სახალხო და სამაზრო კომიტეტებში ჩვენ გვყავს მუშათა 13 პროცენტამდეო. დანარჩენი კი მოხამსახურეებიაო. საიდან ამოიღეთ, ამხ. თუმანოვ, ეს ციფრები? სწორი სტატისტიკა კი პარტიულ ინსტანციების შესახებ აი რას გვეუბნება: სამრეწველო გუბერნიებში, საგუბერნიო, სახალხო და სამაზრო კომიტეტებში ჩვენ გვყავს მუშათა 71,7; მიწათმოქმედების გუბერნიებში კი—57,6 პროც., აზერბეიჯანში—65 პროც. ვიმეორებ, საიდან ამოკრიფეთ თქვენ, ამხ. თუმანოვო, ეს ცნობები. ნუ თუ ამ საშუალებით გინდათ გაიმარჯვოთ მე-15 ყრილობაზე? ეს არის ნამდვილი სახის პოლიტიკური შულერობა. ამით ფონს გასვლა არ შეიძლება. ასეთი უპასუხისმგებლო დასკვნების გამოტანა ისეთ ავტორიტეტულ პარტიულ კრებაზე, როგორიცაა თბილისის კონფერენცია, დაუშვებელია. (ხმები: „მართალია“). ვინ ქმნის განხეთქილებას?

რამდენიმე სიტყვა მეორე ოპოზიციონერ კალანდაძის შესახებ. მე მას არ ვიცნობ. ის თვითონ ამბობს თავის სიტყვაში, რომ ლაპარაკობს გულწრფელად, ვინც მე მიცნობსო, აცხადებს ამხ. კალანდაძე,—ის დარწმუნდება, რომ მე გულწრფელად ვლაპარაკობო. კალანდაძე ამბობს, მე არაფრით განვირჩევი სხვებისაგანო. არა, ამხ. კალანდაძე, თქვენ განირჩევით სხვა ოპოზიციონერებისაგან, თქვენ სიბერის დღეს სიმშილით არ მოკვდებით, საკვები არ გამოგელევათ, რადგან თავი ქაშით გაქვს გატენილი. (ხანგრძლივი ტაში და სიცილი).

ამხ. კალანდაძე ღრმააზროვნად ლაპარაკობს, რომ არის ლენინიზმის უდაო დებულება: განხეთქილებას უმრავლესობა ახდენსო.

ამხ. კალანდაძე, მე მსურს თქვენ გაგზავნოთ ტროცკისთან რომ მან ეს შეცდომა გაგისწოროს. ტროცკი ებრძოდა ლენინს ბრესტის საკითხში. ტროცკი გამოდიოდა პარტიის წინააღმდეგ 1921 წელს პროფკავშირების საკითხში. ტროცკი მეთაურობდა ოპოზიციას 1923 წლის დისკუსიის დროს, ტროცკი თვალსაჩინო ბელადია ოპოზიციის 24—25—26—27 წლებში. არ ყოფილა ისეთი წელი, როცა ტროცკი არ ებრძოდა ლენინიზმს, ან დროებით შეთანხმებაში არ იყო მასთან. (ამხ. კალანდაძე ადგილიდან: „ტროცკი ლენინთან ერთად იბრძოდა ლენინიზმის წინააღმდეგ“! ხანგრძლივი სიცილი). ეს კი მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ლენინთან ერთად ლენინის წინააღმდეგ ბრძოლა? (კვლავ სიცილი). ტროცკიმ სთქვა; პარტია არ სცდება, თუ უმრავლესობამ მიბრძანა, სიტყვის მოუბრუნებლივ დავემორჩილებით. ეს იყო მე-13 ყრილობის დროს. დღეს კი ოპოზიციონერი კალანდაძე გამოდის მე-15 ყრილობის წინ და აცხადებს, რომ უმრავლესობა იწვევს პარტიის განხეთქილებას. ეს რაღაც ერთი მეორეს არ ეგუება.

არც ერთ პარტიას არ შეუძლია რევოლიუციის და სახელმწიფოს ორგანიზაცია, თუ ის უმცირესობაზე ეყრდნობა. ის მაშინ არ იქნება კლასიური პარტია. ის იქნებოდა გასტრონომისტების ორგანიზაცია, რომელიც ყველას უმზადებს მისი გემოს შესაფერის საჭმელს. ჩვენ ვეყრდნობით უმრავლესობას, მუშათა კლასს და გლეხობას.

მე შემიძლია დაგამშვიდოთ თქვენ ამხ. კალანდაძე. პარტიას არავითარი განხეთქილება არ მოელის. თუ ხეს დამპალი ნაყოფი მოსწყდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხე წაიქცევა. (მხურვალე ტაში და სიცილი). თქვენ ამბობთ: არ გვინდა პარტიის გათიშვას, მაგრამ გვიპასუხეთ, რას ნიშნავს თქვენი საპეტიციო კამპანია? ნუ თუ ეს არ არის ცდა განხეთქილების შესაქმნელად? თქვენი პეტიციები მართალია ზედაპირულად არ ეყრდნობა სასაცილოთ, მაგრამ ეს მაინც მოწმობს თქვენი ნამდვილი ზრახვების შესახებ.

ოპოზიციის სოციალური შემადგენლობა

აქ თუმანოვი ამბობდა: პარტიაში მუშათა შემადგენლობამ დაიკლო, მაშასადამე, ჩვენი პარტია აღარ არის პროლეტარულიო. ერთი გვითხარით, რაღა არის თქვენი პარტია? აი ცნობები ოპოზიციურ ფრაქციის სოციალურ შემადგენლობის შესახებ; მე ვღებულობ ციფრებს მთელ საქართველოსათვის. საქართველოს ორგანიზაციაში მუშათა შემადგენლობა უდრის 58 პროცენტს, ხოლო ოპოზიციას თავის რიგებში ყავს მუშების 14 ნახევარი პროცენტი. თუ ავიღებთ ოპოზიციის მუშურ შემადგენლობას საბჭოთა კავშირის მასშტაბით, დავინახავთ, რომ ოპოზიციას ყავს მუშების მხოლოდ 12 პროც., პარტიას კი ეხლა ყავს მთელი კავშირის მასშტაბით მუშების 51,6 პროც. მე გეკითხებით თქვენ, ნუ თუ შეიძლება ამის შემდეგ პარტიას დასწამოთ ცილი გადაგვარების შესახებ? თუ თქვენ აკეთებთ დასკვნებს ჩვენი გამოსვლებიდან პარტიის სოციალური მდგომარეობის შესახებ, უთილ ინებეთ და გააკეთეთ ასეთივე დასკვნები ოპოზიციის სოციალურ მდგომარეობის შესახებაც. მუშების 12 პროც. ოპოზიციაში იმას მოწმობს, რომ ოპოზიცია არის ნამდვილი ბურჟუაზიული პარტია.

ამხ. კალანდაძე ამბობს, რომ სრულიად გასაგებია, როცა ოპოზიცია ხმას იმაღლებს პარტიის კრიზისის დროსო (ამხ. კალანდაძე ადგილიდან: „მაშინ თავი უფრო ინტენსიურად იწყებს მუშაობას“, სიცილი. კალანდაძე განაგრძობს: „რას იცინით, ეს არის ლენინიზმის დებულება“. კვლავ სიცილი). მაშასადამე გამოდის ისე, რომ როცა სიწყნარეა, შეიძლება მოსვენებით იყო და გვერდები მზეს მიუშვირო! მე გეკითხებით თქვენ, ნუ თუ გვქონდა ჩვენ ოდესმე მშვიდობიანი წელი? საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო ეზრუნა დანგრეულ და გაპარტახებულ მეურნეობის აღდგენაზე. ჩვენ ვაწარმოებდით გააფთრებულ სამოქალაქო ომს. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არ შეუწყვეტიათ თავიანთი მტრული პოლიტიკა ჩვენ მიმართ. საბჭოთა კავშირი დღეს იძულებულია ებრძოლოს ეკონომიურ ომის საფრთხეს და სხვა. ნუ თუ ასეთ პირობებში განვლილი წლები, იყო ზავის წლები? პარტია ყოველთვის ფხიზლად უნდა იცქირებოდეს და მზად იყვეს ყოველგვარ სიძნელეების შეხვედრისათვის.

როგორ „გვშველის“ ოპოზიცია

როცა დგება ისეთი პერიოდი, რომ ერთ კვანძში იყრის თავს მთელი ჩვენი ენერგია, როცა პირისპირ ვდგებით ომის საფრთხესთან, ოპოზიცია იწყებს ლაპარაკს ინგლის-რუსეთის კომიტეტის, თანასწორობის თეორიის, მუშათა მრეწველობაში მონაწილეობის, ჩინეთის რევოლიუციის და სხვათა შესახებ. ოპოზიცია მიგვათრევს უკან იმ საკითხების წამოყენებით, რომელსაც ის თითონ ორი წლის განმავლობაში ცოხნიდა და დღესაც ცოხნის. იყო თუ არა შემთხვევა, რომ ოპოზიციამ წამოაყენა საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყოთ ხელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, როგორ შევქმნათ საჭირო მარაგი სამხედრო კონფლიქტის ან მოუსავლობის შემთხვევისათვის? ნუ თუ თქვენ ამაზე გილაპარაკნიათ? არა, თქვენ ლაპარაკობდით უსტრიალოვშჩინაზე, ჩინეთზე და სხვა ასეთებზე, მაგრამ არა პრაქტიკულ და საჭირბოროტო საკითხებზე. თქვენ საერთოთ გიყვართ დეკლარაციები და ზოგადი ლაპარაკი. როცა ასეთ ლაპარაკის საჭიროება თქვენი აზრით იბადება, მაშინ გამოდის ოკუჯავა, ზინოვიევი და სხვები.

ნუ თუ დისკუსია ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ, უსტრიალოვშჩინაზე, თანასწორობის თეორიაზე და სხვა ასეთი, ნუ თუ ყოველივე ეს ის თილისმაა, რომელიც გვიხსნის ომის საფრთხისაგან, რომელიც სწყვეტს დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებს? ნუ თუ მართლა ფიქრობთ თქვენ ამას? თუ თქვენ ამას ფიქრობთ, სულელები ყოფილხართ, ხოლო თუ არ ფიქრობთ ამას და მაინც ლაყბობთ, მაშინ შანტაჟისტები ყოფილხართ, (სიცილი) და ამის შემდეგ თქვენ კიდევ გაქვთ უფლება განაცხადოთ, რომ გაჭირვების დროს უნდა ამოვიღოთ ხმა და მიუთითოთ პარტიას დეფექტებზეო?

თქვენ იშვიათად ლაპარაკობთ საქმეზე. თქვენი ტაქტიკა ამ შემთხვევაში სრულიად შეეფერება კლემანსოს ტაქტიკას.

აქ გამოსულ ამხ. ოკუჯავას კონფერენციამ სიტყვა არ დაასრულებინა. ოკუჯავა ცდილობდა დაემტკიცებია, რომ პარტიის უმრავლესობა არ ასრულებს ლენინის პრინციპებსო. რომ ჩვენ ვუმალავთ პარტიას ოპოზიციის შეხედულებებს. მე ძალიან ვთხოვდი კრებას, მისცეს სიტყვა მეორედ ოკუჯავას, რომ მან ჩამოთვალოს ის საკითხები, რომელნიც მას აქვს. რას იტყვის ის იმის გარდა, რაც უკვე ნათქვამია, ინგლის-რუსეთის კომიტეტი, ჩინეთის რევოლიუცია და სხვა..., ეს ხომ ყველაფერი ვიცით, ეს ყოველივე ხომ მოვისმინეთ—ორი წელია ღეჭავს ოპოზიცია ამ საკითხებს. ოპოზიცია მიათრევს პარტიას უკან თავის ჭაობში. პარტიამ უარყო თქვენი შეხედულებები ამ საკითხებზე და ძალათი ნუ ახვევთ მას თავზე ლენინის სახელით.

ვის როგორ ესმის პარტიული დისციპლინა

ეხლა პარტიის დისციპლინის შესახებ. აქ ამხ. ივანოვმა მოიყვანა ლენინის შეხედულება დისციპლინის საკითხზე, როცა ამხ. ლენინი თავს უესხა ტროცკის და მენშევიკებს იმისათვის, რომ ისინი იცავდნენ პარტიაში თანამორჩილეობის პრინციპს. ოპოზიციონერებმა წამოიძახეს, ეს დიდი ხანია დასწერა ლენინმაო. მე უნდა შევნიშნო ამ ამხანაგებს, რომ მათ გარკვევით სთქვან, როგორ ესმით მათ ეს რეპლიკა? უარყოფენ თუ არა ესენი ამით საერთოთ დისციპლინას?

1923 წელში 46 ამხანაგმა შეიტანა ცეკაში განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა სხვათა შორის შემდეგი პირები: ე. პრეობრაჟენსკი, ლ. სერებრიაკოვი, გ. პიატაკოვი, ი. ნ. სმირნოვი, ნ მურალოვი და სხვა. ისინი ამ განცხადებაში სწერდნენ:

„პარტიის შიგნით შექმნილი რეჟიმი სრულიად აუტანელია. ის კლავს პარტიის თვითმოქმედებას და პარტიის ადგილას აყენებს ჩინოვნიკურ აპარატს, რომელიც განუწყვეტლივ მოქმედებს ნორმალურ დროს, მაგრამ რომელიც კრიზისის მომენტში აუცილებლად წაიფორთხილებს და რომელიც შესაძლებელია გახდეს სრულიად გამოუსადეგარი სერიოზულ მოვლენების წინაშე. შექმნილი მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ მეათე ყრილობის შემდეგ პარტიაში ობიექტიურად დამყარებულ რეჟიმი ფრაქციული დიქტატურის პარტიის შიგნით გადაგვარდა“.

ცნობილ რეზოლიუციას ფრაქციულობის წინააღმდეგ მეათე ყრილობაზე სწერდა ამხ. ლენინი, მეათე ყრილობის მიერ შექმნილი რეჟიმი იყო ლენინის რეჟიმი, აქ არის ბრძოლა, მაშასადამე, ლენინის პარტიის და მისი პრინციპების წინააღმდეგ. თქვენ კი გამოდიხართ და თუთიყუშებივით იმეორებთ სხვის სიტყვებს პარტიულ დისციპლინის შესახებ.

მაგრამ მოუსმინეთ ტროცკის, თუ რას ლაპარაკობს ის პარტიულ რეჟიმის შესახებ:

„ის რეჟიმი, რომელიც უმთავრესად შეიქნა პარტიაში უკვე მე-12 ყრილობაზე, მას შემდეგ კი საბოლოოდ განმტკიცდა და ჩამოყალიბდა ბევრით უფრო დაშორებულია მუშათა დემოკრატიიდან, ვიდრე სამხედრო კომუნიზმის უსასტიკესი ხანის რეჟიმი“.

მაშასადამე, სჩანს, რომ ლენინისა და ტროცკის შორის უთანხმოება პარტიის დისციპლინის შესახებ 1904 წელში დაწყებული და არ დასრულებულა. მაშ ნუღარ ლაპარაკობთ, რომ ტროცკი 1904 წელში ცდებოდა და ეხლა მართალია. ნუღარ იშველიებთ სრულიად უადგილოდ ლენინის ციტატებს. ნუ იტყუებთ თქვენს თავს და ნურც სხვებს ატყუებთ.

ამხ. თუმანოვს ძალიან სწყინს, რომ ჩემს მოხსენებაში არ არის ამომწურავი ცნობები, რომ მე არ გავაკეთე გარკვეული დასკვნები შექმნილ მდგომარეობის გასაშუქებლად. ჩემს მოხსენებიდან კონფერენციას შეუძლია გააკეთოს თავისი დასკვნები. პარტიამ ეს დასკვნები უკვე კარგა ხანია გააკეთა, ხოლო ოპოზიცია სჯობს დასკვნებს გააკეთებდეს თავის შესახებ, ვისთან არიან ისინი, ვის საქმეს აკეთებენ?

მოთმინებასაც საზღვარი აქვს. პარტიამ ბოლოს და ბოლოს უნდა იმუშაოს დამშვიდებით. ამიტომ სჯობს თქვენ თითონ გააკეთოთ თქვენს შესახებ დასკვნები, თორემ თუ ჩვენ გავაკეთეთ—ეს თქვენთვის უკვე გვიან იქნება.

აქ მოხსენების გარშემო ზოგიერთი ამხანაგები გამოდიოდნენ წინადადებით პრაქტიკულ და საჭირბოროტო საკითხებზე. შეიტანეთ თქვენ ამ საკითხებში რამე? გამოსთქვით თქვენი მოსაზრება? არა, არ შეგიტანიათ. ნუ თუ ეს არ ამტკიცებს თქვენ სრულ გაკოტრებას? რა მოსაზრება გამოსთქვით თქვენ ბინის აღმშენებლობის საკითხზე, კერძო კაპიტალთან ბრძოლის შესახებ და სხვ. არავითარი მოსაზრება, თქვენ არაფერი გითქვამთ.

ჯერ საქმე მერე კრიტიკა

სანამ კრიტიკას და სწავლებას დაუწყებთ პარტიას, უნდა უჩვენოთ მას, ის, რასაც თქვენ სთავაზობთ უკვე არსებულ პროგრამის მაგიერ. ეს თქვენ არ შეიძლიათ, ამას თქვენ ვერ იზამთ, და მე ვამბობ, რომ ოპოზიციის გამოსვლები თბილისის კონფერენციაზე მოწმობს მის გაკოტრებას. ჩვენ გვაქვს სრული უფლება გითხრათ: გეყოფათ, აღარ დავანებებთ თავზე ხელაღებულ ჯგუფს ასეთ საპასუხისმგებლო დროს დეზორგანიზატორული მუშაობა აწარმოოს. ჩვენ გადავდივართ დროს ყრილობამდე. დაუფიქრდით რასაც სჩადიხართ, ყრილობა კი იტყვის თუ რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ჩვენ, რომ დაუსრულებელი ენატარტალობა საქმით და პრაქტიკული მუშაობით შევცვალოთ. (მხურვალე და ხანგრძლივი აპლოდისმენტები).

სიტყვის დასრულების შემდეგ ამხ. რუძუტაკი ემშვიდობება კონფერენციას, რომელიც მას ფეხზე ადგომით და ოვაციებით აცილებს.

ამხ. რუძუტაკის სიტყვის შემდეგ ამხ. სვანიძე უარს ამბობს თავის საბოლოო სიტყვაზე, რადგან ის სცნობს, რომ ამხ. რუძუტაკმა ამოხწურა ყოველივე, რაც სათქმელი იყო.

ამის შემდეგ კონფერენცია ერთხმად იღებს რეზოლიუციას თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

(რეზოლიუცია იხ. პირველ გვერდზე),

კონფერენცია იწონებს აგრეთვე სარევიზიო კომისიის მუშაობასაც

თეკას ანგარიშის გამო პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად კონფერენცია ირჩევს კომისიას შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: სვანიძე, ასრიბეკოვი, ფანცულაია ვართანოვი, ზარუთლაშვილი, მორჩილაძე, სუხიშვილი, ივანოვ-კავკასკი, ბოლქვაძე, ერისთავი, სილაძე, ხაცკევიჩი, კუდრიავცევი, ბუდილოვი, თაქთაქოვი, ბელიაევსკაია, მაჩაიძე, ფიროლოვი, გელაშვილი, გაბაშვილი, ფაფაჩიან, ელიაშვილი, ათაბეკოვი, კუკურდაძე, სარიკეხოვი.

პარტიული ცხოვრება

მოსკოვის პარტაქტივი

ცეკას და ც. საკ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ

მოსკოვი, 27 ოქტომბერი, მოსკოვის აქტივის კრებამ, რომელსაც დაესწრო 2.500 კაცი, მოისმინა ამხ. მოლოტოვის მოხსენება ცეკას და ცენტრალურ საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ. კრებამ ერთხმად, სამი ხმის წინააღმდეგ, მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით და მთლიანად იწონებს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს და ცეკას თეზისებს მე-15 პარტყრილობისათვის.

„ამჟამად,— ნათქვამია რეზოლიუციაში,—პარტიის წინაშე სდგას საკითხი არა მარტო ლენინიზმისა და ტროცკიზმის ბრძოლისა პარტიის შიგნით, არამედ ახალი ანტიბოლშევიკური პარტიის და ახალი ანტიბოლშევიკური ინტერნაციონალის შექმნის საფრთხე. ტროცკისტული ფრაქციის არალეგალური აპარატის მოწყობა, არალეგალური სტამბის შექმნა, ბლოკი უპარტიო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან, ულტრა-მემარცხენე და ულტრა-მემარჯვენე რენეგატების—საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა კავშირის პირდაპირი მტრების აშკარად დაცვა საზღვარ-გარედ,— ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ოპოზიცია ბრძოლის ისეთ ფორმებზე გადავიდა, რომელთა დაშვება არ შეუძლია ლენინურ ბოლშევიკურ პარტიას. ოპოზიცია, რაც ხანი გადის, მით უფრო მეტად ასხამს წყალს „მესამე ძალის“, ბურჟუაზიული კონტრ რევოლიუციონურ ძალის წისქვილზე.

აქტივის კრება მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ყველა პარტიული უჯრედები სანაგვეზე გადაისვრიან მთელ ტროცკისტულ ოპოზიციას და არც ერთ ხმას არ მისცემენ მათ მე-15 პარტყრილობაზე.

კრება იწონებს ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ ცეკას შემადგენლობიდან (ადს).

ლენინგრადის პარტაქტივი

ცეკას და ც. საკ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ

ლენინგრადი, 27 ოქტომბერი ლენინგრადის პარტაქტივმა, რომელსაც დაესწრო 6 ათასი კაცი, ერთხმად (ორი ხმის წინააღმდეგ) მიიღო რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო ცეკასა და ცენ. საკ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ. კრება სავსებით იწონებს პლენუმის თეზისებს, ნამდვილ ლენინურად სცნობს პლენუმის დადგენილებებს ყრილობის მომზადების შესახებ და იწონებს იმ ზომებს, რომელიც მიღებულ იქნა ტროცკისა და ზინოვიევის წინააღმდეგ.

აქტივი სცნობს, რომ ოპოზიციის ფრაქციული ბრძოლა, რომელიც მიზნათ ისახავს მეორე პარტიის შექმნას და ლიკვიდატორულ შეხედულებათა დაცვას, ყოვლად დაუშვებელია ბოლშევიკურ პარტიაში. (ადს).

ამხ. ბუხარინი ც. და ცენ. საკ. კომ. პლ. შედ. შესახებ

ლენინგრადი, 27 ოქტომბერი. ამხ. ბუხარინის მოხსენებას ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ დაესწრო პარტიის 6.000-მდე აქტიური მუშაკი.

ამხ. ბუხარინს აუდიტორია ოვაციებით შეხვდა.

თავის სიტყვაში, რომელიც 4 საათს გაგრძელდა, ამხ. ბუხარინმა აღნიშნა, რომ მეთოთხმეტე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიისა და ცეკას სწორი პოლიტიკის მეოხებით განმტკიცდა მუშათა კლასის კავშირი საშუალო გლეხობასთან. ამის გამო პარტიას მეტი საშუალება ეძლევა დაიწყოს უფრო გადამჭრელი შეტევა ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ.

დაწვრილებით გაარჩია რა ყრილობის ორი უმთავრესი საკითხი, დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესადგენათ და მუშაობა სოფლად, ამხ. ბუხარინი შეეხო შინაპარტიულ უთანხმოებათა და ოპოზიციის ანტიპარტიულ მოქმედების ბუნებას.

სიტყვის ეს ნაწილი ამხ. ბუხარინს არა ერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ევდოკიმოვმა, ბაკაევმა და სხვებმა. ოპოზიციონერთა სიტყვებს მთელი დარბაზი აღშფოთებით ხვდებოდა. (ადს.)

არსრაიონის პირველი პლენუმი

გუშინ, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შეიკრიბა არსენალის რაიკომის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. მაშკევიჩმა. დღის წესრიგში დასმული იყო მხოლოდ ერთი საკითხი: პრეზიდიუმის არჩევა და ფუნქციების განაწილება. პლენუმმა, რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ვ. მზარეულაშვილი. განყოფილებათა გამგეებათ: (საორგანიზაციო) ამხ. ბელელაძე (თბ. კომ. ყოფ. ინსტრუქტორი), (საგიტაციო) ამხ. გეორქიანი და ქალთა განყოფილების—ამხ. მიხაილოვა. შემდეგ პლენუმი გადადის პრეზიდიუმის არჩევნებზე.

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: მზარეულაშვილი, ივანოვ-კავკაზსკი, მაშკევიჩი, გეორქიანი, გაბაშვილი, ორიოლი, ბურეში, ზიმინი, მელაძე, იშხანოვი, დატუნოვი, ბელელაძე და ბოლქვაძე.

კანდიდატ. კარგარეთელი, პრეობრაჟენსკი, ლუსკინა, სირაძე, დოლუზაშვილი და აგასიევი.

არჩევნების დამთავრების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ვის შეეხება ამნისტია

(საუბარი იუსტიციის სახალხო კომისართან, ამხ. ვარძიელთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ვარძიელი შეეხო საკავშირო ცაკის საიუბილეო სესიის მანიფესტის მნიშვნელობას.

— ჩემის აზრით, სთქვა ამხ. ვარძიელმა, საკავშირო ცაკის საიუბილეო სესიის მანიფესტს მთლიანად აქვს დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობა. ის არის აქტი, რომელიც ჯამს უკეთებს ძლევამოსილ ოქტომბრის რევოლუციის პოლიტიკურ და ეკონომიურ მიღწევებს და სახავს მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებს რევოლიუციის და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის ოქტომბრის რევოლუციის პირველი ათი წლის მიჯნაზე. ამ პრობლემების განხორციელებამ დიდი პოლიტიკური და სოციალური შედეგები უნდა მოგვცეს.

ეს მანიფესტი უსათუოდ გამოძახილს ჰპოვებს დასავლეთ ევროპის და ამერიკის მშრომელებში და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა შორის, შემოკრებს მათ საბჭოთა კავშირის გარშემო, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ეხლა, როცა საერთაშორისო იმპერიალიზმი უტევს მუშათა კლასს და ომს ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მანიფესტის იმ ნაწილს, —ამბობს ამხ. ვარძიელი,—სადაც ლაპარაკია მსჯავრ დადებულთა ამნისტიაზე, უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სჩვევია ჰუმანიურობის გამოჩენა უფლების დამრღვევთა მიმართ. ამას აშკარად მოწმობს მთელი რიგი წინანდელ ამნისტიებისა, რომლებმაც შეამსუბუქეს უფლების დამრღვევთა საერთო მასის დიდი ნაწილის მდგომარეობა.

ბუნებრივია, რომ ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში,—ოქტომბრის ათი წლის თავზე, რომელიც საზეიმო მომენტია ჩვენი პროლეტარიატისა, მშრომელი გლეხობისა და აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატისათვის,— საბჭოთა ხელისუფლებამ (საკავშირო ცაკის საიუბილეო სესიამ) უყურადღებოდ არ დასტოვა მსჯავრდადებულთა და უფლების დამრღვევთა ბედიც.

როგორც უკვე ვიცით, გამოქვეყნებულ მანიფესტის ტექსტიდან, ამნისტია ეხება უფლების დამრღვევთა კატეგორიების დიდ ნაწილს, გარდა ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიების აქტიურ წევრებისა, რომელნიც მიზნად ისახავენ საბჭოთა წესწყობილების მოსპობას, და გარდა ბოროტ მფლანგველებისა და მექრთამეებისა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მანიფესტის სწორი, კატეგორიული ტექსტი გვიკარნახებს ამნისტიის გავრცელებას მსჯავრდადებულთა ფართო ფენებზე. საკავშირო ცაკის სესიის ეს დირექტივები საფუძვლად დაედება იმ ამნისტიის უკვე კონკრეტიულ ტექსტებს, რომელიც უნდა გამოსცეს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა.

ვიცით რა წინანდელი ამნისტიების გამოცდილება და მათი კლასიური ხასიათი, უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალი ამნისტია პირველ ყოვლისა და უმეტესად სასჯელს შეუმსუბუქებს მშრომელ ელემენტებს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

სავსებით გასაგებია, თუ რატომ არ ვრცელდება ამნისტია ანტი-საბჭოთა პოლიტიკურ პარტიების აქტიურ მოღვაწეებზე, გამფლანგველებზე და მექრთამეებზე,— იმიტომ, რომ ისინი არიან პოლიტიკური ცხოვრების და კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობის ყველაზე უბოროტესი დეზორგანიზატორები, იმიტომ, რომ ისინი ძირს უთხრიან საბჭოთა მშენებლობას, რომელსაც ათი წლის განმავლობაში დაჟინებული ძალღონით ეწევიან მუშები და გლეხები.

რაც შეეხება ბოროტ და საშიშ დამნაშავეთა დანარჩენ კატეგორიებს, ვფიქრობთ, რომ საკავშირო რესპუბლიკების უზენაეს ორგანოებს საშუალება მიეცემათ ადგილობრივ, ყოფა-ცხოვრების და ეკონომიურ თავისებურობების მიხედვით განსაზღვრონ მათზე გასავრცელებელი შეღავათები.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ზოგი ლანძღვა ქებაა
(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ეხლა ქალაქებში და თემებშიც საგანგებო სამშობიარო საავადმყოფოებს აწყობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაურჩეს უბედურ შემთხვევებს. მღვდელ ოქრომჭედლიშვილს არც თქვენი საავადმყოფო უნდა, არც ექიმი და არც აფთიაქი. ოღონდ საგარეჯოს თემში ფეტვის მოსავალი კარგი იყვეს და ახლო მახლო კუთხის ფეხმძიმე ქალებს მშობიარობა ისე გაუადვილდებათ, როგორც ერთი ვახშმის მონელება. როგორო იკითხავთ თქვენ. ეს უკვე მღვდელ ოქრომჭედლიშვილს ჰკითხეთ. „დავაწვენ ქალს, მუცელზე ფეტვის მარცვლებს დავაყრი, ავი სულისას შეულოცავ და მერე თუნდაც ერთის ნაცვლად სამი ბავშვი შობოს, მას ველარაფერი ვერ გაიგოს“. მართალია მამაოს მოღვაწეობა ეწინააღმდეგება ძველი აღთქმის ცნებას, „ტანჯვითა შვენითა შობდე შვილსა შენსაო“, მაგრამ ოქრომჭედლიშვილს ძველი კი არა, ახალი აღთქმისაც აღარაფერი სწამს.

ცუდათ მიდის ოქრომჭედლიშვილის საქმე. ლამის არის ისედაც გაცვეთილი ანაფორა მეწვრილმანესთან დააგიროს, მაგრამ მუშტარიც რომ არავინ არის. ახალგაზრდები ხომ „გაირყვნენ“ და „გათახსირდნენ“, მაგრამ ამ მოხუცებულებს რაღა ღვთის რისხვა დაეცათ? ეკლესიაში ვერ შეიყვან ქუდიც რომ შეუგდო. რა ქნას მამამ? ვის მიმართოს, ვის შესჩივლოს? სანამ ღმერთის კიდევ რამე სწამდა, როცა აღმასკომს გვერდს ჩაუვლიდა, გულში სიბრაზისაგან ჩუმათ ხელს ჩაიბრაგუნებდა და იტყოდა: მაგრამ ღმერთით არ გამწირავს, კაცსა შენ გან განაწირისაო“, დიდხან უცადა მამამ ღმერთს, მაგრამ ამ ლოდინში ღაბაბი შემოადნა, გაფუებული მუცელი გაცვეთილ წელიბივით დაემანჭა, თვალები ჩაუცვივდა, სანთელივით ჩამოდნა, არც ექიმბაშობამ უშველა, არც კატის და ძაღლის განავალით შეზავებულ წამლებით ვაჭრობამ და არც შელოცვებმა.

მოუბრუნდა ისევ აღმასკომს მამაო. კვირაერთია და სამი წერილი მისდის ფოსტით საგარეჯოს აღმასკომს მამაოსაგან. სტირის მამაო [illegible] ცრემლებს აფრქვევს ნიკოლოზის კანონებზე. „საბჭოებში რიგიან ხალხს ვერ ირჩევთ, სწერს ის, დრამის ფულის აკრეფაში ვერ შემზმარებით, კანონი მთლად არ გიყვართ, ნიკოლოზის კანონი სჯობდა“-ო. შემდეგ მოჰყვება დაუნდობელი ლანძღვა-გინებით იხსენიებს თემის ყველა მუშაკებს. ჩვენ ურჩევთ საგარეჯოს საბჭოს კარგად შეინახოს ოქრომჭედლიშვილის წერილები. არა იმიტომ, რომ მისი დამწერი პასუხისგებაში მისცეს. არა, ოქრომჭედლიშვილი ამით არც კი ღირს. ეს წერილები იმის საუკეთესო მაჩვენებელია,—თუ რამდენათ სწორათ მუშაობს საგარეჯოს საბჭო. ვაი, ამ საბჭოს ბრალი, რომ მას ოქრომჭედლიშვილისაგან ქების წერილები მიეღო. საბჭოს რა მოგახსენოთ, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარეს თავი არსად გამოეყოფოდა.

ბაგი.

დავიცვათ ტყეები განადგურებისაგან
(წერილი სვანეთიდან)

ოდესღაც თვალუწვდენი და ყორნის ფრთასავით შავი სვანეთის ტყეები, დღეს ძალიან ცოტაა დარჩენილი, მეტადრე ენგურის არე-მარეში. პირველი ტყის მტერი ცეცხლი შეიქნა. იქ, სადაც შავად მოსილ უზარმაზარ სივრცეში მზის შუქიც ვერ ატანდა, დღეს მხოლოდ ნამწვავია დარჩენილი აქა-იქ ხმელი ხეებით. ეს შედეგია ტყეებისათვის ცეცხლის განზრახ გაჩენის. სვანეთის გლეხობა ძალიან ეტანება ანწლიან არაყის გამოხდას. იმ ტყეებში, სადაც ცეცხლი გაჩნდება, ორი-სამი წლის განმავლობაში აუარებელი ანწლი იზრდება. ეს სვანმა გამოცდილებიდან იცის, და ამიტომ უჩენს ტყეს ცეცხლს.

ტყის განადგურების მეორე მტერი გახლავთ თხა. ზამთრობით ესენიც მეტ წილად შავი ტყით საზრდოობენ. თხა, სადაც თითონ მისწვდება მოზარდ ხეებს, თავებს უკორტნის და მით საბოლოოდ აფუჭებს. სადაც ტყე მაღალია, იქ მწყემსები განზრახ ჭრიან ხეებს თხების გამოსაკვებად და ამით დიდძალ ხეებს ანადგურებენ. ტყის ზარალს რომ მიუმატოთ არარაციონალური ექსპლოატაცია, ყველასათვის ნათელი იქნება, რომ სვანეთის ტყეებს მოკლე ხანში განადგურება მოელის.

თუ გვინდა სვანეთის ტყეების განადგურებიდან გადარჩენა, რაც ჯერ კიდევ გვიან არ არის, უნდა მივმართოთ შემდეგ ღონისძიებებს: 1) ტყის დამცველმა ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ მეტი სიფხიზლე; თხების გამრავლებას უნდა გაურბოდნენ პირველ რიგში ტყის მცველები მაინც, თუ მათი თხა შავი ტყით საზრდოობს; ესევე უნდა დაევალოს აღმასკომების თანამშრომლებს, [illegible] უკანასკნელნი არ დაიყოვნებენ მიბაძვას; 2) ტყის ექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს არსებული „ტყეების სოფლის დაცვით და 3) უნდა იქნას მიღებული ზომები გადამწვარ ადგილებში ტყის გასაშენებლად.

საჭიროა ამ დარგში სერიოზული მუშაობა, რათა განადგურებას გადავარჩინოთ სვანეთის ტყეები.

ზ. სვანი.

წერილებიდან

დვაბზუს თემი, გურია
აწიოკებს მშვიდობიან მცხოვრებთ

სოფ. ვაკიჯვარში მცხოვრებ დეზიკო სვანიძეს საყანე ადგილის გამო დავა ჰქონდა ვარდენ და სერგო დოლიძეებთან. ეს დავა განიხილა სასამართლომ და საყანე ადგილი აკუთვნა დოლიძეებს. მაგრამ სვანიძემ ამ დადგენილებას ანგარიში არ გაუწია და იარაღით აძულა დოლიძის მომხმარე მუშები მიეტოვებინათ სამუშაო.

ამის შემდეგ ის სცდილობდა შური ეძია დოლიძეზე. 9 ოქტომბერს დახვდა ოზურგეთიდან მომავალ ვარდენ დოლიძეს და მოკვლის განზრახვით ბებუთით [illegible] მიაყენა მას. ამ დროს იქ იყო ს. ვაკიჯვრის მცხოვრები ბესარიონ მდინარაძე, რომელმაც ხელი შეუშალა სვანიძეს დოლიძის მოკვლაში, რის გამო დეზიკო სვანიძემ იმავე ღამეს დაესხა მას ოჯახში და თოფი ესროლა. მდინარაძემ გაქცევა უშველა თავს, ხოლო სვანიძემ მისი ცოლ-შვილი აწიოკა.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ მისცა სვანიძეს იარაღის ტარების ნებართვა და რატომ თემის აღმასკომი არ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას?

ბ. ტურფაგორელი.

ვანის თემი, ქუთაისის მაზრა
რატომ აძლევენ ნებას

ხსენებულ თემში ვინმე პორფილე აბრამიძეს აქვს სამიკიტნო, სადაც ღვინის სმასთან ერთად ყოველდღე სწარმოებს კარტ-ნარდის თამაში. ახალგაზრდა გლეხები ხშირად ეტანებიან ამ სამიკიტნოს და იქიდან ჯიბე ცარიელი ბრუნდებიან. სათემო აღმასკომმა და მილიციამ არ უნდა მისცეს ამის უფლება აბრამიძეს.

იჭური.

ლაილაში, ლეჩხუმის მაზრა
სანიმუშო მაგალითი

ლაილაშის გლეხობამ დაიწყო სადგურ ჭილეშიდან ლაილაშამდე ხუთი ვერსის მანძილზე შარა-გზის გაყვანა, რაზედაც მათ დახარჯეს აუარებელი შრომა და 9 ათას მანეთამდე ფული. გზა უკვე მოთავებულია. სამაზრო ხელისუფლებამ უკვე გამოსცადა გზა. ხალხს გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს მანქანა მგზავრების გადასაყვანად ლაილაშიდან ქუთაისამდე. მაზ. აღმასკ. თავმჯდომარე ამხ. მალრაძე აღუთქვა დახმარება ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ლაილაშელი.

სოფლის ქრონიკა

— სკოლა მთიულეთში. თელავის აღმასკომმა მთიან თუშეთში გახსნა სკოლა.

— რადიო. თელავის მაზრაში არსებულ რადიო - სადგურების მოსავლელად სამაზრო აღმასკომი იწვევს რადიო-ტექნიკს.

— აბრეშუმის ქარხანა ეკრანზე. რეჟ. წუწუნავამ, რომელიც ამჟამად ოზურგეთში იღებს სურათს „ჯანყი გურიაში“, გადაიღო აბრეშუმის ქარხნის მუშაობის სურათები.

— ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან. სიღნაღის მაზრაში წელს გაიხსნება წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო 84 პუნქტი.

— ყარაიაზის ჭაობ - სამკითხველოსთან მოეწყო რადიო - მიმღები სადგური.

— ტეხნიკუმი. სენაკის აღმასკომმა სას. სამ. ტეხნიკუმის შენობის ასაგებად გადასდო 22.000 მან.

— კანაფი. მომავალ წლიდან ფოთის ჰაოზიან რაიონში შეუდგებიან კანაფის მეურნეობას.

— ელსადგური. ახლო ხანში დამთავრდება ყარაიაზის ჰიდრო - ელსადგურის აგება.

— საბავშვო სანატორიუმი. ქუთაისში ახლო ხანში გაიხსნება საბავშვო სანატორიუმი.

— შაბიამანის მადანი. კახეთში აღმოჩენილი იქნა შაბიამანის მადანი.

მუშათა ცხოვრება

უგეგმო მუშაობის ნიმუში

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო კომისიები და სხვა საკონტროლო ორგანოები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ წარმოება-დაწესებულებებში უგეგმო მუშაობის წინააღმდეგ, მაინც კიდევ ბევრ წარმოებაში აქვს ადგილი მიზანშეუწონელ და უგეგმო მუშაობას, რომელიც დიდ ზარალს აყენებს წარმოებას და აფერხებს მის განვითარება-გაფართოებას.

ეს უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წარმოებაში მომუშავე თანამშრომლების საქმიანობას. არ უწევენ მათ სწორ და გეგმიან ხელმძღვანელობას ამა თუ იმ საქმის შესრულებაში და სხვა. გარდა ამისა, ხშირად არ ემორჩილებიან საწარმოო კომისიების დადგენილებებს და არ ატარებენ მას ცხოვრებაში. რაც ერთი მთავარი დამახასიათებელთაგანია უგეგმო და მიზანშეუწონელ მუშაობისა.

მაგრამ უგეგმო მუშაობა მარტო ამით არ ხასიათდება. ძალიან ხშირად შეხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც წარმოების ხელმძღვანელი ასრულებს საკონტროლო ორგანოს ან საწარმოო კომისიის დადგენილებას, მაგრამ მისი შესრულება იმდენად წინდაუხედავად ხდება, რომ შესრულებული საქმე ჰკარგავს იმ დანიშნულებას, რისთვისაც განზრახული იყო მისი შესრულება. ასეთია მაგალითად წარმოებაში ამა თუ იმ საქმის საჭიროებისათვის პატარ-პატარა შენობების უგეგმოთ აშენება, მასალის წინასწარ გაუთვალისწინებლივ დამზადება და სხვა.

ამას წინათ თბილისის საფუდის საწარმოო კომისიის დადგენილებით სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბანმა საფუდში აშენა საკვამლეების შესაკეთებელი პატარა შენობა, რომელშიც მოწყობილი უნდა ყოფილიყო ლითონის ასადუღებელი ღუმელი. შენობა იმდენად პატარაა, რომ მისი გამოყენება საკვამლეების შესაკეთებლად ყოვლად შეუძლებელია, რადგან ჯერ ერთი რომ მასში არ ეტევა საკვამლე და მეორეც შენობა ფიცრისაა, რომელშიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ცეცხლის დანთება. ამის გამო შენობა უნდა დაინგრეს და მის მაგიერ უნდა აშენდეს სრულიად ახალი ქვითკირის შენობა. ამით სალიანდაგო სამსახური თითქოს გაატარა ცხოვრებაში საწარმოო კომისიის დადგენილება, მაგრამ სინამდვილეში მან თავისი უგეგმო მუშაობით საგრძნობი ზარალი მიაყენა რკინის გზას.

ასეთი მუშაობით, რასაკვირველია, რომ ვერ აიწევს წარმოება. წარმოების ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და მიზანშეწონილ და გეგმიან მუშაობის საწარმოებლად.

ვ.

დაუსრულებელი საქმე

საკავშირო პოლიტკატორღელთა საზოგადოების საქ. განყოფილების საზოგადო კრებამ საბჭოს დაავალა მოეძებნა შესაფერი ბინა, რომელშიც გადავიდოდა საზოგადოება. ამ მიზნით საბჭომ მიმართა თბ. აღმასკომს, რათა საზოგადოებისათვის დაეთმოთ პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ახალი სახლი № 181, თბ. აღმასკომმა დააკმაყოფილა საზოგადოების თხოვნა და სახლი გადასცა მათ. ეს იყო 1925 წელს. მაგრამ 27 წელი თავდება და სახლის გადაცემას პოლიტკატორღელთათვის საშველი არ დაადგა.

ეს სახლი წინად ეკუთვნოდა ელიაზაროვის ქვრივს, ხოლო უკანასკნელად მას [illegible] ამავე ბინაში მცხოვრები ღვინიაძე და ჩიქიძე, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ბინის პატრონით დიდი ხანია ითვლება საკ. პოლიტკატ. საზ-ის საქართველოს განყოფილება, რის შესახებაც აღმასკომს დადგენილება აქვს გამოტანილი, არ სცლიან ბინას.

ამის გამო საქმე გადაეცა საბინაო სასამართლოს პროკურორს, რომელმაც წინადადება მისცა აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას, რათა ზემოხსენებულნი პირები ნებაყოფლობით დაეცალათ ბინა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებით ყოფილიყვნენ გამოსახლებულნი. ეს დადგენილება ორჯერ იქნა გამოტანილი. მაგრამ ალბად ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, რომ შესრულდება.

საკვირველია, რით შეიძლება ასე პროკურორის განკარგულების სისრულეში მოყვანა? დროა ამას ყურადღება მიექცეს.

პოლიტკატორღელი.

რათ აჭიანურებთ
(წერილი შორაპნიდან)

„ზაკპოგრუზი“-ს გამგეობას დაქირავებული ჰყავს ერთი თანამშრომელი მეტაბელეთ სად. შორაპნის შავი-ქვის ტვირთვა-გადატვირთვის წარმოებისათვის, თანამშრომელი ხელმძღვანელობს 191 კაცს და 48 დღიურ მუშას. გარდა ამისა მას აქვს დავალებული თვეში ორჯერ გადატვირთული შავი-ქვის ცხრილის შედგენა. ანგარიშზე ჯამაგირების უწყისების შედგენა და ჯამაგირის დარიგება, შეღავათების განაწილება, სასურსათო ბილეთების დარიგება, და სხვა. იგი პასუხისმგებელია მთელი წარმოების, როგორც რკინის გზის ადმინისტრაციის წინაშე, ისე „ზაკპოგრუზი“-ს გამგეობის წინაშე. ისე, რომ მეტაბელი ასრულებს სამ თანამდებობას, სამუშაოზე გამოდის დილის 6 საათზე და მუშაობს საღამოს 4-5 საათამდე განუწყვეტლივ. იგივე მეორდება კვირა-უქმე დღეებში.

გასამრჯელოს კი მეტაბელი ღებულობდა 63 მან. და 30 კ. არც ზედმეტი სამუშაოსი და არც დატვირთვისას ის არ ღებულობდა. მისი განცხადების თანახმად ადგილკომმა რკ. გზის ადმინისტრაციასთან და „ზაკპოგრუზი“-ს თავმჯდომარე კარტკლიშვილთან შეთანხმებით დაადგინა მეტაბელის ხელფასი. აბელიშვილმა განკარგულებაც კი გასცა, რათა მეტაბელისათვის პირველი ივნისიდანვე დაენიშნათ თვეში 103 მანეთი ჯამაგირი. მაგრამ დადგენილება დადგენილებათ დარჩა, დღემდე არც განსხვავება და არც პასუხი არ მიეცა მეტაბელს.

რათ აჭიანურებთ ამდენ ხანს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას! „ზაკპოგრუზი“-ს გამგეობამ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და საქმის შემაფერხებელი მისცეს პასუხისგებაში.

ფერაძე.

ესეც საქმეა!
(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის მაღაროების მდგომარეობა, რომ დღითი-დღე უმჯობესდება ეს უდაოა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მაღაროების საქმიანობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს, რომელიც ხელს უშლის წარმოების წესიერ მსვლელობას.

წინათ მაღაროების საქმიანობას ტეხნიკურ დარგში ხელმძღვანელობდა ორი ინჟინერი და საქმეც სათანადო სიმაღლეზე იყო დაყენებული. დღეს კი იმავე საქმეს აკეთებს 4 ინჟინერი და 4 ტეხნიკოსი, რომელთა მუშაობა ერთიმეორის ხელს უშლის. ერთ და იმავე საქმეს ორი, ან სამი ინჟინერი და ტეხნიკი აკეთებს. ამიტომ არც ერთი მათგანი არ გრძნობს პასუხისმგებლობას და არც საქმე სრულდება წესიერად. ამასვე უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა უბედური შემთხვევები.

გვირაბის მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის შესახებ, რომ ინჟინრები გვირაბებში ნაკლებად დაიარებიან. გარდა ამისა ყოველ ახალი გვირაბის გასათხრელად იწვევენ ახალ ინჟინერს. ამას წინათ გათხარეს ერთი გვირაბი, რომლის გამგედ მოიწვიეს ინჟინერი ნემსაძე. ჩვენის აზრით ეს არ კი სწორი წარმოებას, არამედ აბნევს და აფერხებს წარმოების წესიერ მსვლელობას.

სამთო-მადნეო კავშირმა და მაღაროების ხელმძღვანელ ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და მიიღონ ზომები მაღაროებში ზედმეტი და უნაყოფო ხარჯების შესამცირებლად. ამას მოითხოვს წარმოების რაციონალიზაციის ინტერესები.

გულწითელა.

დავიცვოთ გამოცდილი მუშები

ავჭალის წყალსადენში, მიმდინარე წლის შემოდგომის იპროდოში მანქანებზე სამუშაოდ დაუშვეს მემანქანის თანაშემწეები, რომლებიც არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ ჰქონდათ ამ საქმეში. იყო შემთხვევა, როდესაც ერთმა მათგანმა თავისი უცოდინარობით გაჭედა საქვამლე, რითაც საგრძნობი ზარალი მიაყენა წარმოებას.

ადმინისტრაციის გარდა ამ საქმეში დამნაშავენი არიან თვით მემანქანეებიც, რომლებიც უმეტეს მანქანებზე გამოუცდელ თანაშემწეებს [illegible] ადმინისტრაციამ ანგარიში უნდა გაუწიოს წარმოებას და იქედან მომავალში მანქანებზე დანიშნოს რაც შეიძლება გამოცდილი მუშები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებას ყოველგვარ ზარალისაგან.

გაფრთხილებული.

თბილისის მუშათა ფაკულტეტი

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე თბილისში გაიხსნება მუშათა უნივერსიტეტი. მუშათა უნივერსიტეტები ახალი მოვლენაა და ამავე დროს უდიდესი ფაქტორი მუშათა მასის კულტურულ დონის ასაწევად, რომელთაც, გარდა ვიწრო პროგრამული მუშაობისა, გადააქვთ თავისი მუშაობა მუშათა ფართო მასებში მთელი რიგი ლექციების ციკლის მოწყობის საშუალებით, მუშათა უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით.

ტფილისის მუშათა უნივერსიტეტს დასახული აქვს თავის ძირითად ამოცანად ხელი შეუწყოს მსმენელების მთლიან მარქსისტული-კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებას, მისცეს მსმენელებს საშუალება თვითგანვითარებისათვის. **შეუწყოს ხელი მსმენელების წარმოებითი კვალიფიკაციის ამაღლებას**, წარმოების ძირითადი მომენტების მეცნიერულ-თეორეტიულ გაშუქების საშუალებით და აგრეთვე მისცეს მათ კარგი მომზადება **საზოგადოებრივ მუშაობისათვის.** მუშათა უნივერსიტეტი არის მუშათა განათლების უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი და შედის მოზრდილთა უმაღლესი ტიპის სკოლების და კურსების სისტემაში. თბილისის მუშათა უნივერსიტეტის ძირითად ფაკულტეტებზე სწავლა განისაზღვრება ორი წლით, მოსამზადებელი ჯგუფების გამოკლებით. არსებობის პირველ წელს, 1927—28 სამოსწავლო წელს, თბილისის უნივერსიტეტთან იხსნება მარტო მოსამზადებელი ჯგუფები. თბილისის მუშათა უნივერსიტეტს აქვს ორი ფაკულტეტი: საზოგადოებრივ-ეკონომიური და საბუნებისმეტყველო-ტეხნიკური. საზოგადო-ეკონომიურ ფაკულტეტზე გადიან შემდეგ საგნებს: სამშობლო ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, პოლიტეკონომია, ეკონომგეოგრაფია, კლასთა ბრძოლის ისტორია, ლენინიზმი, ისტორიული მატერიალიზმი, სტატისტიკა, პოლიტ-განათლება.

საბუნებისმეტყველო—ტეხნიკურზე გადიან შემდეგ საგნებს: მათემატიკა, ფიზიკა, სამშობლო ენა, ბიოლოგია, მექანიკა, ტეხნოლოგია, ელექტრომეხანიკა, მანქანათმცოდნეობა, ქიმია, პოლიტეკონომია, ეკონომ-გეოგრაფია და კლასთა ბრძოლის ისტორია.

მუშათა უნივერსიტეტის ქართული განყოფილება ორი ფაკულტეტით: საზოგადოებრივეკონომიური და საბუნებისმეტყველო ტეხნიკურით, იხსნება სახელმწიფო უნივერსიტეტთან. რუსული განყოფილება, საბუნებისმეტყველო ტეხნიკურ ფაკულტეტით იხსნება თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან. 1927—28 სამოსწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა უნივერსიტეტის მოსამზადებელ ჯგუფების ქართულ განყოფილებაში მიიღება ასი კაცი. სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან არსებულ ჯგუფებში 60 კაც.

თბილისის მუშათა უნივერსიტეტის ძირითადი ფაკულტეტები გაიხსნებიან 1928—29 სამოსწავლო წელს. მუშათა უნივერსიტეტში მიიღებიან განსაკუთრებით მუშები დაზგიდან ან ისეთი მუშები, რომელნიც იმყოფებიან არჩეულ თანამდებობებზე. გარდა მუშებისა, მუშათა უნივერსიტეტში მიიღებიან დაბალი ტეხნიკური მოსამსახურეები: დარაჯები, შიკრიკები, დამლაგებლები და სხვა,—არა უმეტესი საერთო რიცხვის ათი პროცენტისა.

მოსამზადებელ ჯგუფებში მიიღებიან მუშები თბილისის წარმოებებიდან. მიღების პირობები: თბილისის მუშათა უნივერსიტეტის მოსამზადებელ ჯგუფებში მიიღებიან ისეთი ამხანაგები, რომელნიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნილებებს: 1) უნდა ჰქონდეთ ფიზიკური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა, არ გაუწყვეტიათ კავშირი წარმოებასთან, გარდა არჩეულ თანამდებობაზე მყოფი ამხანაგებისა; 2) წლოვანებით უნდა იყვნენ არა ნაკლებ 20 წლისა. და არა უმეტეს 40 წლისა. 20-25 წლამდე მიიღებიან საერთო რიცხვის 20 პროცენტი; 3) უნდა ჰქონდეთ დახასიათება პროფესიონალურ, პარტიულ და კომკავშირის ქვედა ორგანოებიდან; 4) უნდა შეეძლოთ თავისუფალი წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე და წაკითხულის წერილობით და ზეპირი დალაგება; 5) უნდა იცოდენ ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე და ყველა ნაწევრების წერა, 6) პოლიტიკურად უნდა იყვნენ გარკვეულნი ქალაქის მეორე საფეხურის პოლიტიკური სკოლების პროგრამის ფარგლებში.

ოფიციალური გახსნა თბილისის მუშათა უნივერსიტეტისა მოხდება 7 ნოემბერს, მისაღები გამოცდები იწარმოებს 3 ნოემბრიდან 5-მდე. განცხადებები მიიღება 2 ნოემბრამდე. თბილისის მუშათა უნივერსიტეტში შესვლის მსურველნი სწერენ განცხადებას პოლიტიკურ განათლების მთავარმართველობის სახელზე, მას აკრავენ დახასიათებას პროფესიონალური, კომკავშირის და პარტიულ ქვედა ორგანოებისას და ყოველ საჭირო საბუთებს, [illegible] პოლიტგანათლების სასკოლო განყოფილებაში, განცხადების მიღება იწარმოება ყოველდღე დილის 9 საათიდან სამ საათამდე.

ს. ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარმართველობა.

სასკოლო სტატისტიკოსთა კონფერენცია

მეორე სხდომა

სასკოლო სტატისტიკოსთა ამიერ-კავკასიის კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა ა. კ. ცენტრ. სტატისტიკის სამმართველოს სოციალურ სტატისტიკის სექციის გამგის ა. სმირნოვის მოხსენება სასკოლო აღწერის საორგანიზაციო გეგმის შესახებ. მომხსენებელმა გაკვრით აღნიშნა სასკოლო აღწერის მნიშვნელობა, რომლის მიზანია გამოიკვლიოს სკოლების რიცხვი, მოწაფეთა რაოდენობა, მანძილი ბავშვთა საცხოვრებელ ადგილსა და სკოლას შორის, ბავშვების ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, მასწავლებელთა რიცხვი, ცენზი და სხ. ამ სასკოლო აღწერის უმთავრესი დანიშნულებაა ნიადაგის მომზადება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის.

შემდეგ მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო სასკოლო აღწერის საორგანიზაციო გეგმა, რომელიც წინასწარ განხილული იქნა ამიერკავკასიის ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში ცალკე რესპუბლიკების ცენტრ. სტატისტიკის სამმართველოების წარმომადგენლებთან ერთად. წარმოდგენილი გეგმა და პროგრამა კონფერენციამ განიხილა მუხლობრივ, რის შემდეგ მიიღო შესაფერი დადგენილება.

ამ დადგენილებით სასკოლო აღწერა მთელ ამიერ-კავკასიაში დაიწყება მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან. აღწერილი იქნება სოციალურ აღზრდის დაწესებულებებიდან 1 და 2 საფეხურის სკოლები, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, სკოლა კომუნები, ბავშვთა ახალშენები, დამხმარე სკოლები, ჰასაკ გადაცილებული ბავშვთა სკოლები, დეფექტიურ ბავშვთა სკოლები., ტეხნიკუმები. მოზრდილ მუშათა სკოლები, სასწავლო სახელოსნოები და მუდმივი ხასიათის კურსები. (უმაღლესი სასწავლებლები, მოკლე ვადიანი პროფსკოლები, საბავშვო ბაღები, სახლები. პოლიტგანათლების სკოლები და სხ. გამოკვლეული იქნება სასკოლო აღწერასთან პარალელურად მიმდინარე გამოკვლევის სახით).

ამ აღწერის ჩასატარებლად, ცალკე რესპუბლიკების სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოების მმართველების თავმჯდომარეობით დაარსებული იქნება ცენტრალური სააღწერო კომისიები, განათლების კომისარიატის, განათლების მუშაკთა კავშირის, სტატისტიკის სამმართველოს სოციალურ სექტორის გამგის და აღწერის ხელმძღვანელის შემადგენლობით. მაზრებში დაარსებული იქნება სამეულები განათლების განყოფილების გამგის (თავმჯდომარე) სტატბიუროს გამგის (იგივე აღწერის ხელმძღვანელი) და ადგილობრივ განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლის მონაწილეობით.

აღწერის უმტკივნეულოდ ჩატარების მიზნით თითეულ რესპუბლიკაში ორ ადგილას მოეწყობა სამაზრო სამეულების მოსამზადებელი კონფერენციები აღწერის ფორმულიარები და ანკეტები შევსებული იქნება სკოლის გამგის პასუხისმგებლობით. აღწერის პოპულიარიზაციისათვის აღწერის დაწყების წინა დღეებში სკოლებში ჩატარებული იქნება სააღწერო კამპანია, რის დროსაც მასწავლებლები მოსწავლეებს გააცნობენ საანკეტო ფურცლებში ჩამოთვლილ კითხვებს და მოამზადებენ მათ აღწერისათვის.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე განხილული და მიღებული იქნა სოციალურ აღზრდის სკოლების აღწერის ფორმულიარები და საან. ფურცლების ფორმები. პროფესიონალურ სკოლების ფორმულიარებისა და ანკეტების განხილვა და დამტკიცება მოხდება მეოთხე სხდომა.

ტირიფონის არხი

მდ. ლიახვი გადაყვანილია ახალ კალაპოტში

მუშაობა ტირიფონის სარწყავი არხის სათავის ნაგებობათა ასაშენებლად უკანასკნელ კვირეებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

გაყვანა განათხარისა; რომლითაც მდ. ლიახვი გადაშვებულ უნდა იქნეს ახალ კალაპოტში, უკვე დამთავრდა და ოქტომბრის შუა რიცხვებიდან მდინარე გადაშვებულია ახალ კალაპოტში. სათავის დასამაგრებლად მუშაობა ორ ჯერზე სწარმოებს. თვითეულ ჯერზე მუშაობს 300 კაცი. მუშაობა სწარმოებს მთელი დღე ღამის განმავლობაში. სამუშაო გეგმის თანახმად სათავის აგება უნდა დამთავრდეს ზამთრის დაწყებამდე, ვიდრე ყინვიან ამინდებს დაიჭერდეს; შემდეგ შეუძლებელი გახდება ხელოვნურ ნაგებობათა კეთება. 1928 წლის გაზაფხულიდან ტირიფონის არხი ნაწილობრივად უკვე დაიწყებს მუშაობას, პირველ ხანებში მოირწყვება ტირიფონის ველის ზედა ნაწილი. 1929 წლამდე ტირიფონის არხი უკვე სავსებით დამთავრდება და ამუშავებულ იქნება მთელი ქსელი, რომელიც მორწყავს 30.000 დესეტინა უნაყოფიერეს მიწას. ტირიფონის არხი ყველაზე უფრო დიდი არხი იქნება აღმოსავლეთ საქართველოში.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა თბილისში

შეიძინეს 5.865 მანეთის ობლიგაცია

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოებაში ჯერ-ჯერობით გასაღებულია 5.865 მან. ობლიგაცია.

მე-11-ე საბჭოთა აფთიაქში

მეთერთმეტე აფთიაქის თანამშრომელთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. მარგველაშვილმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა ხელის მოწერა. ამჟამად აფთიაქის თანამშრომლებს მოწერილი აქვთ ხელი 700 მანეთის ობლიგაციებზე. ხელის მოწერა გრძელდება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში

იუსტიციის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ქოთავამ. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში ყველა თანამშრომელი მიიღებს მონაწილეობას. ხელის მოწერის ტეხნიკურად ჩასატარებლად არჩეულია სპეციალური კომისია. ჯერ-ჯერობით მოწერილია ხელი 2.755 მან. ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება.

თბილისის აღმასკომში

თბილისის აღმასკომის თანამშრომელთა შორის კოლექტიური ხელმოწერით შეგროვილი თანხა დღევანდლამდე უდრის —15.685 მან.

მუშათა და გლეხთა ინსპ. კომისარიატში

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატში ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის თანხა უდრის 6.710 მანეთს.

სახელგამში

საქართველოს „სახელგამი"-ს თანამშრომელთა შორის ჯერ-ჯერობით გასაღებულია 745 მანეთის ობლიგაცია.

მესამე საავადმყოფოში

თბილისის ქალაქის მესამე საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცის) თანამშრომელთა შორის ინდუსტრიალიზაციის სესხზე კოლექტიური ხელის მოწერით შეგროვილი თანხა უდრის— 5.200 მანეთს.

სახმედვაჭრობის სამმართველოში

სახმედვაჭრობის ცენტრალურ საწყობისა და გაერთიანებულ ლაბორატორიის მუშა-მოსამსახურეებმა გაერთიანებულ კრებაზე დაადგინეს შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. 125 კაცმა ხელი მოაწერა 2490 მანეთის ობლიგაციაზე.

წითელ ჯარში

№ ქართულ მსროლელ ლეგიონში

ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გავრცელების შესახებ ლეგიონში ჩატარებულ იქნა მოხსენებები პარტუჯრედების ხელმძღვანელობით. გავრცელების საქმეს დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ, როგორც უფპოლიტ შემადგენლობა, ისე წ.-არმიელები და აგრეთვე უნც. მეთაურებიც.

უფპოლიტ შემადგენლობამ შეიძინა 4.500 მანეთის ობლიგაციები, წ.-არმიელებმა უმცროს მეთაურთა შემადგენლობამ კი 8.000 მანეთის. უფპოლიტ. შემადგენლობას თითეულს 25 მანეთიანის ნაკლებ არ შეუძენია და წ.-არმიელებს და უმცროს მეთაურებს კი პირველებს ხუთ-ხუთი მანეთიანი, მეორეებს 10-10 მანეთიანები.

ჩვენ წ.-არმელებს და უნც. მეთაურთა შემადგენლობას ღრმად გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია თავდებია სოციალიზმის სრული გამარჯვებისა. გათავხედებულ იმპერიალისტური სახელმწიფოები, ინგლისის მეთაურობით ლამობენ ეკონომიურ ბლოკადით საბჭოთა სოციალისტურ ქვეყნის განადგურებას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების და ოქტომბრის მონაპოვართა დამცველი მუშურ-გლეხურ წითელი არმია მათ უპასუხებს—მუშურ-გლეხურ მთავრობისთვის სესხის მიცემით და მზადებით ქვეყნის თავდაცვისათვის.

უნც. მეთ. ა. ჩიქობავა.

ადგილებზე

სიღნაღის მაზრაში

ტიბაანის კომუჯრედის წევრებმა შეიძინეს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები 205 მანეთის რაოდენობით. კომკავშირმა შეიძინა 200 მანეთის ობლიგაცია.

ქალაქ თელავში

ყველა წარმოება-დაწესებულებებში უკვე ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის კამპანია. არ დარჩენილა არც ერთი მუშა მოსამსახურე, რომ არ გამოეთქვას ობლიგაციის შეძენის სურვილი. 22 ოქტომბერს სახალხო თეატრში შესდგა ქალაქის მცხოვრებთა კრება, რომელსაც 400-დე კაცი დაესწრო. კრებამ ერთხმად დაადგინა ყველამ შეიძინოს თითო ობლიგაცია მაინც. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა სესხის ობლიგაციების გასაღება.

წნორის წყალი

წნორის წყლის ხე-ტყის დამმუშავებელ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ ერთხმად დაადგინა შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა ჩაატაროს ხელის მოწერა ობლიგაციებზე. 40 მუშამ უკვე მოაწერა ხელი.

ლეჩხუმის მაზრა

ლეჩხუმის მაზრამიც ნორმაზე მეტი თანხაა შეგროვილი (9.600 მანეთი).

აჭარისტანმა ნორმას გადააჭარბა

აჭარისტანში, რომელიც გამოცხადებულია საჩვენებელ რაიონად, ინდუსტრიალიზაციის სესხი უნდა გაესაღებიათ—86.600 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს ფინსახკომში გუშინ მიღებულ ცნობიდან სჩანს, რომ აჭარისტანს უკვე დაუფარავს ეს ნორმა და 25 ოქტომბრისათვის შეუკრებია 140.000 მანეთი.

ოზურგეთის მაზრა

ოზურგეთის მაზრაში უკვე შეგროვილია 21.600 მანეთი, ნორმაზე მეტი.

ზუგდიდის მაზრა

ზუგდიდის მაზრაში გასაღებულია—15.650 მანეთის ობლიგაცია.

ხელის მოწერა გრძელდება

მიუხედავად იმისა, რომ მაზრების უმრავლესობაში ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის ნორმები უკვე შესრულებულია, ზოგან კი შეგროვილია ნორმაზე მეტი თანხა, მოთხოვნილება სესხზე ისევ დიდია და ხელის მოწერა გრძელდება.

ს. ლიხაურში (გურია)

21 ოქტომბერს სოფელ ლიხაურის (გურია) მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა კოლექტიურად შეიძინოს 100 მანეთის ობლიგაცია.

მოსახლეობის კვების გამოკვლევა

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო შეუდგა მოსახლეობის კვების გამოკვლევას მთელ საქართველოში. გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ, ან რით იკვებება მოსახლეობა და საერთოდ როგორ მდგომარეობაშია მოსახლეობის კვების საქმე. გამოკვლევა სწარმოებს საგანგებოთ შედგენილ ანკეტების საშუალებით, რომელთაც შეავსებენ სამმართველოს სტატისტიკოსები გამოსაკვლევ პირთა ბინებზე.

თვითეულ ქალაქში, მაზრაში და რაიონში გამოკვლეული იქნება მოსახლეობის განსაზღვრული პროცენტი. გამოკვლეული იქნება მუშის, მოსამსახურის, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხის და სხვ. კვება.

გამოკვლევის დროს შეკრებილ მასალებს დაამუშავებს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო და შეადგენს დაახლოებითი ნორმას მოსახლეობის მიერ კვების საგნების წლიურ მოხმარების შესახებ.

შეღავათები

სოციალზღვევის ორგანოებს

ამიერ - კავკასიის ცაკმა და ა-კ. სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვით სოციალური დაზღვევის ორგანოები, მათი დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და ინვალიდთა დაწესებულებები განთავისუფლებული არიან ყველა ადგილობრივ გადასახადებისა და გამოსაღებისაგან.

კომუნალური სამსახურისათვის გამოსაღების გადახდის მხრივ სოცდაზღვევის ორგანოები და მათი დაწესებულებები გათანასწორებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან.

დასასვენებელ სახლებზე, სანატორიუმებზე და ინვალიდთა დაწესებულებებზე გავრცელებულია ა-კ. ცაკის და ა-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება 1926 წ. 5 ივლისის თარიღით, რომლის მიხედვით აკრძალულია საიჯარო ქირის აღება იმ შენობებში, რომლებიც უკავიათ პროფესიონალურ კავშირებს, სანატორიუმებისა, დასასვენებელ სახლებისა და სათანადო სამკურნალო დაწესებულებებისათვის.

გერმანიის მუშათა დელეგაცია თბილისში

წარმოებების დათვალიერება

გუშინ, გერმანიის მუშათა დელეგაცია დაიყო სამ ჯგუფად და დილიდანვე შეუდგა თბილისის წარმოებების დათვალიერებას.

პირველი ჯგუფი მელითონეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **გოზალოვის** თანხლებით გაემგზავრა ა.-კ. რკინისგზების მთავარ სახელოსნოებში, სადაც დაათვალიერა ყველა ცეხები და დაწვრილებით გაეცნო წარმოებას.

ცეხების დათვალიერების შემდეგ დელეგატებს საუბარი ჰქონდათ მუშებთან. უცხოელი სტუმრები ეკითხებოდენ სახელოსნოების მუშებს, თუ როგორია მათი სამუშაო დღე, რამდენს იღებენ ხელფასს, როგორია საბინაო პირობები და სხვა. ყველა ამ კითხვებზე ვრცელ პასუხს აძლევდენ მუშები.

თავის მხრივ რკინისგზის მუშებმა მთელი რიგი შეკითხვები მისცეს დელეგატებს, რომლებიც აგრეთვე დაწვრილებით პასუხს აძლევდენ მათ.

საუბრის შემდეგ სტუმრები გამოემშვიდობენ მუშებს და გაემგზავრენ ნაძალადევში რკინისგზელთა კლუბის დასათვალიერებლად. კლუბში დელეგატებს დახვდენ რკინისგზელთა კავშირის წარმომადგენლები და მრავალი მუშები. აქაც დელეგატებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მუშებთან. საუბრის დროს ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ საბინაო საკითხს. მათ აუხსნეს, რომ ამჟამად თბილისში მუშებისათვის შენდება მთელი რიგი ახალი სახლები, კერძოდ რამოდენიმე დიდი სახლი შენდება რკინისგზელებისათვის.

ნაძალადევის კლუბიდან დელეგატები გამგზავრენ ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, სადაც მათ შეხვდენ პიონერები. აქ გერმანელ მუშებსა და ჩვენს პიონერებს შორის გაიმართა მეტად საინტერესო საუბარი. პიონერები ეკითხებოდენ სტუმრებს, თუ როგორ ცხოვრობენ გერმანელი პიონერები, რატომ არ წამოიყვანეს მათ რამოდენიმე პიონერი მაინც საბჭოთა კავშირში, როგორ ვითარდება პიონერთა მოძრაობა გერმანიაში და სხვა. ყველა ამ კითხვებზე დელეგატები ხალისით და ვრცლად უპასუხებდენ.

საუბრის დროს ერთმა დელეგატმა აღნიშნა, რომ გერმანელი პიონერი ვერ გაბედავდა ასეთი კითხვების მიცემას უცხოელ სტუმრებისათვის, რადგან ამისათვის მას დასჯიდენ.

პიონერებთან საუბარმა დელეგატებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ბაღიდან წამოსვლისას პიონერებმა „ვაშა"-ს ძახილით და ტაშით გამოაცილეს გერმანელი სტუმრები.

დელეგატების მეორე ჯგუფმა გემოკვების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. **ავეტისოვის** თანხლებით დაათვალიერა თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი", მესამე ჯგუფი კი საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ამხ. **ბ.მაჩაიძის** თანხლებით ესტუმრა გამასწორებელ სახლს.

ზაჰესში

ნაშუადღევს დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ზემო - ავჭალის ჰიდრო - ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

დელეგატები ჯერ კიდევ გზაში დაინტერესდენ ზაჰესით, ეკითხებოდენ ადგილობრივ ამხანაგებს, თუ როდის დაიწყო სადგურის აგება, როდის დამთავრდა მუშაობა, რამდენი დაჯდა სადგური, რამდენი მუშა მუშაობდა სადგურის აშენებაზე და სხვა. ყველა ამ კითხვებზე მათ დაწვრილებით პასუხს აძლევდენ.

ზაჰესში დელეგატებმა დაათვალიერეს მთავარი ჯებირი, ტბა, ლენინის ქანდაკება, საწნეო აუზი, საგენერატორო და განმანაწილებელი სადგური და სხვა.

ზაჰესის დათვალიერებამ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც მათ აღნიშნეს ადგილობრივ მუშაკებთან საუბარში.

დღეს დელეგაცია გაეცნობა ქალაქს და დაათვალიერებს ზოგიერთ წარმოება დაწესებულებებს, საღამოს კი მთელი შემადგენლობით გაემგზავრება სომხეთში, საიდანაც შემდეგ დაბრუნდება მოსკოვში.

საქართველოს 1927—28 წლის ბიუჯეტი

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს ა. წ. ოქტომბრის 14-ის გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საქართველოს 1927-28 წლ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი; პროექტი უნდა იქნეს დამტკიცებული საქართველოს და ა.-კ. ცაკის მიერ და შემდეგ ცენტრში.

შემოსავალი

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის სულ 12.156.087 მ. აქედან საგადასახადო შემოსავალი (ბაჟებით) 9.991.497 მან. არა საგადასახადო 2:164,590 მან:

გასავალი:

გაუერთიანებელი კომისარიატების გასავლის ჯამი უდრის 11.864.291 მ. ს. მ. უ: საბჭოს 228,000 მან:, ამრიგად უწყებათა გასავლის ჯამი უდრის 12.092.291 მან.

ფონდები;

ბეჭდვითი სიტყვისათვის ფინანსების მოწოდება	500.000 მან.
უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებანი	335.000 "
სარეზერვო ფონდი	175.000 "

სასუბვენციო ფონდი

სპეციალური სამასწავლებლო	4.100.000 მან.
ქონ-სამკითხველოებს	40.000 "
წმინდა სუბვენცია	1.371.860 "
რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისა	612.000 .
ჯამი	7.133.860 მან.

ადგილობრივი ბიუჯეტში გადასარიცხი თანხა 4.146.454 მან. სასოფლო - სამეურნეო კრედიტი; რესპუბ. სას.-სამ. ბანკების ძირითადი თანხაში —250.000 მან., საკრედიტო საზ-ბის პაიების შესაძენი —130.000 მან., საკრედიტო კოოპერ. ძირითადი თანხის გაძლიერების მიზნით სესხის მისაცემათ 400.000 მან.; კრედიტის მიწოდება კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობათათვის 400.000 მან., გადასახლებისათვის—265.000 მან., ტრესტში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობების ძირითადი თანხის გაძლიერებისათვის 150.000 მან., ჯამი უდრის 1.595.000 მან.

წყალთა მეურნეობას—492.300 მან., მორწყვალობას 9.039.500 მან.,

ელექტროფიკაციას—2.923.000 მან:, **კოოპერაციას**: სას.-სამ. კოოპერაციას—300.000 მან., საწარმოოთო—100.000 მან:, ჯამი—400:000 მან.

აღმშენებლობას: კომუნალურს 1.922.700 მან., აღმასკომების საბინაო აღმშენებლობას 1.440.000 მან., საბინაო კოოპერაციას —112.610 მან., კურორტებს—1.300.000 მან:, აქედან საქართველოს—800.000 მან., აფხაზეთს—300.000 და აჭარისტანს 200.000 მან. ამრიგად სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მოწოდების ჯამი უდრის —19.725.110 მან. სულ გასავალი უდრის— 43.097.715 მან:, დოტაცია—30.941.628 მან. ამაში არ შედის თბილისის ბიუჯეტი:

ეკონომიურ საბჭოში

ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა

ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებამ გორის მაზრაში მიავლინა გეოლოგი გაბუნია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს და შეისწავლოს ინჟ. მურადიანის მიერ აღმოჩენილი მადნეულის ნიმუშები.

პირველ რიგში გეოლოგიური გამოკვლევები ჩატარდება წითელ-ქალაქის რაიონში.

პროდუქციის გამოკვლევა

ს.მ.უ.ს. ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია შეუდგა ყველა ტრესტების პროდუქციის გამოკვლევას. გამოკვლევის მიზანია ს.მ.უ.ს. ტრესტების პროდუქციის ღირსების გამოაშკარავება.

დუშეთის მაზრის ადგილობრივი მრეწველობის გამორკვევა

წინადადება მიეცეს ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმს გამოარკვიოს დუშეთის მაზრაში ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა და მასალები წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს.

საგადასახლებო გეგმები

წინადადება მიეცა საქართველოს საგეგმო კომისიას სასწრაფო წესით გამოითხოვოს საქართველოს ს.ს.რ.-ში შემავალი ავტონომიური ერთეულების საგადასახლებო საქმის გეგმები და წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ათი წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

28 ოქტომბერი

აჯანყების საკითხი

პეტროგრადში შესდგა ბოლშევიკური ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკების კრება. განხილულ იქნა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. უარყოფითი პოზიცია ამ საკითხში დაიკავა კრების მხოლოდ ორმა მონაწილემ, დანარჩენებმა მხარი დაუჭირეს აჯანყებას. ამ ორი ამხანაგის „არგუმენტების" გასაბათილებლად ლენინმა დასწერა თავისი ცნობილი „წერილი ამხანაგებს" (იხ. ლენინის თხზ. ტ. მე-14, ნაწ. 2, გვ. 271—288).

მასების მობილიზაცია

რ. ს.-დ. პ. (ბ-ბის) პეტროგრადის ორგანიზაციამ მუშათა რაიონებში და სამხედრო ნაწილებში ჩაატარა მთელი რიგი მიტინგები.

განსაკუთრებით წარმატებით ჩატარდა მიტინგი ცირკში „მოდერნ", სადაც ვოლოდარსკის, ლუნაჩარსკის და რასკოლნიკოვის სიტყვების შემდეგ, შეკრებილმა მუშებმა, ჯარისკაცებმა და მატროსებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც აცხადებდენ: „უკანასკნელ კაცამდე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ძალაუფლების გადასასვლელად მუშების, ჯარისკაცების და გლეხების ხელში. ამაშია ერთად ერთი გზა ზავის და მიწის მოსაპოებლად და რევოლიუციის გადასარჩენად".

დროებ. მთავრობას კოჭზი ნაცარში ჩაუვარდა

დილით სმოლნში შესდგა თათბირი პოლკების კომიტეტების იმ წარმომადგენლების, რომლებიც გამოყოფილ იქნენ პსკოვში გასამგზავრებლად—პეტროგრადის გარნიზონის გაყვანის შესახებ მოწვეულ თათბირზე დასასწრებად. თათბირს დაესწრენ პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის და სამხედრო განყოფილების წარმომადგენლები. საკითხის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ თათბირმა გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

1) საკითხი მთავარ-შტაბში გამგზავრების შესახებ დრ. გადაიდეს, სანამ ამის შესახებ თავის აზრს არ იტყვის პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, 2) წინადადება მიეცის პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბს ამ საკითხზე დაუყოვნებლივ მოელაპარაკოს პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ამ გადაწყვეტილებით პეტროგრადის გარნიზონმა დაამტკიცა თავისი რევოლიუციონური დისციპლინა და ცხადყო დრ. მთავრობისათვის, რომ პეტროგრადის საბჭოს ზურგს უკან ინტრიგანობით ვერაფერს გახდება.

ხაბალოვი № 2.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა პოლკოვნიკოვმა გამოაქვეყნა მოწოდება - გაფრთხილება მოსახლეობისადმი ბოლშევიკების მოსალოდნელ გამოსვლასთან დაკავშირებით, პოლკოვნიკოვი იმუქრებოდა, რომ „წესრიგის დარღვევის ყოველგვარი ცდა მთელი სისასტიკით აღკვეთილი".

ასეთივე გაფრთხილებით მიმართა პოლკ. პოლკოვნიკოვმა აგრეთვე პეტროგრადის გარნიზონს.

მხდალები „ნოვაია ჟიზნიდან"

მენშევიკ-ინტერნაციონალისტების „ნოვაია ჟიზნ"-ში დაიბეჭდა მეთაური „ჩვენი პოზიცია", რომელშიც წერილის ავტორი, ეხებოდა რა ხმებს ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ, აცხადებდა, რომ „ნოვაია ჟიზნ"-ის ჯგუფი წინააღმდეგია ამ გამოსვლის, რადგან „ახალი ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას".

ყაზანში

ბოლშევიკური სამხედრო ორგანიზაციის მიერ ქალაქს გარეთ მოწვეულ მიტინგზე მთელმა გარნიზონმა მოიყარა თავი.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. გაეგზავნა მისალმება პეტროგრადის, მოსკოვის და კრონშტადტის საბჭოებს—როგორც რევოლიუციის ავანგარდს—და რევოლიუციონური მასების ბელადს—ლენინს.

მუშა-ახალგაზრდობის დემონსტრაცია

მოსკოვში გაიმართა მუშა-ახალგაზრდობის დემონსტრაცია. მოსკოვის საბჭოს შენობის წინ შესდგა მიტინგი, რომელმაც დაადგინა მოითხოვოს საბჭოთა მეორე ყრილობას აიღოს ხელში ძალაუფლება და დასდოს ზავი. მიტინგმა მისალმებები გაუგზავნა ლენინს, ზინოვიევს და სხვ.

ჩრდ. კავკასიის საბჭოთა ყრილობა

არმავირში დაიხურა ჩრდილოეთ-კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობა. მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა მოითხოვს ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. შეიქმნა ჩრდ. კავკასიის საბჭოთა საოლქო ცენტრი.

გაფიცვები

პეტროგრადში დაიწყო ხის დამმუშავებელთა გაფიცვა.—საარქიტექტურო-სააღმშენებლო მუშათა კავშირმა დაადგინა შეუერთდეს გაფიცვას.

მოსკოვში განახლდა 16 ოქტომბერს შეწყვეტილი გაფიცვა აფთიაქების მუშა-მოსამსახურეებისა.

მიწების ექსპროპრიაცია

მინსკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა შეუდგეს მემამულეთა მიწების და ქონების ჩამორთმევას და მათ გადაცემას გლეხებისათვის.

განხეთქილება ესერებს შორის

რესპუბლიკის დრ. საბჭოს ესერთა ფრაქციის სხდომაზე მოხდა საბოლოო განხეთქილება მემარჯვენესა და მემარცხენეებს შორის. მემარცხენეებმა მიუღებლად ჩასთვალეს უმრავლესობის (მემარჯვენეთა) მიერ მიღებული რეზოლიუცია თავდაცვის საკითხზე, ამის შემდეგ მემარჯვენეებმა მიიღეს დადგენილება „პარტდისციპლინის" შესახებ და წინადადება მისცეს უმცირესობას (მემარცხენეებს) დამორჩილებოდენ უმრავლესობის დადგენილებას. მემარცხენეებმა განაცხადეს, რომ ისინი არ დაემორჩილებიან ამ გადაწყვეტილებას და რესპუბლიკის საბჭოს სხდომაზე შეიტანებენ თავის რეზოლიუციას თავდაცვის საკითხზე.

ამიერ-კავკასიაში

(საქ. რევოლიუციის მუზეუმის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის ბურჟუაზია ირაზმება

გაიხსნა ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა მოწვეული ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ინიციატივით.

გ. ამირალოვი, რომელიც გამოვიდა მოხსენებით „მიმდინარე მომენტზე", სასტიკად აკრიტიკებს დრ. მთავრობისა და განსაკუთრებით რევოლიუციონური ორგანიზაციების მოქმედებას, „რომლებმაც ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს".

მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა მოითხოვს ენერგიულ ბრძოლას „თვითნებურ ორგანიზაციებთან", რომლებიც „არა თავის საქმეში ერევიან". ვაჭარ-მრეწველებს საჭიროთ მიაჩნიათ აგრეთვე „ომის გაგრძელება საპატიო ზავის მიღწევამდე".

ბაქოს საბჭოში

ბაქოს მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოს პლენუმმა, მუშათა, სამხედრო, ფლოტისა და სხ. კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით 238 ხმით 55-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც უნდობლობას უცხადებს დროებითი მთავრობას და მოითხოვს ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. საბჭოთა მეორე ყრილობაზე დელეგატებათ გაიგზავნა სამი ბოლშევიკი და ერთი მემარცხენე ესერი.

ესერ-მენშევიკებიც კი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ

თბილისის საბჭოს უწყებებში მოთავსებულია წერილი „მინისტრების განთავისუფლება". ეხება რა ნიკოლოზ მეორის მინისტრების გორემიკინის, ფრედერიკსის და სხ. განთავისუფლებას და პროტოპოპოვის განთავისუფლების განზრახვას, გაზეთი უკმაყოფილებას გამოსთქვამს დრ. მთავრობაში შესულ (ცენზიან ელემენტების წარმომადგენლების პოლიტიკით და სწერს: „...ზეგ კი, ალბათ, ბ. ბ. კონოვალოვები იტყვიან თვითმპყრობელობის სადღეგრძელოს". გაზეთი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ მეფის მინისტრების განთავისუფლებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო კონოვალოვებს, არამედ, უფრო მეტად, დრ. მთავრობაში მყოფ „სოციალისტებს".

შეიარაღებული ძალა—გლეხობისათვის პურის წასართმევად

კავკასიის სასურსათო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობაზე გადაწყდა გამოყენებულ იქნას შეიარაღებული ძალა გლეხობისათვის ზედმეტი პურის ჩამორთმევის დროს.

მზადება ოქტომბრის ათი წლის თავისათვის

საქართველოს ცაკთან არსებული ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩამტარებელ ცენტრალურმა კომისიამ დაამტკიცა საზღვარგარეთ გასაგზავნ გამოფენის გეგმა. ამასთანავე კომისიამ დაადგინა მოეწყოს თბილისში საქართველოს ექსპონატების გამოფენა დამოუკიდებლად ა-კ. გამოფენისა. არჩეულია კომისია ამხ. **საკიანის (თავმჯდომარე), თხილავას და ლ. ჯაფარიძის შემადგენლობით,** რომელსაც დაევალა დაუყოვნებლივ გამონახოს გამოფენისათვის ბინა და მოაგვაროს ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია გამოფენის მოწყობასთან.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს თბილისის გამოფენაში, რომელზედაც უნდა წარადგინოს საქართველოს მრეწველობის ყველა დარგების მდგომარეობის დამახასიათებელი ექსპონატები.

აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ცენტრალურმა კომისიამ დახმარების სახით ხუთასი მანეთი მისცა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს.

კომისიის სხდომაზე განხილული იქნა აგრეთვე საკითხი საჰაერო ინსცენიროვკის მოწყობის შესახებ. კომისიამ საჰაერო ინსცენიროვკა უარყო.

კომისიამ დაავალა სახელმწიფო ოპერას გადასცეს კომისიის განკარგულებაში უსასყიდლოდ ორკესტრი და ხორო 7 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე კანტატის შესასრულებლად.

10 წ. თავის აღსანიშნავად მარტყოფში იხსნება საავადმყოფო

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების. სამაზრო ქვეგანყოფილება, ოქტომბრის ათი წლის თავის აღსანიშნავად, სოფელ მარტყოფში ხსნის ახალ საავადმყოფოს გლეხთათვის.

წინად მარტყოფში იყო სამკურნალო პუნქტი, სადაც სიძველისაგან ორი ოთახი ჩამოინგრა. მათ შესაკეთებლად გადადებული იყო 4 ათასი მანეთი. ამ ფულით დაიწყო საავადმყოფოს აშენება, ეხლა მარტყოფის საავადმყოფო უკვე თითქმის სულ მზად არის, აკლია მარტო სახურავი, რომელიც ოქტომბრის ზეიმამდე დასრულდება.

საავადმყოფოს აქვს 15 საწოლი, აბანო, სამრეცხაო და სხ. რაც შეეხება ხელსაწყოებს, ინვენტარს, თეთრეულს, და სხ. ქალაქის ჯანმრთელობის ქვეგანყოფილებამ უკვე შეიძინა ასეთები და ახლო ხანში გადაგზავნის საავადმყოფოში.

ამნაირად თბილისის მაზრის გლეხებს ექნებათ კარგად მოწყობილი საავადმყოფო.

მოთხოვნილება აბრეშუმზე

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობისაგან მილანში, მიღებულია ცნობა, რომ წელს ევროპისა და ამერიკის ყველა ქვეყნებში განსაკუთრებული მოთხოვნილებაა აბრეშუმზე. მოთხოვნილების გადიდების მიუხედავათ აბრეშუმის პარკის იმპორტმა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში შესამჩნევათ იკლო გასულ 1926 წელთან შედარებით.

ევროპისა და ამერიკის ბაზრის აბრეშუმს აწვდიდა უმთავრესად საფრანგეთი, ჩინეთი და სირია. ყველა ამ ქვეყნებში კი წელს აბრეშუმის მოსავალი ნაკლები იყო.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში მილანის წარმომადგენლობის ცნობით აბრეშუმის ფასმა ძლიერ იმატა და იქმნება ხელსაყრელი პირობები აბრეშუმის ნედლი მასალის გასატანად საბჭოთა კავშირიდან უცხო ქვეყნებში

ამასთანავე ერთად გამოგზავნილია სპეციალური ტაბულა 8 ოქტომბერს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში აბრეშუმზე არსებული ფასების შესახებ.

ა.-კ. ვაჭრ. კომისარიატში

მანუფაქტურა მებამბეებისათვის

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომამ გადაწყვიტა აღძრას შუამდგომლობა საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რომ დააჩქაროს მანუფაქტურის შემოზიდვა ა.-კ. მებამბეობის რაიონებისათვის.

საცივებელი საქმე

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის გადაწყვეტილებით განზრახულია ამიერ-კავკასიაში საცივებელი საქმის მმართველობა გადატანილ იქნეს კომისარიატის ორგანოებში. საცივებელი საქმისათვის საჭირო შტატის შესანახად და აგრეთვე ბაქოში საჭირო საცივებელის შენობის დასამთავრებლათ საჭირო თანხების გადადების მიზნით აღიძრას შუამდგომლობა, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

სკამების დამზადება

სატყეო მრეწველობის ტრესტმა გადასწყვიტა გააფართოვოს მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ქარხნის მუშაობა, რომ ქარხანამ შესძლოს ყოველდღიურად 600 სკამის დამზადება. (ამჟამად ამზადებს 400 ცალ სკამს სატყეო ტრესტმა სკამებზე დაუკლო ფასი: ღირდა 7 მანეთი, ეხლა იყიდება 6 მანეთად. აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერ - კავკასიაში დიდი მოთხოვნილებაა სკამებზე და მარელისის ქარხანა ვერ აკმაყოფილებს ბაზრის საჭიროებას.

მარელისის ქარხნის მიერ დამზადებული სკამები საუკეთესო ღირსებისაა.

ტყის გაშენება

თელავის მაზრაში

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ახალი დიდი სატყეო სანერგეს გაშენებას შვალეთის სატყეო აგარაკის რაიონში. სანერგეში გაშენებული იქნება წიწვიანი ხეები: ფიჭვი, ნაძვი და სხვ., ფოთლოვანი ჯიშებიდან: წაბლი, ცაცხვი, რცხილა და სხვ., ზემოხოდაშენში სწარმოებს ტყის განახლება 10 დესიატინის სივრცეზე, ხოლო ვარდისუბნის რაიონში 5 დესიატინის სივრცეზე.

პანკისის ხეობაში, კლდის - ქალაში, ილაზნის ნაპირებზე დათესა კაკალის და წაბლის თესლები. ახლად დათესილი ადგილები შემოღობილია ეკლიანი მავთულით. ქ. თელავის რაიონში სწარმოებს ტყის განახლება 15 დესიატინის სივრცეზე. ამას გარდა დაწყებულია ახალი სანერგეების გაშენება თელავის სხვადასხვა ადგილებში.

ყელჭირვება

გადამდები სნეულებანი — ყელჭირვება და ქუნთრუშა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინად თითქმის გაქრა თბილისში, ეხლა ისევ შესამჩნევად განვითარდა.

ქალაქის აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით, 24 ოქტომბერს რეგისტრაციაში გატარებულ იქნა ყელჭირვების 2 შემთხვევა და ქუნთრუშას 1 შემთხვევა, 25 ოქტომბერს ყელჭირვების 3 შემთხვევა და ქუნთრუშას —1, 26 ოქტომბერს ყელჭირვების 8 შემთხვევა და ქუნთრუშას — 3. საერთოდ ოქტომბერში რეგისტრაციაში გატარებულია ამ გადამდებ სნეულებათა 45—50 შემთხვევა.

ამასთან დაკავშირებით, მეცხრე რაიონში დაიხურა მე-26-ე შრომის სკოლა, რომელშიაც ადგილი ჰქონდა ყელჭირვების სამ შემთხვევას. მეცადინეობა შეწყდა 12 დღით—დეზინფექციის მოსახდენად.

სდგას საკითხი კიდევ 2 სკოლის დახურვის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ სკოლებში მდგომარეობა არც ისე საშიშია, ვინაიდან დაავადებულების შემთხვევები უფრო მეტია არამოსწავლე ბავშვების შორის.

საჭიროა ავადმყოფების გამოყოფა, რომ ავადმყოფობა არ გადაედვას ჯანმრთელებსაც. მიუხედავად ამისა ავადმყოფების მხოლოდ 20 პროცენტია მოთავსებული საავადმყოფოებში. როგორც კი რაიონული ექიმი გამოარკვევს ავადმყოფობას, ავადმყოფის ბინაზე იგზავნება სანიტარული ექიმი დეზინფექციის მოსახდენად და აგრეთვე იმისათვის, რომ დაითანხმოს მშობლები საავადმყოფოში გაგზავნონ ავადმყოფი. შეუგნებლობის გამო ბევრი უარს ამბობს ამაზე.

არის შემთხვევები, როცა ავადმყოფს მალავენ. ყელჭირვების საბოლოო ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის თვითეული მცხოვრები შეიგნებს, რომ მან დახმარება უნდა გაუწიოს ექიმებს მათ მძიმე მუშაობაში და უნდა იფიქროს არა მარტო თავის თავის ბავშვზე, არამედ სხვებზედაც, რომელთაც შეიძლება გადაედვას ავადმყოფობა, თუ ავადმყოფი თავის დროზე არ იქნება განცალკევებული.

ნ—ი.

საკავშირო კომპარტიის ცეკას ანგარიში

ამხ. რუძუტაკის მოხსენება*)

თბილისის პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე 25 ოქტომბერს

შინაპარტიული მდგომარეობა

ცილისწამების კამპანია

ოპოზიციის იდეოლოგიურმა დასაბუთებამ ყოველგვარი წონა და მნიშვნელობა დაჰკარგა მოკავშირეთა ძიებაში. და მართლაც, განა ოპოზიცია ცენტრალური კომიტეტის კრიტიკაში არ მივიდა აბსურდამდე? მიუხედავად იმისა, რომ ზინოვიევი და კამენევი ძალიან დიდხანს იმიჯნებოდენ რუტ ფიშერისა და მასლოვისაგან, ტროცკიმ კომინტერნის უკანასკნელ პლენუმზე მოითხოვა რუტ ფიშერისა და მასლოვის უკან მიღება, ხოლო კამენევს და ზინოვიევს მაშინ არაფერი უთქვამთ ამის წინააღმდეგ, შემდეგ კი გარკვეულად განაცხადეს, რომ რუტ ფიშერი და მასლოვი გერმანიის კომუნისტური პარტიის საუკეთესო წევრები არიან და რომ ჩვენ მათ ვაწყენინეთ.

საინტერესოა გავიგოთ, როგორ მიზნებს უსახავს რუტ ფიშერი და მასლოვი ჩვენს პარტიას, როგორ სახავენ ისინი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას.

ისინი ამბობენ, რომ ჩვენი პარტიის ცეკას წევრები ემხრობიან საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, ომამდე არსებული და ომის დროის ვალების ცნობას, კულაკებთან კავშირის დამყარებას ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ. და ამას უწოდებენ მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნას კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ!

დავუშვათ, რომ სინდისისაგან გარეცხილი ხალხი, რომელიც გერმანიაში სცხოვრობს, არ არის საქმის კურსში, რომ ისინი თავის ცნობებს ჰკრეფენ იმ წყაროებიდან, რომელნიც მათ აქვთ, როგორც მაგალითად, „რული", „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი", „პოსლედნიე ნოვოსტი" და სხ. მაგრამ რას სწერენ ისეთი ამხანაგები, როგორიც არის ზინოვიევი, ტროცკი და კამენევი, რომელნიც თითქოს საკმაოდ კარგად იცნობენ რიკოვს, ვოროშილოვს და ჩემს თვალსაზრისს საგარეო ვაჭრობის, ომამდე არსებული და ომის ხანის ვალებისა და კულაკის საკითხში. ისინი ხომ თითქმის იგივეს იმეორებენ.

სად გაიგონეთ ან სად წაიკითხეთ ცეკას თუნდაც ერთი დადგენილება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმების შესახებ. პირიქით, მთელი ჩვენი პრაქტიკა, მთელი ჩვენი პოლიტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ ჩვენ ვართ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დამცველნი, და ხშირად ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

სად ნახავთ თქვენ იმას, რომ ჩვენი პარტია და კომინტერნი უარს ამბობენ ჩინეთის რევოლიუციისა და საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარის დაჭერაზე? საიდან მოიტანეს ეს რუტ ფიშერის და მასლოვის კონტრრევოლიუციონური შავრაზმული გაზეთის ლითაიები? სავსებით ცხადია, რომ ოპოზიცია ამ მხრივ მოკავშირეთა ძიებაში ყოველგვარ საშუალებას მიმართავს ჩვენი პარტიის სახელის შელახვისათვის, როგორც ჩვენი კავშირის შიგნით, ისე მისი ფარგლების გარეთ.

მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოს პლენუმზე ჩვენ ჯამი გავუკეთეთ ოპოზიციის ფრაქციულ ბრძოლას. ამხ. ზინოვიევის, ტროცკისა და კამენევის გამოსვლების შემდეგ ცეკას და ც. ს. კ. წევრებში შეიქმნა გარკვეული განწყობილება ცეკას შემადგენლობიდან ამ ამხანაგების გამორიცხვის სასარგებლოდ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა მხოლოდ უკიდურესმა სულგრძელობამ, უკიდურესმა სურვილმა, რომ ეს პირები უთუოდ შერჩენოდენ პარტიის რიგებს, ვინაიდან ყველასთვის აშკარა იყო, რომ თუ კი ეს პირები თავქვე დაეშვებოდენ გამორიცხვის ხაზით, მალე აღმოჩნდებოდენ ჩვენი პარტიის რიგების გარედ. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ყველა ბელადები ღირსი იყვენ ცეკას შემადგენლობიდან გამორიცხვისა, ჩვენ მაინც შევეცადეთ განსაზღვრული გაფრთხილებით მიგვეცა მათთვის საშუალება ერთხელ კიდევ დაფიქრებოდენ იმას. რომ შეეცვალათ თავიანთი ტაქტიკა. მაგრამ მეორე დღესვე ოპოზიციის ახალი დეკლარაციის შემდეგ, რომელშიაც უფრო გაურკვეველ ფორმებში, ვიდრე 1926 წლის ოქტომბერში, ოპოზიციამ ხელმეორედ უარჰყო ფრაქციული ბრძოლა და ხელმეორედ აღუთქვა პარტიას ფრაქციულ ორგანიზაციის დაშლა,—მეორე დღესვე ამ დეკლარაციის შემდეგ აშკარავდება ახალი საქმე არალეგალურ სტამბის მოწყობის შესახებ ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან ერთად.

იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა ოპოზიციას თავის უტიფარ განცხადებებით, რომ ის არის პარტიის მთლიანობის მომხრეა, რომ ის ფრაქციულობის წინააღმდეგია, შეუძლია თუ არა მას დაეშვას კიდევ უფრო დიდ გაკოტრებამდე, კიდევ უფრო დიდ სულიერ სიღატაკემდე. მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ სირცხვილს, რომ განაცხადო, რომ ჩვენმა პარტიამ, ან როგორც ისინი ამბობენ, „სტალინის ფრაქციამ", რომელიც შესდგება ერთი მილიონი წევრისაგან იმ ათას ხუთასი კაცის გამოკლებით, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოპოზიციის პლატფორმას, რომ „სტალინის ფრაქციამ" ბლოკი შეჰკრა ბურჟუაზიასთან, ეს არის ბრალდება არა მარტო სტალინის წინააღმდეგ, ეს არის ბრალდება მთელ ცეკას და მთელი ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი პარტია წარმოადგენს სრულიად ჩუმ, უაზრო, არამოაზროვნე მანქანას, რომელიც ემორჩილება ცალკე ლიდერების დირექტივებს. მაგრამ ჩვენი ეს ბრძოლამ ოპოზიციასთან განა წინააღმდეგი არ დაამტკიცა? განა პარტიაზე მბრძანებლობის სურვილი უფრო არ შეიძლება მიეწეროს ზინოვიევს, კამენევსა და ტროცკის? ვინ გვიჩვენებს ამხ. ტროცკიმ, ზინოვიევმა და კამენევმა, როდის დაარღვია სტალინმა პარტდისციპლინა. მე, როგორც ცეკას წევრს, რომელიც ცეკას შემადგენლობაში ამხ. სტალინთან ერთად ვმუშაობ ჩვენი პარტიის მე-9 ყრილობის შემდეგ, ძლიერ ბევრჯერ მინახავს, რომ სტალინი რჩებოდა უმცირესობაში, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას ამის გამო უარი განეცხადებინა ცეკას გადაწყვეტილებათა და პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

ამხ. ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი კი მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ არღვევენ ყრილობების, კონფერენციების და ცეკას დადგენილებებს. როგორღა შეუძლიათ ამ ამხანაგებს, რომლებიც იღვევიან პარტდისციპლინისა და პარტიის გადაწყვეტილებებისადმი აღმაშფოთებელ დაუმორჩილებლობის მაგალითით, როგორ შეუძლიათ მათ უზურპატორობა უსაყვედურონ იმ პირებს, რომლებიც ყოველ პირობას გარეშე ემორჩილებიან პარტდისციპლინას? ეს წარმოადგენს ტყუილსა და ცილისწამებას და ამ მხრივ ოპოზიცია აბსოლიუტურად არაფრით არ იზღუდავს თავს. მე ვიმეორებ—იმისთვის, რომ სახელი გაუტეხონ ცალკე ორგანიზაციებს და ცეკას ცალკე წევრებს, ოპოზიცია მიმართავს ყოველგვარ საშუალებებს, ყოველგვარ ცილისწამებას. განა ოპოზიცია არ ცდილობს დახატოს „ჩვენი ქვეყანა ისე, თითქო ის იმყოფება გაკოტრების მდგომარეობაში. ოპოზიცია აცხადებს, რომ ჩვენ დავმარცხდით ჩინეთის რევოლიუციის საკითხშიაც, ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხშიაც, დავმარცხდით კომინტერნის საკითხშიაც, საგარეო ვაჭრობის საკითხშიაც, გლეხობის პოლიტიკის საკითხშიაც (კულაკობის საკითხი), რომ ჩვენ დავმარცხდით პურის დამზადების საკითხში და სხვ. თუ ყოველივე ამაში ჩვენ დავმარცხდით, რას ვამყარებთ? მე ვფიქრობ, ყოველ მიუდგომელ კაცისათვის ნათელია, რომ გასულ წელში ჩვენი პარტია არა თუ არ დასუსტდა, არამედ პირიქით, განმტკიცდა. სადღაა დამარცხება, თუ კი ჩვენ ვცხოვრობთ და ვიზრდებით?

ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ ოპოზიციის სცხოვრობს ოცნებით, მას წარმოუდგენია, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ ცეკა და ჩვენი პარტია დამარცხებულიყვენ ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხებში; ოპოზიციას წარმოუდგენია, თუ როგორ მოიქცეოდა მაშინ თითონ ის. ტროცკიმ აგვისტოს პლენუმის წინ დასწერა ასეთი ქადალდის ნაკუწი, ერთ-ერთი მორიგი ეპისტოლე, სადაც ის ჰყვება ერთ პოლიტიკურ ამბავს საფრანგეთის ცხოვრებიდან: იმპერიალისტურ ომის დროს იქ საჭეზე იმყოფებოდა მერყევი ნაციონალური მთავრობა, რომელიც ქანაობდა სოციალისტებსა და როიალისტებს შორის, და აი, როდესაც გერმანელები 80 კილომეტრის მანძილზე იყვენ პარიზიდან, მაშინ მოვიდა კლემანსო და მტკიცე ხელით აიღო ძალაუფლება, მან ერთბაშად მემარჯვენე მიმართულება მისცა თავის ხაზს და დაამარცხა გერმანელები. დასკვნა ამ პოლიტიკურ იგავ-არაკიდან ძლიერ ნათელია. საჭიროა ,რომ ჩვენ დავმარცხდეთ ჩინეთის რევოლიუციის საკითხში, ინგლისის საკითხში, გლეხთა საკითხში, ფასების დაკლების საკითხში და სხვ. და მაშინ, როდესაც მტრის ძალები მართლა შემოგვიტევენ ჩვენ და 80 კილომეტრის მანძილზე იქნებიან მოსკოვიდან, მაშინ თეთრი ცხენით გამოვა „ოტსტავკაში" მყოფი გენერალი ტროცკი და იხსნის ჩვენს კომპარტიას.

ასეთი პოლიტიკური აბდა-უბდის მოგონება შეუძლიათ ან ჭკუაზე გადამცდარ ადამიანებს, ან და პოლიტიკურ ავანტიურისტებს. ამას არაფერი საერთო არა აქვს ლენინურ ხაზთან. ჩვენი პარტიის ლენინურ პრაქტიკასთან. ჩვენ ვხედავთ და ვიცით, რომ ტყუილად იწვევს ოპოზიციის მუშაობის გაცხოველებას ყოველგვარი გართულება ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

თუ მე ჩემს მოხსენების დასაწყისში ვლაპარაკობდი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის ახალი რიგების დარაზმვა, მაშინ როგორ შეგვიძლია ჩვენ გამოვიდეთ ამერიკასა და ევროპის მუშებთან აგიტაციით, როცა ზინოვიევი და ტროცკი ამბობენ: „ნურაფერი ნუ გაქვთ მათთან საერთო, მათ კავშირი შეჰკრეს კულაკებთან. ეს ის ხალხია, რომელსაც აქვს გადახრა ნეპმანისკენ. ისინი მიდიან მუშათა კლასის წინააღმდეგ"-ო.

განა შეიძლება ყვირილი ომის საფრთხის შესახებ და ამავე დროს ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხელისუფლების სახელის გატეხა უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის მუშების თვალში? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობა სწარმოებს ჩვენი პარტიის ძალების შესამცირებლად, ჩვენი წინააღმდეგობის უნარის შესასუსტებლად, იმისათვის, რომ საფრთხის მომენტში ოპოზიცია მოგვევლინოს როგორც მხსნელი. მაგრამ მათ დაავიწყდა ის, რომ ოპოზიციას ჩვენს გლეხობაში და მუშათა წრეებში გაცილებით უფრო სუსტი ფესვები აქვს, ან სულ არ აქვს. რა ძალებით და საშუალებებით დაიცავენ ისინი ჩვენ ქვეყანას, როცა მტრები მოსკოვიდან 70 კილომეტრის მანძილზე იქნებიან? მაშინ შეიძლება უკვე განადგურებულიც იქნეს საბჭოთა ხელისუფლება, კომპარტიაც და მასთან ერთად ოპოზიციაც?

საფეხურიდან საფეხურზე

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თავის ისტორიულ განვითარებაში ოპოზიცია საფეხურიდან საფეხურზე ხტოდა, ათჯერ იცვლიდა თავის პრინციპიალურ პლატფორმას და ბოლოს მივიდა ოპოზიციონერებისა და უპარტიოების უპრინციპო ბლოკამდე, დაწყებული ზინოვიევით, კამენევით, ტროცკით, რუტ ფიშერით, მასლოვით, საპრონოვით, დაშკოვსკით და გათავებული თეთრგვარდიელებით. აი, ოპოზიციონური ჯაჭვი, რომელიც საბოლოო ანგარიშით თავდება თეთრგვარდიელებით. ნუ თუ ლენინურია ეს ჯგუფი? ნუ თუ უფლება აქვთ ამ ადამიანებს თავიანთ თავს უწოდონ ბოლშევიკ-ლენინელები? არავითარი ლენინური ამ ბლოკში არაა. არასოდეს ლენინი, არავითარ პირობებში, არ თანხმდებოდა უპრინციპო ბლოკზე იმ ადამიანებთან, რომელთაც სურთ პარტიის ხელმძღვანელობა. ის ურიგდებოდა ტროცკის იმიტომ, რომ ტროცკი ლენინის დროს ემორჩილებოდა პარტდისციპლინას, თუმცა ძალიან ხშირად მაშინაც გამოხტებოდა ხოლმე.

აი, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენი ოპოზიციის საქმე. ოპოზიციას სრულიად დაავიწყდა, რომ მისმა ტაქტიკამ განვლო ცვლილების მთელი რიგი საფეხურები. მათ, მაგალითად, დაავიწყდათ ისეთი უბრალო რამ, რომ ისინი წინააღმდეგი იყვენ ფულის რეფორმის. პირველად, მაგალითად, ტროცკი წინააღმდეგი იყო ფულის რეფორმის, მაგრამ თქვენ იცით, მხოლოდ ფულის რეფორმამ მოგვცა შესაძლებლობა გაგვემაგრებია ჩვენი მეურნეობის საფუძველი. ამჟამად ისინი ექომაგებიან სოფელს, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ისინი ქადაგებდენ გლეხობის დიდი გადასახადებით დაბეგვრის თეორიას. არავინ, არც ტროცკი, არც ზინოვიევი არ იმიჯნებოდენ პიატაკოვის ამ თეორიისაგან. პიატაკოვი პირდაპირ იძლეოდა წინადადებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მიზნით, დაგვებეგრა გლეხობა ზედმეტად. ჩვენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოცდილებიდან ვიცით, რომ გადაჭარბებით დაბეგვრა იწვევს სათესი მოედანის შემცირებას, გლეხობას ასეთ შემთხვევაში არ მოჰყავს პური გაზრისათვის.

ეხლა ოპოზიციას, როდესაც ის გამოდის გლეხობის დამცველად და მოითხოვს მის განთავისუფლებას კიდევ 30 პროცენტით, როგორც სჩანს დაავიწყდა თავისი, გლეხური აჯანყების თეორია. საერთოდ მას ძალიან მოკლე მეხსიერება აქვს, პარტიულ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, ის მოურიდებლად ასაღებს მათ თავის ლოზუნგებად და პრინციპებად და ამავე დროს სავსებით ავიწყდება, რომ რამდენიმე თვის წინ ის სრულიად სხვას ამბობდა. ეხლა ოპოზიცია მოითხოვს, რომ მეტი უფლება მოეცეთ ადგილებს, მოითხოვს ბრძოლას „გლავკიზმის" წინააღმდეგ. როგორც სჩანს, მას სრულიად დაავიწყდა, რომ ამხ. პიატაკოვი მოითხოვდა მმართველობის მკაცრ ცენტრალიზაციას, როდესაც აცხადებდა, რომ ადგილობრივ რესპუბლიკების უწყებიდან უნდა გამოიყოს ყველა მსხვილი წარმოებაო.

განა ოპოზიციას დაავიწყდა, რომ ის მოითხოვდა პურის ფასის გადიდებას, როდესაც ეს პური მხოლოდ კულაკს ჰქონდა. ხოლო ეხლა კი ილაშქრებს ამ კულაკების წინააღმდეგ, მოითხოვს ფასების დაკლებას და სხ. მეტად სუსტი მეხსიერება უნდა იყოს, რომ დაივიწყო გუშინდელი წინადადებები, ხოლო დღეს პარტიის გადაწყვეტილებებზე სთქვა, რომ აი სწორედ ესენია წამოყენებული შენს მიერ—რომ ეს გადაწყვეტილებები გაასაღო შენ საკუთრებად და ამავე დროს საქმეს ისე ასურათებდე, თითქოს ცენტრალური კომიტეტი ამ წინადადებების წინააღმდეგია.

ოპოზიცია და ფასების საკითხი

სად გაგიგონიათ, რომ ჩვენ მოგვეთხოვოს პურის ფასის გადიდება? განა ოპოზიციას დაავიწყდა, რომ ის აყენებდა საქონელზე საბითუმო ფასების გადიდების ლოზუნგს, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ ამით შეიძლება ზედმეტი ასობით მილიონ მანეთების მიღება, რაც მოხმარდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, და რომ ამ ფულს გადაიხდის მომხმარებელი—გლეხი და „მეშჩანინი"-ო? ჩვენ, პირიქით, წინააღმდეგ ოპოზიციისა, მოვითხოვდით საბითუმო და საცალო ფასების დაკლებას და გავატარეთ კიდეც ის, თუმცა უმნიშვნელო პროცენტით.

ახლა კი ოპოზიციამ დაივიწყა თავისი ძველი ლოზუნგი საბითუმო ფასების გადიდების შესახებ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გასაძლიერებლად და ლაპარაკობს უკვე ფასების დაკლებაზე და იმაზე, თითქოს პარტიას ამ მხრივ არაფერი არ გაუკეთებია. ადამიანი უნდა იყოს პოლიტიკური შულერი, რომ დაივიწყოს თავისი ლოზუნგები, ამოეფაროს პარტიის დადგენილებებს, ცილი დასწამოს ცენტრალურ კომიტეტს და სთქვას, რომ ცენტრალური კომიტეტი ამ დადგენილებების წინააღმდეგია.

განა ოპოზიციამ დაივიწყა ის, რომ ჯერ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ის გვირჩევდა სახელმწიფო კაპიტალების ამოღებას კოოპერატიულ და სახელმწიფო აპარატიდან იმისთვის, რომ ეს კაპიტალები მოხმარებულიყო ინდუსტრიალიზაციის საქმეში. განა იგივე ოპოზიცია დღეს არ გაჰყვირის იმაზე, რომ ჩვენ დაგვძლია კერძო ვაჭარმა და რომ ხელი უნდა შევუწყოთ სახელმწიფო ვაჭრობას? ასე არ შეიძლება: რამდენიმე თვის წინედ ოპოზიცია გვირჩევდა კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის განადგურებას (ვინაიდან კაპიტალების ამოღება ნიშნავს ამ ვაჭრობის განადგურებას) და მთელი ბაზრის გადაცემას კერძო ვაჭრისათვის, დღეს კი ეს პოლიტიკური ბავშვები, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ბავშვობას ამოფარებული ხალხი, აცხადებს, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობას იმიტომ, რომ დაგვძლია კერძო ვაჭარმა. ძალიან ყრუ უნდა იყოს ადამიანი, ან ცუდი მეხსიერების პატრონი, რომ ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შესცვალოს თავისი პროგრამა, თავისი პლატფორმა. სხვანაირად არც შეიძლება, ვინაიდან ოპოზიცია უპრინციპოა, ვინაიდან მას არ გააჩნია გარკვეული პლატფორმა, გარკვეული შეხედულება.

მან უნდა ასიამოვნოს ზინოვიევსაც, ტროცკისაც, საპრონოვსაც, ოსოვსკისაც, რუტ ფიშერსაც, ინტელიგენციასაც და ბურჟუაზიასაც. განა მას შეუძლია გამოვიდეს ნამდვილი ლენინური რევოლიუციონური პროგრამით? „გსურთ გლეხობის დაბეგვრა,—აი, ჩვენი ძველი თეორია, გსურთ გლეხთა დაცვა გადასახადებისაგან,—აი, ჩვენი უკანასკნელი პლატფორმა, გსურთ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის გაძლიერება,—აი ჩვენი უკანასკნელი პლატფორმა, გსურთ ინდუსტრიალიზაციის გაძლიერება,—აი, ჩვენი მოთხოვნილება—კაპიტალის გამოტანა კოოპერაციიდან და სახვაჭრობიდან". ყველასათვის მოეპოვებათ ის, რაც სურს, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური პლატფორმა, ეს არ არის პლატფორმა, რომელსაც შეუძლია ჩვენი კავშირის მუშათა ხელმძღვანელობა და ათეული და ასეული ერების ხელმძღვანელობა.

პლენუმის დადგენილება

ამ მხრივ ჩვენ უნდა ვსთქვათ მტკიცე და გარკვეული სიტყვა. მე ვესალმები ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებას ორი ოპოზიციონური ბელადის გამორიცხვის შესახებ ცეკას შემადგენლობიდან. ჯერ კიდევ ერთი თვე დარჩა ყრილობამდე, და იქნებ მანამ მოვიდენ გონს. თუ მათ შეუძლიათ ბრალი დასდონ ცეკას, მხოლოდ ოპოზიციის დაზოგვასა და ლმობიერათ მოპყრობაში, მაგრამ არას დროს იმაში, რომ მან მკაცრი ზომები მიიღო ოპოზიციის წინააღმდეგ.

ოპოზიცია ამბობს, რომ „თქვენ არ ავრცელებთ ჩვენს ლიტერატურას და პარტიამ არ იცის, რა გვინდა ჩვენ".

ხომ ყველამ წაიკითხა მე-14 ყრილობისა და მე-14 პარტკონფერენციის სტენოგრამები. ყველა გაეცნო უკანასკნელი პლენუმის სტენოგრამას. განა ოპოზიცია იქ აცხადებდა თავის შეხედულებებს? რადგან ეს შეხედულებანი დაგმობილია და უარყოფილია, ჩვენ ნებას არ მოგცემთ, მას შემდეგ, რაც შევამოწმეთ ეს შეხედულებანი და ვსცანით ისინი ანტილენინურ, მენშევიკურ შეხედულებებად,—ჩვენ ნებას არ მოგცემთ, რომ მენშევიკებთან აშკარა კონტრრევოლიუციონერებთან და პარტიიდან გამორიცხულებთან კავშირში, შეეცადოთ ჩვენი პარტიის შერყევას და მისი ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებას. ჩვენ ლენინის პარტია ვართ. ლენინის შემდეგ ჩვენ არ გვყავს ისეთი ამხანაგი, რომელსაც მარტო შეეძლოს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა. ლენინის საქმის განხორციელება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საერთო ძალ-ღონით. ამ მხრივ ჩვენ სავსებით უნდა მივიღოთ, ვაღიაროთ ცეკას ხელმძღვანელობა. და თუ ეს ხელმძღვანელობა არ არის სწორი ყრილობა იმსჯელებს იმის შესახებ, სწორედ მოიქცა თუ არა ცეკა; პარტიის ცალკე წევრებს არ აქვთ ამის უფლება. მათ არ შეუძლიათ ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს და სთქვან, რომ ჩვენ მოვსწყდით რევოლიუციონური ნიადაგს, რომ ჩვენ კავშირს ვკრავთ კულაკებთან და ნეპმანებთან. ამის თქმა შეუძლია მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონერს. ასეთ ხალხს კი ადგილი არ აქვს ჩვენი პარტიის რიგებში.

ცოტა რამ თბილისელ ოპოზიციონერების განცხადებაზე

ერთი თბილისელი ოპოზიციონერი საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სწერს:

„პარტიული მუშაობის 27 წლის განმავლობაში მე არა ერთხელ განმიცდია ყოველგვარი გადასახლება და ძალადობა, მაგრამ ყოველივე ამას მე ნებაყოფლობით არ დავემორჩილებივარ. თქვენ დაგრჩათ ეხლა სათანადო დასკვნის გამოყვანა, ძალით გამგზავნოთ გადასახლების ადგილას".

თუ ეს ადამიანი არ არის თვალთმაქცი და მატყუარა, როგორღა შეეძლო მას დარჩენილიყო ჩვენი პარტიის რიგებში, რომელსაც იგი სთვლის თითქმის ჟანდარმთა სამმართველოდ. რა კი იგი ასე ფიქრობს, იგი არ უნდა დარჩეს ამ პარტიის რიგებში, და თუ იგი მაინც რჩება, ის არის მატყუარა და თვალთმაქცი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეხლა, თბილისის პარტკონფერენციაზე, საქართველოს პარტყრილობაზე, ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციების ყრილობებზე და აგრეთვე ჩვენი პარტიის მომავალ მე-15 ყრილობაზე, ერთხმად, როგორც ერთმა კაცმა, უნდა ვსთქვათ: „კმარა პარტიის რყევა, კმარა იმის მოთმენა, რომ გათავხედებული, ნაწყენი ინტელიგენტების ჯგუფი სცდილობდეს ჩვენი პარტიის შერყევას. ლაპარაკიც კი არ შეიძლება ჩვენი პარტიის გათიშვაზე. ვინ გასთიშავს მას? განა ინტელიგენტების ჯგუფს შეუძლია ახალი პარტიის შექმნა? განა მათ შეუძლიათ, რომ მილიონიან პარტიას, რომელიც თავის უმრავლესობით მუშებისაგან შესდგება, დაუპირდაპირონ ახალი პარტია?

ჩვენს დელეგატებს პარტიულ ყრილობაზე უნდა მივსცეთ დირექტივა, რომ ამ პარტიულ მერყეობას მოეღოს ბოლო. პარტიის წევრი არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ უნდა დაემორჩილოს პარტიულ გადაწყვეტილებებს და შეასრულოს ისინი, ან უნდა წავიდეს პარტიიდან. სხვაგვარი გადაწყვეტილება არ შეიძლება არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით ვაჭრებისა და არა ლენინელების პარტია. (ტაში)

მე დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციები გამონახავენ საკმაო ძალას, საკმაო სიმტკიცეს, საკმაო გონიერებას იმისათვის, რათა დაეხმარონ მე-15 პარტყრილობას იმაში, რომ ჩვენი პარტია გამოყვანილ იქნას ამ კრიზისიდან და შეუდგეს ნაყოფიერ მუშაობას. (მხურვალე ტაში).

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 244.

ქრონიკა

საუწყებათაშორისო მეტრიული კომისია

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად თბილისში ეწყობა მეტრიული ზომა წონის გამტარებელი ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიაც შედიან: განათლების კომისარიატის, მიწათმოქ. კომისარიატის, ჯანსახკომის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, ს. მ. უ. ს. და სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები.

კომისია მუშაობას შეუდგება მომავალი კვირიდან.

ბავშვთა მეგობრების საზოგადოებაში

(საზოგადოების წევრთა კრება)

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის უპატრონო ბავშვთა მეგობრების საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა მეოთხე რაიონის წარმომადგენელი ამხ. ეფრ. **ჩოდრიშვილი**, რომელმაც თავის საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით განმარტა რაიონული საბჭოს მუშაობა უპატრონო ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმეში.

შემდეგ კრებამ მოისმინა აგრეთვე საზოგადოების დანარჩენ უჯრედთა წარმომადგენლების მოხსენებები მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

კრებაზე გამომუშავებული იქნა უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ ყულაბებით ფულის შეგროვების გეგმა.. შემოწირულებათა შეგროვება ყულაბებით იწარმოებს 18, 19 20 ნოემბერს. სამდღიურის ჩასატარებლად კრებაზე ამორჩეული იქნა სპეციალური კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

შეშა რკინისგზისათვის

სატყეო მრეწველობის ტრესტი შეუდგა 7.000 კუბ. საჟენი შეშის დამზადებას ა.-კ. რკინის გზების საჭიროებისათვის. უკვე დამზადებულია 2.938 კუბ. საჟ. შეშა.

ტრესტში მიღებული ცნობებით ზოგიერთ სატყეო რაიონებში შეშის დამზადებას ხელი შეუშალა მოულოდნელათ მოსულმა თოვლმა და ნიაღვარმა.

ტყავის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა თავის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს, ნება მისცეს სააქციო საზ-ბა „რატაო“-ს დაამზადოს სხვა ორგანიზაციებთან ერთად ნედლი ტყავი ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, რომლებიც სავსებით დაპყრობილი არ არის სახელმწიფო ორგანოებისა ანდა კოოპერაციის მიერ.

ექსპონატების გაგზავნა

უცხოეთის ქვეყნებში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე გამოფენების მოსაწყობად ს. მ. უ. საბჭომ უკვე გაგზავნა შესაფერი ექსპონატები. ექსპონატებში შედის—დიაგრამები, კარტოგრამები, ფოტოგრაფიული სურათები და ჩვენი მრეწველობის პროდუქციის დამახასიათებელი ნიმუშები.

ექსპონატებს თანდართული აქვს შესაფერი წარწერები ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

საზოგადოება „ბიანი“-ს გაუქმება

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა სააქციო საზოგადოება „ბიანი“-ს გაუქმების გამო ძირტკბილას დამზადების საქმე გადასცეს აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

თბილისის ალმასკომში

◆ **პოლიტგანათლების საქმეზე** წელს თბ. ალმასკომი დახარჯავს 249.911 მანეთს.

◆ **მიწათმოწყობა.** თბილისის მაზრაში მიწათმოწყობის ჩასატარებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 56.442 მან.

◆ **ადგილობრივი მრეწველობის** განყოფილებას ახალი წარმოებების მოსაწყობათ გადეცა 104.300 მანეთი.

◆ **ტუბერკულიოზის ახალი დისპანსერის** ასაგებათ ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 130.000 მან.

◆ **ბიბლიოთეკებისა და ქოხ-სამკითხველოების** შესაკეთებლად გადადებულია 16.000 მან.

◆ **საბავშვო სახლი.** თბ. ალმასკომმა დაადგინა აღადგინოს ალბულაღის დამწვარი საბავშვო სახლის შენობა.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზების** გასაყვანად ტრამვაის დირექციას გადეცა 49.500 მან.

◆ **წყალსაზომები.** წყალსადენის სამმართველომ გადასწყვიტა გარეუბნებისათვის შეიძინოს 48.245 მანეთის წყალსაზომები.

◆ **მტკვრის ნაპირების** გასამაგრებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 83.000 მანეთი.

კრებები და მოხსენებები

◆ **საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** პარასკევს, ოქტომბრის 28-ს, საღ. 7 ს., საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში შესდგება ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს **გიორგი ნიორაძე:** „მეორედ დამარხვის წესი ძველ საქართველოში“. კრება საჯაროა.

შემთხვევები

საზიზღარი მკვლელობა

14 ოქტომბერს საღამო ჟამს სოფ. სოღანლუღის მცხოვრებნი გლეხები: ასკარ-ოღლი, ალი-ოღლი და მცირეწლოვანი აბდულ-ოღლი ხარ-ურმებით გაემგზავრენ ტყისაკენ სამუშაოდ.

სოფლიდან ორი ვერსის დაშორებით, ტყის პირად ისინი გაჩერდენ ღამის გასათევად. მათ გამოხსნეს უღლებიდან ხარები, იქვე მიწვენ და მიიძინეს.

გათენდა მეორე დღე. გამოეღვიძა მცირეწლოვან აბდულ-ოღლის, მიიხედ-მოიხედა და გარდა ხარ - ურმისა მის გარშემო ვერავინ დაინახა, ის მარტო იყო, ასკარ-ოღლი და ალი-ოღლი არსად სჩანდენ. ის დაბრუნდა სახლში.

ამ ამბავმა მიაღწია მილიციამდე. შეუდგენ დაკარგულთა ძებნას, მაგრამ უშედეგოდ.

საქმეში ჩაერია თბილისის სისხლის სამართლის მილიციაც, მაგრამ მან პირველ ხანებში ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო. პატარა აბდულ-ოღლი კი ამბობდა: „მე არაფერი ვიცი, ერთად დავიძინეთ, გამომეღვიძა დილით და ველარავინ ვნახეო“.

შემდგომი კვლევა - ძიებიდან გამოირკვა, რომ იმ ადგილს, სადაც მეურმეები დაბანაკდენ ღამით მივიდა რამოდენიმე პირი. მათ გაიხმეს ტყეში ასკარ-ოღლი და ალი-ოღლი, მოულოდნელად სტაცეს ხელი, შეუკოჭეს ხელები, წაიყვანეს შორს ტყეში, მოჰკლეს და გვამები ჩაყარეს ორმოში.

სისხლის სამართლის მილიციამ მიაგნო ორმოს სადაც ბანდიტებმა გვამები ჩაჰყარეს. გვამები გახრწნილიყო სრულიად, დარჩენილი იყო მხოლოდ დახოცილების ჩონჩხები და ტანსაცმელი.

გამოირკვა, რომ მკვლელობას ხელმძღვანელობდა მაგომეტ მამედ-ოღლი—მეტსახელად **ჩაიჩი.** მას ხელს უწყობდა სამი ამხანაგი.

ყველანი დატუსაღებულია.

მაღაზიების გაქურდვა

26 ოქტომბერს, ღამით, ბოქლომის გატეხვის საშუალებით გაქურდული იქნა სასახლის ქუჩაზე მდებარე „გრუზგოსტორგი“-ს და მუსიკალურ ტრესტის მაღაზიები. პირველი მაღაზიის სალაროდან მოიპარეს 1.799 მან. ფულად და სხვადასხვა საქონელი. „მუსმრეწვის“ მაღაზიიდან კი წაუღიათ 172 მან.

ჯიბგირების შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ჯიბგირები გენადი ხუნისძე ბენგარდი, მიხეილ ნიკოლოზისძე ოგანოვი და ნიკოლოზ ივანესძე ფიოდოროვი, რომლებიც მოთავსებულნი იქნენ სპეცდანიშნულების იზოლიატორში. საქმე მათ შესახებ გადაეცა სასამართლოს.

◆ **კოოპერატივ „მეომარ“-ში** ბაგრატ მარტიროსიანს ჯიბიდან ამოაცალეს 150 მან.

◆ **შეპყრობა.** 26 ოქტ. ქურდობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი აგაფინოვი.

◆ **ტრამვაის ვაგონში.** კახეთის მოედანზე ელისაბედ კირაკოზოვს ამოაცალეს ოქროს საათი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 26 ოქტ. ბელგიის ქ., № 1, გაქურდეს მიხეილ ლევინის ბინა.

◆ **ქურდი ქალი.** შეიპყრეს სარე გასპარის ასული აზრუმანოვი, რომელსაც ბრალდება მანუკოვის სასადილოს გაქურდვა.

◆ **აფერისტი.** 26 ოქტ. დააპატიმრეს აფერისტი აშოტ მიხაკისძე ავეტისოვი.

◆ **შეიპყრეს და იზოლიატორში მოათავსეს** ქურდი თათეოს ჩაჩიანცი.

◆ **კირკის ქუჩაზე** სტეფანე სტეფანოვს ამოართვეს საათი.

◆ **საკანდიტეროს გაქურდვა.** 26 ოქტ. გაქურდეს სურენ ნალბანდიანის საკანდიტერო (ელისაბედის ქ.).

სასამართლო

ციხე შიგნიდან გატყდება

აკაკი ბერეკაშვილის მოკვლის საქმე თითქმის ერთი კვირაა ირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში. დიდი საიდუმლოებით იყო მოცული მკვლელობის მიზეზი. სასამართლო ძიება კვალდაკვალ მიჰყვებოდა საბრალმდებლო დასკვნიდან გამომდინარე გარემოებებს. არაბუნებრივი, მეტად საეჭვო იყო, რომ ვინმე ქურდი-რეციდივისტი ნემლოვი შეიპარა ბერეკაშვილის ოთახში, რომლის კარები და ფანჯრები ღამ-ღამობით ყოველთვის მაგრათ იყო ჩაკეტილი. ეს კიდევ არაფერი. ქურდი საქურდალათ მიდის და ყოვლად უმიზეზოთ, როცა მას არავინ წინააღმდეგობას უწევს, ეპარება სიბნელეში ბერეკაშვილს და ჰკლავს მას. ჰკლავს რამოდენიმე ჭრილობის მიყენებით, დიდი ბრძოლის შემდეგ, რომაც 15 წუთი გასტანა. თამარა ბერეკაშვილი ცივი ხმით ჰკივის, ითხოვს შველას, ამ დროს კი მოსამსახურე ქალს „სძინავს“ და ჩვრენას უმატებს, ყოველ დაძახებაზე. ბოროტმოქმედი ფანჯრიდან გადახტება, გაივლის ეზოს და ერთ კუნჭულში სპეციალურად შენახულ „ტუჟურკას“ იცვამს, რომ ტანისამოსი არავინ იცნას. ამის შემდეგ დგება მოსამსახურე, როცა კი შეიხედავს ბერეკაშვილთან, გამოვარდება გარეთ და იძახის „მე არაფერ შუაში ვარო“. ყოველივე ეს და ბევრი სხვა გარემოებები, რომლებიც სასამართლო ძიებაზე გამოირკვა, ცხად„ყოფენ, რომ მკვლელობასთან მოსამსახურე **ლიზა საშკინას** უშუალო კავშირი აქვს.

გუშინდელ სხდომაზე სასამართლოს დადგენილებით დაპატიმრებულ იქნა მოსამსახურე **ლიზა საშკინა.** სასამართლომ დაადგინა მოხდეს დამატებითი ძიება და საქმე გადაიდოს ძიების დამთავრებამდე.

„წესრიგის დამცველი“

საბრალმდებლო სკამზე ზის მილიციის თანამშრომელი **ამბაკო ნაჭყეპია.**

ამბაკო ნაჭყეპიას ერთი „საგმირო“ საქმე ჩაუდენია. თბილისში ერთ-ერთ პატარა დუქანში სოფლიდან ჩამოსული გლეხები პურსა სჭამენ. მახლობლად გაუჩერებიათ ტაჩკები და ცხენები: ამ დროს მილიციელი ნაჭყეპია გამოჩნდება, დაერევა ცხენებს და თავისი კვერთხით უმოწყალოთ ურტყამს. ეს იმ ადგილას ხდება, სადაც ნებადართულია ტაჩკების და ცხენების გაჩერება. დუქნიდან გამოვარდება ერთ-ერთი ცხენის პატრონი ალექსანდრე ლვინიაშვილი და დაუძახებს: „კაცო ცხენმა რა დაგიშავა, პირუტყვს რათ სცემ?“ ნაჭყეპია, ვაგლახად როდი კადრულობს სიტყვის შებრუნებას. უყვირის ლვინიაშვილს: ეხლავე გამომყევი კომისარიატში, მე შენ გიჩვენებ“... ამ სიტყვების შემდეგ მაგრათ წაჰკრავს ხელს ლვინიაშვილს, რომელიც წაიბარბაცებს. ლვინიაშვილი უდანაშაულოდ სთვლის თავს და არ მიჰყვება კომისარიატში. იწყება ჭიდაობა. ნაჭყეპიას ძალით მიჰყავს გლეხი. ეს კიდევ არაფერი. მილიციელი იძრობს რევოლვერს, გამოუმიზნებს გლეხს და ფეხში დასჭრის მას.

ამიტომ ზის „წესრიგის დამცველი“ ბოროტმოქმედის სკამზე.

საქმის გარჩევა გაგრძელდება დღეს.

კეტით

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით ირჩევა **ლევან დოხტურაშვილის საქმე.**

დოხტურაშვილმა წელს კეტის დარტყმით მოჰკლა მოქ. გიორგი გაფიაშვილი.

მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. დღეს დაიწყება მხარეების კამათი.

რკინისგზეზე

ამხ. ივანოვის გამგზავრება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობს თავმჯდომარე ამხ. კ. **ივანოვი** 26 ოქტომბერს გაემგზავრა ბათომში.

უხეში თანამშრომლები

უკანასკნელი თვის განმავლობაში გზებზე ადგილი ჰქონდა მგზავრებისადმი უხეში მოპყრობის ოცზე მეტ შემთხვევას, უმეტესად მოლარეების, სადგურის უფროსების და მათ თანაშემწეების მხრივ.

მგზავრებისადმი უხეშად მოპყრობაში შემჩნეული გზის ყველა აგენტები, გზის გამგეობის მიერ დასჯილი არიან სათანადო ადმინისტრატიული წესით. ზოგიერთები სამსახურიდანაც კი არიან მოხსნილი.

ელექტრო - სახელოსნო

თბილისის მთავარ სახელოსნოებთან არსებობდა ელექტრო-ცეხი. ამჟამად ეს ცეხი გადაკეთებულია სახელოსნოდ; მომავალში ყველა სამუშაოები ელექტროფიკაციის დარგში იწარმოებს ამ სახელოსნოში.

საპატიო მსროლელი

საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის დამცველ რაზმების სამმართველომ ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის წევრს და სამხედრო მიმოსვლის უფროს ამხ. ა. მ. ლევაშოვს მიანიჭა ა.-კ. რკ. გზების დამცველ რაზმის საპატიო მსროლელის სახელწოდება.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

დაისი

ზაქარია ფალიაშვილმა მაროს პარტია ლირიულ ტონებში დასწერა. მხოლოდ ალაგ-ალაგ აქვს მას დრამატიული ხასიათი, როცა მარო, ემორჩილება რა სიყვარულის გრძნობას მალხაზისადმი, იცავს თავის ბედნიერებას, მიუხედავათ ამის საწინააღმდეგო პირობებისა. **დანიელიანი** სწორად გადმოგვცემს ოპერის გმირის სახეს და მის სიმღერაში სჭარბობს ლირიზმი. მხოლოდ პათეთიურ ადგილებში მომღერალი ანვითარებს ბგერას, აძლევს სიმღერას დიდი ექსპრესიას. ძნელი წარმოსადგენია პარტიის უკეთესი ვოკალური შესრულება. მომღერალის ხმა მისი უაღრესად სასიამოვნო ტემბრით მკაფიოდ გადმოგვცემს მაროს ყველა განცდებს. ავიღოთ თუ გინდ მისი პირველი დიალოგი მალხაზთან და მაროს ტირილი მალხაზის ცხედართან. სცენიური გადმოცემა უფრო მკრთალია, ერთფეროვანია თამაში.

მალხაზის პარტიას ასრულებდა ქუმსიაშვილი. მომღერალს ეს პარტია დეტალურად აქვს დამუშავებული. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ წარმოდგენაზე. სიმღერას ახასიათებს ისეთი ნიუანსები, რომლებიც წინად არ ყოფილა. დიდი განწყობილებით შესრულა მსახიობმა არია „თავო ჩემო“, ასეთივე განწყობილებით ჩაატარა ქუმსიაშვილმა ყველა სცენები მაროსთან. განსაკუთრებით კარგია ფინალური სცენა კიაზოსთან (ჩხუბი). ამაღელვებელი და გულწრფელობით სავსეა სიკვდილის სცენა. მალხაზის პარტიაში მსახიობი რეალურ სახეს იძლევა. თამაში ცოცხალი და ბუნებრივია.

მოფიქრებულად ასრულებს კიაზოს პარტიას **ბენაძე.** მაგრამ სცენაში ცანგალასთან (მეორე აქტი) საჭიროა მეტი კონტრასტი პირველ ფრაზასა და „სულო ბოროტოს“ შესრულებას შორის. აქ არის ორი ძლიერ ემოციონალური, მაგრამ მნიშვნელობით სხვადასხვა მომენტი. „სულო ბოროტო“ შესრულებულ იქნა მუსიკალურად, მაგრამ სასურველია უფრო ზომიერი ბგერა (სიმღერა ნახევარი ხმით). სცენა მაროსთან და დუელი (მეოთხე აქტი) ჩატარდა დიდი ექსპრესიით.

დემიანენკო ვერ იძლევა ცანგალას ტიპს. მსახიობი გრიმითაც და მოქმედებითაც უფრო წააგავს **ანანია გლახას** ოპერა „ლალატიდან“, ვინემ ყოველგვარ აყალ-მაყალის და ჩხუბის მოყვარულ ცანგალას. არ არის მკაფიო დიქცია.

მშვენიერი ნანოა **ნეიმანის** ქალი.

სოფლელი ახალგაზრდის სწორ სახეს იძლევა **სვანიძე.**

მასიური სცენები კარგია ვოკალობის მხრივ (მეორე აქტის დიდი ფინალი), მაგრამ არა სცენიურად. გუნდი სრულებით არ იღებს მონაწილეობას მოქმედების განვითარებაში. მკრთალათ არის დადგმული ცეკვა. ფერხულის ცეკვა არ შეიძლება ფეხების ასე სწრაფი მოძრაობით, ხოლო აჭარული ცეკვა სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. ორკესტრს ხელმძღვანელობდა თვით ოპერის ავტორი ზაქარია ფალიაშვილი. კარგია დადგმა, განსაკუთრებით სინათლის ეფექტები.

ვ. ზ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი“. მთავარ პარტიაში გამოვა ბარიტონი ორლოვი.

◆ **მუშათა თეატრის** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია“.

დღეს კინოებში

— **აპოლო**—„ავი სული“,
— **არფასტო**—„ავი სული“.
— **სოლეი**—„ავი სული“.
— **დარბაზი**—„ვიქტორიას დაღუპვა“
— **მინიონი.**—„ქალი კოლოფით“.
— **პალასი**—„ქალი კოლოფით“.

დოღი

მიმდინარე შემოდგომაზე დოღის სეზონი ჩატარდება ბაქოში. დოღში მონაწილეობას იღებენ ამიერ - კავკასიის ყველა რესპუბლიკების და აგრეთვე ჩრდილოეთ - კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკების ცხენთა საქინიბოები. თუ ამინდმა ხელი შეუწყო დოღი გაგრძელდება იანვრამდე. საქართველოს ცხენთა საქინიბოს ბაქოში გაგზავნილი ჰყავს თავისი საუკეთესო ბედაურები: „დაგომე“ „ტაისი“, „იაიჯა ჭიაურელი“ და სამიც საქინიბოში გაზრდილი კვიცები. „დაგომემ“ დ „ტაისმა“ წელს პრიზები მიიღეს მოსკოვის დოღში ბაქოში თავისი ცხენები გაგზავნილი ჰყავს აგრეთვე სამხრეთ-ოსეთს. მათ შორის შესანიშნავი არიან „მოსოსო“ და „შაშარკა“.

პასუხი მოქ. კ. მადიჩს

„კომუნისტი“-ს მე-230 №-ში (11 ოქტ.) მოთავსებულია მოქალაქე კ. მადიჩის პასუხი ჩემს წერილზე, რომელშიაც მას ბრალად ვდებდი **აფერისტობას და გაფლანგვას.** მოქ. მადიჩი აღნიშნავს, რომ მას **„არც დრო და არც სურვილი არ ჰქონია“ „ეფიქრა და ერბინა ამ საქმეზე“** და არ უთხოვია სასამართლოსათვის გაერჩია საქმე. თან დასძენს ჩემს წინააღმდეგ აღძრული საქმე მე-2 უბნის სასამართლომ გააუქმაო.

რატომ არ აღეძრა „სურვილი“ მოქ. კ. მადიჩს თავიდან მოეხსნა საჯარო ბრალდება აფერისტობისა და გაფლანგვის შესახებ? რატომ ვერ იშოვა მან „დრო“ ნახევარი წლის განმავლობაში ჩემს პასუხისგებაში მისაცემად? რატომ არ გამოიყენა მან მე-2 უბნის სასამართლოს დადგენილება, რომ ის გამართლებულია და არ აცნობა ეს საზოგადოებას?

იმიტომ, რომ მოქ. მადიჩმა კარგათ იცის, რომ აფერისტულ მოღვაწეობაშიაც არის „სიღრმენი სახიფათონი“, რომელშიაც კისრის მოტეხა შეიძლება. მან ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ მე სათანადო ორგანოებში ზომები არ მივიღე, ჭეშმარიტების გამოსარკვევად და დავკმაყოფილდი პრესაში ფაქტის აღნიშვნით. მოკვლევის ორგანომ მასალები არ მოიკითხა ბინათკავშირიდან და ალმასკომის უქსთან არსებულ დამხმარე კომიტეტიდან „ქალაქი-ბაღის“ გამგეობის შესახებ და ამიტომ ჩემ მიერ აღძრული ბრალდება ცალკე არ იქნა გამორკვეული. დაერთო მეორე საქმეს, აღძრულს მოქ. კ. მადიჩის წინააღმდეგ (მის წინააღმდეგ მუდმივად არის საქმე სასამართლოებში ს. ა.) და ამიტომ საქმე მოისპო. მოქ. მადიჩს საჯარო ბრალდების უარყოფისათვის „არც სურვილი და არც დრო აღარ დაურჩა“. ეს უარყოფა გამოიწვევდა საქმის გადასინჯვას, რითაც ის იზარალებდა.

ეხლა ჩვენ იძულებული ვართ მოქ. კ. მადიჩს გაუცდინოთ დრო და მისი სურვილის წინააღმდეგ ავამოძრაოთ ფაქტები საქმის გადასინჯვისათვის. ჩვენ რედაქციას უდგენთ ალმასკომის უქსიდან არსებულ დამხმარე კომიტეტის დადგენილებას, სადაც ნათქვამია, რომ **„ამხანაგობა „სადგორი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას—უარი ეთქვას მას სესხის მიცემაზე, საკრედიტო გეგმაში შეტანაზე, და ამასთანავე ერთად მოთხოვნილ მიწის ნაკვეთის მიცემაზეც. ამხანაგობის საერთო კრებაზე უნდა დაისვას საკითხი აღნიშნულ ამხანაგობის ლიკვიდაციის შესახებ“.** რედაქციას უდგენთ მეორე ცნობას ბინათკავშირიდან, სადაც ნათქვამია, რომ **„სადგორის“ გამგეობამ მიუხედავათ სათანადო ორგანოების დადგენილებისა, 10 თვის განმავლობაში, ერთხელაც არ მოიწვია ამხანაგობის საერთო კრება და არ დასვა საკითხი ლიკვიდაციის შესახებ, რომ „სადგორს“ არ აქვს მიღებული მიწა ნაგებობისათვის. საამშენებლო მიზნით წევრებისაგან მიღებულ პროცენტულ ანარიცხები დახარჯულია არა საამშენებლო საქმეებზე, რის უფლება გამგეობას არა ჰქონდა თანახმად საამ. კოოპერატივის წესდებისა, რომ გამგეობა სისტემატიურად გაურბოდა ბინათ კავშირთან დამოკიდებულებას და ბინათ კავშირს „სადგორის“ დაზარალებულ წევრთა მდგომარეობის გამორკვევის საშუალება წართმეული აქვს*).**

ამ საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მოქ. კ. მადიჩი. მიწა არ მიუღია. წევრებისაგან ფული შეაგროვა. რამდენიმე ათასი მანეთი დაიკარგა. სათანადო ორგანოების დადგენილება ამხანაგობის ლიკვიდაციის შესახებ საერთო კრებას არ აცნობა. შეგროვილი ფული წინააღმდეგ წესდებისა მოხმარებულ იქნა „რაღაც საქმეებზე“.

ჩვენ შუამდგომლობა აღვძარით პროკურატურის წინაშე, რომ საქმეს მიეცეს სათანადო მსვლელობა.

სერ. ამაღლობელი.

---

*) აღნიშნული ცნობები წარმოდგენილია რედაქციაში.

რედაქცია.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტროფიკაცია შეერთებულ შტატებში

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ანგარიშიდან სჩანს, რომ საერთოდ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებისა, თითქო ელექტროფიკაცია ყველაზე უფრო არის განვითარებული შეერთებულ შტატებში,—ელექტროფიკაციაქმნილ სახლების რიცხვი ამ ქვეყანაში უმნიშვნელოა. ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს შვეიცარიას, სადაც ელექტროფიკაციაქმნილია სახლების 96,5 პროც. შემდეგ იაპონიას—73.4 პროც., დანიას—72 პროც., კანადას—62,3 პროც:, ახალ ზელანდიას—59 პროც: და მხოლოდ მეექვსე ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს. აიხსნება ეს შეერთებული შტატების დიდი სივრცით და მცხოვრებთა შედარებით მცირე რაოდენობით. ელექტროფიკაციაქმნილ სახლების აბსოლიუტური რიცხვი კი შეერთებულ შტატებში ისეთივეა, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნებისა, ერთად აღებული.

ღია ვაგონები

ამერიკის სარკინიგზო საზოგადოებამ „უნიონ პასიფიკ“ თავის რკინის გზებზე, რომლებიც წყნარ ოკეანეს სანპიროებზე მდებარეობენ, შემოიღო ღია სარკინიგზო ვაგონები. თითოეულ ვაგონში 44 ადგილია. თითეულ საჯდომის წინ გაკეთებულია შუშის ფარი, რომლის წყალობით მგზავრი დაცულია ქარისაგან, რომელიც ქრის მატარებლის მოძრაობის დროს. ღია ვაგონების შემოღება შესაძლებელი შეიქნა იმის წყალობით, რომ ორთქლამძლების ნაცვლად, რომლებიც საშინლად ხმაურობენ და აუარებელ ჭვარტლსა და კვამლს გამოყოფენ, შემოღებული იქნა თბომავალით და ელექტრო მავალით წევა. თბილი ჰავა ოკეანეს სანაპიროებზე შესაძლებლად ხდის ღია ვაგონების მოძრაობას მთელი წლის განმავლობაში და ლამაზი მთიანი ადგილები, სადაც გადის რკინის გზა, მოგზაურობას ღია ვაგონებით აქცევენ უდიდეს სიამოვნებათ.

გვირაბი გიბრალტალის ქვეშ

საფრანგეთში შეიმუშავეს გიბრალტარის ქვეშ გვირაბის გაყვანის პროექტი, ეს გვირაბი შეაერთებს ევროპას აფრიკასთან და გამოყენებული იქნება პირდაპირი მიმოსვლის დასამყარებლად დუვრსა და კაპშტადტს შორის,პირვანდელი გეგმის თანახმად, განზრახული იყო გვირაბის გაყვანა გიბრალტარის სრუტეს ყველაზე ვიწრო ნაწილში (28 კილომეტრი)—ცეუტასთან, მაგრამ ეს განუხორციელებელი შეიქნა, რადგან ამ შემთხვევაში გვირაბი უნდა გაეთხარათ თითქმის ერთი ვერსის სიღრმეზე. ახალი გეგმის მიხედვით გვირაბი გაყვანილი იქნება ესპანეთის ნავთსადგურ ტარიფასა და ტანჟერს შუა 400 მეტრის სიღრმეზე (35 კილომეტრის მანძილზე), ამავე დროს განზრახულია გაყვანილ იქნეს რკინისგზა ქაირო—ტანჟერი. ამგვარად აფრიკის სარკინისგზო ქსელი უშუალოდ იქნება შეერთებული ევროპასთან.

იურიდიული დახმარება

ქუთაისის მცხ. ზოსიმე მამარდაშვილს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ლეჩხუმში, სოფ. ოყურეში, ჰქონდა 6 ქცევა სახნავ-სათესი მიწა და 700 კვად. ვენახი ეზოთი. სოფელში 1926 წ. გაგიყიდიათ სახლი და საცხოვრებლად წამოსულხართ ქუთაისში. ადგილებით და მამულით სიშორის გამო ველარ სარგებლობთ. ამიტომ გვეკითხებით, გაქვთ თუ არა უფლება 1) გაჰყიდოთ ვენახი, 2) მიწა ლეჩხუმში გადასცეთ „საფონდოთ“ და 3) გაქვთ თუ არა უფლება მოითხოვოთ მიწა სამაგიეროდ იმ საადგილ-მამულო ფონდიდან, რომლის მახლობლად თქვენ ამჟამად ცხოვრობთ.

გიპასუხებთ

ვენახის გაყიდვის უფლება თქვენ არა გაქვთ, ვინაიდან ვენახის გაყიდვა უდრის მიწის გაყიდვას. ეს უკანასკნელი კი სასტიკად აკრძალულია მიწის კოდქ. მუხ. 25-ით. მიწის მისაღებად ახალ ადგილას თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ საადგილ-მამულო ორგანოებს.

ვენახზე გაწეული შრომის და ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი საადგილ-მამულო ორგანოთა მეშვეობით იმ პირის მიერ, ვისაც ამჟამად თქვენ სარგებლობაში მყოფი მამული არსებული წესებისამებრ გადაეცემა სასარგებლოდ.

კითხვა

ჩემი ცოლის მამინაცვალს სურს „მიგვიღოს“ თავის ოჯახში—მე და ჩემი ცოლი „ჩვენი ქონების გაერთიანების მიზნით“ და გვიწვევს ერთად საცხოვრებლად. მაგრამ მე მყავს ქმრიანი ცოლის დაც, რომელსაც სურს მიიღოს წილი ჩემი სიმამრის მფლობელობაში მყოფ მიწებიდან და ქონებიდან იმ წერილობითი პირობების საფუძვლებზე, რომელიც დადებულია 1923 წელს, შემოწმებულია სანოტარო წესით და რომლის მიხედვით აღნიშნული მამული და ქონება უნდა გადასცემოდა ორივე დებს სანახევროდ.

ამიტომ გეკითხებით, აქვს თუ არა ჩემ სიმამრს ამის უფლება და ცოლის მოთხოვნა კანონიერია თუ არა.

ორივე დები გათხოვილი არიან შვიდი რვა წლის წინედ.

ზ. ზარიძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექს. მუხ. 40-ისა, თქვენი ცოლის დის მოთხოვნა უკანონოა, მას თავის მამინაცვლის მიწებიდან და ქონებიდან არავითარი წილი არ მიეცემა, ვინაიდან ასეთებს იგი მიიღებს თავის ქმრის ოჯახში. თქვენ სიმამრს აქვს სრული უფლება მიგიღონ თქვენ და თქვენი ცოლი მეკომურებად, რის შემდეგ თქვენ ხდებით სრულუფლებ. წევრები მისი ოჯახისა. სხვაგან კი მამულით სარგებლობის უფლებას თქვენ ჰკარგავთ. ამრიგად, მამულების და ქონების გაერთიანება იმ წესით, როგორც თქვენ ეს გსურთ, არ დაიშვება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საალრიცხვო განმანაწილებელი ქვეგანყოფილება** სთხოვს ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში (ოთახი № 42) საკანდიდატო ბარათების მისაღებად—დილის 10 საათიდან—3 საათამდე:

არსენ გაბრიელიანი, აკაკი კობახიძე, პეტრე გოლოვკინი, ივანე ტატულოვი, რუბენ პირუმოვი, ივანე ვანდიგიანცი, პეტრე კრასნოშეკოვი, ფეოდორ რიბაკოვი, იაკობ დუბოვიცკი, გორდეი ცურუკო, ივანე ბარანოვი, გიორგი იაშვილი, გიორგი ზარემბო, კონსტანტინე ლეონტიევი, სევერიანე ჭკუასელი, ნიკოლოზ კვინტრაძე, მხითარ ვართანიანი, შალვა დიღმელაშვილი, აზიზ მანუკიანი, ვალ. კურბანოვი, საკო აბრამოვი, კლემენტი კახაძე, პავლე იაშვილი, ვლადიმერ ჩესიევი, ილია ონანოვი, გიორგი მდივანიშვილი, ალექსანდრე ფანცულაია, ირაკლი კოპინაშვილი, მიხეილ პერფილოვი, პეტრე ჩურიკოვი, ალ. სუმბაევი, სიმონ დუბმანი, როზა მარტიროსოვა, ვლადიმერ მაქალოვი, მხითარ ავაკიანი, ივანე სპიცინი, პეტრე გრაფოვი, ნიკოლოზ მელიქოვი, გიორგი კრაინოვი, ივანე ილიევი, არმენაკ [illegible], სურენ [illegible], ლეონიდე ჩხიკვიშვილი, მ. პოლოსოვი, მამიკონ [illegible], [illegible]ივიტოვი, გიორგი [illegible], [illegible], პავლე შმიდტი, კონსტანტინე [illegible], [illegible] ფერაძე, ბაგრატ ჩიჩილავა.

— **სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტთან** არსებული ს. ა. ლ: კ. კ: უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 12 საათზე. დასწრება სავალდებულოა წევრთა და კანდიდატთათვის.

— **პარასკევს.** სრულ 10 საათზე, მოწვეულია სახ. უნივ. აგრონომ. ფაკ. ა: ლ: კ: კ: უჯრედის ბიუროს სხდომა: წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. უნდა გამოცხადდენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი.

— **სახ. უნივ. სოც. ეკონ:** ფაკულტეტთან არსებული კომ: უჯრედის (კომკავშირთან ერთად) მორიგი კრება შესდგება პარასკევს, 28 ოქტომბერს. საღამოს სრულ 6 საათზე. დაწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

საგარეჯოს თემალმასკომის თანამშრომლები აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ სოფ. საგარეჯოში გარდაიცვალა თემალმასკომის მდივანი და მათი მეგობარი

დათა შიოშვილი

275

ულრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე დესპინა ალექსის ასული ჭიჭინაძისა, შვილიშვილი ვახტანგ იასონისძე გეგელაშვილი, ცოლის ძმა ლევან ალექსისძე კურციკიძე მეუღლით ეკატერინა ილიას ასულით, ცოლის დები ეკატერინა და მარიამ ალექსი კურციკიძის ასულნი და ქვისლი გედეონ დიმიტრისძე წერეთელი მეუღლით ელენე ალექსის ასულით და შვილებით თამარი, ქეთო და ლეონიდე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ექვთიმე (დარისპან) დავითის ძე
ჭიჭინაძის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო 30 ოქტომბერს დღით კვირას 12 საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 121

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა სალომე (ქოჩო) მეუღლე ნინა, შვილები: გოგოლა, ელიჩქა და შოთა, დები: ნინა, ეფროსინე, ლიდა და ლიზა, სიძეები: ანდრო სულაბერიძე, მიშა ბარამიძე, ივანე გარსევანიშვილი და ნესტორ ვკუა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობარ-ამხანაგებს, რომ კვირას, 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, სოფ. ჯუნჯუათში (გურია, ლანჩხუთის უბანი) გადახდილი იქნება პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის, ბათომის დეპოს ყოფილი მემანქანის

ალექსანდრე (სანდრო) კონსტანტინესძე
კვასხვაძის

მოსაგონებლად, გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. 265

დედა ოლღა, მეუღლე კოკი, შვილი ლილი, ძმა დიმიტრი, დები: ჟენია, თამარა, ფატი და ნინი, რძალი ნინა, სიძე ალექსანდრე დუმბაძე, სიდედრი ნინუცი, მულები: მასურია ნიკოლაიშვილისა და მაცია, მაზლი კაპიტონ, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 ოქტომბერს, სოფ. კოხნარში (გურია) გადახდილ იქნება მათთვის დაუვიწყარის და მუდამ სახსოვარის

ელენე ონისიმეს ასულ
(ხომერიკი) უშვერიძის

სამოქალაქო პანაშვიდი 264

კომუნისტი

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. **ხაშურში**—კონტრაგენტ ვალოდია კარსანიძესთან.
2. **ჭიათურაში**—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **სამტრედია**—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. **სენაკი**—კონტრაგენტ ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. **აბაშა**—კონტრაგენტ მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **ფოთი**—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. **ბათომი**—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძესთან.
10. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში **გიორგი ბიბილეიშვილთან.**
11. **ოზურგეთი**—კონტრაგენტ პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
12. **თელავი**—კონტრაგენტ რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. **გორი**—მაისურაძესთან.
14. **ხურამი**—მჟავანაძესთან.
15. **სიღნაღი**—კონტრაგენტ ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. **სოხუმში**—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—კონტრაგენტ შიშნიაშვილი ესტატე
19. **ბორჯომ-ბაღი**—მაქაცარია
20. **ნავთლუღი**—კიოსკი.
21. **ხონი**—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

გაზ. **„კომუნისტი“**

ხელის მოწერას გაზ. „კომუნისტზე“

ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში აწარმოებენ მხოლოდ „კომუნისტი“-ს კონტრ-აგენტები

თბილისი
ქუთაისი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ახალ-სენაკი
სამტრედია
ჭიათურა
ზესტაფონი
შორაპანი
ბორჯომი
ხაშური
თელავი
ხონი
სიღნაღი
აბაშა
ბაღდადი
გორი
ლანჩხუთი
სურამი
გურჯაანი
წალვერი
აბასთუმანი
მანგლისი
კოჯორი
ტყიბული

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ხელის მოწერას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი დაწესებულებების შიგნით და აუცილებლად ნაღდ ფულზე.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორის გამგე ა. სირაძე.

ფ. ტ. სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში ეგ. ქვანტალიანი

0—2

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

0—17 ნ. 1388

დღეს და ყოველდღე
სომხეთის სახკინმრეწვის მხატვრული ნაწარმოები—დრამა
„ავი სული“
შირვან-ზადეს რომან. მიხედვ., ა. ბეკ-ნაზაროვის სცენ. რეჟ. **ა. ბარხუდაროვის** და **მ. გელოვანის** დად. ოპერ. **ანოშჩენკო და იალოვიი**
მთავ. როლ.: **მ. გელოვანი, ასმიკ მანუჩარიანი, ეპიტაშვილი, მამიკონიანი, აბრამიანი, და სხ.ა**

უკანასკნელად თბილისში! „მეჟრაბპომ-რუსის“ საუკეთესო სურათი
„კაცი რესტორანიდან“
რეჟისორი ი. ა პროტაზანოვი. მთავარ როლებში რესპუბლიკის დამსახ. მსახ. მ. ა. ჩეხოვი, ვ. ი. მალინოვსკაია, კოვალ-სამბორსკი და სხვა.

ანონსი: საქართვ. სახკინმრეწ. მორიგი ნაწარმოები „იბრაგიმ და გოდერძი“

განათლების მუშაკთა სახლში
შაბათს, 29 ოქტომბერს, საღ. 7 საათ. შესდგება
სახლის წევრთა საერთ. კრება
გამგეობის ასარჩევად. არჩევნების შემდეგ გაიმართება
კონცერტი
მონაწილეობენ: **ლ. კავსაძე, ვ. ვლადისლავსკაია, შ. ცირილაძე, ინგურელი. როიალთან—ანდრონიკაშვილი.**
271

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ალმასკომის აგურის ქარხ. სამმართველო
აცხადებს, რომ **1-ლ ნოემბერს 1927 წ.**
დილის ათ საათზე სამმართველოს შენობაში მაჩაბლის ქ. № 1
შესდგება შეჯიბრება
შვიდი აგურის ქარხნისთვის დასაყალიბებელ **ქვიშის** მიწოდებაზე რაოდენობით: 2.990 კუბ. მეტ.
ვაკესთვის—1.820 კუბ. მეტ.
ღრმა-ღელე—780 „ „
ავლაბარი —390 „ „
საერთო ჯამით დაახლოებით 10.000 მან.
ჩაბარების ვადა 1928 წ. 1-ლ აპრილამდის.
აღნიშნულ სამუშაოს შესრულებაზე მსურველებმა უნდა შემოიტანონ სამმართველოში განცხადება გადახდილი სათანადო სალერბო გადასახადით.
266. **აგურ. ქარ. სამმართ. გამგე ა. ჯაფარიძე.**

საქ. ს.მ.უ.ს.-თან არსებული შრომის ნადთა სარეგისტრაციო კომისია
ამით აცხადებს, რომ **მენაგვეთა ნადები**
„ასენიზატორი“. „ერთობა“ და „სოიუზი“
გაუქმებულია მათ მაგიერ დაარსებულია
ახალი მენაგვეთა ნადი
„სან-ტრანსპორტი“-ს
სახელწოდებით.
ყველა უფლებები ყოველ მენაგვეთა ნადების და მათი ვალდებულებანი სახლების პატრონთა წინაშე გადადის ნად „სანტრანსპორტზე“.
ს.მ.უ.ს. ადგილობრ. მრეწვ. განყ.
მდივნის მაგიერ მიქაძე.
ცენტრ. „სან-ტრანსპორტის“ გამგეობის
272 **თავმჯდომარე ვ. ქვანტალიანი.**

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 25—7

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

მედიც. დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ:ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე
222—13—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ხელოვნურ კბილების
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე.
25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

ექიმი მებრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე.
კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა **უცხოეთის უახლეს მეთოდებით.**
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის).
25—15

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7, ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.
25-—1 250

22—ოქტომბ., შაბათს, დილით
დავკარგე
ცისფერი ყდიანი
საერთო რვეული
ხელთ-ნაწერი, ქართული თხუზულებებით მპოვნელს ვსთხოვ გადასცეს კბილის საექიმო პოლიკლინიკის სამნეო ნაწილის გამგეს **აბაშიძეს,** შუა ბაზარი № 37 მომტანი
მიიღებს საჩუქარს
261

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1145 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 850 ნინო აღნიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 263

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 5377 ნინო მესხის სახელზე, ჩ. გ. 267

დავკარგე მიწა ტყის კავშირის წიგნაკი ვლადიმერ ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 269

დავკარგე მიწა ტყის კავშირის წიგნაკი ნიკიფორე მელიმონაძის სახელზე, ჩ. გ. 270

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68